ჩვენი ენის ამბები

მოსწავლის წიგნი

ტოლერანტობის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროგრამა IV ან V კლასისთვის

ტოლერანტობის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროგრამა მომზადებულია ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები" (Save the Children) და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.

Save the Children

ეროვნული სასწავლო გეგმებისა
და შეფასების ცენტრი
National Curriculum
& Assessment Centre

სახელმძღვანელო შექმნილია ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები" (Save the Children) ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო. სახელმძღვანელოში მოცემული შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს თვალსაზრისს.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

სარჩევი

შესავალი 4

თემა 1: ტოლერანტობა 5
- მოთხრობა: „მეტოქეები“ 8
- მოთხრობა: „ღრუბელი“ 16

თემა 2: ეფექტური კომუნიკაცია 21
- მოთხრობა: „კვალის მაძიებლები“ 22
- მოთხრობა: „კოკის დაბადების დღე“ 26

თემა 3: მონაწილეობა 32
- მოთხრობა: „მაცაცოს სახლი“ 33
- მოთხრობა: „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“ 38
- მოთხრობა: „ძილისგუდა მაცაცო“ 42

თემა 4: თანამშრომლობა 48
- მოთხრობა: „ჩვენი ეზოს ისტორია“ 49
- მოთხრობა: „დავეხმაროთ ერთმანეთს“ 54

თემა 5: გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება 59
- მოთხრობა: „გატეხილი ლარნაკი“ 60
- მოთხრობა: „მძინარე მზეთუნახავი“ 66

თემა 6: შეთანხმება ანუ პრობლემის ერთობლივად მოგვარება 73
- მოთხრობა: „მოცეკვავე“ 73

თემა 7: მოლაპარაკება 80
- მოთხრობა: „გულადი მეკობრის განძი“ 80

თემა 8: შუამავლობა 87
- მოთხრობა: „ჯადოქრობა ყველას უნდა“ 87

თემა 9: შერიგება 94
- მოთხრობა: „მოდი, შევრიგდეთ!“ 95

თემა 10: ბავშვის უფლებები 101
- მოთხრობა: „საიდუმლოება“ 102
- მოთხრობა: „ბავშვთა უფლებების დამცველი“ 106

თემა 11: თაობათა შორის ურთიერთობა 112
- მოთხრობა: „ახალი დღე“ 113
- მოთხრობა: „ეზოს ოპერა“ 117

თემა 12: გოგონები და ბიჭები (გენდერი) 122
- მოთხრობა: „დღესასწაული“ 123
- მოთხრობა: „მასწავლებლობანა“ 128

თემა 13: ცრუ შეხედულებები, სტერეოტიპები და სტიგმა 132
- მოთხრობა: „კოკი ავადაა!“ 133

თემა 14: გარემოს დაცვა 142
- მოთხრობა: „საჩუქარი“ 142
- მოთხრობა: „ეზოს დასუფთავების დღე“ 145

თემა 15: მოქალაქეობრივი შეგნება 150
- მოთხრობა „გლობუსი“ 151
- მოთხრობა „გავანათოთ!“ 158

თემა 16: ჯანსაღი ცხოვრების წესი 163
- მოთხრობა: „მწვრთნელები“ 164

თემა 17: განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობა 173
- მოთხრობა: „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“ 173
- მოთხრობა: „მაცაცო მოგზაურობს“ 179

თემა 18: თანასწორობა 185
- მოთხრობა: „ვარსკვლავი“ 186

დანართი №1 – ბავშვის უფლებათა კონვენცია (გამარტივებული ვარიანტი) 191

დანართი №2 – ბავშვის უფლებათა კონვენცია (შემოკლებული ვარიანტი) 193

შესავალი

ყმაწვილებო, თქვენ წინაშეა მოთხრობების კრებული, რომლის პერსონაჟებიც ერთი ეზოს ბინადრები არიან. თქვენ გაეცნობით პაკოს, ლიზიკოს, თუთას, ფინია კოკის, ფრთოსანი მაცაცოს, ბრძენი ხის – ბაოს, ბიძია ალექსის, ლალი დეიდასა და სხვათა ცხოვრებისეულ ისტორიებს.

ეზოს ბინადართა ურთიერთობები მრავალმხრივია. ხშირად მათი საქციელი მისაბაძია, ზოგჯერ კი მათი ცხოვრებისეული შეცდომები გასათვალისწინებელი, რომ თქვენც არ გაიმეოროთ.

მოთხრობების ავტორები – ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლები – ცდილობენ, თქვენი თანატოლების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობების მაგალითზე გაგაცნონ, თუ რა არის ტოლერანტობა.

ტოლერანტობა არის ადამიანის თვისება დააფასოს სხვების ინდივიდუალობა, იყოს ზრდილობიანი, მოექცეს სხვებს ისე, როგორც სურს რომ მოექცნენ მას, პატივი სცეს სხვების ღირსებას.

ამგვარ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეთ, უნდა გაითავისოთ და თქვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში დანერგოთ ტოლერანტი ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებები.

გახსოვდეთ!

იყავით მზრუნველი ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოიჩინოთ სხვების მიმართ თავაზიანობა, თანაგრძნობა, გამოხატოთ მადლიერება, დაეხმაროთ ადამიანებს და იზრუნოთ მათზე, დაუზარლად აკეთოთ კეთილი საქმე, შეხედოთ მოვლენებს საკუთარი და სხვისი თვალითაც.

ეცადეთ, იყოთ პატიოსანი, რაც იმას ნიშნავს, რომ იცხოვროთ ტყუილის გარეშე, იყოთ გულახდილი, გულწრფელი, იყოთ ინდივიდუალური – პატივი სცეთ სხვის შეხედულებებს, მაგრამ არ მოექცეთ სხვისი ზეგავლენის ქვეშ, შეასრულოთ მიცემული პირობა.

იყავით კარგი მოქალაქე, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა იცოდეთ თქვენი უფლებები და მოვალეობები, დაემორჩილოთ კანონებსა და წესებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივ (მაგ., სკოლის, კლასის და სხვა) ცხოვრებაში, პასუხი აგოთ საკუთარ მოქმედებებზე.

კარგი იქნება, თუ შეძლებთ თანამშრომლობას, რაც ნიშნავს გუნდთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად მუშაობას, საერთო საქმის შესრულების დროს თანამშრომლის დახმარებას. თუ თავად გჭირდებათ დახმარება, დაიხმარეთ სხვები. გაუზიარეთ სხვებს თქვენი მოსაზრებები, დააფასეთ სხვისი შრომა.

ეცადეთ იყოთ მიზანსწრაფული, რაც იმას ნიშნავს, რომ წარუმატებლობის დროს არ დანებდეთ, არასდროს დაყაროთ ფარ-ხმალი. დაისახეთ მიზნები და იღვაწეთ მათ მისაღწევად.

იყავით შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობით მოეკიდეთ დავალებას.

იყავით დისციპლინირებული, გაანაწილეთ დრო, დაგეგმეთ დღე.

იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით.

სწორედ ამ და სხვა მრავალი თვისების განვითარებაში დაგეხმარებათ ეს წიგნი. თუ თქვენ გაიზიარებთ ავტორების რჩევებს და ჩამოყალიბდებით ტოლერანტ პიროვნებებად, დამერწმუნეთ, იცხოვრებთ ლამაზ, მშვიდობიან, უკონფლიქტო, თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში და მრავალ წარმატებასაც მიაღწევთ.

თემა 1 ტოლერანტობა

რა არის ტოლერანტობა?

გადაავლეთ თვალი თქვენს მეგობრებს. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და თქვენგან – გარეგნობით, ჩაცმულობით, აზროვნებით... თქვენ მთელი დღის განმავლობაში გიწევთ მათთან ურთიერთობა, ხშირად თქვენი შეხედულებები, სურვილები, საუბრის მანერა განსხვავდება, რაც სამწუხაროდ, თქვენ შორის უთანხმოების მიზეზი ხდება და იწვევს დაძაბულობასა და კონფლიქტს. ამგვარი არასასიამოვნო ურთიერთობების თავიდან ასაცილებლად უნდა ეცადოთ, რომ გაუგოთ სხვას და მასაც გააგებინოთ თქვენი აზრი. იყოთ მომთმენი იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა შეხედულებებიც განსხვავდება თქვენი შეხედულებებისაგან. სწორედ ეს არის ტოლერანტობა, როდესაც მზად ხართ, *მიიღოთ სხვა ისეთად, როგორიც ის არის და შეთანხმებისა და თანამშრომლობის საფუძველზე დაამყაროთ მასთან ურთიერთობა.*

ტოლერანტობა ნიშნავს, იცხოვროთ საკუთარ თავთან და სხვებთან მშვიდობიანად.

ტოლერანტობა არის პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება, კეთილგანწყობა სხვათა მიმართ, შერიგებისთვის მზადყოფნა, უკონფლიქტო ურთიერთობა განსხვავებულ ადამიანებთან.

იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდეთ ტოლერანტობის არსს, უნდა იცოდეთ ტოლერანტი პიროვნების დამახასიათებელი თვისებები და ასევე, ტოლერანტობის საპირისპირო ქცევის – არატოლერანტობის გამოვლინებები.

გახსოვდეთ!

ტოლერანტი პიროვნების თვისებებია:

1. *სხვების მიმართ კეთილგანწყობა;*
2. *თქვენგან განსხვავებული პიროვნების პატივისცემა;*
3. *განსხვავებული აზრის პატივისცემა;*
4. *სხვების არგანსჯა;*
5. *ჰუმანიზმი – ადამიანის სიყვარული, მისი ღირსების პატივისცემა, კაცთმოყვარეობა;*

6. ალტრუიზმი, რაც ნიშნავს სხვაზე უანგაროდ ზრუნვას;
7. თანაგრძნობა, სხვისი განცდის გაზიარება;
8. მოსმენის უნარი;
9. მოთმინება, თავდაჭერის უნარი;
10. ერთგულება.

არატოლერანტული ქცევის გამოვლინებებია:

1. შეურაცხყოფა, დაცინვა;
2. იგნორირება, გარიყვა;
3. დევნა, მუქარა, დაშინება;
4. ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება;
5. სხვისი უფლებების შელახვა.

სავარჯიშო — „მიხარია, მწყინს.“

დაიყავით წყვილებად. გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც ვინმემ (მშობელმა, მეგობარმა, მასწავლებელმა...) გაგახარათ, ბედნიერად გაგრძნობინათ თავი. დააკონკრეტეთ, რა იყო ამის მიზეზი. მოგონებები გაუზიარეთ ერთმანეთს.

ახლა, პირიქით, გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც დამცირებულად, უხერხულად, გარიყულად იგრძენით თავი. დააკონკრეტეთ მიზეზი და ის, თუ ვინ გატკინათ გული. გაუზიარეთ მეწყვილეს თქვენი მოგონება.

დახატეთ ორივე მოგონება და მიაწერეთ სიხარულითა და გულისტკენით გამოწვეული განცდების გამომხატველი სიტყვები.

დაფიქრდით:
როგორი გავლენა მოახდინა სხვა ადამიანის საქციელმა თქვენზე?

განასხვავეთ ერთმანეთისგან, როგორ იგრძენით თავი, როდესაც ტოლერანტულად მოგექცნენ (პატივისცემით, კეთილად, მოთმინებით და სხვ.) და რა განცდები გქონდათ არატოლერანტული ქცევის (ძალადობის, შეურაცხყოფის, გარიყვის) შემდეგ.

ახლა კი, ვიდრე მოთხრობას წაიკითხავდეთ, გაიცანით ჩვენი ეზოს ამბების პერსონაჟები, რომლებიც მეზობლები და კარგი მეგობრები არიან:

პაპო – ცელქი და მეგობრული ბიჭუნაა, ძალიან უყვარს აქტიური თამაშები, ზარმაცია, სწავლა ეზარება. ხშირად ახალ-ახალ თამაშებს იგონებს, რითაც ძალიან ამხიარულებს ეზოს ბინადრებს.

თუთა – პაკოს უმცროსი და გახლავთ. თუთა ძალიან ჭკვიანი და გულისხმიერი გოგონაა. ასაკით იგი ეზოში ყველაზე პატარაა.

ლალი დეიდა – პაკოს და თუთას დედაა. იგი ზომიერად მკაცრია. პაკოსგან მოითხოვს, რომ კარგად ისწავლოს და არ იზარმაცოს. ლალი დეიდა საკმაოდ მეგობრული დედაა და შვილების ინტერესებიც კარგად ესმის.

ლიზიკო – პაკოს თანატოლი და თანაკლასელია. ლიზიკოს უყვარს სწავლა, ხშირად მეგობრებს რჩევებს აძლევს. ლიზიკოს მეგობრული ურთიერთობა აქვს მამასთან, ალექსი ბიძიასთან.

ალექსი ბიძია – ლიზიკოს მამაა. ალექსი ბიძია ძალიან დაკავებული ადამიანია, თუმცა ყოველთვის ახერხებს დროის გამოძებნას ლიზიკოსთან და მის მეგობრებთან ურთიერთობისთვის, რჩევებს აძლევს მათ და ყოველთვის მზად არის, დაეხმაროს, როდესაც ბავშვები რაიმე შეკითხვით ან თხოვნით მიმართავენ.

ნიკუშა – პაკოს და ლიზიკოს თანაკლასელია. ნიკუშა მოწესრიგებული და განათლებული ბიჭუნაა. იგი თავდაჯერებული, გამბედავი და სამართლიანი პიროვნებაა.

მაცაცო – ეზოს მშვენება ჩიტია. მაცაცო ძალიან ბევრს მოგზაურობს და თავის მეგობრებთან – ეზოს ბინადარ ბავშვებთან ახალ-ახალი ამბები მოაქვს სხვა ქვეყნების ტრადიციებისა და იქ მცხოვრები ხალხის ადათ-წესების შესახებ. მაცაცო ცოტა ჭორიკანაა და ამის გამო ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. მაცაცო დიდი ხანია ამ ეზოში ცხოვრობს. მას ძალიან უყვარს ეზოს ბინადარი ბავშვები და მათი დიდი მეგობარია.

კოკი – ეზოს ფინია გახლავთ. კოკი ძალიან კეთილია, ცდილობს, ყველასთვის სასარგებლო იყოს. კოკი ერთგული მეგობარი და კარგი მოსაუბრეა.

ბაო – ბრძენი, მოლაპარაკე ხეა. ბაოს ასაკი არავინ იცის. იგი უხსოვარი დროიდან ეზოს ბინადარია. ხშირად მას ბავშვები რჩევისთვის მიმართავენ. ბაომ ძალიან კარგად იცის ამ ეზოს ისტორია. მის თვალწინ მრავალი თაობა გაიზარდა.

ახლა წაიკითხეთ მოთხრობა და ყოველ პაუზასთან შეჩერდით.

მეტოქეები

ერთ მშვენიერ დღეს პაკო ფანჯრის რაფაზე იჯდა და ფიქრობდა... ფიქრობდა იმაზე, თუ რა კარგია ოცნება. რა მშვენიერია, როცა ერთგული მეგობრები გყავს. ნიკუშა, ლიზიკო, მაცაცო, კოკი... როგორ უყვარს ისინი... როგორი განსხვავებული და განუმეორებელია ყოველი მათგანი და რა ბედნიერებაა, რომ მათ ეზოში მოლაპარაკე ხე, ბაო, ცხოვრობს. ასევე ბედნიერებაა, რომ უმცროსი დაიკო – თუთა ჰყავს.

ამ ფიქრებში იყო გართული ჩვენი პაკო, როდესაც საოცარი იდეა დაებადა. მან ახალი თამაში მოიგონა.

I პაუზა

ამ დროს ბავშვები ეზოში მოწყენილები ისხდნენ და ფიქრობდნენ, რა გაეკეთებინათ, რა ეთამაშათ... მათი მყუდროება მესამე სართულიდან პაკოს მიერ გამოშვებულმა ქაღალდის მტრედმა დაარღვია. ეს საიდუმლო წერილი გახლდათ. ის თუთას თავზე დააფრინდა. ბავშვები მაშინვე მიხვდნენ, რომ პაკომ ახალი თამაში მოიფიქრა.

ბავშვებმა ციდან ჩამოფრენილი წერილიდან გაიგეს, რომ დღეიდან ისინი ინდიელთა ყველაზე მეომარი ტომის წარმომადგენლები იყვნენ.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი ხომ ახალ თამაშს ითამაშებდნენ.

ინდიელთა ტომი ერთ წამში შეიკრიბა. გადაწყდა, რომ ყველა მეომარს გამოცდიდნენ – გონიერებასა და გამბედაობას შეუმოწმებდნენ. გამოცდა კოკის სახლთან უნდა ჩატარებულიყო. კოკის სახლი გამოქვაბულის როლს შეასრულებდა, სადაც, ვითომ, მძვინვარე ბიზონი იმალებოდა.

არავის სურდა გამოცდაზე პირველი გასულიყო. ფინია კოკი მოიკითხეს. სასეირნოდ იყო წასული... ბოლოს არჩევნის გაკეთების ყველაზე სამართლიან მეთოდზე – კენჭისყრაზე შეჩერდნენ. პირველობა პაკოს ერგო.

პაკო გამოცდისთვის მოემზადა. სასწრაფოდ ჩამოიფხატა თავზე ბუმბულებისგან წინასწარ გაკეთებული ინდიელთა თავსაბურავი, მშვილდ-ისარი მოიმარჯვა და ნამდვილ ინდიელს დაემსგავსა.

– რა გქვია, წითელკანიანო მეგობარო? – საზეიმო ხმით მიმართა ნიკუშამ.

– „არწივის თვალი“!

– მზად ხარ მძიმე განსაცდელისთვის, „არწივის თვალო“?

– მზად ვარ! – მშვიდად, ღირსეულად უპასუხა პაკომ.

ეს თამაშს აღარც კი ჰგავდა. პაკომ თავი წარმოიდგინა თვალუწვდენელ ველებში აღზრდილ მეომრად.

გამოსაცდელად „არწივის თვალს“ ლექსის წაკითხვა დაავალეს.

პაკომ ჰაერი შეისუნთქა, ლექსის სათქმელად მოემზადა და უცებ მიხვდა, რომ ერთი სტროფიც კი არ ახსოვდა.

პაკო წამოწითლდა.

– ლეე-ქსი! – თქვა პაკომ ხმამაღლა, საზეიმო ხმით. ცდილობდა, დრო მოეგო. – ლეე-ქსიი...

ყველა მოუთმენლად ელოდა პაკოს ლექსს.

– მაშასადამე, ლეექსიი! – გაიმეორა პაკომ ლამის ყვირილით. ამაოდ ცდილობდა, რაიმე გაეხსენებინა და უცებ, არაჩვეულებრივი აზრი დაებადა: გადაწყვიტა, ლექსი თავად შეეთხზა.

პაკო ჭარხალივით გაწითლდა, მთელ თავის ლიტერატურულ ნიჭსა და არარსებულ გამოცდილებას მოუხმო, პატარა ლექსი შეთხზა და მერე გამოთქმით წარმოთქვა:

გამოქვაბულში შეძვრება მალე,
ბიზონს განგმირავს „არწივის თვალი“!

პაკოს პოეტურმა ნიჭმა ყველა აღაფრთოვანა. მან წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა.

შემდეგი გამოცდა თუთას უნდა ჩაებარებინა. მას ასეთი დავალება მისცეს:

II პაუზა

იგი გამოქვაბულში უნდა შემძვრალიყო და საშინელ ბიზონს დამეგობრებოდა. თუთამ კარგად არ იცოდა, ბიზონი რა იყო, ამიტომ გამოქვაბულში უშიშრად შეძვრა.

გამოქვაბულში ბნელოდა. იგი ვიღაცის მყუდრო საცხოვრებელი გახლდათ, მაგრამ ვისი? თუთამ ეს არ იცოდა. სიღრმიდან ორი დამფრთხალი თვალი ანათებდა. თავიდან თუთა შეშინდა, მართლა ბიზონი ეგონა, თუმცა მალევე დაიმშვიდა გული და ზრდილობიანად ჰკითხა:

– უკაცრავად, თქვენ ბიზონი ხართ? – თუთამ გაიფიქრა, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, თავაზიანად უნდა დალაპარაკებოდა. მისი აზრით, კეთილგანწყობა კარგი ურთიერთობის დამყარებაში დაეხმარებოდა.

მაგრამ ბიზონი (თუკი ეს ბიზონი იყო) რატომღაც ერთობ უცნაურად მოიქცა. დაიყვირა, მიშველეთ, მკლავენო და გამოქვაბულიდან გავარდა.

იმწამს ყველა დარწმუნდა და მათ შორის თუთაც, რომ ეს ბიზონი კი არა, ცუგრია კოკი ბრძანდებოდა. სასოწარკვეთილი ძაღლი ყვიროდა: „ქურდები, ყაჩაღები!“ კოკი პოლიციის გამოძახებას ითხოვდა. ვიღაცამ მას მყუდროება დაურღვია და დაუკითხავად მის საბრძანებელში შეიჭრა.

ბავშვებმა კოკის აუხსნეს, რომ ისინი ინდიელობანას თამაშობდნენ და ინდიელი მეომრები იყვნენ, ტომში მისაღებად კი გამოცდა უნდა ჩაებარებინათ.

კოკიმაც მოისურვა თამაში. არ უნდოდა, რომ ბიზონი ყოფილიყო. არ მოეწონა. ფინიას მეომრობა სურდა. ბავშვებმა არ მიიღეს კოკი ინდიელთა ტომში, რადგან ის ოთხფეხა იყო. ოთხფეხებს, გრძელბეწვიანებსა და გაბურძგნულებს კი მეომრად ვერ აირჩევდნენ.

კოკის ძალიან ეწყინა. თუთამ კი გაიფიქრა, რომ უსამართლობა იყო მხოლოდ იმიტომ ეთქვათ უარი ვიღაცისთვის, რომ მას ოთხი თათი ჰქონდა... თუმცა არაფერი თქვა.

კოკიმ პროტესტი გამოთქვა. იგი თავს სულაც არ მიიჩნევდა გაბურძგნულად, მაგრამ ბავშვები მაინც ასე ფიქრობდნენ.

გულის სიღრმეში პაკო გრძნობდა, რომ კოკისთან მართლები არ იყვნენ... დილით არ იყო, რომ უხაროდა, განსხვავებული და განუმეორებელი მეგობრები მყავსო... ახლა კი აღმოჩნდა, კოკი სხვანაირი რომ არის, სწორედ იმიტომ არ ეთამაშებიან.

ნიკუშა და ლიზიკოც იმავეს ფიქრობდნენ. თუმცა ხმა არც მათ ამოუღიათ. ოთხფეხა მეომრის ინდიელთა ტომში ყოფნა მათაც უცნაურად ეჩვენებოდათ.

კოკიმ თავი ჩაქინდრა და ბაოსკენ წალასლასდა.

ბავშვები შეჰპირდნენ კოკის, რომ სხვა თამაშს აუცილებლად ათამაშებდნენ.

სად იყო და სად არა, ეზოში მაცაცო გამოჩნდა და ბავშვების ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური. მან მაშინვე გაიზიარა ბავშვების აზრი კოკისთან დაკავშირებით.

III პაუზა

მაცაცო ძალზე ჭკვიანი და გონიერი ფრთოსანი გახლდათ (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ფიქრობდა), ამიტომ სასწრაფოდ შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები. წამსვე მოისაზრა, რომ ორი ფეხი აქვს და არა ოთხი თათი, ნამდვილად არაა გაბურძგნული. ასევე, მისი ბუმბული პაკოს თავსაბურავზე დამაგრებული ბუმბულივით მშვენიერია. იმდენად მოეწონა საკუთარი თავი, რომ ისიც კი გაიფიქრა, სილამაზის კონკურსში ხომ არ მივიღო მონაწილეობაო, მაგრამ, ამჯერად, მაინც ინდიელობანას თამაში არჩია.

მაცაცო მარჯვენა ფრთის აწევით მიესალმა ორფეხა წითელკანიან მეომრებს.

ბავშვების წინ გადაფრინდ-გადმოფრინდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ფეხი ჰქონდა, კოკისავით გაბურძგნული არ იყო და უფრო მეტიც, მისი ბუმბული პაკოს თავსაბურავზე დამაგრებული ბუმბულივით მშვენიერი იყო.

ბავშვები დაეთანხმნენ.

მაცაცოს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მეომართა ტომის წევრი გახდებოდა. სამწუხაროდ, მაცაცოს იმედი გაუცრუვდა.

ბავშვებმა ისიც დაიწუნეს. მას ხომ ხელების ნაცვლად ფრთები ჰქონდა, თანაც, მფრინავი მეომარი არავის უნახავს.

– მერე რა? – შეჰყვირა მაცაცომ.

– როგორ თუ რა? სად გინახავს მფრინავი მეომარი?

– მმ... აღარ ვიფრენ! საერთოდაც არ ვარ მფრინავი ჩიტი... მორბენალი ჩიტი ვარ, სირაქლემასავით!

– არა, მაცაცო, უკაცრავად, მაგრამ ჩვენ ორფრთიანთა კი არა, ორფეხათა ტომის წარმომადგენლები ვართ.

მაცაცო ძალიან განაწყენდა იმიტომ, რომ ბავშვებმა მსოფლიოში ყველაზე მომხიბლავ და ჭკვიან ფრთოსან მგოსანს თამაშზე უარი უთხრეს. სად გაგონილა?! – ბურტყუნებდა გაგულისებული. ფრთები გაქვსო... მერე რა?! მარტო იმიტომ არ მეთამაშებიან, რომ დავფრინავ! შეიძლება, გაგიჟდე! ვაი! – უცებ შეჰყვირა და ადგილზე გაშეშდა, იგრძნო, რომ რაღაც რბილს დაადგა ფეხი...

– მე ვარ, – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კოკიმ, – ეჰ, მაცაცო, თურმე არავის ვჭირდები...

– საყვარელო მეგობარო, – უცებ მაცაცოს გული ამოუჯდა, – წარმო-

გიდგენია, ჩემისთანა ბრძენი და ლამაზი ჩიტუნაც კი არავის სჭირდება! იცი, რა მითხრეს? მხოლოდ იმიტომ არ მეთამაშებიან, რომ დავფრინავ და ხელების ნაცვლად ფრთები მაქვს...

– ნუ ტირი, – უთხრა კოკიმ.

– ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, – ქვითინებდა მაცაცო, – ყოველთვის ასეთი ვიყავი... ჩემი მშობლებიც ასეთები იყვნენ და ჩემი შვილებიც ასეთები იქნებიან...

– ნუ ტირი, – შეეცადა მაცაცოს დამშვიდებას კოკი, – მეც არ მიმიღეს, რადგან ოთხი თათი მაქვს და გაბურძგნული ვარ, მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ არის, ასეთი რომ ვარ... მამაჩემსაც გრძელი ბეწვი ჰქონდა...

– მართალია... მამაშენი კარგად მახსოვს... – თქვა მაცაცომ, მერე წამით დაფიქრდა და კოკისთან ერთად გადაწყვიტა ცალკე ინდიელობანას თამაში.

IV პაუზა

გახარებულმა კოკიმ გადაწყვიტა, თამაში მშვილდ-ისრის სროლით დაეწყოთ. შემდეგ კი, ნამდვილი ინდიელი მეომრების ტრადიციის თანახმად, ცხელი შოკოლადი მოემზადებინათ და ბრძოლის გამარჯვებით დამთავრება აღენიშნათ.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და ბაოსკენ გასწიეს. ბაო ეზოს ყველაზე ბრძენი და ხანდაზმული ბინადარი გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან ყურადღებით მოსმენა იცოდა. ეს თვისება კი ურთიერთობის დროს ძალზე მნიშვნელოვანია. როდესაც ბაომ მოწყენილი მეგობრები დაინახა, დაინტერესდა, თუ რატომ იყვნენ კოკი და მაცაცო სევდიანები. მათ ყველაფერი უთხრეს მოლაპარაკე ხეს. არც ის დაუმალავთ, განსხვავებულობის გამო რომ გარიყეს ბავშვებმა.

როდესაც ნასადილევს ბავშვები ეზოში თამაშის გასაგრძელებლად ჩავიდნენ, იქ უჩვეულო სურათი დახვდათ – ბუდეში კოკი და მაცაცო ისხდნენ და ვითომც აქ არაფერიაო, ცხელ შოკოლადს გემრიელად მირთმევდნენ. ეზოში კაკაოს მადისაღმძვრელი, არომატული სურნელი ტრიალებდა.

ბავშვებს ძალიან გაუკვირდათ, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ კოკი და მაცაცო დამოუკიდებლად თამაშობდნენ ინდიელობანას, უფრო მეტად გაოცდნენ. პატარა თუთას მაშინვე მოუნდა მათთან თამაში, რადგან ძალიან უყვარდა ცხელი შოკოლადი.

V პაუზა

მაცაცომ ჯერ თანხმობა უთხრა თუთას, მაგრამ შემდეგ იუარა, რადგან გოგონას არც ფრთები ჰქონდა, არც თათები, არც ულამაზესი ბუმბული... არც ფრენა იცოდა, არც – ყეფა. მაცაცო და კოკი კი ინდიელთა ტომში მხოლოდ იმას იღებდნენ, ვისაც ჩამოთვლილი თვისებები ჰქონდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეზოში კაკაოს იმდენად მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებდა, რომ პაკომაც კი მოინდომა მათთან თამაში, ოთხზე დადგა და ყეფა დაიწყო.

მაშინ მაცაცომ ის მოიმიზეზა, რომ პაკომ ფრენა არ იცოდა.

ეზოს ბინადართა საუბარს უსმინა, უსმინა ბაომ და ბოლოს ალაპარაკდა:

– კარგი, გეყოფათ, – თქვენ რომ გისმინოთ, გამოვა, რომ ჩემთან არავინ არ უნდა ითამაშოს... მე ხომ არც ფეხები მაქვს, არც ხელები, არც ფრთები და საერთოდაც, მწვანე ვარ... დაიმახსოვრეთ: ყველა ისეთად უნდა მიიღოთ, როგორიც არის, თუნდაც სხვა ფერის კანი ჰქონდეს და სრულიად არა გგავდეთ... იყოს, გაბურძგნული, დიდცხვირა თუ ზოლიანი. შეიძლება შენსავით არ ფიქრობდეს...

– მართალია! – შესძახა კოკიმ, – საკუთარ ტყავზე გამოვცადე, რა საშინელებაა, როცა იმის გამო გკრავენ ხელს, რომ სხვებს არ ჰგავხარ!

– აბა, შემოგვხედეთ, როგორი განსხვავებულები ვართ! – შესძახა უცებ საკუთარი აღმოჩენით თავადვე განცვიფრებულმა ლიზიკომ, – პაკო და თუთაც კი არ ჰგვანან ერთმანეთს, არადა, და-ძმანი არიან!

– მაცაცო სულაც არ ჰგავს კოკის... – დაფიქრებით ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

– მე კი კოკი არ მგავს! – აიტაცა თუთამ.

– მაგრამ ჩვენ ხომ მაინც ვმეგობრობთ! – გაუხარდა პაკოს.

– რა ბედნიერებაა! – შესძახა მაცაცომ, რომელმაც ბავშვების ნათქვამიდან ერთადერთი დასკვნა გამოიტანა, რომ ისევ ყველას უყვარდა და ისევ შეეძლო ფრენა.

ბავშვებმა გაიცინეს, მაცაცოს და კოკის ჩაეხუტნენ. ერთ ტომად გაერთიანდნენ. შემდეგ ფრთოსანს ესტუმრნენ და მაცაცოს საგანგებო რეცეპტით დამზადებული გემრიელი ცხელი შოკოლადი მიირთვეს. საღამოს კმაყოფილები და მხიარულები დაიშალნენ და შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს ერთად ითამაშებდნენ ინდიელობანას...

...პაკო უკვე საწოლში იწვა და დაძინებას აპირებდა, როცა კიდევ

ერთმა გენიალურმა აზრმა გაუელვა თავში.

– იცი, დედიკო, – უთხრა დედას, რომელიც შვილებთან იმისთვის შევიდა, რომ მათთვის შუბლზე ეკოცნა და ტკბილი სიზმრები ესურვებინა, – დღეიდან ყველას კარგად მოვექცევი, სულერთია, გარეგნულად როგორები იქნებიან ისინი... ან როგორ იაზროვნებენ!

თითქმის იმავეს ფიქრობდა თუთა, თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან უკვე თვლემდა. მალევე ჩაეძინა... ესიზმრა: თვალუწვდენელ ველზე ინდიელები კოცონის გარშემო ისხდნენ და ცხელ შოკოლადს მიირთმევდნენ ...

გადაიხაზეთ რვეულში და შეავსეთ სქემა:

ეზოს ბინადართა ტოლერანტული საქციელი	ეზოს ბინადართა არატოლერანტული საქციელი

საშინაო დავალება:

მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ რა გახარებთ, რა გაგრძნობინებთ თავს ბედნიერად და რა გწყინთ, რა გაყენებთ ცუდ გუნებაზე.

დააკვირდით, რას ხედავთ ამ სურათზე?

ერთი შეხედვით ეს კურდღელია, მაგრამ თუ დააკვირდებით, იხვს დაინახავთ.

უნდა გახსოვდეთ, რომ ადამიანებმა შესაძლოა, მოვლენები სხვადასხვაგვარად აღიქვან. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, ყოველი მათგანი სწორი აღმოჩნდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვისი აზრის, განსხვავებული თვალსაზრისის გათვალისწინებასა და პატივისცემას.

გახსოვდეთ, რომ სხვისი აზრის, განსხვავებული თვალსაზრისის გათვალისწინება და პატივისცემა ტოლერანტი ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა.

წაიკითხეთ მოთხრობა.

ღრუბელი

ეს ყველაფერი იმ დღეს მოხდა, როცა ძია ალექსიმ ნახატი შეიძინა. შემთხვევით ნახა იაფფასიან მაღაზიაში და რაღაცით მოეწონა. მართლაც მშვენიერი ნახატი იყო – პატარა, თეთრი ღრუბელი უძირო ლურჯი ცის ფონზე. ღრუბელი თითქოს ძია ალექსის უყურებდა და მხიარულად უღიმოდა, თითქოს ცოცხალ არსებას ჰგავდა. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ნახატი გახლდათ. ძია ალექსის კი მოეჩვენა, რომ ღრუბელი გულწრფელად უღიმოდა...

ასე და ამრიგად, ძია ალექსიმ ნახატი შეიძინა და ერთობ კმაყოფილი დაბრუნდა შინ...

ამ დროს ნიკუშა, ლიზიკო და პაკო ეზოში მხიარულად თამაშობდნენ. ბუშტს მაღლა აგდებდნენ. როცა ბუშტი მაღლა აფრინდებოდა, ბავშვები ზემოთ იხედებოდნენ და ცაზე პატარა ღრუბელს ხედავდნენ. ღრუბელი ცოცხალ არსებას ჰგავდა, უყურებდა მათ და მხიარულად იღიმებოდა.

პაკომ ღრუბელი აქლემს მიამსგავსა. ნიკუშა არ დაეთანხმა მეგობარს და ყურადღებით დააკვირდა ღრუბელს. პაკო აზრს არ იცვლიდა. ის ნათლად ხედავდა აქლემს, რომელსაც დიდი დრუნჩი ჰქონდა და გადმოფურთხებას აპირებდა.

ლიზიკო განზე გაიწია. სულაც არ უნდოდა, აქლემს მისთვის დაეფურთხებინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აქლემი ღრუბელი იყო.

ლიზიკო შეუმჩნევლად ამოეფარა ხეს და იქიდან ახედა ცას, მაგრამ აქლემი ვერ დაინახა, სამაგიეროდ, მან რვაფეხა დაინახა, პატარა თეთრი რვაფეხა.

ლიზიკოს გაეცინა, ძალიან მოეწონა ის ფაქტი, რომ ღრუბელი შეიძლება ერთდროულად აქლემსაც ჰგავდეს და რვაფეხასაც.

„რა მაგარია, – გაიფიქრა მან, – ადამიანებმა ერთი და იგივე რამ შეიძლება სრულიად განსხვავებულად დაინახონ...“

ლიზიკომ თავი ასწია და კიდევ ერთხელ დააკვირდა ღრუბელს. ნამდვილად ასე იყო: ღრუბელი წვეთი წყალივით ჰგავდა რვაფეხას. ლიზიკოს ძალიან მოუნდა საკუთარი აზრი პაკოსთვის გაეზიარებინა.

მაგრამ მას ნიკუშამ დაასწრო.

– უკაცრავად, – თავაზიანად დაიწყო მან, – მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ღრუბელი უფრო პატარა კუს ჰგავს.

„აუ, რა მაგარია! – გაუხარდა ლიზიკოს, – ყველა თავისებურად ხედავს ღრუბელს! აქედან ახალი, სახალისო თამაში შეიძლება გამოვიგონოთ...“

ნიკუშა ნათლად ხედავდა პატარა კუს, რომელსაც სადღაც ეჩქარებოდა.

პაკო არ იზიარებდა მეგობრის აზრს. ლიზიკომ ნიკუშას აუბა მხარი. ისიც პატარა კუს ხედავდა, რომელსაც სახლში ეჩქარებოდა, რომ ოჯახის წევრებისთვის ემცნო, აქლემს შემადარესო.

ნიკუშამ გადაიხარხარა.

– აქლემია! – ჯიუტად გაიმეორა პაკომ და, ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ ახედა ღრუბელს.

– არავითარ შემთხვევაში! – დინჯად შეეპასუხა ნიკუშა, – ახლა მე უკვე ზუსტად ვიცი, რომ ეს კუა. – და მანაც, ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ ახედა ცას.

– აქლემი! – წამოიძახა გაბრაზებულმა პაკომ. – კუ! – არ დაუთმო ნიკუშამ.

ლიზიკო მეგობრებს გაოცებული შეჰყურებდა, სულაც არ უნდოდა, რომ ეჩხუბათ. პირიქით, ყველაზე საინტერესო სწორედ ის იყო, რომ ყველა თავისებურად ხედავდა ღრუბელს.

– გეყოფათ! – ცდილობდა ბიჭების დაშოშმინებას, – ყველამ ისე დაინახოს ღრუბელი, როგორც უნდა!

მაგრამ ნიკუშა და პაკო არ უსმენდნენ... ერთმანეთის პირისპირ მოსისხლე მტრებივით იდგნენ და გაბრაზებულები იმეორებდნენ: „აქლემი!“ „კუ!“ „აქლემი!“ „კუ!“ „აქლემი!“ „კუ!“...

ამ ხმაურზე ბუდიდან მაცაცომ გადმოიხედა. ძალზე უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა. ბიჭების კამათმა მას ძილი დაუფრთხო. ბავშვები მაშინვე გაჩუმდნენ და ჩიტს ბოდიში მოუხადეს.

მაცაცო კამათის მიზეზით დაინტერესდა. უთანხმოების მიზეზი რომ შეიტყო, გამოცოცხლდა და ბავშვებს თავი საკამათო საკითხების მოგვარების მთავარ სპეციალისტად წარუდგინა. ასევე დაამატა, რომ ასტროლოგიაშიც კარგად ერკვეოდა. კერძოდ, ღრუბლის სპეციალისტი გახლდათ.

ბავშვებს ეჭვი შეეპარათ, მაგრამ არაფერი უთხრეს.

მაცაცო კი მედიდური გამომეტყველებით განაგრძობდა, რომ უცბად გადაუჭრიდა პრობლემას და ღრუბლის საკითხსაც გაარკვევდა. მაცაცოს აზრით, ღრუბელი პატარა ფთილაა, რომელიც ცაში ცხოვრობს. იგი დედამიწიდან წყლის აორთქლებით იქმნება ცაში, თავად ღრუბლიდან კი წვიმა ჩნდება. წვიმის წყლის აორთქლების შედეგად კი ისევ ღრუბელი...

ერთი სიტყვით, ერთმანეთისგან ჩნდებიან მუდმივად. მაშ ასე! რას აკეთებენ ღრუბლები? დაფრინავენ! ნება-ნება დაცურავენ ცაში...

მაცაცო გაჩუმდა.

– დიახ! – თქვა მან, მერე მრავალმნიშვნელოვნად ახედა ცას და განაცხადა, რომ ღრუბელი მას ჰგავდა.

და სწორედ იმ წამს მაცაცო აფრინდა, ბუშტს დააჯდა, ჯიბიდან ბანანი ამოიღო და ჭამას შეუდგა. იმ წამს, უცებ ... ყველამ დაინახა, რომ ღრუბელი ძალიან ჰგავდა მაცაცოს.

პაკოს გაოცებისგან ლამის თვალები გადმოსცვივდა. კოკიმ კი ყურები აამოძრავა. გაკვირვების დროს ყოველთვის ასე იქცეოდა. ლიზიკომ კი განცვიფრებისგან გრძელზე გრძელი წამწამები ააფახულა. ბიჭებმა სიცილი დააყარეს მაცაცოს. ვერაფრით ვერ ამსგავსებდნენ მაცაცოს ღრუბელს.

განაწყენებულმა მაცაცომ ბავშვებს ზურგი შეაქცია. ჯიბიდან სარკე ამოიღო და საკუთარ თავს დაუწყო თვალიერება. ამის დანახვაზე ბავშვები ისევ ახითხითდნენ. მათი აზრით, მაცაცო სარკეში საკუთარ გამოსახულებას ღრუბელს ადარებდა.

ამ დროს ეზოში თუთა გამოვიდა. ბავშვები დაინტერესდნენ, რას, ან ვის შეადარებდა თუთა ღრუბელს. თუთამ დინჯად ახედა ცას და დასძინა, რომ თუ ცას უდაბნოდ წარმოიდგენდა, ღრუბელი აქლემს ჰგავდა, ხოლო თუ აქლემის კუზს კუს ბაკნად აღიქვამდა, მაშინ კუს დაინახავდა.

„აუ, მართლა!“ – გაიფიქრა პაკომ, რომელმაც იმ წამს ნათლად გაარჩია ცაზე პატარა სასაცილო კუ.

– მაგრამ თუ ცოტა მარცხნიდან შევხედავთ, – აგრძელებდა თუთა, – და წარმოვიდგენთ, რომ ცა ცა კი არ არის, არამედ ლურჯი ზღვაა, მაშინ აქლემი აქლემი კი არა, ნამდვილი რვაფეხა იქნება!

ლიზიკოს გაეღიმა. გაიფიქრა: „მაინც როგორი ჭკვიანია ეს პატარა თუთა!“ და რა საოცრებაა, რომ ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა რამ დაინახონ და მაინც მართლები იყვნენ!“

უცბად ქარმა დაუბერა და ღრუბელი გაფანტა. ბავშვებმა ცას ახედეს და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ღრუბელი მაცაცოს დაემსგავსა.

– ეს ნამდვილი სასწაულია! – შესძახა ლიზიკომ და მონუსხულივით მიაჩერდა მაცაცოს.

„არ შეიძლება ვიღაცას აწყენინო მხოლოდ იმიტომ, რომ მას განსხვავებული აზრი აქვს და ისე არ ფიქრობს, როგორც შენ! – გაიფიქრა ლიზიკომ, – ყველა ხომ საკუთარი თვალით უყურებს სამყაროს და სხვადასხვანაირად აღიქვამს მას! და ასე უფრო საინტერესოცაა! რა მოსაწყენი იქნებოდა, ყველა ერთნაირად რომ ფიქრობდეს!“

ამ დროს ეზოში ძია ალექსი შემოვიდა. კმაყოფილმა გაიღიმა და თავისი შენაძენი აჩვენა ბავშვებს. სურათზე დახატული ღრუბელი მან მომღიმარ სპილოს მიამსგავსა.

ბავშვებს გაეცინათ.

– დიახ, – თქვეს მათ, – ღრუბელი ძალიან ჰგავს სპილოს, აქლემს, კუს, რვაფეხასა და მაცაცოს. დაბნეულმა ძია ალექსიმ ბავშვებს თავი დაუქნია.

– შესანიშნავია! – გაუხარდა ძია ალექსის, – გამოდის, რომ ერთი ნახატის ნაცვლად რამდენიმე მიყიდია... შესანიშნავია! – გაიმეორა, თან გონებაში რაღაცას ანგარიშობდა, – დავხარჯე ცოტა და ვიყიდე ბევრი!

ამოიწერეთ:

1. როგორ აფასებს ლიზიკო ეზოს ბინადართა განსხვავებულ შეხედულებებს?
2. როგორ ხსნის ლიზიკო პერსონაჟთა განსხვავებულ შეხედულებებს?

გადაიწერეთ რვეულში ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი და „ა“ სვეტში „+“-ით აღნიშნეთ ის თვისებები, რომლებიც, თქვენი აზრით, გახასიათებთ. ამავე სვეტში „0“-ით აღნიშნეთ თვისებები, რომლებიც ნაკლებად გაქვთ გამოხატული.

„ბ“ სვეტში აღნიშნეთ რომელი თვისებები აქვთ მოთხრობების „მეტოქეებისა“ და „ღრუბლის“ პერსონაჟებს.

სვეტი ა	სვეტი ბ

ტოლერანტი პიროვნების თვისებებია:

1. *სხვების მიმართ კეთილგანწყობა;*
2. *განსხვავებული პიროვნების პატივისცემა;*
3. *განსხვავებული აზრის პატივისცემა;*
4. *სხვების არგანსჯა;*
5. *ჰუმანიზმი – რაც ნიშნავს ადამიანის სიყვარულს, მისი ღირსების პატივისცემას, კაცთმოყვარეობას;*
6. *ალტრუიზმი, რაც ნიშნავს უანგაროდ სხვაზე ზრუნვას;*
7. *თანაგრძნობა, სხვისი განცდის გაზიარება;*
8. *ყურადღებით მოსმენის უნარი;*
9. *მოთმინება, თავდაჭერის უნარი;*
10. *ერთგულება.*

საშინაო დავალება:

დახატეთ ტოლერანტობის ემბლემა და მიაწერეთ ლოზუნგი, რომელიც გამოხატავს თქვენი ემბლემის არსს.

თემა 2 ეფექტური კომუნიკაცია

რა არის კომუნიკაცია?

თქვენ ყოველდღიურად გიწევთ მეგობრებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, მეზობლებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან საუბარი, საკუთარი მოსაზრებებისა და გრძნობების გაზიარება. ადამიანთა შორის ამგვარ ურთიერთობას კომუნიკაცია ეწოდება. თუ ადამიანებს კარგად ესმით ერთმანეთის, მაშინ ამბობენ, რომ კომუნიკაცია წარმატებულია. ურთიერთობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სახის გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას და იმას, თუ როგორი ტონით საუბრობთ.

საუბრის მანერა და თქვენი უნარი - კარგად გამოხატოთ აზრი, მართლაც მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ შესაძლებელია, თქვენ საუბრობდეთ და არავინ გისმენდეთ; ან თქვენ გესაუბრებოდნენ და თქვენ კი არ უსმენდეთ. იმისათვის, რომ გახდეთ საუკეთესო მსმენელი, გაიზიარეთ ქვემოთ მოცემული რჩევები:

- **ყურადღებით უსმინეთ თანამოსაუბრეს და არ შეაწყვეტინოთ საუბარი, საშუალება მიეცით, ბოლომდე გამოთქვას თავისი აზრი;**
- **გაეცით თანამოსაუბრეს პასუხი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საუბარს დაასრულებს;**
- **ისაუბრეთ მხოლოდ იმ საკითხზე, რომელზეც უნდა იმსჯელოთ და არ შეცვალოთ საუბრის თემა.**

წაიკითხეთ მოცემული დიალოგი და გადაწყვიტეთ, არის თუ არა წარმოდგენილ სიტუაციაში კომუნიკაცია ეფექტური?

ა: – იცი, ჩემმა შვილიშვილმა სკოლა დაამთავრა და სწავლის გაგრძელებას ინსტიტუტში აპირებს.
ბ: – მე კი ბოლო დროს ღვიძლი მტკივა და რაღაც სისუსტესაც ვგრძნობ.
ა: – მე კი ვურჩევ, რომ საბუთები უნივერსიტეტში შეიტანოს. რაც უნდა იყოს, უნივერსიტეტი მაინც უნივერსიტეტია.
ბ: – ჰო, უნივერსიტეტი კარგია. ალბათ საავადმყოფოში მომიწევს დაწოლა.

წაიკითხეთ მოთხრობის პირველი ნაწილი და დაუკვირდით, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობის დროს და რა არის ამის მიზეზი.

კვალის მაძიებლები

I

მაცაცო ბუდეში იწვა და ოცნებობდა.

– ყოჩაღ! – შემოესმა უცებ, – კარგად მოგიფიქრებია! მაგრამ რომ იცოდე, ეგ იდეა ძველისძველია!

მაცაცო ელდანაკრავივით შეხტა. ბუდიდან თავი გადმოყო და ქვევით ჩაიხედა.

ხის ქვეშ ბავშვები იდგნენ და შეთქმულებივით რაღაცაზე ხმამაღლა მსჯელობდნენ.

– ეს უმარტივესია! – ამბობდა ნიკუშა, – კვალისმაძიებლობანა ძველისძველი თამაშია. ბებიაჩემიც კი თამაშობდა!

– კარგი, საკმარისია წინაპრებზე ლაპარაკი, – თქვა ნიკუშამ, – ახლა თამაშის წესებს აგიხსნით. პირველ რიგში გვჭირდება საიდუმლოებით მოცული დანაშაული... რამდენიმე მოწმე... სამხილი... და ბოროტმოქმედი, რომელსაც აღმოვაჩენთ და გავა... გავა... – ნიკუშას ენა დაება, ისეთი რთული სიტყვა უნდოდა ეთქვა, – გავაუვნებელვყოფთ.

– და ჩვენ ვინ ვიქნებით ამ თამაშში? – იკითხეს ბავშვებმა.

– ყველა... ყველანი მაძებრები ვიქნებით! ყველა, პაკოს გარდა!

მაცაცომ ყურები ცქვიტა.

„საწყალი პაკო, – გაიფიქრა მან, – არ ათამაშებენ! უგულო და სასტიკი ბავშვები ყოფილან, – მაცაცო ბუდეში აღშფოთებისგან კიდეც შეხტა, – ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა შევატყობინო პაკოს!“

მაცაცო საუბრის დამთავრებას არ დაელოდა, მეზობლის კატასავით ჩუმად და მოხერხებულად ჩამოეშვა ხიდან და პაკოსკენ ფეხაკრეფით გასწია.

მაცაცომ ეზო გადაკვეთა და სადარბაზოში შევიდა. შვებით ამოისუნთქა, – საქმის ნახევარი გაკეთებული იყო... მესამე სართულზე ავიდა და პაკოს კარზე დარეკა.

პაკომ მაცაცო სამზარეულოში შეიპატიჟა.

პაკოსთან სამზარეულოში მაცაცო ფინჯან ყავას და გემრიელ ნამცხვარს მიირთმევდა და თან ენას ატარტარებდა:

– წარმოგიდგენია?! შენი ეგრეთწოდებული მეგობრები შენ გარეშე აპირებენ კვალისმაძიებლობანას თამაშს. უსინდისო და უგულო ბავშვები ყოფილან!

პაკომ თავიდან არ დაიჯერა.

– საიდან გაიგე? – ჰკითხა გულგატეხილმა.

– ყოველ შემთხვევაში, ტელევიზორიდან არა! – ამაყად გამოაცხადა მაცაცომ, – გავიგე იმიტომ, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას შემიძლია გავჩნდე!

– იქნებ ცდები? – იმედიანი ხმით იკითხა პაკომ, – იქნებ რაღაც სხვას გულისხმობდნენ?

– საკუთარი ყურით მოვისმინე! ზუსტად ასე თქვეს, პაკოს გარდა ყველანი მაძებრები ვიქნებითო!

– დიდი ამბავი! – გული მოუვიდა პაკოს, – არც მინდა!

მაგრამ თვალზე კი ცრემლი მოადგა.

– პა-კო! პა-კო! – ეზოდან შეძახილი მოისმა. ბავშვები პაკოს კვალისმაძიებლობანას სათამაშოდ ეძახდნენ.

– არ უპასუხო! – ურჩია მაცაცომ და პირში ნამცხვრის მოზრდილი ლუკმა ჩაუტენა, – ანდა დაასწარი და უთხარი, რომ არ გინდა მათთან თამაში!

პაკო დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა... იქნებ მაცაცომ რაღაც ვერ გაიგო სწორად და ბავშვები კვალისმაძიებლობანას სათამაშოდ ეძახიან? რამდე-

ნიმე წამი ყოყმანობდა. მაგრამ მერე წყენამ სძლია, ფანჯარასთან მიირბინა, თავი გაყო და დაიყვირა:

– თქვენთან თამაში არ მინდა! ყველაფერი გავიგე, რაც ჩემზე თქვით!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა გადაწყვიტეს ბაეშვებმა ერთ მშვენიერ დღეს?
2. ვინ მოისმინა მათი საუბარი და რა მოიმოქმედა მან?
3. ვინ დარჩა განაწყენებული და რა იყო ამის მიზეზი?

II

– ეს რა ხდება? – განცვიფრდა კოკი, – რა დაემართა პაკოს? ბუზმა ხომ არ უკბინა?

– ოოო... – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – საიდუმლოებით მოცული დანაშაული უკვე გვაქვს... და ჩემთვის ისიც ცხადია, რა მოხდა...

ვიღაცამ ჩვენი ლაპარაკი მოისმინა და პაკოს არასწორად მიუტანა ენა!

– რა საშინელებაა! – გუნება გაუფუჭდა კოკის, – ესე იგი, ახლა პაკო ჩვენზე ცუდს ფიქრობს. მე კიდევ, ასეთი რაღაცები არ მიყვარს! სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ გამოძიება!

– მაშ ასე! მოსამზადებლად 5 წუთი გეძლევათ! – ბრძანება გასცა ნიკუშამ, – მერე ვიკრიბებით ხის ქვეშ და ვფიქრობთ, რას ვაკეთებთ!

ლიზიკომ გადაწყვიტა შენიღბულიყო, არ უნდოდა ვინმეს გაეგო, რომ მაძებარი იყო. კეპი დაიხურა, უჯრედებიანი პიჯაკი ჩაიცვა, შავი სათვალე გაიკეთა, მამამისის უჯრიდან ლუპა ამოიღო, ქამარზე ჩამოიკიდა და ეზოში ჩავიდა, სადაც დანარჩენები ელოდებოდნენ...

გამოძიება დაიწყო. ბავშვებმა მიწაზე ფორთხვით დაათვალიერეს ეზო. ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი ძიების შემდეგ პირველი სამხილი აღმოაჩინეს.

– ბუმბული! – შესძახა თუთამ, – ბუმბული ვიპოვე!

– ოოო, – აღმოხდა ნიკუშას და სამხილი ხელში აიღო, – ეჭვმიტანილთა წრე ვიწროვდება! ვაგრძელებთ გამოძიებას!

– კვალი... კვალს მივაგენი! – შესძახა კოკიმ. ბედნიერი იყო, სამხილი თვითონაც რომ იპოვა, – აი, შეხედეთ! – და ამაყად მიუთითა მიწაზე. იმავე წამს ნიკუშა იქ გაჩნდა.

– მაშ ასე! – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა და კვალს დააკვირდა.

– შეხედეთ, სახლისკენ მიდის! – შესძახა ლიზიკომ და საკუთარმა გამჭრიახობამ გააოცა.

სწორედ ამ დროს სახლიდან მაცაცო გამოვიდა, როდესაც დაინახა, რომ ბავშვები მის ნაკვალევს ათვალიერებდნენ, სასწრაფოდ მიწაზე დაწვა და თავი მოიმძინარა.

ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ გაახილა თვალი და კოკის ბანჯგვლიანი დინგი დაინახა. კოკი თავზე ადგა.

– როდესაც პაკომ ფანჯარაში თავი გამოყო და დაიყვირა, თქვენთან თამაში არ მინდა, ყველაფერი გავიგე, რაც ჩემზე თქვითო, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც მოხდა! – თქვა ნიკუშამ.

– შენ ხომ თქვი, პაკოს გარდა ყველა მაძებარი იქნებაო! – წყენით აღნიშნა მაცაცომ.

– მართალია! – დაეთანხმა ნიკუშა, – მაგრამ შენ ბოლომდე არ მოგვისმინე. მე დავამატე, პაკო იმიტომ არ იქნება მაძებარი, რომ მან ის საიდუმლო უნდა მოიფიქროს, რომელსაც ჩვენ გავხსნითმეთქი!

– ააა... – ჩაილაპარაკა პაკომ და ბავშვებს მიუახლოვდა, – ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ საუბარს ბოლომდე არ მოუსმინე, – პაკოს გაეღიმა, – ისე, მეც კარგი ვინმე ვარ, იმის მაგივრად, რომ ყველაფერი მშვიდად გამერკვია, ბავშვივით მოვიქეცი...

– რასაკვირველია! – უმალ დაეთანხმა მაცაცო, – უნდა წასულიყავი და ყველაფერი თავად გაგერკვია!

ყველას გაეცინა. თუთამ კი გაიფიქრა, რომ ყურადღებით მოსმენის უნარი ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა. მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან ეგონა, ისედაც მიხვდებიანო. საიდუმლოდ გეტყვით, მართალიც იყო!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. როგორ გადაჭრეს ბაეშვებმა კონფლიქტი?
2. სწორად იმოქმედეს თუ არა მათ (ანუ რამდენად ეფექტური იყო მათ მიერ არჩეული გზა)? რა მოხდებოდა, ბაეშვები სხვანაირად რომ მოქცეულიუენენ?
3. მაცაცომ სწორი ინფორმაცია რატომ ვერ გაიგო? რამ შეუშალა ხელი?
4. ჰაკო მაცაცოს სიტუაციის გამო ბაეშვებს რომ გაუნაწყენდა, სწორად მოიქცა? როგორ უნდა მოქცეულიუო ჰაკო, რომ ეს გაუგებრობა თავიდან აეცილებინა?
5. რა დასკვნა გამოიტანეს ამ ამბიდან ბაეშვებმა?

წაიკითხეთ მოთხრობა და დაუკვირდით, თანამოსაუბრის სიტყვების გარდა, საუბრის დროს კიდევ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება?

კოკის დაბადების დღე

ლიზიკო იჯდა და დღიურს წერდა. ამ დროს ფანჯარას მაცაცომ ჩაუფრინა – აშკარად უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა.

უეცრად მაცაცომ კამარა შეკრა, ფანჯარაში შემოფრინდა და სავარძელზე დაებერტყა.

– როგორ ხარ?

– კარგად.

– მე კიდევ, ცუდად! – გაბრაზებით თქვა მაცაცომ და ამოიოხრა, – ძალიან, ძალიან მოწყენილი ვარ... საშინლად! აი, კოკი კიდევ...

– ღმერთო, – წამოიძახა ლიზიკომ, – როგორ დამავიწყდა!

– რა? რა მოხდა? – შეკრთა მაცაცო.

– დღეს ხომ კოკის დაბადების დღეა! ეს როგორ დამავიწყდა! – ლიზიკომ ლამის თავში წაიშინა ხელები.

მაცაცო გამოცოცხლდა.

– ძლივს! – შეჰკივლა, – ამ სახლში რაღაც ხდება! – და თვალები აუციმციმდა.

– მაშ ასე, – თქვა მან ერთი წამის შემდეგ, – ახლა დავუძახებ დანარჩენებს და ერთად გადავწყვეტთ, როგორ მოვუწყოთ კოკის ნამდვილი დღესასწაული!

კოკის თუ დაინახავ, თავი ისე დაიჭირე, თითქოს ჯერ არ დაბადებულა.

– ეს როგორ? – გაუკვირდა ლიზიკოს.

– აი, ასე! დროზე ადრე რომ არ გაუხარდეს! – აუხსნა მაცაცომ, – თორემ სიურპრიზი აღარ იქნება.

II

– მაშ ასე, – თქვა პაკომ, როცა წერას მორჩა და ფანქარი გვერდზე გადადო, – ვკითხულობ გეგმას... ჯერ ერთი, უნდა გამოვაცხოთ ტორტი... ძალიან გემრიელი, სასურველია, დიდი და აუცილებლად, ხილის. ამას განსაკუთრებით ითხოვს მაცაცო... მეორე: უნდა დავხატოთ ლამაზი პლაკატი და დავაწეროთ რაღაც ამდაგვარი: „ძვირფასო კოკი, რა ბედნიერებაა, რომ საერთოდ დაიბადე!“ შეიძლება კიდევ დავუმატოთ სურვილები, მაგალითად: „ძვირფასო კოკი, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდრონ ძვალს“ და ა.შ. და ა.შ. მესამე: უნდა მოვრთოთ ეზო ყვავილებითა და საჰაერო ბუშტებით. ეს სადღესასწაულო ატმოსფეროს შექმნაში დაგვეხმარება და კოკის განსაკუთრებულად გაახარებს. და მეოთხე: ეს ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ კოკი ვერაფერს მიხვდეს.

ყველაზე რთული სწორედ ეს ბოლო პუნქტი იყო. კოკი ეზოში ცხოვრობდა. ამიტომ ეზოს გალამაზება ისე, რომ კოკის ვერაფერი შეემჩნია, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახლდათ.

ამ დროს ბედნიერი კოკი თავის სახლში იჯდა. ის მილოცვებსა და საჩუქრებს ელოდა.

კოკიმ ოცნებას მისცა თავი... ოცნებობდა და ოცნებობდა... მაგრამ უეცრად აღმოაჩინა, რომ ისევ მარტო იყო... ჯერჯერობით არავინ მისულა მასთან და არც დაბადების დღე არ მიულოცავს...

„რაღაც ხდება!“ – გაიფიქრა ცუგრიამ და სახლიდან გამოძვრა, რომ გაეგო რა მოხდა...

გამოძვრა თუ არა, მაცაცოს შეეჩეხა. „აა, პირველი სტუმარი“ – გახარებულმა გაიფიქრა და მაცაცოს გაუღიმა.

მაცაცომაც გაუღიმა და ფრთხილად უთხრა:

– ძვირფასო კოკუნი, – ამ სიტყვების გაგონებაზე კოკი გაიბადრა.

– ძვირფასო კოკუნი, – გაიმეორა მაცაცომ, – წამოდი, არ გინდა გავისეირნოთ?

კოკი გამოშტერდა.

– რა დროს სეირნობაა! – აღშფოთდა კოკი, – დაგავიწყდა, რომ დღეს ჩემი დაბა...

მაგრამ მაცაცომ სიტყვა გააწყვეტინა:

– ქუჩაში იმდენი საინტერესო რაღაც ხდება, – თქვა მან სასწრაფოდ, – საყვარელო კოკუნი, თუ შეიძლება, სასეირნოდ წამოდი რა!

კოკის გუნება მოეშხამა. იფიქრა, ეტყობა მაცაცო შეიშალაო.

შემდეგ თუთა დაინახა, რომელიც მოშორებით იჯდა და ვითომც აქ არაფერიო, გვირგვინს წნავდა. კოკიმ თუთასთან მიირბინა და თავაზიანად ჰკითხა:

– რას აკეთებ, თუთა?

მაგრამ იმის მაგივრად, რომ თუთას გახარებოდა მისი დანახვა და დაბადების დღე მიელოცა, რატომღაც სასწრაფოდ გვირგვინს დააჯდა.

– არაფერს არ ვაკეთებ! – დამფრთხალმა უპასუხა, – ისე ვზივარ, არაფერს არ ვაკეთებ! – თუთას შეეშინდა, რამე არ წამომცდესო.

კოკის საბოლოოდ წაუხდა გუნება.

იგივე განმეორდა დანარჩენებთანაც. საწყალ კოკის ყურადღებას არავინ აქცევდა. ფაციფუცობდნენ, სადღაც მირბი-მორბოდნენ, რაღაცას აკეთებდნენ...კოკის კი ზედაც არ უყურებდნენ. ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს კოკი არც არსებობდა.

III

– მშვენიერია! – შესძახა მაცაცომ და სადღესასწაულო სუფრას თვალი გადაავლო, – მშვენიერი! კოკი სიხარულით გაგიჟდება!

მაცაცო სუფრაზე დიდის ამბით დააბიჯებდა და კერძებს სათითაოდ სინჯავდა.

მაცაცო ცარიელ ჯამში ჩაჯდა და სუფრა კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

– შესანიშნავია! – თქვა მან, – რა საწყენია, რომ დღეს ჩემი დაბადების დღე არ არის!

– დიახ! – გამოეპასუხა ნიკუშა, – საწყენია! მაგრამ, სამაგიეროდ, დღეს კოკის დაბადების დღეა. მგონი, დროა, დავუძახოთ.

– კოკი აქ არ არის, – გამოაცხადა მაცაცომ და ქლიავი გადასანსლა, – კოკი სადღაც წავიდა.

ბავშვები გაოგნდნენ.

– როგორ თუ წავიდა?

– აი, ასე! ვუთხარი, წადი, გაისეირნე-მეთქი, იმას კი, მგონი, ეწყინა და გავარდა.

– ეწყინა? როგორ თუ ეწყინა? შენ ხომ ამბობდი, რომ... უფრო გარკვევით რომ აგვიხსნა, არ შეგიძლია?

– დიახაც, შემიძლია! მაგრამ, აბა, რა ჩემი ბრალია, თუ კოკის ყურადღებით მოსმენა არ შეუძლია? როგორც კი ვუთხარი, წადი, გაისეირნე-მეთქი, მაშინვე ეწყინა...

– რა საშინელებაა!

– საშინელება ის სიტყვა არ არის! მაგ ცუგას გაგების უნარი არა აქვს! მხოლოდ მოსმენა შეუძლია. ეს კი სხვადასხვა რამ არის. როცა გასეირნება ვურჩიე, უნდა მიმხვდარიყო, რომ სიურპრიზს ვუმზადებდი.

– კარგი, – თქვა ლიზიკომ, – გვეყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო კოკი კი არა, ჩვენც დამნაშავეები ვართ. როგორღაც უნდა გვეგრძნობინებინა, რომ ძალიან გვიყვარს... საჭირო სიტყვები მოგვეძებნა... მიგვენიშნებინა, რომ გვახსოვდა, რა დღე იყო... ჩვენი აზრები სწორად უნდა გამოგვეხატა!

ლიზიკოს ყველა დაეთანხმა, მაგრამ ამით საქმეს არაფერი ეშველა.

უცებ ეზოში კოკი გამოჩნდა. ამ ხნის განმავლობაში თურმე მაცაცოს ბუდეში იჯდა და ფიქრობდა, მეგობრების უცნაური ქცევის ახსნას ცდილობდა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ის უცნაური ფრაზაც: „წადი, გაისეირნე!“ როგორღაც მის დაბადების დღეს უკავშირდებოდა.

„ალბათ, სიურპრიზს მიმზადებენ, – გაიფიქრა კოკიმ, – იმიტომაც ცდი-

ლობენ, არაფერი დავინახო... მმ... ნამდვილად ასეა... აბა, რა! – გაუხარდა კოკის, – მაცაცომ ხომ ასე მითხრა, ძვირფასო კოკი, წადი გაისეირნე და მერე აუცილებლად დაბრუნდიო. თანაც, რა ალერსიანად მითხრა! მე კი რა სულელი ვარ, ვერაფერს მივხვდი!"

– კოკი! – აკივლდა მაცაცო, – საყვარელო კოკი! რა ბედნიერებაა, რომ დაგვიბრუნდი!

ბავშვები კოკის შემოეხვივნენ, ყველა ტკბილ და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა, ეფერებოდა, თავზე ხელს უსვამდა... მაგრამ რომც არაფერი ეთქვათ, კოკი ყველაფერს ისედაც მიხვდებოდა, რადგან მეგობრების გაბრწყინებული თვალები ამაზე ისედაც მეტყველებდნენ...

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რამ გაუფუჭა კოკის გუნება?
2. რა იყო ამ გაუგებრობის მიზეზი? როგორ ფიქრობთ, რა თვისებები არ აღმოაჩნდათ კოკის თანამოსაუბრეებს, რისი წყალობითაც ამ გაუგებრობის თავიდან აცილებას შეძლებდნენ?
3. როგორ გადაიჭრა კონფლიქტი (როგორ აღმოიფხერა გაუგებრობა?)
4. რამდენად ეფექტური იყო ეს ბჯა?
5. ეფექტური კომუნიკაციის კიდევ რომელი წესების განსაზღვრა შეიძლება ამ ამბავზე დაყრდნობით? (სიტუაციის გარდა, რა ეოფილა თურმე კიდევ საჭირო ეფექტური კომუნიკაციისათვის?).

თემა 3 მონაწილეობა

რა არის მონაწილეობა?

თითოეული თქვენგანი ყოველდღიურად მონაწილეობს რაღაც საერთო საქმიანობაში: საკუთარი ოჯახის ცხოვრებაში – როცა პური მოგაქვთ მაღაზიიდან ან დედას ეხმარებით საოჯახო საქმიანობაში; კლასის ცხოვრებაში – როცა მონაწილეობას იღებთ თანაკლასელების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა ან თამაშებში; სკოლის ცხოვრებაში – როცა სკოლის ტერიტორიას ასუფთავებთ ან მის ღირსებას იცავთ სპორტული შეჯიბრებების დროს; საზოგადოების ცხოვრებაში – როცა ქუჩაში მოძრაობის წესებს იცავთ, მოხუცებს ეხმარებით ან საქველმოქმედო აქციებში იღებთ მონაწილეობას. ასე რომ, მონაწილეობა თქვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და გახსოვდეთ, რაც უნდა მცირე იყოს თქვენი წვლილი ამა თუ იმ საქმიანობაში, თქვენ გარეშე მას აუცილებლად დააკლდებოდა რაღაც.

დაკვირდით სურათს და გეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა არის გამოსახული ილუსტრაციაზე?
2. რომელი ზღაპრის შინაარსს გადმოგვცემს ეს ილუსტრაცია?
3. როგორ ფიქრობთ, რა როლი ითამაშა აქ გადმოცემულ ამბავში თაგუნამ?
4. შეგიძლიათ თუ არა განსაზღვროთ, ამ ილუსტრაციასა და ზღაპრის შინაარსზე დაყრდნობით, რა არის მონაწილეობა?

მაცაცოს სახლი

I

მზე მხიარულად იღიმებოდა, თითქოს ცუგრიას თავის ცხრა თვალს უკრავდა. კოკიმ უცებ იგრძნო, რომ ჰაერში გაზაფხულის სურნელი დატრიალდა...

– გაზაფხული! – შესძახა აღტაცებით, – გაზაფხული მოსულა!

– სწორედაც! – დაუდასტურა ნიკუშამ, – მაგრამ დაფიქრდი, რადგან გაზაფხული მოვიდა, ესე იგი, მაცაცოც მალე მოფრინდება და იკითხავს: „სად არის ჩემი სახლი?“

– სად არის მისი სახლი? – გაუკვირდა კოკის, – თავის ადგილზე არაა?

– არა, – ნაღვლიანად მიუგო ნიკუშამ, – დაძველდა და დაიშალა.

ბავშვებმა სასწრაფოდ მოითათბირეს და ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს – მაცაცოსთვის ახალი სახლი გაეკეთებინათ.

– ამ საქმეს მე მივხედავ! – უმალ განაცხადა პაკომ, – მთელი ცხოვრება ჩიტებისთვის სახლებს ვაკეთებ! ყველაზე კარგად მე ვიცი, მაცაცოს როგორი სახლი მოეწონება. მას ზომიერი ფუფუნება, ლამაზი ავეჯი და სიმყუდროვე უყვარს.

– პირიქით! – შესძახა ნიკუშამ, – პირიქით! მას უყვარს, როცა ნაკლები ავეჯი და მეტი სივრცეა.

– მართლაა? – გაბრაზდა პაკო, – ჩემზე უკეთ იცი? მაშინ უჩემოდ გააგრძელეთ! მე მარტო გავუკეთებ სახლს! მაგასაც ვნახავთ, ვისი აჯობებს!

მეორე დილით პაკომ კოკის უთხრა, მშვენივრად ვიცი, ჩიტის სახლი როგორ უნდა გავაკეთოთო.

პაკომ სარდაფიდან ორი დიდი, სქელი ფიცარი ამოათრია და საქმეს შეუდგა. კი თქვა, ხერხვა იოლი საქმეაო, მაგრამ, რატომღაც გაჭირვებით ხერხავდა, გადახერხილი არასწორი, აცაბაცა გამოსდიოდა. მიხვდა, რომ დროს და ენერგიას ტყუილად კარგავდა.

ბოლოს პაკომ ორივე ფიცარი გააფუჭა და გადაწყვიტა, დღეისთვის საკმარისიაო.

– ხვალ გავაგრძელებ! – თქვა ხმამაღლა და ჩამოჯდა. კოკი მის გვერდით მოკალათდა.

– მაცაცოს სახლს მაცაცოს გარეშე რომ ვაკეთებთ, კარგია? – ჰკითხა კოკიმ.

პაკო კოკის ნათქვამმა გააჯავრა.

– რა მნიშვნელობა აქვს? – უპასუხა პაკომ.

ეზოს მეორე ბოლოში ნიკუშა, ლიზიკო და თუთა ასევე ცდილობდნენ, რომ მაცაცოსთვის ახალი სახლი გაეკეთებინათ. ეწყინათ, პაკო ფიცრებს რომ ხერხავდა და მათ არ დაუძახა. ამიტომ არც მათ დაუძახეს.

– რით დავიწყოთ? – იკითხა ლიზიკომ.

– არ ვიცი, ჩიტის სახლი არასდროს გამიკეთებია, – მიუგო ნიკუშამ, – მაგრამ ამისთვის, ალბათ ფიცარი, ლურსმანი და ჩაქუჩი დაგვჭირდება... და რაც მთავარია – გამოცდილება...

– მგონი, მამიკოს გამოცდილება დაგვჭირდება, – შენიშნა ლიზიკომ, – გამოცდილება ჩემს მამიკოს ნამდვილად აქვს!

– და გაგვიზიარებს? – დაეჭვდა თუთა, – რა იცი, იქნება დაენანოს? ვაითუ დღეს ცუდ გუნებაზეა?

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა ლიზიკომ, – მამიკო კვირაობით ძალიან კეთილია ხოლმე.

როცა ბავშვები ოთახში შევიდნენ, ძია ალექსი ყავას მიირთმევდა და ტელევიზორს უყურებდა, რამდენიმე წუთში ფეხბურთის მატჩი უნდა დაწყებულიყო, ამიტომ, ლიზიკომ რომ სთხოვა, ჩიტის სახლის გაკეთებაში დაგვეხმარეო, მაინცდამაინც არ გახარებია. თუთამ გაიფიქრა, ალბათ ჩვენთვის გამოცდილების გაზიარება ენანებაო.

– კარგი, დაგეხმარებით! – თქვა მან. – ჯერ გეგმა უნდა დავხაზოთ, მაგრამ ამისთვის მაცაცო დაგვჭირდება.

– მაცაცო? მაცაცო რად გვინდა?

– როგორ თუ რად? – გაუკვირდა ძია ალექსის, – გეგმა მაცაცომ უნდა მოიწონოს! მისი მონაწილეობა აუცილებელია.

– არ შეიძლება, მის გარეშე გავაკეთოთ? – იკითხა ნიკუშამ. – სიურპრიზი რომ გამოვიდეს...

– აა, სიურპრიზი გინდათ? – ძია ალექსი ჩაფიქრდა. – რადგან გინდათ... კარგი, რა გაეწყობა... ვცადოთ!

და სწრაფად მოხაზა გეგმა.

– იცი რა! – უთხრა ლიზიკომ ნიკუშას, – მოდი, პაკოს დავუძახოთ, მაცაცოს სახლი ერთად გავაკეთოთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! მგონი, ეს სწორი იქნება. მონაწილეობა ყველამ უნდა მივიღოთ! ეს საერთო საქმეა!

„ღმერთო! – განცვიფრდა ბაო, – ეს ბავშვები თვალსა და ხელს შუა დაჭკვიანებულან!“

თუმცა ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან უაღრესად ბრძენი ხე გახლდათ და ყოველთვის არ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა.

მუშაობა გაჩაღდა... მოსახერხი მოხერხეს, გასაშალაშინებელი გააშალაშინეს, დასაჭედებელი დააჭედეს... რამდენიმე საათში მაცაცოს სახლი უკვე მზად იყო.

ჯერ გათენებულიც არ იყო, მაცაცო რომ მოფრინდა. კოკის სახლის სახურავზე ჩამოჯდა და იქაურობას თვალი მოავლო. ეზოში არავინ ჩანდა.

მაცაცომ ბაოს გახედა. უფრო სწორად, ტოტს... უფრო სწორად, თავის სახლს, რომელიც იმ ტოტზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ დაინახა...

– რა? – განცვიფრდა მაცაცო, – ჩემი სახლი სად გაქრა?

თვალები მაგრად დახუჭა, მერე ცალი თვალი ნელ-ნელა გაახილა, მაგრამ სახლი არსად იყო.

– ვაიმეე! – იკივლა მაცაცომ, – სახლი მომპარეს!

II

– რა ყოჩაღები ხართ, – ეღუღუნებოდა ბედნიერი მაცაცო ბავშვებს, – მშვენიერი სახლი გაგიკეთებიათ ჩემთვის, თუმცა ვიდრე გავიგებდი, კინაღამ გული გამისკდა!

– აბა, ჩქარა შეძვერი შენს ახალ სახლში! – უთხრა კოკიმ, – გვაინტერესებს, მოგეწონება თუ არა!

ახალ სახლში სიხარულით შეყო თავი მაცაცომ, მერე – ნახევარი ტანიც, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ... გაიჭედა!

– ვეღარ ვძვრები! – აღმოხდა მაცაცოს, – არა, კი ვძვრები, მაგრამ ვერ ვეტევი!

– რა საშინელებაა! – შეწუხდა ნიკუშა, – რა ვქნათ? – და ურჩია, – მუცელი შესწიე! შეისუნთქე!

– ეგ არ მიშველის! – სასოწარკვეთილი ხმით იყვირა მაცაცომ, – მუცელი ისედაც არა მაქვს! ვაიმე! მიშველეთ!

– მოდი, შევტენოთ! – წამოიძახა კოკიმ, – ან როგორმე უკან გამოვიყვანოთ!

საკუთარ სახლში სამარცხვინოდ გაჩხერილი მაცაცოს გარშემო ბავშვები აღელვებულები დარბოდნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ.

– ეს იმიტომ მოხდა, რომ მაცაცო არ მონაწილებდა, – შენიშნა უცებ ლიზიკომ.

– მართალია! – დაეთანხმა პაკო, – თუ ვიღაცისთვის რაღაც კეთდება, ის ვიღაც ამაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს...

უეცრად მაცაცომ დააცემინა ისე ხმამაღლა და ისე ძლიერად, რომ თავისი სახლიდან საცობივით გამოვარდა.

აი, მგონი, ყველაფერი მოგიყევით... მერე ბავშვებმა მაცაცოს სახლი, რა თქმა უნდა, ერთობლივად გადააკეთეს. და ამ საქმეში რასაკვირველია, მაცაცოც აქტიურად მონაწილეობდა.

მიაქციეთ ყურადღება, როგორი სიტყვაა – „მონაწილეობა“!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რის კეთებაა მოისურვეს ბაეშვებმა ერთ მშვენიერ დღეს?
2. რატომ გაუჭირდათ მათ თაეიანთი გადაწყვეტილების განხორციელება და როგორ გადაჭრეს ეს პრობლემა?
3. რატომ გამოდგა მაცაცოს სახლი უეარგისი? როგორ გამოასწორეს ბაეშვებმა თაეიანთი შეცდომა?
4. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მოთხრობიდან?

როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი

გაზაფხულის ადრიანი დილა იყო. ჯერ ყველას ეძინა, მხოლოდ ბაო იზმორებოდა ამომავალი მზის სხივებში, ტოტებს მსუბუქად არხევდა.

მალე სახლიდან ბავშვები გამოვიდნენ. სკოლისკენ მიიჩქაროდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. პაკოს ხელში რაღაც დიდი, ძალიან ლამაზი, ფრთებიანი საგანი – თვითმფრინავის მოდელი ეჭირა.

– აუ, რა მაგარია! – წამოიძახა მაცაცომ აღტაცებით.

კოკიმ თვითმფრინავი ყოველი მხრიდან დაყნოსა და თავი მოწონების ნიშნად დააკანტურა:

– ლამაზია... სად იპოვეთ?

– კი არ ვიპოვეთ, გავაკეთეთ! ლიზიკომ დეტალები მუყაოსგან გამოჭრა, ნიკუშამ დააწება, თუთამ გააფერადა, მე კი ამ ყველაფერს ვხელმძღვანელობდი! – განმარტა პაკომ.

– ჩვენი თვითმფრინავი ნამდვილს ჰგავს! საღამოს საცდელ გაფრენას მოვაწყობთ! მოდელების შეჯიბრი ეწყობა მეზობელ ეზოში! – თქვა ნიკუშამ.

– მაგარია! – გაუხარდა მაცაცოს, – ბედმა გაგიღიმათ, საღამოს თავისუფალი ვარ და შემიძლია დაგეხმაროთ. თქვენს თვითმფრინავს ფრენისთვის დაბადებულ მშვენიერ ფრთოსანზე უკეთ ვინ მართავს?

– სხვათა შორის, – ჩაილაპარაკა პაკომ, – ეკიპაჟი, ანუ გუნდი, უკვე გვყავს და შენ, მაცაცო, ველარ მიგიღებთ... უკაცრავად, მაგრამ სხვა დროს იყოს...

– რაო? – აღშფოთდა მაცაცო, – ცაში ფრენა ხომ ჩემი საქმეა! უჩემოდ შეჯიბრში როგორ მიიღებთ მონაწილეობას?!

– ჩვენც გვინდა ეს თამაში! – კუდის ქიცინით შესძახა კოკიმ, – შემიძლია, თქვენს თვითმფრინავს ვუდარაჯო, ვიდრე სკოლაში იქნებით...

– ისე, დარაჯი კი დაგვჭირდება, – ჩაილაპარაკა პაკომ, – კარგი, კოკი, შენ მიგიღებთ გუნდში. თვითმფრინავს აქ, სკამზე დავტოვებთ, ვიდრე სკოლაში ვიქნებით, უდარაჯე... შეჯიბრი საღამოს ჩატარდება! აუცილებლად გავიმარჯვებთ და მთავარ პრიზსაც მივიღებთ!

– და მე?! – ეწყინა მაცაცოს, – მეც მინდა თქვენთან!

– უკაცრავად, მაცაცო, მაგრამ არაფერი გამოვა. თვითმფრინავის აგებაში გუნდის ყველა წევრი მონაწილეობდა... ყველა რაღაცას აკეთებდა, ან ახლაც აკეთებს... დამთავრება რომ მოგვესწრო, ძალიან ადრე ვდგებოდით.

– სკოლაში გვეჩქარება! აბა, წავიდეთ! – თქვა ლიზიკომ და თუთას მკლავზე წაავლო ხელი.

ბიჭებმა თვითმფრინავი ძელსკამზე ფრთხილად დადეს, კოკი კი ამაყი გამომეტყველებით გვერდით დაუჯდა.

– თვითმფრინავის სკამზე დატოვება არ შეიძლება! – შესძახა მაცაცომ და ხეზე აფრინდა, – არ შეიძლება!

– ნუ აქცევთ ყურადღებას! მაცაცოს ჩვენი გუნდის წევრობა უნდა და ამას ამიტომ ამბობს! – თქვა პაკომ.

– არაფერსაც არ ვამბობ! თქვენი გუნდის წევრობა აღარც კი მინდა! – ლამის ტირილით მიუგო მაცაცომ, – თქვენზე ნაწყენი ვარ!

– მაცაცოს უნდა, რომ დაგვეხმაროს, – ჩაილაპარაკა თუთამ დაფიქრებით, – აგვიხსენი, ძვირფასო მაცაცო, რატომ არ შეიძლება თვითმფრინავის სკამზე დატოვება?

– კარგი, თუთა, მხოლოდ შენი ხათრით... მალე წვიმა წამოვა, თქვენი მუყაოს თვითმფრინავი დასველდება და გაფუჭდება!

ბავშვებმა თავიდან კამათიც კი დაიწყეს იმაზე, დაეჯერებინათ თუ არა მაცაცოსთვის, მაგრამ, სწორედ იმ დროს, ზარი დაირეკა და სკოლისკენ მოკურცხლეს.

– რატომ ამბობდი, იწვიმებსო? – ჰკითხა კოკიმ მაცაცოს, – ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ჩანს!

– ოთხფეხავ, მაგას ვერ გაიგებ... შენ ხომ ჩიტი არ ხარ... – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა მაცაცომ, – წვიმის წინ მწერები დაბლა-დაბლა დაფრინავენ, შესაბამისად, ჩვენც, ფრინველები, დაბლა-დაბლა ვიწყებთ ფრენას. დღეს აუცილებლად იწვიმებს. აი, ნახავ, ბავშვები მალე მიხვდებიან, რომ ტყუილად მაწყენინეს!

კოკი დაღვრემილი იჯდა.

– ვაითუ, მართლა წამოვიდეს წვიმა... იქნებ თვითმფრინავი სადმე გადაგვემალა? ისე, ყოველი შემთხვევისთვის?

– იცი რა, დარაჯად შენ დაგნიშნეს და შენ მოუარე! – მიუგო მაცაცომ.

ამ დროს სკოლაში მასწავლებელმა დაფაზე რუკა ჩამოკიდა და თქვა:

– ბავშვებო, ყურადღებით მომისმინეთ! ბუნებრივი მოვლენებია: მზის დაბნელება, თოვლი, წვიმა...

– მართალია, რომ ჩიტები წინასწარ გრძნობენ წვიმის მოსვლას? – ადგილიდან წამოხტა უცებ ნიკუშა.

– კარგი შეკითხვაა, ნიკუშა, – მიუგო მასწავლებელმა, – ცნობილია, რომ წვიმის წინ მწერები დაბლა-დაბლა დაფრინავენ, შესაბამისად, ფრინველებიც გრძნობენ, თუ როდის გაწვიმდება.

– ესე იგი, მაცაცო მართალი ყოფილა... ახლა წვიმა წამოვა და თვითმფრინავს გაგვიფუჭებს... – ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა პაკომ.

მართლაც, თვალის დახამხამებაში მოიღრუბლა. ბავშვები საკლასო ოთახის ფანჯარაში უმწეოდ იყურებოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებდნენ. უეცრად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გაკვეთილი კი გრძელდებოდა...

როდესაც ბავშვები სკოლიდან გამოვიდნენ, წვიმას უკვე გადაეღო.

– უნდა დაგვეჯერებინა მაცაცოსთვის, თვითმფრინავი უნდა შეგვენახა! – უკვე მეათედ გაიმეორა პაკომ.

– მართალია, – დაეთანხმა ლიზიკო, – მაცაცო გუნდში რომ მიგვეღო, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ახლა კი თვითმფრინავი ნამდვილად დასველდება და გაფუჭდება...

როდესაც ბავშვები ეზოში შევიდნენ, ძელსკამი ცარიელი დახვდათ. არც თვითმფრინავი იყო, არც კოკი, არც მაცაცო.

– სადაა ჩვენი თვითმფრინავი?! – აღელდა ნიკუშა, – ან კოკი და მაცაცო სად დაიკარგნენ?

– იქნებ ნიაღვარმა წაიღო? – შეეშინდა თუთას, – ან გუბეში ხომ არ ჩაცვივდნენ და დაიხრჩვნენ?

ბავშვები დაბნეულები იდგნენ, არ იცოდნენ რა ეფიქრათ. უცებ ძრავის ხმა შემოესმათ. ეზოს თვითმფრინავმა გადაუფრინა, კამარა შეკრა და ბავშვების ფეხებთან დაეშვა. თვითმფრინავიდან მაცაცო და კოკი გადმოხტნენ.

სიხარულისგან ბავშვებმა ადგილზე ხტუნვა დაიწყეს და მფრინავებს გადაეხვივნენ..

– თვითმფრინავი სხვენზე გადავმალეთ. იქ სიმშრალეა და თბილა, – თქვა კოკიმ, – მაცაცო რომ არ ყოფილიყო, ვერაფერს ვიზამდი!

– გვაპატიე, მაცაცო, რომ არ დაგიჯერეთ... – ბოდიში მოიხადა პაკომ, – უშენოდ თვითმფრინავი გაფუჭდებოდა! კარგი გუნდი არ ვიქნებოდით!

– არა, რატომ... კარგი გუნდი ხართ, მაგრამ ჩემთან ერთად საუკეთესო გახდებით! – ამაყად გამოაცხადა მაცაცომ, – საუკეთესო!

ახლა კი წავიდეთ, შეჯიბრზე არ დავაგვიანოთ!

– წარმატებას გისურვებთ! – ფოთლების შრიალით უთხრა მათ ბაომ, – დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებთ! რადგან, ნებისმიერ საქმეში, თითოეულის მონაწილეობა, თუნდაც ყველაზე პატარისა, ძალზე მნიშვნელოვანია და აუცილებელიც!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რატომ არ უნდოდათ ბაეშვებს მაცაცოს გუნდში აყვანა?
2. დაიჯერეს თუ არა მათ მაცაცოს სიტყვები და რით იყო გამოწვეული მათი ამგვარი დამოკიდებულება მაცაცოს მიმართ?
3. რა როლი შეასრულა მაცაცომ ამ მოთხრობაში?
4. როგორ დამთავრდა ეს ამბავი და რა უთხრა ბაომ ბაეშვებს?

ძიებისგუდა მაცაცო

I

მაცაცო ვერაფრით იძინებდა. გაუთავებლად წრიალებდა საწოლში, ცდილობდა, მოხერხებულად მოწყობილიყო, მაგრამ ამაოდ... საშინლად ცხელოდა – ალბათ ყველაფერი სიცხის ბრალი იყო...

– ჩრდილოეთში უნდა გავფრენილიყავი! – ჩაილაპარაკა მაცაცომ და გვერდი იცვალა, ფრთა მარაოსავით დაინიავა. ესიამოვნა.

ამ დროს ნიავმაც დაუბერა, ფოთლები ააშრიალა და ყურში იავნანასავით ჩაესმა.

– აი, ეს მესმის, – კმაყოფილი ბურტყუნებდა მაცაცო, – ეს სხვა საქმეა...

გემრიელად დაამთქნარა, გვერდი იცვალა და უცებ... არ დამიჯერებთ და... აფრინდა... ნელ-ნელა აიწია ჰაერში და ბუდის თავზე უძრავად გაჩერდა. ამ დროს უკვე თვლემდა და ვერც კი მიხვდა, რა დაემართა...

ვიდრე ხმაურით ჩავარდებოდა ბუდეში, ტკბილად დამთქნარება მოასწრო.

– რა ხდება?! – მაცაცო წამოჯდა, დაბნეული ატრიალებდა თავს აქეთ-იქით, – ვინ დამეჯახა?!

– მაცაცო, შენ ხარ? – მოესმა თუთას ხმა. თუთა ხმაურმა გააღვიძა და გადაწყვიტა გაეგო, რა მოხდა.

– ჰო, მე ვარ! – თქვა მაცაცომ და ფარანი აანთო. ბუდე თუთას ფანჯრის გასწვრივ იყო და ერთმანეთს მშვენივრად ხედავდნენ.

– ვერ იძინებ? – ჰკითხა თუთამ.

– არა, კი ვიძინებ, – მიუგო მაცაცომ, – მაგრამ ისე ცხელა, რომ... ერთი წამის წინ თითქოს ოდნავ აგრილდა, ახლა კი უფრო ჩამოცხა... ეეჰ, ცოტა მაინც რომ გრილოდეს...

– საწყალო მაცაცო... მალე გათენდება, შენ კი საერთოდ არ გიძინია...

მაცაცომ ამოიოხრა და გაიფიქრა: „ჩრდილოეთში უნდა გავფრენილიყავი, დეიდასთან, ჩრდილოეთში!“

II

პაკო ზარის ხმამ გააღვიძა. ვიღაც ზარს რეკავდა და ღილაკს ხელს არ უშვებდა. პაკო წამოხტა და სასწრაფოდ ჩაცმა დაიწყო.

– ვაღებ, ვაღებ! – გასძახა, – ახლავე!

კარი გააღო. ზღურბლზე კოკი იდგა. ზარს აჭერდა და აჭერდა.

– კოკი, რა გჭირს? გავაღე უკვე!

კოკიმ აღელვებით შესძახა:

– დაიკარგა!

პაკოს გაეცინა:

– რა დაიკარგა? შენი საყვარელი ძვალი?

– არა, – თქვა კოკიმ, – ჩვენი საყვარელი მაცაცო!

პაკოს ღიმილი სახეზე შეეყინა.

– ნუ განიცდი, კოკი, – უთხრა პაკომ კოკის, – მაცაცოს აუცილებლად ვიპოვით. ბავშვებს ვუთხრათ და ერთად მოვძებნოთ.

III

როდესაც ლიზიკომ და ნიკუშამ ზარი დარეკეს, კოკი დივანზე იყო მოკალათებული და ისევ მაცაცოს დაკარგვის ამბავს ყვებოდა.

– მთელი ეზო გადავატრიალე... ყველა კუთხე-კუნჭული...

ლიზიკო მოიღუშა. გაახსენდა, რომ ღამით რაღაც ხმა გაიგონა. გაიფიქრა კიდეც, ალბათ ჭექა-ქუხილიაო.

ბავშვები დამწუხრებულები ისხდნენ. რაღაც უნდა მოეფიქრებინათ.

– სხვათა შორის, თუთა სადღაა, იქნებ მას ვკითხოთ, იქნებ იცის რამე? – იკითხა ნიკუშამ, რომელმაც შეამჩნია, რომ თუთა მათ შორის არ იყო.

პაკოს გაეცინა.

– რა შეიძლება იცოდეს თუთამ? დილაობით თავის ჩუსტებსაც კი ვერ პოულობს! ლიზიკო დაეთანხმა:

– მართალია, თუთა პატარაა, ვერ დაგვეხმარება.

ამ დროს ოთახში თუთა შემოვიდა, ნამძინარევი სახე ჰქონდა.

– გამარჯობა! – თქვა მან, – მოხდა რამე?

– არაფერი! – მოუჭრა პაკომ, – ახლა ახსნის დრო არ გვაქვს, გვეჩქარება!

კოკიმ ამოიოხრა:

– მაცაცოს საძებნელად მივდივართ. დაიკარგა.

– შეიძლება, მეც წამოვიდე? – შეეხვეწა თუთა, – ვიცი, სად შეიძლება იყოს.

კოკიმ თუთას იმედით შეხედა:

– სადაა მაცაცო, იცი?

– კი, კი... მაცაცო...

– ნუ უსმენთ! – სიტყვა გააწყვეტინა პაკომ, – ყველაფერს იგონებს. უბრალოდ, უნდა, რომ წავიყვანოთ.

– არაფერსაც არ ვიგონებ! – არ დაუთმო თუთამ, – ღამე გამეღვიძა და ფანჯარაში გავიხედე... და ცაში მაცაცო დავინახე!

– დაფრინავდა?

– არა... ეძინა!

– როგორ თუ ეძინა?

– აი, ასე,.. ჰაერში ეკიდა და ეძინა!

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. პაკომ ჩაიფხუკუნა.

– მოიცადეთ, ბოლომდე მომისმინეთ, შეეხვეწა თუთა.

– ჯერ პატარა ხარ, – ლიზიკომ თუთას დამშვიდება სცადა, – მაცაცო დაიკარგა და უნდა ვიპოვოთ. ხუმრობა არ გეგონოს... პატარა ბავშვი კი მის პოვნას ვერ შეძლებს...

– მაგრამ მე ვიცი, სადაცაა... – ზლუქუნებდა თუთა, – შემიძლია, გითხრათ...

მაგრამ თუთას აღარავინ უსმენდა.

IV

– აი, ასე დაკარგეს მაცაცო, რომელიც, სინამდვილეში, სულაც არ დაკარგულა! – უყვებოდა თუთა ბაოს.

– საოცარია! – თქვა ბაომ, – და მაცაცოს მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს ფუღუროში ეძინა?

– დიახ! – მიუგო თუთამ, – მეგონა, ფუღუროში მეტი სიგრილე იქნებოდა, ვიდრე ბუდეში და ვურჩიე აქ დაეძინა... მაცაცოს ძალიან მოეწონა ფუღუროში. მითხრა, ძალიან ჭკვიანი გოგონა ხარო, ასაკის მიუხედავადო... მერე მაცაცო წამით დაფიქრდა და მითხრა, თითქმის ჩემსავით ჭკვიანიო.

– ოო! – თქვა ბაომ, – მაცაცოსგან ეს უმაღლესი შეფასებაა!

– ბავშვებმა კიდევ, – განაგრძობდა თუთა, – პატარა რომ ვარ, იმიტომ არ მომისმინეს... განა ეს სამართლიანია?

– რა თქმა უნდა, არა! – უპასუხა ბაომ, – დარწმუნებული ვარ, შეცდომას მალე მიხვდებიან.

ამ დროს ეზოში ბავშვები გამოჩნდნენ. ქუჩიდან შემოვიდნენ.

ბავშვები ცუდ გუნებაზე იყვნენ. მაცაცო ვერ იპოვეს, ფარანი დაკარგეს და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სად შეიძლება ეძებნათ თავიანთი ფრთოსანი მეგობარი.

– შეხედეთ... თუთა, – შენიშნა ნიკუშამ.

– ხელში ფარანი აქვს!

ბავშვები თუთასთან და ბაოსთან მივიდნენ.

– თუთა, აქ რას აკეთებ?

– ვიზრდები! – უპასუხა თუთამ, – ვიზრდები, რომ გითხრათ, სად უნდა ეძებოთ მაცაცო!

პაკო გაბრაზდა.

– რას დაგვცინი! მაცაცო დაგვეკარგა, შენ კიდევ...

– მაცაცო არ დაკარგულა, – გააწყვეტინა თუთამ, – ეს თქვენ დაკარგეთ მაცაცო! ახლა კი სულ დაიბენით, რადგან არ იცით, სად ეძებოთ... მაცაცო აქ არის!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვები დაფიქრდნენ.

– გვაპატიე, თუთა... – თქვეს მათ.

– კარგი, კარგი, – ჩაილაპარაკა თუთამ.

ამ დროს ვიღაცამ ფუღუროდან გაბურძგნული თავი გამოყო. გემრიელად დაამთქნარა და ნამძინარევი ხმით იკითხა:

– უკაცრავად, ვერ მეტყვით, რომელი საათია?

– მაცაცო! მაცაცო! – გაისმა ბავშვების ხმა.

ბავშვები ფუღუროს მისცვივდნენ.

V

მაცაცო ხის ძირას გაბადრული იჯდა. ბავშვები უყვებოდნენ, დიდხანს გეძებდით და ძალიან განვიცდიდით, რომ ვერ გპოულობდითო... უთხრეს, რადგან თუთა პატარაა, არ დავუჯერეთო.

მაცაცო ერთობ კმაყოფილი გახლდათ, ძალიან მოეწონა, მის გამო ასეთი ალიაქოთი რომ ატყდა.

– ესე იგი, არ დაკარგულხარ? – ტკბილად ჰკითხა კოკიმ.

– არა, რასაკვირველია! – მიუგო მაცაცომ, – საერთოდაც, არც ვიკარგები და არც ვიბნევი! ყველაზე რთული სიტუაციიდანაც კი ვპოულობ გამოსავალს!

– ჩვენ კიდევ გვეგონა, სადღაც გაფრინდი! – თქვა პაკომ.

მაცაცოს ეწყინა.

– თქვენ რა, ჩემი ფრენის განრიგი ამდენ ხანს ველარ შეისწავლეთ? და საერთოდაც, განა ძნელია იმის მიხვედრა, რომ ჩემისთანა ზრდილი და კულტურული ჩიტი დაუმშვიდობებლად არსად გაფრინდება?

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რატომ ვერ იპოვეს თაეიდან ბაეშვებმა მაცაცო?
2. რა როლი ითამაშა ამ ამბაეში თუთამ?
3. რატომ არ მოუსმინეს მას ბაეშვებმა?
4. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მოთხრობიდან?

თემა 4 თანამშრომლობა

რა არის თანამშრომლობა?

საერთო საქმიანობაში მონაწილეობა ერთმანეთთან თანამშრომლობას გულისხმობს. თანამშრომლობის გზით ადამიანებს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ცალ-ცალკე. წარმოიდგინეთ, რომ რაიმე საკლასო ღონისძიებას აწყობთ, მაგალითად, კლასელების ნამუშევრების გამოფენას ან კონცერტს, გამოგივიდოდათ რამე თანაკლასელებთან თანამშრომლობის გარეშე?

ახლა იმაზე დაფიქრდით, რამდენი რამ არის ქვეყანაზე, რის გაკეთებაც ერთი ადამიანის ძალებს აღემატება და უამრავი ადამიანის თანამშრომლობას მოითხოვს. რა მოხდებოდა, უცებ ეს უნარი რომ დაეკარგათ ადამიანებს?







სურათზე გამოსახულია ორი სახედარი, რომლებიც იწევენ სხვადასხვა მხარეს განლაგებული თივის ზვინებისაკენ და ვერც ერთს ვერ სწვდებიან, ვინაიდან ერთმანეთზე არიან გადაბმული. შემდეგ სურათებზე სახედრები ერთად მიდიან ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ზვინთან და ერთად მი-ირთმევენ თივას.

კითხვები მსჯელობისათვის:

1. რას ცდილობენ პირველ სურათზე გამოსახული სახედრები და რამდენად წარმატებულია მათი მცდელობა?
2. რას აკეთებენ ისინი მეორე და მესამე სურათზე?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ დარჩნენ ისინი თაივიდან მშიე-რები?
4. რა გაკეთეს იმისათვის, რომ საწადელისთვის მიეღწიათ?

ჩვენი ეზოს ისტორია

ბავშვები ეზოში ისხდნენ და ფიქრობდნენ, ზაფხულის ამ მშვენიერ დილას რით გავერთოთო... არდადეგები დაწყებული იყო, უკვე ისაუზმეს, მულტფილმებსაც უყურეს, გასაკეთებელი არაფერი ჰქონდათ...

ლიზიკო ხის ქვეშ იჯდა და წიგნს კითხულობდა.

– მოვიფიქრე, რა გავაკეთოთ! – წამოიძახა უცებ ლიზიკომ და ადგილი-დანაც კი წამოხტა, – მოდი, ჩვენს ეზოზე წიგნი დავწეროთ!

– შესანიშნავია! – მაცაცომ იდეა წამსვე აიტაცა, – ჩვენი ეზოს ამბების სრული კრებული შევადგინოთ! წარმოიდგინეთ, რა საშინელება იქნება, როცა წლები გავა და არავის ეცოდინება, რომ არსებობდა ჩემისთანა ბრძენი ფრთოსანი!

– ტყუილად ნუ შეწუხდები, მაცაცო, – უეცრად გამოაცხადა პაკომ, – წიგნი უნდა დაწეროს იმან, ვისზეც ყველაზე მეტი ამბავი იქნება, ანუ მე! წიგნს დავარქმევ: „პაკო და მისი მოფიქრებული თამაშები“.

– არა, გენაცვალე, – სასწრაფოდ შეეპასუხა ლიზიკო, – ეს ჩემი იდეაა და, ესე იგი, წიგნი მე უნდა დავწერო!

– შეიძლება, მეც დავწერო რამე? – მორცხვად ჩაურთო თუთამ, – თუნ-დაც ნახევარი გვერდი?

– თუთა, ჯერ პატარა ხარ, – უთხრა მაცაცომ, – არაფერი გამოგივა.

ერთადერთი, ცოტას თუ დაწერ... ვთქვათ, ოციოდე გვერდს... ჩემზე... ჩემს მშვენიერ ბუმბულზე...

– წიგნი მე უნდა დავწერო! – თქვა კოკიმ, – ვიდრე გძინავთ, მე ვმორიგეობ! ისეთი რაღაცები მაქვს ნანახი, არც დაგსიზმრებიათ!

ერთი ყაყანი და გნიასი ატყდა. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, წიგნი მე უნდა დავწეროო.

– მოდი, კენჭი ვყაროთ, – შესთავაზა ნიკუშამ, – იმდენი ფურცელი ავიღოთ, რამდენიც ვართ, ერთ-ერთზე დავწეროთ „წიგნი," ფურცლები დავკეცოთ, ქუდში ჩავყაროთ, მერე სათითაოდ ამოვიღოთ და ვისაც ის ბარათი შეხვდება, რომელზეც „წიგნი" ეწერება, იმან დაწეროს!

ბავშვები დაფაცურდნენ.

ბარათები ქუდში ჩაყარეს, ბაომ კი საზეიმოდ გამოაცხადა:

– მეგობრებო, იწყება კენჭისყრა. მალე გავიგებთ, ვის ხვდება პატივი, ჩვენი ეზოს ისტორია დაწეროს!

– სწრაფად, სწრაფად! – მაცაცო ყველას აჩქარებდა, – ვიდრე ჩემი არაჩვეულებრივი აზრები გაფრენილან!

როცა ქუდიდან ყველამ თითო მოკეცილი ფურცელი ამოიღო, ბაომ შესთავაზა, რიგრიგობით გაეხსნათ. პირველმა თვითონ გაშალა.

ყველას ბარათი სუფთა აღმოჩნდა!

– შეუძლებელია! – აღშფოთდა მაცაცო, – არც ერთ ბარათზე არ წერია.

– არა, – ჩუმად თქვა კოკიმ, – ჩემსაზე წერია...

და კოკიმ ყველას დაანახვა ფურცელი, რომელიც ქუდიდან ამოიღო. ზედ წითელი ფანქრით, დიდი ასოებით, ეწერა: „წიგნი“.

– წიგნს მე დავწერ, – გამოაცხადა კოკიმ, თვალები უბრწყინავდა.

დაცხა. ბავშვები სახლში შევიდნენ. კოკი ხის ქვეშ წამოწვა. ერთი ნაღვლიანად აიხედა ცაში და ჩაფიქრდა.

როდესაც მოსაღამოვდა, ბავშვები ეზოში გამოვიდნენ და დაინახეს, რომ კოკი ისევ ხის ქვეშ იჯდა.



– როგორ არის საქმე? – ჰკითხა თუთამ.

– არა უშავს, – მიუგო კოკიმ, – დასაწყისი უკვე დავწერე. მომისმინე:

მოგიყვებით ყველაფერზე –
ჩვენს ეზოზე, ცხოვრებაზე,
აი, ბაო, ზედ – მაცაცო,
მეგობრულად ვცხოვრობთ, როცა
ერთადა ვართ ამ ეზოში ...
ოღონდ ძვალი სად დავმალე,
არა მკითხოთ! დავივიწყე მალე...

– მმ... მე მომეწონა, —თქვა თუთამ, – ნახატები სადაა?

– მე კარგად ვერ ვხატავ, – მიუგო კოკიმ და გაწითლდა, – აი, ვინმე რომ დამეხმაროს... იქნებ კიდევ ერთხელ ვყაროთ კენჭი? ვისაც შეხვდება, ჩემთან ერთად იმუშავებს წიგნზე...

– კენჭი კიდევ ერთხელ ვყაროთ? – იმედიანად წამოიძახა პაკომ, – კარგი აზრია!

ფურცლები ისევ დაკეცეს და ქუდში საგულდაგულოდ ჩაყარეს. ვერ მოასწრეს ამოღება და გაშლა, რომ გახარებული პაკოს შეძახილი გაისმა:

– ვაშაა! ესე იგი, ერთად ვიმუშავებთ! კოკი, შენ ლექსები დაწერე, მე კი დავხატავ! დღეს სწორედ ხატვის დღე მაქვს!

– ჩვენს ეზოში რაც ხდებოდა, იმაზე ვინ დაწერს?– იკითხა ლიზიკომ.

– მე მხოლოდ ხატვას ვაპირებ, წერა არ მეხერხება... ყველა ამბავი არც კი მახსოვს... – დაღონდა პაკო.

– მე, მე მახსოვს ყველაფერი! – ჩაერია მაცაცო, – მე ბევრს დავფრინავ, ყველას ვიცნობ! მე დაგეხმარებით!

– ძალიან კარგი, ახლა სამნი ვართ. – გაუხარდა პაკოს.

– ძლივს! – შესძახა მაცაცომ, – თორემ წიგნი მაცაცოს გარეშე იგივეა, რაც მაცაცო წიგნის... უკაცრავად, ბუმბულის გარეშე! ისეთ საინტერესო წიგნს დავწერ, პირს დააღებთ!

– კი არ დაწერ, დავწერთ! – შეუსწორა კოკიმ.

– ბაოს ზღაპრების ჩაწერა არ დაგავიწყდეს, ძალიან საინტერესოა! – სთხოვა თუთამ.

– აი, მაგას კი ვერ დაგპირდები, – მიუგო მაცაცომ.

– რატომ? – გაუკვირდა თუთას.

– იმიტომ, რომ ბაოსავით კარგად ვერ მოვყვები, – აუხსნა მაცაცომ.

– მაშინ, იქნებ ბაომ დაწეროს? – შესთავაზა ნიკუშამ.

– კარგი იდეა მაქვს! – თქვა ბაომ, – მოდი, წიგნი ერთად დავწეროთ! ვითანამშრომლოთ!

– ეს რა რთული სიტყვაა: „ვითანამშრომლოთ“? – იკითხა თუთამ, – იმასა ჰგავს, მამიკო რომ ამბობს ხოლმე, დროა კბილები გავიხეხოთო.

– „ვითანამშრომლოთ“ ნიშნავს ერთად გავაკეთოთ ის, რასაც ცალ-ცალკე ვერ მოვახერხებდით, – აუხსნა ლიზიკომ.

– მე შემიძლია, ჩავიწერო ყველაფერი, რასაც იტყვით, – შესთავაზა ნიკუშამ.

– თუ შეიძლება, დაგეხმარები, – სთხოვა თუთამ, – კარგი ხელწერა მაქვს.

– ძალიან კარგი, – თქვა ლიზიკომ, – თქვენ ჩაიწერთ, მე შეცდომებს გაგისწორებთ, პაკო დახატავს, კოკი ლექსებს შეთხზავს, ბაო ზღაპრებს მოგვიყვება, მაცაცო – ჩვენი ეზოს ამბებს და გამოვა შესანიშნავი წიგნი: „ჩვენი ეზოს ისტორია, მოთხრობილი მისი ბინადრების მიერ“.

ბავშვებმა სიხარულით ტაში შემოჰკრეს.

– ყოჩაღ! – შესძახა თუთამ, – ბოლოს კი მივაწეროთ: ეს წიგნი ასეთი კარგი იმიტომ გამოვიდა, რომ ერთად დავწერეთ!

– მშვენიერი აზრია! – შეაქო ბაომ თუთა, – მაშინ ყველა ბავშვს, რომელიც ამ წიგნს წაიკითხავს, ეცოდინება, რომ მხოლოდ თანამშრომლობით, გაერთიანებული ძალებით შეიძლება რაღაც ძალიან, ძალიან კარგი რამის კეთება!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა გადაწყვიტეს მეგობრებმა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს?
2. რამ გამოიწვია კამათი? რით ასაბუთებდა თითოეული მათგანი, რომ წიგნი სწორედ მას უნდა დაეწერა?
3. რა ხერხს მიმართეს მოკამათეებმა პრობლემის გადასაჭრელად?
4. ვის ხედა წილად კენჭისყრის შედეგად წიგნის დაწერა და რა რჩევები მიიღო მან მეგობრებისაგან?
5. დაწერა თუ არა კოიმ წიგნი? რა გამოუვიდა და რა ვერ შეძლო მან?
6. რა შესთავაზა ბაომ მეგობრებს? რომელი „რთული სიტუაა“ გამოიყენა მან?
7. როგორ გაინაწილეს მეგობრებმა სამუშაო?
8. რა დაასკვნეს მათ სამუშაოს დასრულების შემდეგ?
9. განმარტეთ თქვენი სიტუაციით, რა ყოფილა თანამშრომლობა და გვიამბეთ, თქვენ თუ გაგიკეთებიათ რაიმე ვინმესთან თანამშრომლობით? შეძლებდით თუ არა იმ საქმის მარტო გაკეთებას?

დავეხმაროთ ერთმანეთს

პარასკევი იყო, ბოლო გაკვეთილი მთავრდებოდა. პაკო გონებით უკვე ქუჩაში დაქროდა. რამდენი საინტერესო თამაში ელის: ფეხბურთი, პლაჟის ფეხბურთი, სახლის ფეხბურთი, პენალტების სერია...

უეცრად პაკო მასწავლებლის ხმამ გამოაფხიზლა.

– პაკო, დაფასთან გამოდი, – თქვა მასწავლებელმა, – აფრიკის ცოცხალ ბუნებაზე გვესაუბრე.

პაკო ზლაზვნით წამოდგა და დაფასთან გავიდა.

– ჰოო... – დაიწყო პაკომ, —აფრიკა ისეთი ადგილია, სადაც ბევრი ცხოველი ცხოვრობს...

– თუ შეიძლება, ცოტა სწრაფად, პაკო, – უთხრა მასწავლებელმა.

– მმ... ისინი იქ ცხოვრობენ... – პაკოს დრო გაჰყავდა, მალიმალ კედლის საათს გაჰყურებდა.

– მე მგონი, გაკვეთილი არ მოგიმზადებია, – მკაცრად თქვა მასწავლებელმა და საკლასო ჟურნალი გადაშალა.

– რატომ არ მოამზადე გაკვეთილი? – ჰკითხა მასწავლებელმა.

– მმ... როგორ გითხრათ... დაკავებული ვიყავი... ვემზადებოდი.

– რისთვის ემზადებოდი? – გაუკვირდა მასწავლებელს. თან ფურცელზე რაღაცას წერდა.

– როგორ თუ რისთვის! – შესძახა პაკომ, – ნახევარფინალისთვის! გვერდითა ეზოს გუნდს ვეთამაშეთ და მოვუგეთ. ხვალ კი ფინალია! იქნებ გამიშვათ? ფინალისთვის ხომ უნდა მოვემზადო?

– მე მგონი, ფინალისთვის კი არა, მშობლებთან სერიოზული საუბრისთვის უნდა მოემზადო. თუ შეიძლება, ეს ბარათი დედაშენს გადაეცი, – უთხრა მასწავლებელმა პაკოს და დაკეცილი ფურცელი მიაწოდა.

ზარი დაირეკა, ბავშვებმა ჩანთების ჩალაგება დაიწყეს.

– საინტერესოა, რა დაწერა მასწავლებელმა? – დაფიქრებით ჩაილაპარაკა ლიზიკომ, როცა პაკოსთან ერთად სკოლიდან გამოვიდა.

– მგონი, კარგი არაფერი მოგელის, – უთხრა ნიკუშამ, – პაკო, ხვალ ფინალია, იცოდე, არ დაგვაღალატო, უშენოდ ვერ მოვიგებთ...

– ნუ გეშინია! – შესძახა პაკომ, – არ დაგაღალატებთ! ფეხბურთი ყველაზე მნიშვნელოვანია!

პაკო სახლში შევარდა და სასწრაფოდ ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

– ასე სად გეჩქარება? – გაუკვირდა დედას.

– როგორ თუ სად? არ გახსოვს? ხვალ ფინალი გვაქვს! მთელი ძალით

უნდა ვივარჯიშო! – მიაძახა პაკომ და სპორტული მაისური გადაიცვა.

– მართლა, დედიკო, – გაახსენდა უცებ პაკოს, – მასწავლებელმა ბარათი გამოგიგზავნა!

– ჰოო... – ერთი წამის მერე მოღუშულმა ჩაილაპარაკა დედამ, – ისევ არ გცოდნია გაკვეთილი... ვფიქრობ, ფეხბურთი უნდა დაივიწყო,– მკაცრად უთხრა დედამ.

– დედიკო, ოღონდ დღეს არა! – შეეხვეწა პაკო, – ხვალ ხომ ფინალი გვაქვს! მოდი, ასე შევთანხმდეთ: დღეს ვივარჯიშებ, ხვალ ხომ უნდა ვითამაშო. გაკვეთილებს მერე მოვამზადებ!

– არა, გენაცვალე, – უთხრა დედამ, – მოდი, ასე შევთანხმდეთ, დღესაც გაკვეთილებს მოამზადებ და ხვალაც, მერე კი ვნახოთ... ჯერ ფეხბურთზე კი არა, ნიშნების გამოსწორებაზე უნდა იფიქრო...

– დედიკო, როგორ არ გესმის, – შეევედრა პაკო, – ეს ხომ ფინალია! ჩემს მეგობრებს ვერ დავაღალატებ! ხომ იცი, მინდა, გამოჩენილი ფეხ-

ბურთელი გამოვიდე! გავიზრდები და ყველას გასახელებთ!

– ეგ ძალიან კარგია, – ჩაილაპარაკა დედამ, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენიც კი განათლებული ადამიანი უნდა იყოს. ასე რომ, არ გინდა კამათი, დაჯექი და იმეცადინე. თუ მალე მორჩები, შეიძლება მოასწრო და ივარჯიშო კიდეც...

ბავშვები ეზოში შეკრებილიყვნენ, ხვალინდელი მატჩისთვის ემზადებოდნენ. თუთამ და ლიზიკომ პლაკატი დახატეს და ზედ დააწერეს: „ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ნიკუშა ბურთს ბერავდა. მაცაცო და კოკი ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

– ჩვენ გავიმარჯვებთ! – წამოიძახა მაცაცომ.

– ეჭვი მეპარება, – თქვა ნიკუშამ, როცა საქმეს მორჩა.

– ვითომ რატომ გეპარება ეჭვი? – გაოცდა მაცაცო, – ჩვენ ხომ ყველა დროისა და ყველა ეზოს საუკეთესო თავდამსხმელი გვყავს: რაულ გონსალეს პაკო!

– საქმეც ეს არის... – ნაღვლიანად უპასუხა ნიკუშამ, – დედა ეზოში არ უშვებს! ეუბნება, ჯერ გაკვეთილები ისწავლეო.

– ესე იგი, დავიღუპეთ... – თითქმის სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა კოკიმ, – ვერავინ გვიშველის...

– იცით... მე შემიძლია შველა... – თქვა ლიზიკომ, – პაკოს ქართულის მომზადებაში დავეხმარები... ბავშვებო, ყველა თუ დავეხმარებით, იქნება მალე დაამთავროს?

– მმ... არ ვიცი, შევძლებ თუ არა დახმარებას, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – ძალიან დაკავებული ვარ, საქმიანი შეხვედრები მაქვს... და ასე შემდეგ...

– და მე? – კვერი დაუკრა მაცაცომ, – რომ იცოდეთ, რამდენი მნიშვნელოვანი საქმე მაქვს! არც კი ვიცი, რომლით დავიწყო...

– არ იცი, რომლით დაიწყო? – გაოცდა ლიზიკო, – ყველაზე მნიშვნელოვანით! პაკოს უნდა დაეხმარო გაკვეთილების მომზადებაში! წარმოიდგინე, როგორ შევრცხვებით, თუ მხოლოდ იმიტომ წავაგებთ, რომ მეგობრის დასახმარებლად დრო ვერ გამოვნახეთ!

– მგონი, მართალი ხარ, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – შევეცდები, დრო ვიპოვო და პაკოს მათემატიკის მომზადებაში დავეხმარო.

– მე კი გეოგრაფიის მომზადებაში დავეხმარები, ეს ხომ ყველაზე მთავარი, ყველაზე საჭირო საგანია! – გამოაცხადა მაცაცომ.

...მეგობრები პაკოსთან ავიდნენ. კარი დეიდა ლალიმ გაუღო.

– გამარჯობა, ბავშვებო... მგონი, ვიცი, რისთვისაც მოხვედით, გინ-

დათ, პაკო ეზოში ჩამოვიდეს და ივარჯიშოს, არა? მაგრამ, სამწუხაროდ, მეცადინეობს. მოვილაპარაკეთ, რომ ჯერ დავალებებს მოამზადებს და ფეხბურთს მერე ითამაშებს.

– ვიცით, ვიცით! – სხაპასხუპით მიუგეს ბავშვებმა, – სწორედ ამიტომ მოვედით!

– ეს როგორ? – ვერ გაიგო დეიდა ლალიმ.

– დიახ, მართლა, – აუხსნა ლიზიკომ, – იმიტომ მოვედით, რომ პაკოს დავეხმაროთ. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ თუ დავეხმარებით, გაკვეთილებს მალე მოამზადებს და ჩვენთან ერთად ივარჯიშებს. ყოველი ჩვენგანი ერთი საგნის მომზადებაში დაეხმარება, შეჯიბრში კი ყველა ერთად გავიმარჯვებთ!

– ყოჩაღ, ბავშვებო! – გაუხარდა დეიდა ლალის, – ეს არის ნამდვილი მეგობრობა! შედით, პაკო თავის ოთახშია.

პაკოს ოთახი ბრძოლის ველს ჰგავდა. ყველგან დაჭმუჭნული ქაღალ-

დები და დამტვრეული ფანქრები ეყარა. პაკო საწერ მაგიდასთან იჯდა, ყოველი მხრიდან წიგნები ჰქონდა შემოწყობილი. თავი ხელებში ჩაერგო, რაღაცას ბუტბუტებდა...

ყველა მეგობრულად შეუდგა საქმეს. საღამო ხანს, როცა ბოლო სახელმძღვანელო დახურეს, პაკომ მძიმედ ამოიოხრა.

– ჰოო... არასდროს ვიფიქრებდი, ამდენი რაღაც თავში თუ ჩამეტეოდა...

– ახლა მთავარია, ორშაბათამდე თავი ძალიან არ აცანცარო, შემთხვევით რომ არ ამოგივარდეს, – გააფრთხილა კოკიმ.

ამ დროს კარმა გაიჭრიალა და ოთახში დეიდა ლალი შემოვიდა. ხელში ახალგამომცხვარი, დაბრაწული ღვეზლებით სავსე დიდი ლანგარი ეჭირა.

– ხელი ხომ არ შეგიშალეთ? – იკითხა მან და ლანგარი მაგიდაზე დადო, – აი, ვიდრე მეცადინეობას გააგრძელებთ, ძალა აღიდგინეთ...

– უკვე მოვრჩით! – შესძახა პაკომ, – დედიკო, მოდი, შევთანხმდეთ, ჯერ ღვეზელი, მერე – ვარჯიში!

– კარგი, ასე იყოს, – გაეღიმა დეიდა ლალის, – საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! დარწმუნებული ვარ, ხვალ აუცილებლად მოიგებთ! ყოველთვის ასე ხდება, როცა თითოეული ადამიანი საერთო საქმისათვის აკეთებს თუნდაც მცირე რაღაცას – შედეგად ყველა იმარჯვებს! ბავშვებო, მშვენიერი გუნდი ჩამოაყალიბეთ!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა მოხდა გაკვეთილზე?
2. რა აინტერესებდა მასწავლებელს? რა აინტერესებდა პაკოს? რა მოჰყვა ინტერესთა სხვადასხვაობას?
3. რა იყო დედის მიზანი?
4. შეიცვალა თუ არა პაკოს მიზანი? თუ შეიცვალა, როგორ?
5. როგორ დაეხმარნენ მეგობრები პაკოს?
6. რა ერთი მიზანი აძოძრავებდა ამ ამბის ყველა მონაწილეს?
7. რას მიაღწიეს ერთად მეგობრებმა?
8. რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

თემა 5 გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება

ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ჩვენ, ყველა – დიდი თუ პატარა, გოგონა თუ ბიჭი – ვიღებთ ***გადაწყვეტილებებს****, რომლებიც ჩვენს ქცევებსა და ქმედებებში აისახება; ვიღებთ როგორც უმნიშვნელო, ისე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ხშირად მათი მიღება ჩვენს ჩვევებთან არის დაკავშირებული; სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს დაფიქრებასა და იმის უნარს, რომ სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება სხვადასხვა სიტუაციაზე. მაგალითად, რა ჩავიცვათ, რომელი გზით წავიდეთ სკოლაში, როდის მოვამზადოთ გაკვეთილები, როდის და როგორ გავერთოთ, რა წავიკითხოთ და სხვა.*

ჩვენს ცხოვრებაში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას თანამდევი შედეგი ახლავს თან. ძალიან მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში კარგად დავფიქრდეთ და გავიაზროთ ის შედეგი, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვება. ასეთი მიდგომა დაგვეხმარება ჩავწვდეთ საკუთარი არჩევნის მნიშვნელობას და ვიპოვოთ ის გზა, რომელიც სწორ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს. ყოველ გადაწყვეტილებას თან ახლავს პასუხისმგებლობა, მით უფრო მაშინ, როცა ეს გადაწყვეტილება თავად მივიღეთ – დამოუკიდებლად.

გაეცანით სიტუაციას:

თქვენ გინდათ ეზოში თამაში, მაგრამ საშინაო დავალება ჯერ არ მოგიმზადებიათ. თქვენი მეგობრები გიხმობენ ეზოში სათამაშოდ. როგორ მოიქცევით?

1. ***ჩახვალთ სათამაშოდ ეზოში;***
2. ***დავალებებს მოამზადებთ.***

ჩამოწერეთ ორივე არჩევნისთვის შესაძლო შედეგები, როგორც დადებითი (პლუსები +), ასევე უარყოფითი (მინუსები –).

გაცეხილი ლარნაკი

პაკო საწერ მაგიდასთან იჯდა და მათემატიკის დავალებას წერდა. გაზაფხული იყო. მშვენიერი ამინდი იდგა. პაკოს ხშირად ეფანტებოდა ყურადღება, ფანჯარაში მეოცნებე გამომეტყველებით იყურებოდა... მერე ამოიოხრებდა და ისევ სახელმძღვანელოს უბრუნდებოდა.

უცებ ზუზუნი გაისმა. პაკომ თავი გააქნია. ზუზუნი არ შეწყვეტილა.ამ დროს კარმა გაიჭრიალა და ღობეში ნიკუშას თავი გამოჩნდა.

– პაკო, რას აკეთებ?

პაკომ თავი გააქნია.

– დავალებას...

– პაკო, მოდი, ჯერ ბურთი ვითამაშოთ, მერე კი ერთად ამოვხსნათ ამოცანა...

პაკომ ბურთს გახედა, რომელიც ნიკუშას ეჭირა ხელში, ამოიოხრა და თქვა:

– არა, დედას დავპირდი, უნდა ვიმეცადინო.

სიჩუმეში კვლავ გაისმა ზუზუნი. პაკომ ამ ხმას ვეღარ გაუძლო და წამოხტა.

– ამ ბუზს ახლავე ვაჩვენებ სეირს! – შესძახა პაკომ და გაზეთს ხელი დასტაცა, დაამრგვალა და ბუზს გაეკიდა, გაზეთს გიჟივით იქნევდა.

– აი, ახლა კი მიიღებ, შე საზიზღარო! შენი ბრალია, ამოცანას რომ ვერ ვხსნი! ახლა ნახავ!

ბუზი მაგიდაზე მდგარ ლარნაკზე დაჯდა. პაკო წამით შედგა, ფეხაკრეფით მიეპარა და გაზეთი მთელი ძალით მოუქნია. ბუზმა აფრენა მოასწრო, გაზეთი ლარნაკს მოხვდა... ლარნაკი შეტორტმანდა, გადმოვარდა და დაიმსხვრა. პაკომ თავში წაიშინა ხელი.

– ეს რა ვქენი! დედას საყვარელი ლარნაკი გავტეხე!

დაიხარა და ნამსხვრევებს უმწეოდ დააცქერდა.

– დედას ძალიან ეწყინება... – ამოიოხრა, – ალბათ, გამიბრაზდება... საშინელი რამ მოხდა!

ბიჭები ერთხანს უხმოდ ისხდნენ, თავჩაქინდრულები. დეტექტივებიდან და საშინელებათა ფილმებიდან ეპიზოდები ახსენდებოდათ.

– გვეყოფა ტანჯვა! – შესძახა უცებ ნიკუშამ და ფეხზე წამოხტა, – მგონი, მოვიფიქრე! ამ პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, – და ფურცელზე რაღაცის წერა დაიწყო გამალებით, – აი, შეხედე, ოთხი ვარიანტი გამოვიდა! ისღა დაგვრჩენია, საუკეთესო ამოვირჩიოთ! ვარიანტი პირველი: იტყვი, რომ ლარნაკი მაგიდიდან თავისით ჩამოვარდა.

– სწორია! – წამოიძახა გახარებულმა პაკომ, – ვიტყვი, რომ ქარმა დაუბერა, ფანჯარა უცებ გაიღო, ლარნაკი გადმოვარდა და გატყდა!

პაკო წამით დაფიქრდა, სკამზე ჩამოჯდა და ამოიოხრა.

– არა, ეს ვარიანტი არ მომწონს... არ მინდა, დედა მოვატყუო... მოდი, მეორე ვარიანტი ვნახოთ: ვიყიდო ზუსტად ასეთი ლარნაკი... მმ... მშვენიერი იდეაა, კაცმა რომ თქვას! ახლავე წავალ და ვიყიდი!

პაკომ თავის ყულაბას ხელი სტაცა და იქიდან ხურდა ფულის გადმოყრა დაიწყო, ბოლომდე გადმოყარა, გადათვალა და ოთახიდან გავარდა. ერთ წუთში უკვე ქუჩის მეორე მხარეს, პატარა მაღაზიაში იყო. ვიტრინაში ზუსტად ისეთი ლარნაკი იდგა... გახარებული პაკო ადგილზე შეხტა... რამდენიმე წუთის შემდეგ პაკო ეზოში შემოვარდა, გარშემო ვერაფერს ამჩნევდა, გახარებული მიქროდა შინისკენ. და უცებ, ზუსტად იმწამს, მაცაცო ხიდან ჩამოფრინდა (ისიც ვერაფერს ამჩნევდა თავის გარშემო, როგორც ყოველთვის)... გაისმა ყვირილის, ჭყივილისა და ლარნაკის მსხვრევის ხმა...

– სირცხვილო! სირცხვილო! – ჭახჭახებდა მაცაცო, – დედაშენის საყ-

ვარელი ლარნაკი გატეხე? ჯობდა, დედაშენის საძულველი ლარნაკი გაგეტეხა!

– გამოდის, რომ უკვე ორი ლარნაკი გავუტეხე... – ლამის ტირილით ჩაილაპარაკა პაკომ.

– კარგი... კარგი... დამშვიდდი, – დააწყნარა მაცაცომ, – ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ! მოდი, კიდევ ერთი ლარნაკი ვიყიდოთ... მესამე ლარნაკი!

პაკომ ნაღვლიანად გააქნია თავი.

– არა, ახალი ლარნაკისთვის ფული აღარ მეყოფა.

– მაშინ, იქნებ ძველი ლარნაკისთვის გეყოს? – იკითხა მაცაცომ, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

დაღვრემილი პაკო და მაცაცო ოთახში შევიდნენ.

– გადაწყვეტილება უნდა მივიღო... – ჩაილაპარაკა პაკომ.

– დიახ, გადაწყვეტილება უნდა მიიღო... – გაიმეორა მაცაცომ და აქეთ-იქით დაიწყო სიარული.

უეცრად მაცაცომ შეჰკივლა, – აა! გამახსენდა! ბებიაჩემი გადაწყ-

ვეტილების მიღების უდიდესი სპეციალისტი იყო! წიგნიც კი დაწერა: „როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად“.

– დამოუკიდებლად? როგორ? – გაუკვირდა პაკოს, – აა, მივხვდი, ესე იგი, როცა თავად წყვეტ, როგორ მოიქცე, არა?

ოთახში ნიკუშა შემოვიდა.

– როგორაა საქმე?

– ჯერჯერობით ცუდად, – ამოიოხრა პაკომ, – მოდი, მესამე ვარიანტი განვიხილოთ: დავგავო და ნამსხვრევები გადავყარო, დედას ლარნაკი აღარ გაახსენდება. არა! – იყვირა პაკომ და ამოიოხრა, – არც ეს ვარიანტი მომწონს... რა ძნელი ყოფილა არჩევნის გაკეთება!

– მოიცადე, ბოლო, მეოთხე ვარიანტიც ხომ გვაქვს, – უთხრა ნიკუშამ, – ორივე ლარნაკი შევაწებოთ!

– არა, – საბოლოოდ წაუხდა გუნება პაკოს, – ერთი მთელი ლარნაკი ორ შეწებებულს ჯობია... არა, არც ერთი ვარიანტი არ მომწონს... მართლა რა ძნელი ყოფილა არჩევნის გაკეთება!

– მოვიფიქრე! – წამოხტა უცებ პაკო, – კიდევ ერთი ვარიანტი არსებობს! მეხუთე ვარიანტი! დედიკოს სიმართლეს ვეტყვი! ვაღიარებ, რომ ლარნაკი მე გავტეხე!

– გაგიჟდი?! – აღელვებული მაცაცო ადგილზე დაბზრიალდა, – დედაშენი გაბრაზდება, შეიძლება დაგსაჯოს კიდეც! მოდი, ვთქვათ, რომ ლარნაკი კოკიმ გატეხა!

– და ჩემ მაგივრად კოკი დასაჯოს? – პაკო მოიღუშა, – არა, არ მინდა.

– მეც არ მინდა! – თავი დაუქნია მაცაცომ.

– რა ვქნა? – ხელები უმწეოდ გაშალა პაკომ.

– არ ვიცი.

– მოდი, პრობლემას მეორე მხრიდან შევხედოთ, – მოიფიქრა პაკომ.

– რომელი მხრიდან? – დაფაცურდა მაცაცო, – აქედან? – და მაგიდის ერთ მხარეს დადგა, – თუ აქედან? – იკითხა მაცაცომ და მაგიდის მეორე მხარეს გადაფრინდა.

– დედიკოს მხრიდან! – წამოიძახა პაკომ. – აი, შენ რომ დედაჩემის ადგილას იყო, რას იზამდი?

– ოოო, – შუბლი შეიკრა მაცაცომ, – კუთხეში დაგაყენებდი! მერე კი... მმ... გაპატიებდი!

– იცი რა, მაცაცო, მე ვარ დამნაშავე და პასუხიც მე უნდა ვაგო, – გამოაცხადა პაკომ და ამაყად გაიჭიმა, – მე გადაწყვეტილება მივიღე. დედას ვეტყვი, რომ ლარნაკი მე გავტეხე... ასე უფრო კარგად ვიგრძნობ თავს!

– ან უფრო ცუდად, —თქვა მაცაცომ და მხრები აიჩეჩა, – ვინ იცის...

პაკომ საათს გახედა.

– უკვე ექვსია. მალე დედაც მოვა, – შენიშნა პაკომ.

– მართლა? – მაცაცო აწრიალდა, – მაშინ მე წავალ... გამახსენდა, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს!

– ჩემი წასვლის დროც მოსულა, – თქვა ნიკუშამ.

– კარგად! – თქვა პაკომ და ამოიოხრა.

– აბა, შენ იცი! – მიაძახეს ნიკუშამ და მაცაცომ პაკოს და ოთახიდან გაცვივდნენ.

– რა უცნაურია, – ჩაილაპარაკა პაკომ, – როგორც კი გადავწყვიტე, რომ დედიკოსთვის სიმართლე მეთქვა, მაშინვე გულზე მომეშვა.

ნიკუშა და მაცაცო ოთახიდან გავიდნენ თუ არა, დეიდა ლალიც გამოჩნდა.

– დედიკო, გამარჯობა! – შესძახა პაკომ და დედას მოეხვია.

– გამარჯობა! როგორ ხარ?

– შენთვის სამი ახალი ამბავი მაქვს, დედიკო: ორი ცუდი და ერთი კარგი... რომლით დავიწყო? – ჰკითხა პაკომ.

– ცუდი ამბავი? სკოლაში იჩხუბე? – შეწუხდა დედა.

– არა, დედიკო, მე,..

– ფეხბურთს თამაშობდი და მეზობლის ფანჯარა ჩაამტვრიე? – მკაცრად ჰკითხა დედამ.

– არა, დედიკო, არა, მე,..

– საკონტროლოში დაბალი ქულა მიიღე?

– არა, დედიკო, მე, უბრალოდ...

– აბა, შენს ასაკში სხვა რა ცუდი ამბავი უნდა იყოს? – გაოცდა დედა.

– ცუდი ამბავი ის არის, რომ შენი საყვარელი ლარნაკი გავტეხე, კარგი ამბავია, რომ ახალი გიყიდე, ცუდი ის არის, რომ ისიც გავტეხე! – სხაპასხუპით მიაყარა პაკომ.

– უჰ! – შვებით ამოისუნთქა დეიდა ლალიმ, – მეგონა, მართლა რაღაც სერიოზული მოხდა... არადა, მხოლოდ ორი ლარნაკი გატეხილა...

– ესე იგი, არ მიბრაზდები? – განცვიფრდა პაკო.

– განზრახ ხომ არ გატეხე? – ჰკითხა დედამ.

– არა, განზრახ არა! შემთხვევით მომივიდა! – უპასუხა პაკომ.

– ამიტომაც არ გიბრაზდები. ეცადე, უფრო ყურადღებით იყო.

– კარგი, დედიკო, აუცილებლად ვეცდები! – პაკომ თავი რამდენჯერმე დაუქნია დედას, მერე კი მოეხვია.

– ამოცანა ამოხსენი? – ჰკითხა დედამ, თან თავზე ხელი გადაუსვა.

– არა, დედიკო, ვერ მოვასწარი, – უთხრა პაკომ, – სამაგიეროდ, გატეხილმა ლარნაკმა უფრო რთული ამოცანა ამომახსნევინა.

საღამოს ხის ძირას შეკრებილი ბავშვები მაცაცოს ყურადღებით უსმენდნენ. ტოტზე მედიდურად შემომჯდარი მგოსანი გატეხილი ლარნაკის ამბავს ჰყვებოდა...

– მაშ ასე, – თქვა მან და სათვალე შეისწორა, რომელიც მეტი სოლიდურობისთვის ნისკარტზე ჩამოეცვა, – ჯერ პრობლემა განვსაზღვრეთ: ლარნაკი გაგვიტყდა... მერე განვსაზღვრეთ მიზანი: არ გვინდოდა, რომ დეიდა ლალის სწყენოდა და არც ის გვინდოდა, რომ დავესაჯეთ... მერე ვარიანტები ჩამოვწერეთ, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტა...

მაცაცო წამოდგა და ტოტზე ჭკვიანური გამომეტყველებით გაიარ-გამოიარა.

– შემდეგ დავკარგეთ სია და ახალი შევადგინეთ! ყველა ვარიანტი ვცადეთ და საუკეთესო შევარჩიეთ! გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ვისწავლეთ!

თქვენ გაეცანით მოთხრობას, დაფიქრდით და გაიახრეთ მოთხრობაში ასახული პრობლემა შემდეგი კითხვების დახმარებით:

1. რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა პაკო?
2. რა ფიქრები იწვევდა პაკოში მტანჯველ განცდებს?
3. პრობლემის გადაწყვეტის რა ვარიანტები განიხილეს ბავშვებმა?
4. რომელი გადაწყვეტილების მიღების დროს ამბობს პაკო მაშინვე გულზე მომეშვაო?
5. რა შედეგი მოჰყვა პაკოს მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებას – ეთქვა დედისთვის სიმართლე?
6. თქვენ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით?

გთხოვთ, შეარჩიოთ მოთხრობაში წარმოდგენილი ვარიანტებიდან ერთ-ერთი და მას შესაბამისი მსვლელობა მისცეთ.

მძინარე მზეთუნახავი

I

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ლიზიკომ ახალი ზღაპარი წაიკითხა და კიდევ ერთხელ შეიგრძნო გმირების განცდები, გადაწყვიტა, ეზოში სპექტაკლი დაედგა. იდეა ყველას მოეწონა.

დიდი კამათის შემდეგ ბავშვებს სპექტაკლთან დაკავშირებით უამრავი იდეა გაუჩნდათ. გადაწყვიტეს, შარლ პეროს ზღაპარი – „მძინარე მზეთუნახავი“ დაედგათ.

– ეს ძალიან მოსახერხებელი იქნება, – არწმუნებდა პაკო ყველას, – განსაკუთრებით, ჩვენისთანა დამწყები მსახიობებისთვის. მთელი სპექტაკლის განმავლობაში მთავარ გმირს სძინავს! ამ როლის შესრულება ძალიან იოლია. მთავარია, რაც შეიძლება ბუნებრივად იხვრინოს, მაყურებელმა უნდა დაიჯეროს, რომ მზეთუნახავს მართლა სძინავს!

თუთას გაეცინა. მხვრინავი მზეთუნახავი ვერაფრით წარმოიდგინა და სიცილით ჰკითხა პაკოს: დარწმუნებული ხარ, რომ მზეთუნახავი მართლა ხვრინავს?

– ხვრინავს რომელია! – დარწმუნებით მიუგო პაკომ, – ზოგჯერ ისე ხვრინავს, რომ ყველას აღვიძებს!

ეს რომ გაიგო, კოკიმ შურით გახედა მაცაცოს.

– ესე იგი, გადაწყვეტილია! – უჩურჩულა, – ჩათვალე, რომ მძინარე მზეთუნახავის როლი შენია!

მაცაცომ გაიღიმა, კოკის სიტყვები ესიამოვნა.

„ცაში მოლივლივე პრიმადონა! შეუდარებელი მაცაცო!“ – მაცაცომ მომავალი სპექტაკლის აფიშები წარმოიდგინა, – „მხოლოდ ერთი წარმოდგენა! მხოლოდ დღეს!“ მაცაცო ოცნებამ ისე გაიტაცა, კინაღამ ტოტიდან ჩამოვარდა.

– მაშ ასე! – თქვა ლიზიკომ, რომელიც სპექტაკლის რეჟისორი იყო, – ახლა როლები უნდა გავანაწილოთ!

მაცაცო გამოფხიზლდა.

– მძინარე მზეთუნახავი უნდა იყოს ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი და ყველაზე ნაზი... – დაიწყო ლიზიკომ.

მაცაცოს გული აუფანცქალდა. „ჩემზე ლაპარაკობს, ეს მე ვარ, მე!“ – გაიფიქრა გულაჩუყებულმა, თვალზე კინაღამ ცრემლი მოადგა და როცა

ლიზიკომ დაამატა, მძინარე მზეთუნახავს ნაზი ხმა და ლამაზი კაბა უნდა ჰქონდესო, მაცაცო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთავარი როლი მას ეკუთვნოდა – უმშვენიერესსა და შეუდარებელ მაცაცოს!

„მხოლოდ დღეს! მხოლოდ ერთი წარმოდგენა!“ – მაცაცომ ნათლად წარმოიდგინა აფიშა, – „გენიალური მაცაცო შარლ პეროს სპექტაკლში „მძინარე მზეთუნახავი“.

– ამ როლს თუთა შეასრულებს! – ჩაესმა მაცაცოს ლიზიკოს ხმა. ბავშვებმა ტაში დაუკრეს.

– რა? – მშვიდად იკითხა მაცაცომ. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ შეცდომას შენიშნავენ და თვითონვე გამოასწორებენო, – რა თქვი?

ლიზიკომ, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რას განიცდიდა მაცაცო, გაიმეორა:

– მე ვთქვი, რომ მძინარე მზეთუნახავის როლს თუთა შეასრულებს.

– რაო?! – იკივლა მაცაცომ, – როგორ ბედავთ! მე... მე პროტესტს ვაცხადებ!

ბავშვებმა მაცაცოს გაოცებით შეხედეს.

– რატომ? – ჰკითხეს.

– იმიტომ, რომ მძინარე მზეთუნახავი მე უნდა ვიყო!

– შენთვის, მაცაცო, განსაკუთრებული როლი გვაქვს, – დაამშვიდა ლიზიკომ.

– რა როლი? – იმედიანად იკითხა მაცაცომ, თუმცა ჯერ ისევ გაბრაზებული იყო.

– ძალიან მნიშვნელოვანი როლია! შენ გარდა ამ როლს ვერავინ შეასრულებს!

– რა როლია? – ტკბილი ხმით იკითხა მაცაცომ.

– ეს... ბოროტი ფერიის როლია! – აუხსნა ლიზიკომ, ხელი მეგობრულად გადახვია და გააგრძელა, – მთავარ სცენაში საზარლად უნდა დაიყრანტალო და ჰაერში ნელ-ნელა, ავისმომასწავებლად აფრინდე!

მაცაცო დაიჯღანა. ლიზიკო გაბრაზებით მოიშორა.

– მომისმინე, – სასწრაფოდ უთხრა ლიზიკომ, – ბოროტი ფერიის როლი ძალიან მნიშვნელოვანი როლია!.. აბა, მძინარე მზეთუნახავის როლი შენ როლი გგონია? მთელი სპექტაკლი სძინავს და სძინავს... თან ბოროტი ფერიაც ძალიან ლამაზი უნდა იყოს!

– მმ... კარგი, კარგი... – ჩაილაპარაკა მაცაცომ ბოლოს. ბოროტი ფერიაც რომ ლამაზი უნდა იყოს, ეს მოეწონა.

ლიზიკომ შვებით ამოისუნთქა. ახლა შეიძლება მშვიდად გააგრძელოს

როლების განაწილება. ნიკუშას უფლისწულის როლი ერგო, პაკოს – მთხრობელის, კოკის – ცხენის. მაგრამ აქ ახალი პრობლემა წარმოიშვა.

– რატომ არის ჩემი როლი უსიტყვო? – აღშფოთდა კოკი.

– იმიტომ, რომ ცხენი ხარ! – მიუგო პაკომ, – ამ ზღაპარში ცხენი არ ლაპარაკობს!

– მეც სწორედ ეგ ვიკითხე: ჩემი როლი ასეთი რატომ არის?

– კოკი, იცი რა... – დაიწყო ლიზიკომ, – თეატრალურ ხელოვნებაში არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ უსიტყვო როლები.

– და ცხენის როლი მნიშვნელოვანია?

– რა თქმა უნდა! ძალიან მნიშვნელოვანია! ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლია! უფლისწულს ცხენი რომ არ ჰყოლოდა, მძინარე მზეთუნახავამდე ვერ მიაღწევდა! და თუ ვერ მიაღწევდა, სპექტაკლიც არ იქნებოდა!

– ეს მესმის! ესე იგი, მე უმნიშვნელოვანესი როლი მქონია! – წამოიძახა გახარებულმა კოკიმ და ამაყად აპრიხა კუდი.

დიახ! თუ მნიშვნელოვან როლს განდობენ, კუდიც ამაყად უნდა აპრიხო! „და რა ვქნათ ჩვენ, თუ კუდი არ გვაქვს?“ – იკითხავთ... მმ... ეს უკვე თქვენი პრობლემაა!

II

პირველი რეპეტიცია მეორე დღისთვის იყო დანიშნული.

ბუნებრივია, ყველა ღელავდა. ბოლოს და ბოლოს, ლიზიკომ რეპეტიციის დაწყება გამოაცხადა. პაკო სცენაზე გამოვიდა.

– ერთ მშვენიერ დღეს, – ხმამაღლა გამოაცხადა მან, – ერთ მშვენიერ სამეფოში მეფესა და დედოფალს ულამაზესი ქალიშვილი შეეძინათ... ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დღესასწაულს მოაწყობდნენ მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, რამდენ სტუმარს მოიწვევდნენ! მაგრამ... უცებ საშინელება მოხდა... სასახლეში ბოროტი ფერია მოფრინდა...

სცენაზე მაცაცო გამოფრინდა. ყველა მას შეჰყურებდა. მაგრამ მაცაცო ხმას არ იღებდა, მდუმარედ იდგა.

– მიდი, მაცაცო, – უჩურჩულა ლიზიკომ, – დაიწყე! თქვი: მე ყველაზე ბოროტი ფერია ვარ ამქვეყნად! მე თქვენ მოგაჯადოებთ!

მაგრამ მაცაცო არაფერს ამბობდა... უცებ ისეთი გულისტკივილი იგრძნო, კინაღამ ატირდა. ყველას დადებითი როლი აქვს და კეთილ და მომხიბლავ ჩიტუნას უარყოფითი როლი რატომ უნდა ჰქონდეს? რატომ უნდა შეელახოს სახელი? რა უსამართლობაა!

– მე არა ვარ ბოროტი ფერია! – აკანკალებული ხმით დაიწყო, – მე მზეთუნახავი ვარ! მე მძინარე მზეთუნახავი ვარ!

მაცაცო სცენიდან ჩამოვიდა და სახლისკენ წალასლასდა. ფრენის სურვილიც აღარ ჰქონდა. აბა, როგორ გინდა იფრინო, როცა გულზე ამხელა ლოდი გაწევს? დამეთანხმეთ, ცაში ფრენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა გულს უხარია!

ბავშვები დაიბნენ.

– რა ვქნათ? – იკითხა ლიზიკომ.

– არ ვიცი, – მიუგო ნიკუშამ, – გამოუვალი სიტუაციაა, გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია... თუ როლს მაცაცოს მივცემთ, თუთას ეწყინება, თუ ყველაფერს ისე დავტოვებთ, როგორც არის, მაცაცოს...

– ეწყინება და ეწყინოს! – წამოიძახა პაკომ, – ეგ მისი პრობლემაა!

– მე მგონი, ჩვენი საერთო პრობლემაა! – შეეპასუხა ლიზიკო, – სპექტაკლს ერთად ვდგამთ, ესე იგი, გადაწყვეტილებაც ერთად უნდა მივიღოთ.

– მივხვდი! – წამოიძახა კოკიმ, – მოდი, პრობლემის გადაჭრის საკუთარი ვარიანტი ყველამ მოვიფიქროთ და მერე ამოვირჩიოთ, რომელი ჯობია! ჩემი ვარიანტი უკვე მოვიფიქრე: მოდი, მძინარე მზეთუნახავი გოგონა კი არა, ბიჭი იყოს. მე შეიძლება, დაგთანხმდეთ კიდეც... მთავარ როლს მე შევასრულებ... თუ შემეხვეწებით, ცხადია...

– თუთას და მაცაცოს ვისი როლი უნდა მივცეთ? – დაიბნა ნიკუშა,–

არა, ეს ვარიანტი არ ვარგა!

– მაშინ ჩემს ვარიანტს გთავაზობთ: ამ სპექტაკლს თავი დავანებოთ და ველოსიპედებით შევეჯიბროთ ერთმანეთს, ვნახოთ, ვინ გაასწრებს! – თქვა პაკომ.

– პაკო, – საყვედურით მიმართა ლიზიკომ, – ჩვენ ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტას ვცდილობთ და არა მისგან გაქცევას!

ყველამ სხაპასხუპით დაიწყო საკუთარი ვარიანტის შეთავაზება. ყველაზე დიდი მოწონება თუთას ვარიანტმა დაიმსახურა. ასეთი რაღაც მოიფიქრა: ერთ მშვენიერ დღეს, ერთ მშვენიერ სამეფოში მეფესა და დედოფალს ორი ულამაზესი ქალიშვილი შეეძინათ – თუთა და მაცაცო... ყველა ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ მერე სასახლეში მოფრინდა ბოროტი ფერია (ლიზიკო) და მეფის ასულები მოაჯადოვა. ფერიამ მარადიული ძილით დააძინა გოგონები... მაგრამ, აი, გამოჩნდა ორი რაინდი – ნიკუშა და კოკი. მათ აკოცეს მზეთუნახავებს და გააღვიძეს...

ყველა აღფრთოვანდა! ყოჩაღ, თუთა, ყოჩაღ! რა კარგად მოიფიქრე! თუ მოვინდომებთ, სწორი გადაწყვეტილების მიღება რა იოლი ყოფილა! დიახ, მთავარია, ყველა ვარიანტი მშვიდად განიხილო და საუკეთესო ამოარჩიო!

თქვენ გაეცანით მოთხრობას, ახლა კი, რვეულში გადაიხაზეთ და შეავსეთ ქვემოთ მოცემული სქემები:

სქემა 1

პერსონაჟები	**რა სურს**	**რა შედეგი მოჰყვება**
ლიზიკო		
მაცაცო		
კოკი		

სქემა 2

პრობლემა	
გადაწყვეტილების მიღების ხერხი	
შემოთავაზებული ვარიანტები:	
საბოლოო ვარიანტის უპირატესობანი:	

წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებთ და იგებთ, რომ ქალაქში, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ერთი თვის განმავლობაში არც ერთი უფროსი არ იქნება. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რაც გინდათ. რას იზამდით?

მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ ქმედებების ჩამონათვალი, შემდეგ განსაზღვრეთ შედეგები, შეარჩიეთ სასიკეთო შედეგების მომტანი და გაუზიარეთ თქვენს ახლობლებს, შეძლებისდაგვარად განახორციელეთ ჩანაფიქრი.

თავი 6 შეთანხმება ანუ პრობლემის ერთობლივად მოგვარება

თქვენ უკვე იცით, როგორ მიიღოთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილება და ეს ძალიან კარგია. მაგრამ, ხშირად, სხვებთან ერთად არის ხოლმე რაიმე გადასაწყვეტი და გასაკეთებელი. ასეთ დროს მიზნის მისაღწევად და წარმატებისთვის საჭიროა ბევრი რამის გათვალისწინება. ერთობლივ საქმეში მთავარია ***შეთანხმება.***

ჩვენ ხშირად გვჭირდება სხვადასხვა შეთანხმებები. ზოგჯერ ვახერხებთ, ზოგჯერ – ვერა. ჩვენც გზადაგზა ვსწავლობთ, როგორ მოვიქცეთ ისე, რომ არავინ დარჩეს ნაწყენი და ყველამ თავის მიზანს მიაღწიოს. მასწავლებელთან, თანაკლასელებთან და ჩვენი ეზოს ბინადრებთან ერთად, დარწმუნებული ვარ, თქვენც ისწავლით პრობლემების მოგვარებას.

ყურადღებით წაიკითხეთ მოთხრობა და გააანალიზეთ, როგორ შეიძლება ერთმანეთის დახმარება. გაკვეთილზე კი თანაკლასელებთან ერთად დარწმუნდით, რომ რთულ ვითარებაშიც კი შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოცეკვავე

ნიკუშა გოგონებთან ერთად ეზოში თამაშობდა. გამოჩნდა პაკო. ხელში პატარა მაგნიტოფონი ეჭირა. ძელსკამზე ფრთხილად დადო, ჩართო, ხმა ბოლომდე აუწია და ადგილზე სწრაფად, უცნაურად ამოძრავდა, მთელი ტანით იგრიხებოდა და იგრიხებოდა.

– აუჰ! – შესძახა მაცაცომ აღტაცებით, – ასეთი ცეკვა ერთ-ერთ კუნძულზე მინახავს! იქაური ტომი „ტუმბა-მუმბა“ ამ ცეკვას მზის ჩასვლის დროს ასრულებს ხოლმე!

– ასე გიჟურად თავის ქნევა რა საჭიროა? – ყვირილით ჰკითხა თუთამ. ცდილობდა, როგორმე მუსიკის ხმა დაეფარა.

თუთა მაგნიტოფონთან მივიდა და ხმა ჩაუწია.

– რა ხდება? – გაოცდა პაკო, – მუსიკა არ მოგწონთ თუ ჩემი ცეკვა? მე ცეკვას ვსწავლობ, ხელს ვერავინ შემიშლის! – თქვა პაკომ და მაგნიტოფონს ხმა ბოლომდე აუწია.

– ასე არ შეიძლება! – თქვა ნიკუშამ და ხმა ჩაუწია, – ან დაბალ ხმაზე

იცეკვე, ან სხვაგან წადი... ვატყობ, მაცაცოს თავი ასტკივდა, შეწუხებულმა კოკიმ კი ყურებში ბამბა შეიტენა.

– კარგად მოგიფიქრებია, კოკი! – შესძახა პაკომ, – ესე იგი, ჩემი მუსიკა აღარ გაწუხებს! – და ხმა ბოლომდე აუწია.

— პაკო, გაკვეთილები გვაქვს მოსამზადებელი! ამ ხმაურში კი ვერაფერს ვისწავლით! – უთხრა ლიზიკომ და მაგნიტოფონს ხმა ჩაუწია.

– იცით რა, თქვენი პრობლემები თვითონ მოაგვარეთ! – მოუჭრა პაკომ, – მე ჩემიც მეყოფა! ცეკვა უნდა ვისწავლო და მათემატიკაში ნიშანი გამოვასწორო, – თქვა პაკომ და ხმა ისევ აუწია.

ნიკუშამ ისევ ჩაუწია.

– რა გინდათ, მუსიკის გარეშე ვიცეკვო? – უცებ პაკომ მაგნიტოფონი გამორთო და უცნაური ხტუნვა და მანჭვა-გრეხა დაიწყო, – მოგწონთ?

როცა დედიკომ მითხრა, კროსვორდს ვავსებ და მუსიკა ხელს მიშლისო, გგონიათ, ეს მეთოდი არ ვცადე? მაგრამ ცეკვას მუსიკის გარეშე ვერავინ ისწავლის!

უცებ პაკომ მაგნიტოფონს ხელი დასტაცა და სახლისკენ გაბრაზებული წავიდა.

– ჰოო... მთლად კარგად არ გამოვიდა, – ჩაილაპარაკა ბაომ, – ერთი მხრივ, პაკოს უნდა ცეკვის სწავლა, მეორე მხრივ, ხმამაღალი მუსიკა ყველას აწუხებს...

– იცით, რას გეტყვით, – ჩაურთო მაცაცომ, – თავის ტკივილი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ხალხური შემოქმედება!

– ნუღარ ვიკამათებთ, – გააგრძელა ბაომ, – აი, ნახავთ, აუცილებლად ვიპოვით გამოსავალს.

– მოდი, ახლავე ვიპოვოთ! – შესძახა კოკიმ.

– ისეთი გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, რომ ყველას მოეწონოს, ყველა კარგად გრძნობდეს თავს, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ და ისიც ჩაფიქრდა.

– როგორ მოვიქცეთ, რომ პაკო მუსიკის ხმაზე ცეკვავდეს, მაგრამ მუსიკა არ ისმოდეს? – კითხვა დასვა თუთამ.

– გამოცანებით ნუ ლაპარაკობ! – უთხრა კოკიმ, – შეუძლებელია, უკრავდეს და არ ისმოდეს!

– მგონი მოვიფიქრე! – შესძახა ლიზიკომ, – გამოცანის პასუხს მივაგენი! შეიძლება უკრავდეს, მაგრამ პაკოს გარდა არავის ესმოდეს!

ბავშვები ლიზიკოს შემოეხვივნენ...

მეორე დღეს ეზოში ყველა შეიკრიბა, პაკოს გარდა.

– ყველაფერი მზადაა? – იკითხა ბაომ.

– ყველაფერი! – ერთხმად შესძახეს ბავშვებმა, – პაკოს დაველოდოთ!

მალე ეზოში პაკოც გამოჩნდა. არც კისრისტეხით მორბოდა, არც ცალ ფეხზე ხტოდა, არც ბურთს ათამაშებდა, არც თმა ჰქონდა გაჩეჩილი, არც ჩაჩაჩული და დახეული შარვალი ეცვა... და საერთოდ, ძალიან უჩვეულოდ გამოიყურებოდა... უბრალოდ მოდიოდა... ძელსკამზე ბავშვები ისხდნენ. ნაღვლიან და თავჩაქინდრულ პაკოს მათ გვერდით უნდა ჩაევლო...

– პაკო, არ გინდა ბურთი ვითამაშოთ? – ჰკითხა ნიკუშამ.

– არა, არ მინდა, – ჩაიბურტყუნა პაკომ.

– იქნებ, დამალობანა გინდა? – შესთავაზა ლიზიკომ.

— არ მინდა, – თქვა პაკომ, მერე კი დაუმატა, – საერთოდ არაფერი აღარ მინდა.

– არ შეიძლება, არაფერი არ გინდოდეს, – თქვა მაცაცომ და ხიდან ჩამოფრინდა.

– მე ცეკვის სწავლა მინდოდა, მაგრამ ყველას ხელს გიშლიდით... – ჩაილაპარაკა პაკომ გულისტკივილით, – ახლა კი მართლა არაფერი აღარ მინდა...

– ჩვენც გვინდა, რომ ცეკვა ისწავლო! – ბავშვები სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ, – გვინდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვავე გახდე!

– მაგრამ მუსიკის გარეშე ხომ ვერ ვიცეკვებ! რა ვქნა? არჩევანი არ მაქვს!

– გაქვს! – გამოაცხადა მაცაცომ, – ძალზე დიდი არჩევანია მაღაზიაში, აქვე, ქუჩის კუთხეში... სწორედ იქიდან მოვდივართ!

– გამომართვი! – თქვა ნიკუშამ და პაკოს მომცრო კოლოფი გაუწოდა.

– ეს რა არის? – გაოცებულმა პაკომ სასწრაფოდ შემოაცალა ქაღალდი კოლოფს...

როდესაც კოლოფი გაიხსნა, პაკომ ახალთახალი ფლეიერი და მომცრო ყურსასმენები დაინახა.

– ახლა შეგიძლია ბოლომდე აუწიო ხმა და იცეკვო რამდენიც გინდა! – თქვა ბაომ, – ხელს მაინც ვერავის შეუშლი!

– ვაშა! მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვავე გამოვალ! – შესძახა პაკომ და დისკის მოსატანად გავარდა.

– ეს პრობლემაც გადაწყდა! – თქვა მაცაცომ, – აბა, როდისთვის დავნიშნოთ საჩვენებელი საღამო?

ყველამ მხიარულად გაიცინა.

სავარჯიშო 1:

ჯერ ყურადღებით მოუსმინეთ მასწავლებელს და ზუსტად შეასრულეთ დავალება, რომელსაც პირადად მოგცემთ. თქვენ 5 წუთი გაქვთ.

აბა, ყოჩაღად!

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს და გამოიტანეთ დასკვნები:

1. ენახოთ მოახერხეთ დავალების შესრულება?
2. ძნელი იყო საკარჯიშოს კეთება?
3. თქვენ რომელი გხა აირჩიეთ დავალების შესასრულებლად?
4. როგორ ფიქრობთ, დავალების შესასრულებლად თქვენი არჩეული გხა საუკეთესოა?
5. სხვა გხა ხომ არ ჯობდა? გიცდიათ?

სავარჯიშო 2: განხილვა

მასწავლებლის დახმარებით განაწილდით 4 ჯგუფად. ახლა ერთობლივად შეთანხმდით, თუ რას ჩაწერთ თქვენი სამუშაო ფურცლის შესაბამის უჯრებში. თუ გაგიჭირდებათ შევსება, ჰკითხეთ მასწავლებელს და ის აუცილებლად დაგეხმარებათ. 10 წუთში დაასრულეთ სამუშაო.

სავარჯიშო 3: წარდგენა

ახლა ყურადღებით მოუსმინეთ თქვენს თანაკლასელებს. მათ თქვენსავით მნიშვნელოვანი და საინტერესო დავალება შეასრულეს. თუ ყველა ჯგუფის ცხრილს გაკვეთილის ბოლომდე გაეცნობით, მთელი კლასი ერთობლივად გადაჭრის „ჩვენი ეზოს“ პრობლემას.

ახლა კი უპასუხეთ კითხვებს და გამოიტანეთ დასკვნები:

1. ვნახოთ, მოახერხეთ დავალების შესრულება?
2. ძნელი იყო საქარჯიშოს კეთება?
3. თქვენ რომელი გზა აირჩიეთ დავალების შესასრულებლად?
4. როგორ ფიქრობთ, დავალების შესასრულებლად თქვენი არჩეული გზა საუკეთესოა?
5. სხვა გზა ხომ არ ჯობდა? გიცდიათ?

სავარჯიშო 1: „საზღვარი“.

მასწავლებელმა სავარჯიშო შემოგთავაზათ. ალბათ, იყოჩაღეთ. აბა, დაფიქრდით და უპასუხეთ ამ კითხვებს:

1. *ვინ მიაღწია მიზანს?*
2. *თქვენ რა ხერხს მიმართეთ მიზნის მისაღწევად?*
3. *რას გრძნობდით სავარჯიშოს შესრულების დროს?*
4. *როგორ ფიქრობთ, ყოველ თქვენგანს შეეძლო მიზნის მიღწევა? რატომ?*

სავარჯიშო 2: „ოქროს წესი.“

თანაკლასელებთან ერთად, თქვენს საერთო კითხვარში ჩამოთვალეთ მოთხრობა „მოცეკვავეში“ აღწერილი პრობლემების მიზეზები.

ცხოვრებაში თქვენ სხვადასხვანაირი პრობლემები გხვდებათ და იმედია, წარმატებით აგვარებთ.

თქვენც ამ „ოქროს წესს“ იყენებთ?

- ✓ *ვიწყებთ თანამშრომლობას ადამიანებთან.*
- ✓ *აუცილებლად ვითვალისწინებთ ვითარებას, განვსაზღვრავთ, რისი*

შეცვლა შეგვიძლია და რისი – არა. ვმოქმედებთ ვითარების შესაბამისად.

- ✓ *გვახსოვს, რომ არსებობს მოლაპარაკების შესაძლებლობა და ვცდილობთ მის გამოყენებას.*
- ✓ *ყოველთვის გვახსოვს, რომ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია პრობლემის გადადებით.*

სავარჯიშო 3: „რეცეპტი.“

წარმოიდგინეთ, რომ ექიმი ხართ, გაქვთ ავადმყოფისთვის გამოსაწერი წამლის რეცეპტის ერთადერთი ფურცელი და მასზე მხოლოდ ერთი სიტყვის დაწერა შეიძლება. „ჩვენი ეზოს“ ავადმყოფობას კი „პრობლემა“ ჰქვია. მოილაპარაკეთ თქვენი ჯგუფის წევრებთან და ჩაწერეთ რეცეპტში საუკეთესო და უებარი წამლის დასახელება.

საშინაო დავალება: წაიკითხეთ მოთხრობა „გულადი მეკობრის განძი“. განსაზღვრეთ მოთხრობაში აღწერილი უთანხმოების მიზეზები და პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები. გადაიხაზეთ მოყვანილი ცხრილი რვეულში და ჩაწერეთ თქვენი მოსაზრებები.

კონფლიქტის მიზეზი	კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები

ჩამოაყალიბეთ კონფლიქტის მოგვარების, თქვენი აზრით, საუკეთესო გზა. დაასაბუთეთ, რატომ მიგაჩნიათ ასე?

თემა 7 მოლაპარაკება

*მგონი, ერთად დავრწმუნდით, რამდენი სხვადასხვა, დიდი თუ პატარა პრობლემა შეიძლება შეგვხვდეს გადასაჭრელად. შეთანხმების მიღწევაც, თურმე, ყოველთვის ერთნაირი გზით არ ხდება. თუმცა, არის ერთი ხერხი, რომელიც ძალიან, ძალიან ხშირად გამოგვდგომია ჩვენს ეზოში – **მოლაპარაკება**.*

დაიხსომეთ:

***მოლაპარაკება** არის შეთანხმების მიღწევის მცდელობა დასაბუთებული მსჯელობისა და მშვიდი კამათის გზით.*

აბა, გაიხსენეთ, გამოიყენეს თუ არა „ჩვენი ეზოს“ გმირებმა შეთანხმების მისაღწევად მოლაპარაკება რომელიმე პრობლემის ერთობლივად მოგვარების დროს?

ახლა კი ყურადღებით წაიკითხეთ, როგორ იპოვეს ჩვენს ეზოში განძი.

გულდი მეკობრის განძი

მაცაცო ხეზე იჯდა და ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა.

– მაცაცო, შემთხვევით, დედაჩემი ხომ არ გინახავს? – ჰკითხა თუთამ.

– ვნახე, რასაკვირველია, ვნახე. ყოველთვის ყველაფერს ვხედავ, – ამაყად გამოაცხადა მაცაცომ.

– სად არის? – გაუხარდა თუთას.

– აბა, მე რა ვიცი, დედაშენი სად არის?

– ახლა არ მითხარი, დედაშენი ვნახეო?!

– ვაჰ, ეს რა ბავშვია, – აღშფოთდა მაცაცო, – რასაკვირველია, ვნახე დედაშენი, მაგრამ ახლა სად არის, არ ვიცი.

– მეც არ ვიცი, დილიდან ვეძებ, ვეძებ და ვერ მიპოვია... – დანაღვლიანდა თუთა. – ვაი, ეს რა არის? – თქვა მან და მიწიდან რაღაც ქაღალდი აიღო, – მმ... აქ რაღაც ნახატია... სახლი, ეზო, ხე, ქვემოთ კი რაღაც წერია...

ამ დროს ეზო ახმაურდა. ბავშვები პაკოს გარშემო შეკრებილიყვნენ.

– ბაბუამ მაჩუქა! – ამაყად გამოაცხადა პაკომ, ხელში ბინოკლი ეჭირა. მომისმინეთ, – თქვა პაკომ, – მაგარი იდეა მაქვს! ამ ბინოკლით შეგვიძლია მეკობრეობანა ვითამაშოთ!

ბავშვებმა სახელდახელოდ დაინაწილეს ეკიპაჟის წევრების როლები და საქმეს შეუდგნენ. ძელსკამი ხომალდად გამოიყენეს, ლიზიკომ აფრებისთვის სარეცხის თოკი მოხსნა, პაკომ დროშის ნაცვლად თავისი სპორტული მაისური გამოკიდა, კოკიმ ძველი საბურავი მოიტანა და კმაყოფილმა გამოაცხადა:

– ეს იქნება მაშველი რგოლი!

– ადგილებზე! – ბრძანა ნიკუშამ და თამაში დაიწყო.

– მარჯვნივ გემი ჩანს! – დაიყვირა პაკომ.

– ყურადღება! მოემზადეთ! – ბრძანება გასცა ნიკუშამ, – გემი ხელში უნდა ჩავიგდოთ!

– კაპიტანო, ცუდი ამინდია მოსალოდნელი! – უპატაკა უცებ პაკომ, – თავდასხმას ვერ განვახორციელებთ!

– რა სისულელეა, – არ დაეთანხმა ნიკუშა, – მშვენიერი ამინდია!

– კაპიტანი მართალია, – მხარი დაუჭირა ნიკუშას ლიზიკომ, – დღეს მშვენიერი ამინდია.

– დარწმუნებული ვარ, შტორმი იქნება! – ხმამაღლა თქვა პაკომ. თოკი მოქაჩა და აფრა დაუშვა.

– ზღვა მშვიდი იქნება, – დაბეჯითებით გამოაცხადა ნიკუშამ. მერე თოკს ხელი წაავლო და აფრა ისევ გაშალა.

– მე მაინც, მგონია, რომ ამინდი აუცილებლად შეიცვლება! – შესძახა პაკომ, თოკს ხელი სტაცა და აფრა დაუშვა.

– მგონი, გუნება გამიფუჭდა, – წყენით ჩაილაპარაკა ნიკუშამ და გაბრაზებული ძელსკამზე ჩამოჯდა.

– მე ასე არ ვთამაშობ! თუ შტორმი არ იქნება, თამაში არ მაინტერესებს! – განაცხადა პაკომ.

– ჩვენ კი ის არ გვაინტერესებს, თქვენ რა გაინტერესებთ! – თქვა გადაჭრით ლიზიკომ და ნიკუშას გვერდით დაჯდა.

– არ გაინტერესებთ და კარგად იყავით! თუთა, კოკი, წავიდეთ აქედან! – თქვა პაკომ. სამივენი ეზოს ბოლოსკენ გაემართნენ.

ძელსკამზე ნიკუშა და ლიზიკო დარჩნენ. მაცაცომ ხვრინვა ამოუშვა, მერე სკამიდან გადმოვარდა და გაეღვიძა.

– მაცაცო, მოდი, მეკობრეობანა ვითამაშოთ, – შესთავაზა ნიკუშამ. იმედი ჰქონდა, რომ მაცაცო დათანხმდებოდა.

– მეკობრეობანა? საშიში ხომ არ არის? – ჰკითხა მაცაცომ.

– არა, სრულიადაც არა! საინტერესო და სახალისო თამაშია, – სწრაფად მიუგო ლიზიკომ.

– რადგან საშიში არ არის, სიამოვნებით ვითამაშებ, – დაეთანხმა მაცაცო, – მაგრამ სად არიან ჩვენი მეგობრები?

– ისინი ჩვენი მეგობრები კი არა, მეტოქე მეკობრეები არიან! – მიუგო ნიკუშამ.

– აა, მეტოქეები! ახლავე ვაჩვენებ, ვინ არის ჩვენ შორის ნამდვილი მეკობრე! – შესძახა მაცაცომ.

– ვაჩვენებთ, ვინ არის ჩვენ შორის ნამდვილი მეკობრე! – ერთხმად აიტაცეს ნიკუშამ და ლიზიკომ.

უცებ ნიკუშა დაიხარა, სკამის ქვეშ შეიხედა და იქიდან რაღაც დაჭმუჭნული ფურცელი გამოიღო.

– ეს რა არის? – გაოცებით ჩაილაპარაკა, ფურცელი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

გაბედულმა მეკობრემ განძი გადამალა...
თავიდან როგორ უნდა მოიქცე, მეგობარი გეტყვის,
ამის შემდეგ მარცხნივ ერთი ნაბიჯი გადადგი,
მერე – ათი ნაბიჯი სამხრეთით... გეზი არ შეცვალო...

– განძამდე ათი ნაბიჯი ყოფილა! – აღელდა მაცაცო, – ჩვენ კი სულელებივით ვდგავართ! უნდა ვიჩქაროთ, თორემ მეტოქეები დაგვასწრებენ!

– კი მაგრამ, რომ არ ვიცით, საიდან უნდა დავიწყოთ ნაბიჯების ათ-

ვლა? – დაფიქრდა ლიზიკო, – აქ წერია, თავიდან როგორ უნდა მოიქცე, მეგობარი გეტყვისო... ეს იგი, მეგობარი უნდა ვიპოვოთ!

ამ დროს თუთა, პაკო და კოკი მოშორებით ისხდნენ და იმ ფურცელს დაჰყურებდნენ, რომელიც თუთამ იპოვა დილით.

– ეს ნამდვილი მეკობრეების რუკაა! – აღტაცებით წამოიძახა პაკომ.

– როგორ გაგვიმართლა! ნიკუშა და ლიზიკო შურით გასკდებიან! – თქვა კოკიმ.

– შეხედეთ, ქვემოთ რაღაც წერია, – თქვა თუთამ და ფურცელზე მიუთითა.

– ახლავე წავიკითხავთ, – მიუგო პაკომ, – უი, ლექსი ყოფილა, —თქვა და ლექსი ხმამაღლა წაიკითხა:

გაბედულმა მეკობრემ გადამალა განძი...
შეთანხმების ადგილიდან საშხრეთისკენ წადი...
და გადადგი მხოლოდ ორი ნაბიჯი...
ყურადღებით იყავი, დანარჩენს
მეგობარი გეტყვის.

– ყველაფერს მივხვდი! – შესძახა პაკომ, – ეს ის ადგილია, სადაც განძია დამალული. ოღონდ ეს „შეთანხმების ადგილი“ სად არის? სასწრაფოდ უნდა ვიპოვოთ!

პაკომ და მისმა გუნდმა მთელი ეზო ნაბიჯ-ნაბიჯ გადაზომეს. ისინი „შეთანხმების ადგილს“ ეძებდნენ. ამ დროს მათთან ნიკუშა, ლიზიკო და მაცაცო მივიდნენ. ხელში რუკა ეჭირათ. პაკო განცვიფრდა:

– როგორ, თქვენც გაქვთ რუკა? შეუძლებელია! რუკა ხომ ჩვენ გვაქვს!

– რა უცნაურია! – ნიკუშაც გაოცდა, – ჩვენც ზუსტად ასეთი გვაქვს!

– თითქმის ერთნაირია! – შესძახა თუთამ.

– ოღონდ ტექსტია განსხვავებული, – დააკვირდა ლიზიკო.

– მივხვდი, ჩვენ იმათი რუკა გვჭირდება, – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, – სწორედ იქ წერია, თავიდან რა უნდა ვქნათ!

– არა, ეს ჩვენ გვჭირდება თქვენი რუკა, – გამოაცხადა პაკომ, – მანდ წერია, როგორ უნდა მოვიქცეთ!

– გამოდის, რომ განძს მხოლოდ ის იპოვის, ვისაც რუკის ორივე ნაწილი ექნება, – მოისაზრა ლიზიკომ.

– დიახ! ასე გამოდის! – შესძახა ნიკუშამ.

– მმ... და ახლა რაღა ვქნათ? – აღელდა მაცაცო, – უნდა მოვილაპარაკოთ! უნდა ვცადოთ, რომ შევთანხმდეთ!

– ჩვენ გვინდა, განძი ვიპოვოთ! – განაცხადა პაკომ.

– ჩვენც გვინდა, განძი ვიპოვოთ! – მიუგო ნიკუშამ.

– ხომ ხედავთ! გამოდის, რომ ჩვენ ერთი და იგივე რაღაც გვინდა! – ერთხმად თქვეს თუთამ და ლიზიკომ.

– მაშინ რატომ ვკამათობთ? – გაუკვირდა კოკის.

– ნახე, რა მარტივი ყოფილა! დღეიდან იმაზე კი არ ვიფიქრებ, რა მინდა, არამედ იმაზე, რატომ მინდა, – ჩაილაპარაკა თუთამ.

– მოდი, ჩვენი რუკები შევაერთოთ და ერთად ვეძებოთ განძი! – შესთავაზა ბავშვებს ნიკუშამ. ორივე ფურცელი გვერდიგვერდ დადეს და დააცქერდნენ.

– მგონი, შეთანხმების ადგილი ის არის, სადაც მოლაპარაკება ხდება. – პირველმა ლიზიკომ ამოიღო ხმა.

– მაშინ ეს აქ ყოფილა, – თქვა ნიკუშამ.

– ვაშა! ვიპოვეთ! – დაიყვირეს ბავშვებმა ერთხმად.

– ვითვლი ორ ნაბიჯს სამხრეთისკენ... ერთი, ორი... – და პაკომ ორი ნაბიჯი გადათვალა.

– ვაშა! სამხრეთი ვიპოვეთ! – შესძახა კოკიმ და კუდი ააქიცინა.

– მოდი, გავთხაროთ!

ყველამ ერთად დაიწყო მიწის თხრა. მალე უზარმაზარ სკივრს მიაგნეს. ამოათრიეს, გახსნეს და ხედავენ: უამრავი კანფეტი და ნამცხვარია. ზემოდან კი ფურცელი ადევს, სადაც წერია: **„თუკი ეს განძი იპოვეთ, ესე იგი, თქვენ შეთანხმება მოახერხეთ.“**

– მოლაპარაკებას ყოველთვის კარგი შედეგი მოსდევს, – გამოაცხადა მაცაცომ და ყველაზე დიდი კანფეტი ამოარჩია.

სავარჯიშო 1: „გახსენი მუშტი.“

მასწავლებლის მითითებით სცადეთ მეწყვილეს შეკრული მუშტი ერთ წუთში გაახსნევინოთ. იმედია, წესებს დაიცავთ და მოისაზრებთ, როგორ მიაღწიოთ მიზანს. შემდეგ კი დაფიქრდით, რატომ დასრულდა სავარჯიშო ასე და არა სხვაგვარად?

საშინაო დავალება:

გადაიხაზეთ მასწავლებლის მიერ თქვენი გუნდისთვის მოცემული ცხრილი რვეულში. სახლში კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხეთ მოთხრობა „გულადი მეკობრის განძი“, დააკვირდით ცხრილს და მერე დაფიქრებით შეავსეთ. ამის შემდეგ ჰკითხეთ თანაგუნდელებს, მათაც შეასრულეს თუ არა დავალება? როდესაც ყველას ექნება ცალ-ცალკე შევსებული ცხრილი, შეუთანხმდით, როდის შეიკრიბებით და ერთმანეთთან მოლაპარაკებით შეავსებთ გუნდის საერთო, შეთანხმებულ სამუშაო ფურცელს. მერე კი აირჩევთ იმ თანაგუნდელს, რომელიც მომავალ გაკვეთილზე მთელ კლასს წარუდგენს თქვენს ერთობლივ ნამუშევარს.

სავარჯიშო 1: წარდგენა და განხილვა

გადმოიხაზეთ რვეულში ცხრილი და მასწავლებელთან ერთად იქ ჩაინიშნეთ თქვენი თანაკლასელების დასკვნები და შესაბამისი დასაბუთება.

საკითხი	ჯგუფის დასკვნა	ჯგუფის დასაბუთება
უთანხმოების მოგვარების საუკეთესო გზა		
მოლაპარაკების წარმატებისთვის საჭიროა		

მოუსმინეთ თქვენს თანაკლასელებს, რომლებიც საშინაო დავალებას წარმოადგენენ. ბოლოს, მასწავლებლის მიერ შეჯამებული დასკვნა თქვენც ჩაიწერეთ რვეულში, ცხრილთან.

სავარჯიშო 2: „სად გავატაროთ შაბათ-კვირა.“

დარწმუნებული ვარ, კარგად გაიგეთ, რა შემთხვევაში და როგორ გამოიყენება მოლაპარაკება. იმედია, თქვენ თავადაც შეგიძლიათ წარმატებით მოელაპარაკოთ სხვადასხვა ადამიანს.

მასწავლებლის შემოთავაზებულ დავალებაში თქვენც ხომ იქნებით ერთ-ერთი მოხალისე. თუ არა, მაშინ დააკვირდით თქვენს თანაკლასელებს, რომლებიც გაითამაშებენ ოჯახურ ვითარებას. საკუთარ რვეულში გაეცით პასუხი კითხვებს:

1. *რა ინტერესები და პოზიციები ჰქონდა „ოჯახის“ თითოეულ წევრს?*
2. *რა გზა აირჩიეს მათ შეთანხმებისთვის?*
3. *მოახერხეს თუ არა მათ შეთანხმების მიღწევა?*
4. *რამ შეუწყო (ან შეუშალა) ხელი ოჯახის წევრების მოლაპარაკებას?*

საშინაო დავალება:

წაიკითხეთ მოთხრობა „ჯადოქრობა ყველას უნდა“. განსაზღვრეთ:

- ვისსა და ვის შორის წარმოიშვა უთანხმოება?
- თითოეული მხარის ნამდვილი საჭიროებები და სურვილები;
- თითოეული მხარის განცხადებები, რომელთა გამოც გაღრმავდა უთანხმოება;
- რამდენად ზუსტად გამოხატავდა ეს განცხადებები მხარეების ნამდვილ საჭიროებებსა და სურვილებს?

გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და ჩაწერეთ მასში ჩამოთვლილ საკითხებზე თქვენი პასუხები. ეს შემდეგ გაკვეთილზე დაგჭირდებათ.

უთანხმოების მხარეები	მხარეთა განცხადებები	მხარეთა ნამდვილი საჭიროებები და სურვილები	რამდენად გამოხატავს განცხადება საჭიროებას

თემა 8 შუამავლობა (მედიაცია)

მოდავე მხარეები შეიძლება მონდომებულები იყვნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეთანხმებას თავად ვერ მიაღწიონ. ასეთ დროს ისინი დასახმარებლად მიმართავენ სხვა, მიუკერძოებელ ადამიანს. ამ ადამიანს ***შუამავალი*** *ეწოდება, ხოლო მისი მეშვეობით წარმართულ მოლაპარაკებას –* ***შუამავლობა****.*

ზოგჯერ შუამავლობა მიმართულია მოდავეებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში შუამავალი ვარაუდობს, რომ უკეთესი ურთიერთობა მხარეებს დაეხმარება თავად მოაგვარონ კონფლიქტი.

შუამავლობა მხოლოდ მოდავეების თანხმობით გამოიყენება და ის არასდროს არის იძულებითი. მოკამათეებს თუ არ სურთ შეთანხმება, მაშინ შუამავალი ვერაფერს გახდება. შუამავლის თუ არ სჯერათ მოდავეებს, მაშინ წარმატება წარმოუდგენელია.

ჯადოქრობა ყველას უნდა

I

13 სახლის ღირსშესანიშნავი სხვენი პაკოს ბინის თავზე მდებარეობდა. მეზობლები იქ ძველმანებსა და უვარგის, გაფუჭებულ ნივთებს ინახავდნენ.

სხვენი პაკოს საყვარელი ადგილი იყო. ძალიან მოსწონდა ძველ ნივთებში ქექვა, რადგან ყოველთვის რაღაც საინტერესოსა და თავისთვის სასარგებლოს პოულობდა.

ერთ დღეს პაკომ სხვენში მომცრო ზომის შავი ჩემოდანი აღმოაჩინა, ისეთი, ძველად მოხეტიალე მსახიობებს რომ ჰქონდათ. ჩემოდანი გროვიდან ამოათრია. მასზე წარწერა იყო: „ჯადოქრის ჩემოდანი. ვარგისიანობის ვადა – 400 წელი. შეგიძლიათ, გამოიყენოთ“... ცოტა ქვემოთ კიდევ ერთი წინადადება ეწერა: „თუ არ ხარ დარწმუნებული საკუთარ თავში, ნუ გახსნი!“

პაკოს გაახსენდა, ბებია როგორ უყვებოდა ერთი უცნაური მდგმურის ამბავს, რომელიც მრავალი წლის წინ მათ ქალაქში დროებით დასახლდა. თურმე მდგმური ბავშვებს უფასოდ აჩვენებდა საოცარ ფოკუსებს და ყოველთვის შავი ჩემოდნით დადიოდა.

პაკომ ჩემოდანი ძალიან ფრთხილად გახსნა და შიგ ჩაიხედა. იქ ჯადოქრისთვის საჭირო ნივთების ნაკრები აღმოჩნდა: შავი პრიალა ცილინდრი, შავი ბრჭყვიალა მოსასხამი და ასევე, შავი ჯადოსნური ჯოხი. ჩემოდნის ძირში პაკომ ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტი ნახა, სადაც უცნაური ფრაზები მანათობელი მელნით იყო ჩაწიკწიკებული. მაგალითად: „არც იცურო, არც იფრინო, ვარსკვლავიდან წვეთავს ღვინო!“, ან კიდევ: „ენკიბენკი, ოდერ-განგი, გახდი უცებ ფარშევანგი!“

„ეს ალბათ, ჯადოსნური შელოცვებია!“, – მიხვდა პაკო. გული ისევ აუფანცქალდა.

„ბუმბულს კვერცხი ენაცვალოს – წამის წამში შეიცვალოს!“– ხმამაღლა წაიკითხა პირველივე შელოცვა, რომელიც თვალში მოხვდა და ჯადოსნური ჯოხი აიქნია.

თავიდან არაფერი მომხდარა, მაგრამ მერე გაისმა ხმა – გამსკდარი საბურავის ხმას ჰგავდა.

უცებ გულისგანმგმირავი კივილი შემოესმა, შემდეგ ისევ განმეორდა და 13 სახლში ნამდვილი აურზაური დაიწყო...

II

ლიზიკო ბავშვებს აღელვებული უყვებოდა: „არ ვიცი, როგორ მოხდა. სამზარეულოში ვიყავი, მამიკოს ერბოკვერცხს ვუმზადებდი. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ეზოდან ხმა შემომესმა, თითქოს მანქანის საბურავი გასკდა...“

თუთამ დაუდასტურა, ხმა მეც გავიგეო. ლიზიკომ გააგრძელა: „როდესაც მოვიხედე, ტაფაზე ერბოკვერცხის ნაცვლად მაცაცო დავინახე! უფრო სწორად, ტაფაში იდო ბუდე, ბუდეში კი მაცაცო იჯდა და წიგნს მშვიდად კითხულობდა!“



აღელვებულმა ლიზიკომ თქვა, ვერაფერიც ვერ მოვახერხე, იმიტომ, რომ ძალიან შემეშინდაო. მაცაცომ კვერი დაუკრა, მართლაც იკივლა შიშისგან, მაგრამ მანამდე მარილი და პილპილი მომაყარაო! ლიზიკო კი თავს იმართლებდა, ეს უნებურად ჩავიდინეო.

ნიკუშამ მაცაცოს დამშვიდება სცადა და სთხოვა, მოგვიყევი, ვიდრე ამ უსიამოვნო ამბავში გაებმებოდი, რას აკეთებდიო.

მაცაცო გამოცოცხლდა, ყველა მას შესცქეროდა. მან თავიდან დაიწყო: „მაშ ასე! ვიჯექი ბუდეში და წიგნს ვკითხულობდი.“

ნიკუშა მაშინვე დაინტერესდა, რა წიგნი იყო. მან გაიფიქრა, რომ ამ საქმეში ყველა წვრილმანი ზუსტად უნდა გაერკვია.

მაცაცომ ხალისით მიუგო: – „ყველაფერი მარილის შესახებ“. ძალიან სასარგებლო წიგნია.

ნიკუშამ ჩაილაპარაკა: მარილი... ისევ მარილი...

მაცაცომ ნიკუშას ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ სიტყვაც ვეღარ გააგრძელა, რადგან იმ წამს ოთახში პაკო შემოვარდა. გახარებული დაქროდა და გაჰყვიროდა: „უდიდესი ჯადოქარი ვარ! შეხედეთ, შეხედეთ! მთელი ტაფა ერბოკვერცხი გავაჩინე!“

ბავშვებმა ახლაღა შენიშნეს, რომ პაკოს ხელში ტაფა ეჭირა. ის აღელვებული ყვებოდა: „წარმოგიდგენიათ? ჯადოსნური ჯოხი ავიქნიე, შელოცვა წავიკითხე: „ბუმბულს კვერცხი ენაცვალოს – წამის წამში შეიცვალოს!“ და უცებ თავზე ერბოკვერცხიანი ტაფა დამეცა!“

ბავშვები გაოცებულები უყურებდნენ: რას მიედ-მოედება? რა ჯადოსნური ჯოხი? რა შელოცვა?

III

ჯერ პაკო მოუყვა ბავშვებს თავს რა გადახდა, მერე კი ბავშვებმა უამბეს რაც შეემთხვათ. ამის შემდეგ მათ ჯადოქრობანას თამაში გადაწყვიტეს... თურმე რა იოლი ყოფილა ჯადოქრობა, აიქნევ ჯოხს, იტყვი შელოცვას და ყველაფერი მზად იქნება!

პაკო ბავშვებს გამოცდილი ჯადოქარივით ასწავლიდა: „მთავარია, ჯოხი კარგად აიქნიო და შელოცვა სწორად შეარჩიო! თორემ, ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე, – უაზროდ თუ აიქნევ და რაღაც სისულელეს ჩაიბუტბუტებ, შეიძლება ვიღაც ცეცხლზე აღმოჩნდეს, ერბოკვერცხიანი ტაფა კი ხეზე!“

კოკის ერთი სული ჰქონდა, ჯადოქრობას როდის დაიწყებდა, თავს ძლივს იკავებდა. ყველაფერი გასაგებიაო, უთხრა პაკოს და სიტყვა გააწყვეტინა. კოკიმ ჯადოქრის ცილინდრი თავზე ჩამოიფხატა, მოსასხამი

მხრებზე მოიგდო, ჯადოსნურ ჯოხს თათი დასტაცა და იკითხა: „რომელი შელოცვა უნდა ვთქვა?“

გაბრაზებულმა პაკომ მიუგო, არც ერთიო და კოკის ჯადოსნური ჯოხი გამოგლიჯა, ცილინდრი და მოსასხამიც მოაძრო და გამოაცხადა, ჯადოქარი მე უნდა ვიყოო.

კოკიმ პაკოს განცვიფრებით შეხედა, ვერ მიხვდა, მაინცდამაინც მხოლოდ პაკო რატომ უნდა ყოფილიყო ჯადოქარი, მასაც ხომ იგივე უნდოდა? კოკის გული დაეწვა და კუდის ქიცინი შეწყვიტა. პაკოს მეგობრობაში ეჭვი შეეპარა. მოულოდნელად კოკის ლიზიკომ აუბა მხარი: „პაკო უკვე იყო ჯადოქარი და ვნახეთ, რაც გამოვიდა“. ამ აზრს მაცაცოც დაეთანხმა. ეს რომ გაიგო, ჯადოქრობის სურვილი ლიზიკომ გამოაცხადა და პაკოს გამომწვევად გახედა.

კოკიმ, რომელმაც ლამის ისევ ააქიცინა კუდი, ყურები ჩამოყარა. გაიფიქრა, ჯადოქრობა ნამდვილად აღარ მეღირსებაო. ერთი წამის შემდეგ კი, როცა მოულოდნელად თუთამ და ნიკუშამ განაცხადეს, ჯადოქრები ჩვენ უნდა გავხდეთო, ეს აზრი უფრო განუმტკიცდა.

პაკომ ჩაიცინა და იკითხა: „აა, ყველას გინდათ ჯადოქრობა? თქვენ გამო რომ ჯადოქრობანას ვეღარ ვითამაშებთ, ვერ ხვდებით''?

არავინ უპასუხა. გუნება ყველას გაუფუჭდა.

უეცრად პაკოს გაახსენდა, რას ყვებოდა ბებია მდგმურად მცხოვრე-

ბი ჯადოქრის შესახებ... გაახსენდა ერთი ამბავი, რომლის მოყოლაც ბებიას განსაკუთრებით უყვარდა. თურმე იმ ჯადოქარმა ერთხელ ორი ბიჭი შეარიგა, რომლებმაც რაღაც წვრილმანის გამო იჩხუბეს.

ბებიამ თქვა, ჯადოქარი ძალიან გონივრულად მოიქცაო. ჯერ ყურადღებით მოუსმინა ორივე მხარეს. ბიჭებისგან ცალ-ცალკე მოისმინა რა მოხდა, რატომ იჩხუბეს. შემდეგ ერთად განიხილეს ჩხუბის მიზეზი. ბოლოს კი ჯადოქარმა რაღაც კითხვები დაუსვა და მოახერხა, ბიჭები თავად მისულიყვნენ შეთანხმებამდე. მათ ერთმანეთს ყველაფერი აპატიეს და შერიგდნენ.

პაკოს, რა თქმა უნდა, ამ ამბის ყველა დეტალი არ ახსოვდა, თუმცა ის კი კარგად ახსოვდა, რომ ბებიამ ჯადოქარი უცნაური სახელით – „მედიატორით“ მოიხსენია. პაკოს მაშინ გაეცინა. რატომღაც ეგონა, რომ „მედიატორი“ უმაღლესი წოდება იყო, რომელსაც ყველაზე მაგარ ჯადოქარს აძლევდნენ, მაგრამ ბებიამ აუხსნა: ესაა შუამავალი, ანუ მესამე მხარე, რომელიც კამათის დროს დაპირისპირებულ მხარეებს შეთანხმების მიღწევაში ეხმარება... აი, რა ყოფილა „მედიატორი“...

„ნეტავ ახლა გვაპოვნინა ასეთი მედიატორი!“ – გაიფიქრა პაკომ და გადაწყვიტა ბავშვებისთვის მოეყოლა, რა გაახსენდა და რა მშვენიერი აზრი მოუვიდა თავში.

IV

ბავშვებმა მედიატორად ერთხმად აირჩიეს ბაო. იგი არაერთხელ დახმარებია მათ თავისი ბრძნული რჩევებით, რის შემდეგაც ეზოში კვლავ ურთიერთგაგება და მშვიდობა დამყარებულა.

ბაო შუამავლობას სიამოვნებით დასთანხმდა. დრო უქმად არ დაუკარგავს, ბავშვებს შესთავაზა, სათითაოდ მოეყოლათ მისთვის რა მოხდა, რატომ ვერ შეთანხმდნენ... თავიდან პაკომ დაიწყო:

„ყველაფერი იმ პატარა შავი ჩემოდნით დაიწყო... იქ ჯადოსნური ჯოხი აღმოჩნდა და ჯადოქრობანას თამაში მოგვინდა. მე ვთქვი, ჯადოქარი მე ვიქნები-მეთქი! მგონი, ეს სამართლიანია, ჩემოდანი ხომ მე ვიპოვე! გარდა ამისა, უკვე მქონდა ჯადოქრობის პატარა გამოცდილება!“

მაცაცომ იქვე ხაზგასმით აღნიშნა ამ გამოცდილების წარუმატებლობა.

შემდეგ ლიზიკომ გააგრძელა, რომ მასაც და ყველა დანარჩენსაც მოუნდა ჯადოქრობა: „ჩემი აზრით, ეს სამართლიანია, რადგან სხვენი, სადაც პაკომ ჩემოდანი იპოვა, საერთოა!“

ბაომ ყველას მოუსმინა, მერე კი იკითხა: „რამ შეგიშალათ ხელი, რომ

ერთდროულად ყოფილიყავით ჯადოქრები?“

თუთამ მიუგო: „ჯადოსნური ჯოხი ერთია, ჩვენ კი ბევრი!“

ბაომ კი უპასუხა: „მივხვდი! ესე იგი, ყველას რომ გქონოდათ ჯადოსნური ჯოხი, თქვენს ბინებში განმარტოვდებოდით და ჯადოქრობანას მარტო ითამაშებდით, არა?“

აღშფოთებულმა პაკომ წამოიძახა, მარტო თამაში არ მინდა, ეგ უკვე გამოვცადე. ფოკუსების მარტო კეთება სულაც არ არის საინტერესო! ნამდვილ ჯადოქარს მაყურებელი სჭირდებაო.

პაკოს ლიზიკოც დაემოწმა და მაყურებლის გარეშე ჯადოქრობანას თამაში მეგობრებისთვის გამომცხვარი ტორტის მარტო ჭამას შეადარა. ამ შედარებამ ყველა გააცინა.

ზუსტი შედარებისთვის ბაომ ლიზიკო შეაქო, მერე კი ბავშვებს ჰკითხა: „აბა, როგორ მოვიქცეთ?“

თუთა დაღონდა. მას სხვებთან ერთად თამაში უფრო უნდოდა, ვიდრე ჯადოქრობა.

ბაომ სწორედ ამაზე გაამხვილა ყურადღება და ყველას ჰკითხა: „ესე იგი, ერთად გინდათ თამაში?“

ყველა დაეთანხმა: „აბა რა! ერთად თამაში ყველაზე საინტერესოა!“

პაკოს უცებ თვალები გაუბრწყინდა და ბაოს ნაცვლად იკითხა: „რიგრიგობით რომ ვიყოთ ჯადოქრები, გინდათ? “

ყველას გაეღიმა. რადგან ეს იყო ზუსტად ის, რის თქმაც უნდოდათ...

აი, ეს არის ნამდვილი ჯადოქრობა!

საშინაო დავალება:

გაიხსენეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მოდავეებს შორის მოლაპარაკებას წარმართავდა შუამავალი. აღწერეთ ეს ამბავი რვეულში: რა იყო დავის მიზეზი, ვინ იყვნენ მოდავეები, როგორ შეარჩიეს შუამავალი, როგორ მოიქცა შუამავალი, რა შედეგით დასრულდა დავა, იყო თუ არა შუამავლობა შედეგიანი და რის გამო.

თემა 9 შერიგება

შერიგება *ნიშნავს ადამიანებს შორის გაფუჭებული ურთიერთობის გამოსწორებას, თბილი და გულითადი დამოკიდებულების აღდგენას.*

როდესაც ადამიანები შერიგებას გადაწყვეტენ, ეს იმას ნიშნავს, რომ აღიარებენ წარსულში ერთმანეთისთვის მიყენებულ ტკივილს და ქიშპობისა და მტრობის ნაცვლად მეგობრობას, თანამშრომლობასა და პატივისცემას ირჩევენ.

დაპირისპირებული ადამიანების ცხოვრება ყოველთვის დაკავშირებულია ერთმანეთთან. შერიგება ამ ურთიერთკავშირს კიდევ უფრო აძლიერებს და ორმხრივად სასარგებლოს ხდის. ის დაფუძნებულია წარსულის გამო ბოდიშის მოხდაზე, მიტევებასა და ურთიერთნდობის განვითარებაზე.

შერიგების დროს ოთხი რამ არის მთავარი: სიმართლე, პატიება, სამართლიანობა და მშვიდობა.



მოდი, შევრიგდეთ!

I

ლიზიკომ ხესთან მიირბინა და მაცაცო შეაჯანჯღარა, უფრო სწორად, ტოტი შეარხია, რომელზეც მაცაცოს ბუდე იყო.

რა მოხდა? – ჩაიბურტყუნა მძინარე მაცაცომ და ცალი თვალი გაახილა.

ლიზიკო სხაპასხუპით ალაპარაკდა: „მაცაცო, ძალიან მჭირდება შენი დახმარება! ხვალ მოდების ჩვენებაა მეზობელ ეზოში, მეც ვმონაწილეობ! შენი ხელჩანთა და მარაო მჭირდება! თუ მათხოვებ, ყველაზე ლამაზი ვიქნები, ვერავინ შემედრება!“

მაცაცო ბუდეში წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და მაშინვე დაჰპირდა, რასაკვირველია, გათხოვებო. მერე მოულოდნელად ფეხზე წამოხტა, გრძელ ტოტზე მოდელივით გაიარ-გამოიარა და მხიარულად ამღერდა. ლიზიკომ მაცაცოს მიბაძა და ისიც ამღერდა. ჩიტმა ყურებზე ფრთები აიფარა და აჭახჭახდა: „გაჩერდი! ხელს ნუ მიშლი! მე უნდა ვიმღერო!“ მაგრამ ლიზიკოსაც უნდოდა სიმღერა. ფიქრობდა, მე ვერავინ შემედრებაო.

მაცაცო ერთობ უკმაყოფილო გამომეტყველებით ჩამოჯდა ტოტზე და ცივად უთხრა, – არ მინდოდა შენთვის ამის თქმა, ლიზიკო, მაგრამ... ხმა არ გაქვს.

ლიზიკოს ისე ეწყინა, კინაღამ ტირილი დაიწყო. ერთი ამოისლუკუნა და მაცაცოს უთხრა, შენ თავად არ გაქვს კარგი ხმა და არც ლამაზი ხარო.

მაცაცოს აღშფოთებისგან სუნთქვაც კი შეეკრა. წამოხტა და ჯიბრით დაიჩხავლა: „დიახაც, ლამაზი ვარ! ვისაც გინდა, ჰკითხე! მერე კიდევ, ხმას რომ მიწუნებ, უბრალოდ, სასაცილოა! მგალობელი ჩიტი რომ ვარ, დაგავიწყდა?''

ერთი წამი მაცაცო და ლიზიკო უხმოდ იდგნენ, მერე კი მკვეთრი მოძრაობით ზურგი შეაქციეს ერთმანეთს და გაბუტულები წავიდნენ: ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ...

მეორე დილით ლიზიკოს გარდა ყველა ბავშვი ეზოში შეიკრიბა. მაცაცო ტოტზე იჯდა და რაღაცას წერდა ფურცელზე.

თუთა უკვე მეასედ აზუსტებდა, ხვალ, ათ საათზე მათემატიკაში შეჯიბრი ჰქონდათ თუ არა.

მაცაცო ბურტყუნებდა, ხელს ნუ მიშლიო, თან ანგარიშს აგრძელებდა.

ნიკუშა და პაკო მოცემულობას თავიანთ რვეულებში ინიშნავდნენ. მერე ამოხსნას იწყებდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ისევ ფიქრობდნენ... მსჯელობაში თუთა და მაცაცოც მონაწილეობდნენ. 11-ის გამრავლება 11-ზე გაუჭირდათ და ნიკუშამ ლიზიკოს დახმარება ინატრა: „ყველაფერს წამში

ამოხსნიდა... მათემატიკაში ყველაზე ძლიერია... საინტერესოა, შეჯიბრში მონაწილეობის მიღება რატომ არ მოინდომა?“

ამ დროს ეზოში ლიზიკო გამოჩნდა. პაკოს ძალიან გაუხარდა და მაშინ-ვე ჰკითხა: „თერთმეტი თერთმეტზე რომ გავამრავლოთ, რამდენია?“

ლიზიკომ თითქმის ტირილით მიუგო: „თავი დამანებეთ და გადაეცით მაგ თქვენს მეტიჩარა ჩიტს, რომ არასდროს დავეხმარები! მორჩა და გათავდა!“

თუთამ შეაჩერა, აინტერესებდა, ჩვენებამ როგორ ჩაიარა. იცოდა, რომ ლიზიკო იქიდან მოდიოდა.

ლიზიკომ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ვერ გავიმარჯვეო და მაცაცოს ბრაზით გახედა: „არც მარაო მათხოვა, არც ხელჩანთა... ამას არასდროს ვაპატიებ! ჩანთასაც მე თვითონ გავიკეთებ და ყველაფერსაც! არავინ მჭირდებით!“

ლიზიკო სახლში შევარდა. მალე მის ოთახში ფანჯარა გაიღო, ლიზიკო რაფას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

პაკომ მაცაცოს გაკვირვებით გახედა. მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ნაჩ-ხუბრები იყვნენ და გაუკვირდა. პაკომ მაცაცოს მოსთხოვა, სასწრაფოდ

შეურიგდიო, მაგრამ აღშფოთებულმა ჩიტმა სასტიკი უარი განაცხადა: „მაგ საზიზღარ გოგოს შევურიგდე?! არც იფიქროთ! და საერთოდაც, ძალიან გთხოვთ, სხვის საქმეში ნუ ერევით!“

მეორე დღეს ბავშვები ისევ შეიკრიბნენ ეზოში. ძელსკამზე ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. შეწუხებულები იყვნენ, მათემატიკის შეჯიბრში რომ დამარცხდნენ. ერთი ქულით დამარცხება ნიკუშამ იმით ახსნა, რომ ლიზიკო აკლდათ გუნდში.

შემდეგ პაკომ ბავშვებს ფეხბურთის თამაში შესთავაზა და მათ ხალისით დაიწყეს ორ გუნდად გაყოფა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაცაცო აკლდათ. რადგან ხუთნი იყვნენ, ორ გუნდად ვერ ნაწილდებოდნენ.

მა-ცა-ცო! მა-ცა-ცო! – ერთხმად დაუძახეს ბავშვებმა მაცაცოს.

მხოლოდ ლიზიკოს არ ამოუღია ხმა. ცალკე იდგა, დაღვრემილი.

მაცაცომ ბუდიდან გადმოიხედა და გამომწვევად გამოაცხადა:

ვიდრე მოქალაქე ლიზიკო მანდ არის, არ ვითამაშებ! მაგ ქალბატონს არ ველაპარაკები! – თქვა მაცაცომ და ფოთლებში შეიმალა.

მაგ გაბღენძილ ჩიტთან თამაშს არც ვაპირებდი! – ლიზიკო შეტრიალდა და იქაურობას სწრაფად გაშორდა.

ბავშვები დაიშალნენ. მხოლოდ ნიკუშა დარჩა ხის ქვეშ. ძელსკამზე იჯდა და ფიქრობდა, – რა შეიძლება გააკეთონ ასეთ რთულ სიტუაციაში?

ვფიქრობ, შერიგების გზა თვითონ უნდა იპოვონ... და იპოვიან კიდეც, – მიუგო ჩაფიქრებულ ნიკუშას ბაომ, – დრო ყველა კითხვას გასცემს პასუხს...

გასაგებია. ესე იგი, დროა საჭირო, მიხვდე, რომ შერიგების საუკეთესო გზაა . . . . . – დაფიქრებით ჩაილაპარაკა ნიკუშამ და სახლისკენ წავიდა.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. აბა, დაფიქრდით თქვენს მეწყვილესთან ერთად და ჩამოაყალიბეთ ნიკუშას დასკვნა დასრულებული სახით. რა არის შერიგების საუკეთესო გზა?
2. როგორ შეიძლება მოგვარდეს ლიზიკოს და მაცაცოს პრობლემა?
3. მეწყვილესთან ერთად გააცანით თანაკლასელებს თქვენი ვარიანტი. უურადღებით მოუსმინეთ თქვენი მეგობრების მოსაზრებებსაც და მასწავლებელთან ერთად ჩამოაყალიბეთ, რა გამოსავალს ურჩევდით „ჩვენი ეზოს“ ბინადრებს?

II

ცოტა ხნის შემდეგ პაკო ეზოში გამოვიდა, მოწყენილი იყო და ოთახში ველარ გაძლო. მაცაცო პაკოს გამოუტყდა, მეც საშინლად ვარ მოწყენილიო, მაგრამ ყველაფერში ლიზიკო დაადანაშაულა. პაკომ უხერხულად ჩაახველა და მაცაცოს ეჭვით გახედა.

– თუმცა ვის ვატყუებ? – გააგრძელა მაცაცომ, – მე არ დავიწყე? რა მინდოდა? სიმართლე რომ ვთქვა, სულაც არ მღერის ცუდად... მაცაცო ცრემლებს ძლივს იკავებდა. – ვიცი, ყველაფერი ჩემი ბრალია. ჩხუბი მე დავიწყე. არადა, რა სისულელეა ჩხუბი და გაბუტვა!

– ჰო, ჰო! – კვერი დაუკრა პაკომ და იმედით შეხედა.

– ვაი, როგორ მრცხვენია... – წამოწითლდა მაცაცო, – არა, უნდა შევურიგდე...

– გეთანხმები! – შესძახა პაკომ.

– ასე აჯობებს ყველასთვის... ეზოში ისევ სიმშვიდე იქნება და მეც კარგად ვიგრძნობ თავს... უნდა დაველაპარაკო... ბოდიში მოვუხადო... იმიტომ, რომ მე ვარ დამნაშავე... ბოდიშის მოხდის უნარი მხოლოდ კეთილშობილთა ხვედრია... დიახ! ახლავე უნდა დაველაპარაკო! მაცაცო ადგილიდან წამოფრინდა.

ამ დროს ლიზიკო თავის ოთახში ბოლთას სცემდა. კუთხეში კოკი იჯდა. თათები დინგზე შემოეწყო.

არა, ყველაფერში მაცაცოა დამნაშავე! მე არაფერი დამიშავებია! – ხმამაღლა თქვა ლიზიკომ, თითქოს, საკუთარ თავს არწმუნებსო. მერე სკამზე ჩამოჯდა და უცებ ამოისლუკუნა, – საერთოდ რა გამოვიდა... თქვენც რა დღეში ხართ... არადა, თქვენი რა ბრალია? რა დააშავეთ?

– ვაღიარებ, არ უნდა მოვქცეულიყავი ისე, როგორც მაცაცო მოიქცა, – ლიზიკომ ისევ ამოისლუკუნა, – იქნებ ცუდ გუნებაზე იყო? მე კი არაფერი დავუთმე... და, აი, შედეგიც... იქნებ... შევურიგდე?

– შერიგება ყველასთვის კარგი იქნება. ახლავე წავალ და დაველაპარაკები! – თქვა ლიზიკომ და გარეთ გავარდა.

გავიდა თუ არა ლიზიკო ეზოში, მაცაცოს შეეჩეხა.

– რა სულელურად ვიქცეოდი! – ერთდროულად თქვეს მაცაცომ და ლიზიკომ.

– შენ ძალიან კარგად მღერი! – ერთდროულად თქვეს ლიზიკომ და მაცაცომ.

– შენ ძალიან ლამაზი გოგონა ხარ! მაპატიე, არ ვიცი, რა დამემართა,

– თქვა მაცაცომ და ნისკარტზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა.

– შენც ძალიან ლამაზი ჩიტუნა ხარ! მეც ცუდად მოგექეცი! – უთხრა ლიზიკომ და გადაეხვია, – მაპატიე!

– მოდი, შევრიგდეთ! – შესძახა მაცაცომ, – ერთმანეთს ყველაფერი ვაპატიოთ!

– მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა, – მიუგო ლიზიკომ, – ძალიან მინდა შეგირიგდე...

– რა კარგია, ახლა ისევ ერთად ვითამაშებთ! – შესძახა გახარებულმა მაცაცომ და ლიზიკო გულში ჩაიკრა.

ვაშაა! ეზოში ისევ მშვიდობაა! წამოდი ჩქარა, ყველას ვახაროთ!

მეგობრებმა სახლისკენ მოკურცხლეს.

საშინაო დავალება:

გადაიხაზეთ რვეულში ცხრილი და ჯგუფში მსჯელობის შედეგად თანმიმდევრობით ჩამოაყალიბეთ ის ნაბიჯები/მოქმედებები, რაც გაიარეს ლიზიკომ და მაცაცომ შერიგების გზაზე.

ნაბიჯები	როგორ მივიდნენ ლიზიკო და მაცაცო შერიგებამდე
1	
2	

თუ ცხრილის სტრიქონები საკმარისი არ არის, რვეულში დაამატეთ.

ახლა დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ წერილობით: ვისთვის და რისთვის არის კარგი შერიგება?

შერიგების ორმხრივი მოძრაობის წესები:

- *აღიარება*
- *სინანული*
- *ბოდიშის მოხდა*
- *წყენისა და გაბრაზების დავიწყება*
- *დაპირება, რომ აღარ გაიმეორებენ ასეთ საქციელს*
- *ახალი — ორივე მხარისთვის სასარგებლო ურთიერთობის დამყარება*



დააკვირდით სურათს და ისე უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ხედავთ სურათზე?
2. თქვენი აზრით, გვერდი ორ ნაწილად რატომ არის გაყოფილი?
3. რას გაგონებთ თითოეული ნახატი?
4. არის რაიმე კავშირი ამ ორ ნახატს შორის? თუ არის, როგორი?

ახლა თქვენს მეგობრებთან ერთად მოიფიქრეთ და ცალკე ფურცელზე დახატეთ „შერიგება“.

თემა 10 ბავშვის უფლებები

თქვენ ბავშვი ხართ. ბავშვად ითვლება ყველა ადამიანი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია. თქვენ გარდა მთელ მსოფლიოში ამ ასაკის სამ მილიარდამდე ადამიანია. მიუხედავად დაბადების ადგილისა, ეროვნებისა, იმისა, გოგონა ხართ თუ ბიჭი, გაქვთ უფლებები, რომელთაც დაცვა სჭირდება. სწორედ ამიტომ, 1989 წელს 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ერთხმად მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც საერთაშორისო კანონის ძალა აქვს. ყველა სახელმწიფოს მთავრობა, რომელიც შეუერთდა ამ კონვენციას, ვალდებულია გააკონტროლოს მისი ყველა მუხლის დაცვა საკუთარ ქვეყანაში. საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვს ერთნაირი უფლება აქვს იცხოვროს და გაიზარდოს უსაფრთხო პირობებში; აქვს უფლება, ყურადღებითა და პატივისცემით მოისმინონ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

თქვენ გაქვთ უფლებები, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ თქვენი მოვალეობები. *სწავლა თქვენი მოვალეობაა, მაგრამ ამავე დროს იგი ბავშვის ძირითადი უფლების – განათლების მიღების საშუალებაა.*

თქვენ ტოლერანტი პიროვნებები ხართ და არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც სხვისი იწყება. გახსოვდეთ, ისე უნდა იცხოვროთ, რომ არ შელახოთ სხვა ადამიანის უფლებები და კეთილდღეობა.

ცხრილში მოცემულია თქვენთვის საჭირო მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ჩამონათვალი. გაეცანით მათ. თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ რაიმე დაამატოთ კიდეც.

წიგნები	ლამაზი ტანსაცმელი	დამოუკიდებლობა	სახლი
შინაური ცხოველი	მეგობრები	კომპიუტერი	მუსიკალური ცენტრი
ოჯახი	სათამაშოები	ტელევიზორი	წყალი
მასწავლებელი	ჯანმრთელობა	თავისუფალი დრო	ფული

ამოირჩიეთ სამი თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი ან ღირებულება.

ახლა გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რას შეელიეთ ყველაზე იოლად?
2. ჩამონათვალიდან რომელია ადამიანის საჭიროება და რომელი მოთხოვნილება? რა განსხვავებაა ამ ორ ცნებას, საჭიროებასა და მოთხოვნილებას შორის?
3. განსხვავდება თუ არა სხვადასხვა ადამიანის საჭიროებები და მოთხოვნილებები? რატომ?
4. რამდენადაა დაცული თქვენი ინტერესები ოჯახში, სკოლაში?
5. გაეცანით „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ გამარტივებულ ვარიანტს (დანართი №1) და თითოეულ თქვენს მოთხოვნილებასა და საჭიროებას შეუსაბამეთ შესაბამისი მუხლი.

სიდუმლოება

პაკო ხის ქვეშ იჯდა და ცას გაჰყურებდა. ცა იყო ლურჯი, ლიზიკოს თვალებივით. ლიზიკო კი ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი გოგოა ამქვეყნად.

ვინმე სხვანაირად თუ ფიქრობს, ესე იგი, უბრალოდ, უგემოვნოა.

მაცაცო ხეზე იჯდა და პაკოს დაჰყურებდა. პაკო უცნაურად იქცეოდა... მაცაცომ ეს მაშინვე შენიშნა. იმდენად წყნარი, იმდენად ჩუმი იყო, მეტი რომ არ შეიძლება... საეჭვოდ დაწყნარებულ-დადუმებული გახლდათ, თანაც ძალზე ჩაფიქრებული... რაღაც უცნაურად ჩაფიქრებული...

-მაშ... მაშ... მაშ! – დაფიქრდა მაცაცო, – რაღაც ხდება! ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია.

მაცაცოს გამოცდილება კარნახობდა, რომ როცა ონავარი ბავშვი ჩუმადაა, ის რაღაცისთვის ემზადება, რაღაც აქვს ჩაფიქრებული.. ეს კანონია. მაცაცო კანონებს პატივს სცემდა.

ამ ფიქრებში გართულმა მაცაცომ დაინახა, რომ პაკოს ჯიბიდან კონვერტი ამოუვარდა. მაცაცოს ცნობისმოყვარეობამ სძლია და კონვერტს ნისკარტით წაეტანა. სამართლიანმა და ეზოს ბინადართა უფლებების დამცველმა კოკიმ მაცაცოს სხვისი წერილის წაკითხვის უფლება არ მისცა, გაბრაზებით შეუღრინა. მაცაცო დარწმუნებული იყო, რომ პაკოს ცუდი რაღაც ჰქონდა განზრახული და უბედურების თავიდან აცილების მიზნით შეიძლებოდა წერილის წაკითხვა.

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს! – გაბრაზდა კოკი, – სხვისი წერილების კითხვა მაინც არ შეიძლება! – უთხრა მაცაცოს და ყურები ბრაზიანად აცქვიტა, – ნამდვილად ვიცი, თუმცა, მართალი გითხრა, ზუსტად არ მახსოვს, როდის გავიგე.

კოკი ჩაფიქრდა. მას გაახსენდა, რომ ღობეზე მიკრულ ლამაზ პლაკატზე ამოიკითხა ასეთი ინფორმაცია: ყველა ბავშვს აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი შეხედულება ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება. მის შეხედულებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ბავშვებს ისევე, როგორც უფროსებს, უფლება აქვთ გამოთქვან საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით, ნახატის ან სხვა სახით ისე, რომ არ შელახონ სხვა ადამიანების ღირსება და არ დაარღვიონ მათი უფლებები.

ყველა ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების უფლება...

კოკი დარწმუნებული იყო საკუთარი აზრის სისწორეში. მაცაცო კი თავისას არ იშლიდა. ბრძენ ბაოს ცალყბად რჩევა ჰკითხა. ბაო დაფიქრდა.

„ღმერთო! – გაიფიქრა მაცაცომ, – საითკენ მიექანება სამყარო, თუკი სიბრძნით განთქმული ხეც კი ჭკვიანური აზრის ძიებაში ატარებს დროს!“

მაცაცო მეორე ტოტზე გადაფრინდა და კონვერტი ნისკარტით გახსნა.

– ახლავე... ახლავე გავიგებთ ყველაფერს – თქვა მან და ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „ძვირფასო ლიზიკო!“... აი, ხომ ხედავთ, – ამაყად გა-

მოაცხადა მაცაცომ, – რას ვამბობდი! ამ საქმეში ლიზიკოც ჩაუთრევია! რა საშინელებაა! ვაგრძელებ კითხვას... „ძვირფასო ლიზიკო,. ჩემო მშვენიერო, რომ იცოდე, როგორ ძალიან-ძალიან-ძალიან მიყვარხარ“... ჰოო, მმ... ეს კარგად არ გამომივიდა – ჩაიბუტბუტა მაცაცომ და გაწითლდა. წერილი გაუვარდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი იცოდა. ამ დროს ეზოში პაკო გამოვიდა. დაკარგული წერილი დაინახა და სწრაფად აიღო. ხელში ძალიან ლამაზი თაიგული ეჭირა.

მაცაცო ისეთი სახით იჯდა, თითქოს იქ არ იმყოფებოდა. „ნებისმიერ ბავშვს აქვს უფლება, დამოუკიდებლად იაზროვნოს და გამოთქვას საკუთარი აზრი, – გაახსენდა მაცაცოს, – და ყველა ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების უფლება... რა კარგი ნათქვამია!“

კოკიმ კი გაიფიქრა – კარგი იქნება, თუ იმ ლამაზ პლაკატს, სადაც ბავშვის უფლებებია ჩამოთვლილი, გავამრავლებათ და ეზოებში გამოვაკრავთ. ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს საკუთარი უფლებები და შეეძლოს

მათი დაცვა, არც სხვა ადამიანის უფლებები უნდა დაარღვიოს.

ლიზიკომ კი... მან, რაღა თქმა უნდა, მიიღო ლამაზი თაიგული და სასიყვარულო წერილი. ძალიან კმაყოფილი იყო. ნახევარი საათი ფიქრობდა, როგორ გამოეხატა გულწრფელი მადლობა, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ მხოლოდ ერთი სიტყვა მოიფიქრა: გმადლობთ!

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რვეულებში გადახაზეთ და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ვისი უფლებები დაირღვა?	ვის მიერ?	როგორ?	მიზეზი

ამოიცანით, რომელი უფლებები დაირღვა?

დარღვეულ უფლებას შეუსაბამეთ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ შესაბამისი მუხლი.

(დანართი 1, 2)

დავალება:

გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც თქვენ ან თქვენს ახლობელს უსამართლოდ მოგექცნენ.კარგი იქნება, ამ სამუშაოს შესრულებაში ოჯახის წევრებიც თუ მიიღებენ მონაწილეობას.

დამხმარე კითხვები:

1. რას გრძნობდით, როდესაც თქვენი უფლება დაირღვა?
2. ყველაზე მეტად იმ წუთს რის სურვილი გქონდათ? თქვენ როგორ მოიქეცით?
3. შემდგომში რა გაელენა იქონია ამ სიტუაციამ თქვენზე?
4. თქვენი რომელი უფლება დაირღვა? შეუსაბამეთ კონვენციის მუხლები. (იხ. დანართი 1, 2).

თქვენ შინ გაიხსენეთ შემთხვევები, როდესაც თქვენი ან თქვენი ახლობლების უფლება დაირღვა. დარღვეულ უფლებას შეუსაბამეთ შესაბამისი მუხლი ბავშვის უფლებათა კონვენციიდან (იხილეთ დანართი 1). თქვენი აზრით, ვის უნდა მიმართოთ უფლების დასაცავად?

ბავშვთა უფლებების დამცველი

ეს ამბავი დილით მოხდა, საუზმის შემდეგ. ეზოში სრული სიჩუმე გამეფებულიყო. ცხელოდა. ბავშვები სახლში ისხდნენ. მაცაცო არსად ჩანდა, კოკი კი ხის ქვეშ წამოგორებულიყო და მშვიდად ეძინა. მოულოდნელად ზემოდან ხმა გაისმა. აღფრთოვანებული მაცაცო რაღაცას კითხულობდა.

ხმაურზე კოკის გამოეღვიძა და დაინტერესდა, რას კითხულობდა მაცაცო. მაცაცო „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ ჩაჰკირკიტებდა. ყველა მუხლის გაცნობის შემდეგ მან გადაწყვიტა ბავშვთა უფლებების დამცველი – ბავშვთა ომბუდსმენი გამხდარიყო. აზრი კოკისაც გაუზიარა.

– აა, გასაგებია, – გაუხარდა კოკის, – ესე იგი, შენ უფლებათა დამცველი იქნები და ბავშვების უფლებებს დაიცავ, მე კი ეზოს დამცველი ვიქნები და ეზოს დავიცავ.

ამ დროს ეზოში ნიკუშა, ლიზიკო და თუთა გამოვიდნენ. თუთას ხელში სახატავი ალბომი ეჭირა. ბავშვები ხის ქვეშ დასხდნენ და პაკოს ნახატების თვალიერება დაიწყეს. აღფრთოვანებით ფურცლავდნენ ალბომს. პორტრეტები, ნატურმორტი, პეიზაჟი... ბავშვებმა ერთხმად აღიარეს, პაკო ცნობილი მხატვარი გახდებაო. თუთამ სევდიანად ამოიოხრა და დასძინა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დედას სურდა პაკო გამოჩენილი მოჭადრაკე გამხდარიყო, მამას – მათემატიკოსი, ბაბუას – პოლიციელი, ბებიას – ექიმი... პაკოს ნიჭსა და სურვილს არავინ ითვალისწინებდა.

– რა ხდება? რა ხდება? – მოულოდნელად ბავშვებს მაცაცო და კოკი შეუერთდნენ, – პრობლემები გაქვთ? ჩვენ დაგეხმარებით – ბავშვთა უფლებებისა და ეზოს დამცველთა ჯგუფი ნებისმიერ პირველად და მეორად დახმარებას აღმოგიჩენთ.

– პაკო მხატვრობაზე ოცნებობს, – დაიწყო ახსნა თუთამ, – დედიკოს კი უნდა, რომ გამოჩენილი მოჭადრაკე გახდეს.

– მაშ ასე! – ამაყად გამოაცხადა მაცაცომ, – ამ საქმეს ბავშვთა უფლებების გენიალური დამცველი მოაგვარებს! შემდეგ ბავშვის უფლებათა კონვენცია გადაშალა და რაღაცის ძებნა დაიწყო.

– აი, ვიპოვე! – შესძახა მან – ყველა ბავშვს აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი შეხედულება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. მის შეხედულებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

მუხლი 16, „ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის, საცხოვრებლის ხელყოფის, მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისაგან. ასევე მუხლი 17, – განაგრძო უფლებათა დამცველმა: ყველა ბავშვს აქვს უფლება დაუბრკოლებლად მიიღოს მისი განვითარებისათვის საჭირო ყველნაირი ინფორმაცია და მასალები.“

მუხლი 27 – ყველა ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს განვითარებისთვის საჭირო ყველა პირობა... არ ჩერდებოდა მაცაცო.

მშობლები კი, სამწუხაროდ, პაკოს სურვილს არ იზიარებდნენ. რატომ? თუთასთვის მიზეზი უცნობი იყო. თუთა სწრაფად გაეშურა დედისკენ, რომ მისთვის ეს ინფორმაცია გადაეცა.

დეიდა ლალი სამზარეულოში პაკოს საჭმელს უმზადებდა. პაკო მაგიდასთან თავჩაქინდრული იჯდა, ცარიელ თეფშს ჩაჰყურებდა.

აქოშინებულმა თუთამ დედას სხაპასხუპით მოუყვა, თუ რაზე საუბრობდნენ ეზოში.

– ვიცი, ვიცი, – მშვიდად უთხრა დედამ, – ბავშვის უფლებათა კონვენციაში არის მეთორმეტე მუხლი, რომელშიც წერია, რომ ნებისმიერ ბავშვს

აქვს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ დედამ უკეთ იცის, შვილს რა სჭირდება.

– დედიკო, პაკოს ხატვა უყვარს, ჭადრაკი კი არა! – თუთა შეეცადა ძმას გამოსარჩლებოდა, – დამპირდა, როცა გამოჩენილი მხატვარი გავხდები, შენს პორტრეტს დავხატავო.

– მშვენიერი იდეაა, – მოიწონა დედამ, – მაგრამ მინდა, ჯერ ჭადრაკის წრეზე იაროს. ჭადრაკი დისციპლინას შეაჩვევს, აზროვნების უნარს განუვითარებს. მოთმინების უნარსაც.

– მაგრამ ეგ ისეთი მოსაწყენია... – ჩაიბურტყუნა პაკომ, – ერთ ადგილზე უნდა იჯდე და გაუთავებლად იფიქრო... მე კი ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა არ შემიძლია.

– როცა ხატავ, მაშინაც ხომ დიდხანს უნდა იჯდე ერთ ადგილზე და იფიქრო... – უთხრა დედამ და თეფშზე კარტოფილი გადაუღო.

– ჰო, მაგრამ როცა ვხატავ, ჩემი ფანტაზიით რასაც მინდა, იმას გამოვიგონებ. შენ არ მეუბნებოდი, ფანტაზიორი ხარო? – შეეკამათა პაკო დედას.

– ჰო, გეთანხმები, ნამდვილად ფანტაზიორი ბრძანდები. მაგრამ იმისთვის, რომ გამოჩენილი მხატვარი გახდე, ჭკვიანი, დისციპლინებული და მომთმენი უნდა იყო. ამიტომ ჯობია ჯერ ჭადრაკზე იარო, შემდეგ – ხატვაზე, – გააგრძელა დედამ.

– არ მინდა ჭადრაკი, არ მაინტერესებს! – ლამის ატირდა პაკო.

– დავამთავროთ ლაპარაკი, მე უკვე გადავწყვიტე, – უთხრა დედამ და თეფშზე კატლეტი გადაუღო.

მეორე დღეს, როცა ბავშვები ეზოში შეიკრიბნენ, თუთა მოუყვა, რაზე ესაუბრა დედას.

– ზუსტად ასე იყო ყველაფერი. დედამ პაკოს უფლებები დაარღვია, – დაამთავრა მოყოლა თუთამ.

– კი მაგრამ მე ხომ ბავშვთა უფლებების დამცველი ვარ! – შესძახა მაცაცომ, – ამ საქმეში უნდა გავერკვე!

– რა კარგია! ესე იგი, პაკოს დაიცავ? – ჰკითხა ლიზიკომ.

– რა თქმა უნდა! – დარწმუნებით მიუგო მაცაცომ, – მაშ ასე, საქმეს შევუდგეთ... პირველ რიგში, ამ პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები უნდა მოვიფიქროთ!

– რა ვარიანტები შეიძლება მოვიფიქროთ, როცა დედამ უკვე ყველაფერი გადაწყვიტა... – ჩაილაპარაკა სასოწარკვეთილმა პაკომ.

– ესე იგი, დედამ რა გითხრათ? – ჩაეკითხა მაცაცო თუთას.

– გვითხრა, რომ არ აინტერესებს ჩვენ რას ვფიქრობთ,– მიუგო თუთამ.

– მაშ ასე, მაშ ასე... – იცით რა, მოდი, ჯერ გავერთიანდეთ, ასოციაცია შევქმნათ. ასე უფრო სწრაფად ვიპოვით გამოსავალს.

– ეს ბავშვთა უფლებების კონვენციის მეთხუთმეტე მუხლიდანაა, – ჩაურთო ნიკუშამ.

– შენ რა იცი? – გაუკვირდა მაცაცოს.

– ბავშვთა უფლებების კონვენცია წავიკითხე. გუშინ წიგნი ხის ქვეშ დაგრჩა, ჰოდა, ავიღე და წავიკითხე.

– ძალიან კარგი! – შესძახა მაცაცომ, – მაშინ, ჩემი მოადგილე იქნები. ჩემს გენიალურ აზრებს ჩაიწერ.

– ჩვენს ასოციაციას რა დავარქვათ? – იკითხა ლიზიკომ.

– მოდი, დავარქვათ „მხატვრების დაცვა მოჭადრაკეებისაგან“, – გამოთქვა აზრი პაკომ.

– არა, „ბავშვების დაცვა მშობლებისაგან“ ჯობია, – ჩაურთო კოკიმ.



– არა, ასე არ ვარგა. უბრალოდ, „ბავშვთა დაცვა“ იყოს, – დაასკვნა ლიზიკომ.

– ჩვენი ასოციაციის მთავარი მიზანია ყველა ბავშვს გავაგებინოთ, რომ არსებობს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მათ უნდა დაიცვან საკუთარი უფლებები, – განმარტა მაცაცომ.

– იმ ბავშვებს კი, რომლებმაც თავიანთი უფლებების დაცვა ჯერ ვერ ისწავლეს, ასოციაცია „ბავშვთა დაცვა“ დაეხმარება, – დაამატა თუთამ.

– ყურადღება! ასოციაცია „ბავშვთა დაცვა“ ატარებს პირველ სხდომას!

– ასოციაცია უნდა დაეხმაროს პაკოს დაიცვას თავისი უფლებები! – გამოაცხადა ლიზიკომ.

– მაგრამ როგორ? – ხელი ასწია და ისე იკითხა თუთამ.

ასოციაციის წევრებმა დეიდა ლალისთან მოლაპარაკება გადაწყვიტეს.

დეიდა ლალი სავარძელში მოკალათებულიყო და ტელევიზორს უყურებდა.

მეგობრები ოთახში შევიდნენ და სტუმრობის მიზეზი გააცნეს – მათ სურდათ პაკოსთვის მხარი დაეჭირათ, მისი ინტერესები დაეცვათ. დეიდა ლალის სთხოვეს პაკოს ხატვის წრეზე ევლო, რადგან ის კარგად ხატავდა და არ სურდა ჭადრაკზე სიარული. ბავშვების აზრით, პაკოს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ჰქონდა..

დედას კი მიაჩნდა, რომ პაკო მათემატიკაში სუსტი იყო, ჭადრაკი კი განუვითარებდა აზროვნებას და უფრო დისციპლინებული გახდებოდა. პაკომ დედას პირობა მისცა, გამოვსწორდებიო.

დეიდა ლალი დათანხმდა. თან ბავშვებს გაახსენა, რომ საკუთარი უფლებების დაცვის დროს, საკუთარი მოვალეობებიც უნდა გახსენებოდათ.

– ეტყობა, თქვენ ბევრს კითხულობთ, – დაფიქრებით ჩაილაპარაკა დეიდა ლალიმ, – ძალიან მინდა ბავშვის უფლებათა კონვენცია თავიდან ბოლომდე წავიკითხო, გაქვთ რომელიმეს?

– მე მაქვს, მე ბავშვთა უფლებების დამცველი ვარ! – ამაყად განაცხადა მაცაცომ.

– ალბათ დღეიდან მეც შევიცვლი პროფესიას და ბავშვთა უფლებების დამცველად დავიწყებ მუშაობას, – სიცილით ჩაილაპარაკა დეიდა ლალიმ.

– მშვენიერია, – მოუწონა აზრი მაცაცომ, – ცხადია, რომ უჩემოდ არაფერიც არ გამოუვიდოდათ.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა პრობლემა წამოიჭრა ეზოს ბინადართა წინაშე?
2. რა სურდა პაკოს?
3. ვინ და როგორ გადაჭრა პრობლემა?
4. რა მოხდებოდა, დედას თავისი სურვილი რომ არ შეეცვალა?
5. პაკოს რომელი უფლება დაირღვეოდა?
6. ვინ და რა დაეხმარა დედას გადაწყვეტილების შეცელაში??

გადაიხაზეთ სქემა რვეულში და შეავსეთ.

რა პრობლემას წააწყდნენ ეზოს ბინადრები?	*რა იყო პაკოს სურვილი?*	*რა მოხდებოდა, დედას თავისი სურვილი რომ არ შეეცვალა?*

საშინაო დავალება:

მისწერეთ წერილი ომბუდსმენს, რომელიმე უფლების დარღვევის ფაქტის შესახებ.

თემა 11 თაობათა შორის ურთიერთობა

ურთიერთობები სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია. უთანხმოება, რომელიც ამ ურთიერთობებს ახლავს თან, ხშირად იმ უბრალო მიზეზის გამო ხდება, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ადამიანები მოვლენებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. უფროსებს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. მათ ხშირად ჰქონიათ ისეთი შემთხვევები, რომლებზეც დაფიქრებულან, გაუაზრებიათ და დასკვნა გამოუტანიათ. ოდითგანვე ასეა: მშობლებსა და შვილებს გემოვნებაც და ცხოვრებაზე შეხედულებაც განსხვავებული აქვთ. მაგალითად, მშობელსა და შვილს არასდროს მოსწონს ერთი და იგივე მუსიკა.

ხშირია შემთხვევა, როცა მშობელს ერთი სურათი მოსწონს, შვილს კი – სრულიად განსხვავებული.

ერთი სიტყვით, ყველას საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და გემოვნება აქვს. ალბათ, ამიტომაა, რომ მშობლებსა და შვილებს ხშირად ერთმანეთის არ ესმით ან არ უნდათ, რომ გაუგონ. შესაძლოა, უბრალოდ, ერთმანეთის მოსმენა არც იციან.

ხშირად ბავშვსა და მშობელს შორის უმნიშვნელო მიზეზების გამო წარმოიშობა უთანხმოება; მათი კამათის საგანია როგორც ახალი ტანსაცმლის შეძენა, ისე თავისუფალი დროის სწორად გამოყენება. ზოგ კონფლიქტს შესაძლოა, ხანგრძლივი და სერიოზული შედეგი მოჰყვეს. ასეთ დროს ბავშვი ნაწყენია, მას თავმოყვარეობა ელახება.

მშობლებს აინტერესებთ, რა ხდება მათი შვილების ცხოვრებაში. ბავშვი საკუთარ პრობლემებზე თუ არ ისაუბრებს, მშობელს არ ეცოდინება, როდის შესთავაზოს დახმარება. შესაძლოა, მან შვილის მიმართ ნდობაც კი დაკარგოს. მშობლების ინფორმირებულობა ბავშვის აღზრდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; ფიქრებისა და განცდების გაზიარება, ასევე რჩევის კითხვა პრობლემებთან დაკავშირებით წარმოადგენს კომუნიკაციის ფორმას, რომელიც მშობლისა და შვილის დაახლოებას უწყობს ხელს.

ჩამოწერეთ *ის სიტყვები, რომლებიც გახსენდებათ ამ თემასთან დაკავშირებით. გადახედეთ ჩამონათვალს, დაფიქრდით იმაზე, თუ რატომ ამოტივტივდა თქვენს გონებაში ეს სიტყვები და რა კავშირი არსებობს მათ*

შორის; ეს დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ საკუთარ დამოკიდებულებებსა და გრძნობებში, რომლებიც შესაძლებელია შეცვალოთ.

წაიკითხეთ *მოთხრობა „ახალი დღე“ და გაიაზრეთ მასში ასახული პრობლემები.*

ახალი დღე

გაკვეთილები დამთავრდა, პაკო შინ ბრუნდებოდა... ქუჩაში მიდიოდა და ჩანთას იქნევდა. სახლს მიაღწია, მესამე სართულზე ავიდა, თავისი ბინის კარი შეაღო და შეაბიჯა. სამზარეულოში შეიხედა – დედამისი ჭურჭელს რეცხავდა. პაკომ ამოიოხრა და არცთუ მხიარულად მიესალმა:

– გამარჯობა...

– ცუდ გუნებაზე ხარ, პაკო? რა მოხდა? – ჰკითხა დედამ, – დაბალი ქულა ხომ არ მიიღე?

– მმ... მათემატიკაში... – ოდნავ გასაგონად ჩაიბურტყუნა ბიჭმა.

– ყოჩაღ! – ირონიულად უთხრა დედამ, – მათემატიკაშიც ცუდი შედეგები გაქვს. ტრიმესტრი მალე დამთავრდება. აი, შენი რეპისა და ცეკვა-თამაშის შედეგი!

– დედიკო, მომისმინე. იქნებ მკითხო, რატომ მოხდა ასე? – შეეკამათა პაკო.

– რა უნდა გკითხო? რაღაა საკითხავი?! ისედაც ცხადია ყველაფერი!

– ჰო, აბა რა! – გაგულისებით შესძახა პაკომ, ჩანთა სკამზე დააგდო და განაწყენებული ეზოში გაიქცა.

ეზოში მაშინვე მაცაცოს გადააწყდა, რომელიც გაზეთების უზარმაზარ დასტას მიათრევდა.

– მათემატიკაში დაბალი ქულა მივიღე. საკონტროლოს ვწერდით, – დაიჩივლა პაკომ. მეგობრები ხის ქვეშ ძელსკამზე ჩამოსხდნენ.

– მართლა? შენ ხომ მათემატიკაში ყოველთვის 9-სა და 10-ს იღებდი.

– ჰო, ვიღებდი, მაგრამ, იცი რა მოხდა? მეგობარს დავეხმარე მაგალითის გამოყვანაში. ამასობაში საკონტროლო დამთავრდა და ყველა მაგალითის გამოყვანა ვერ მოვასწარი, – აუხსნა პაკომ.

– დედაშენმა რა გითხრა? – დაინტერესდა მაცაცო, – პაკო, არ აუხსენი, რომ მეგობარს ეხმარებოდი?

– ამის მოყოლას ვაპირებდი, მაგრამ არ მომისმინა, – ნაღვლიანად მიუგო პაკომ.

– ნუ ნაღვლობ! – შესძახა მაცაცომ, – მოვიფიქროთ, როგორ გამოვფრინდეთ, უკაცრავად, როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან. ყველას გავაგებინებ, რაც მოხდა!

მაცაცო უმალ სახლისკენ გაფრინდა და ბავშვები შეკრიბა. ლიზიკოს ბინაში რომ შევიდნენ, ძია ალექსი ტელევიზორის წინ, სავარძელში იჯდა, ხელში გაზეთი ეჭირა და მშვიდად თვლემდა.

– პაკოს პრობლემები აქვს! – ჩასძახა მაცაცომ ძია ალექსის ყურში.

– რა? რა პრობლემები? რა მოხდა? – ძია ალექსი მოულოდნელობისგან კინაღამ სავარძლიდან გადმოვარდა. ბავშვები როცა დაინახა, დაამთქნარა და სავარძელში გასწორდა.

– აბა, მომიყევით, რა დააშავა, – უთხრა ბავშვებს და პაკოს გახედა.

– საქმეც ისაა, რომ არაფერი დაუშავებია, საკონტროლოს წერდნენ და მეგობარს ამოცანის ამოხსნაში დაეხმარა. ამის გამო თავისი მაგალითი ვეღარ დაასრულა. მასწავლებელმა კი დაბალი ქულა დაუწერა. ეს ხომ აღმაშფოთებელია! არ მეთანხმებით? – გააგრძელა მაცაცომ.

– არა, არ გეთანხმები! – მიუგო ძია ალექსიმ. – მართლა გგონია, მაგალითი რომ გამოუყვანე, მეგობარს ამით დაეხმარე?

– მმ... მასწავლებელიც ეგრე ლაპარაკობს, – კეფა მოიფხანა პაკომ.

– როგორ გგონია, თუ მუდამ მეგობრის მაგივრად გამოიყვან მაგალითებსა და ამოცანებს, ის როდისმე ისწავლის მათემატიკას? – გააგრძელა ძია ალექსიმ.

– ალბათ, არა, მაგრამ რატომ უნდა ისწავლოს მათემატიკა? პრეზიდენტობას აპირებს, პრეზიდენტებს კი მათემატიკა არ სჭირდებათ.

– არა, ასე ვერაფერს მიაღწევს! მუდამ სხვისი დახმარების იმედად თუ იქნება, ცუდი პრეზიდენტი გამოვა... საკუთარ საქციელზე პასუხისმგებ-

ლობა არ ექნება, – აუხსნა ძია ალექსიმ, – ასეთი პრეზიდენტი კი არავის სჭირდება. პაკო, უთხარი დედაშენს, რატომ მიიღე დაბალი ქულა?

– არა, არ მომისმინა. მეწყინა და გამოვიქეცი, – უპასუხა პაკომ.

– პაკო, დედაშენი ხომ განიცდის შენ გამო, შენზე გული შესტკივა. უნდა, რომ კარგი ბიჭი იყო და წარმატებას მიაღწიო. შეეცადე აუხსნა, ეს რატომ მოხდა. დარწმუნებული ვარ, გაგიგებს. – დაარიგა ძია ალექსიმ.

– როგორ ავუხსნა? – დაფიქრდა პაკო.

– შენ თუ ვერ ახერხებ, წამოვალთ და ყველა ერთად ავუხსნით. გინდა?

– არა, თქვენ თუ იქნებით, მომერიდება, – პაკო წამით დაფიქრდა და განაგრძო, – თავად ავუხსნი, უკვე ვგრძნობ პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე. ეს თქვა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

პაკო დიდხანს ვერ ბედავდა დედასთან საუბრის დაწყებას, ოთახიდან ოთახში უაზროდ დაბორიალობდა. ბოლოს ნებისყოფა მოიკრიბა და სამზარეულოში შევიდა.

– რაღაც გინდა მითხრა? – ჰკითხა დედამ, როგორც კი თვალი მოჰკრა.

– დედიკო... მე... მე... – ბორძიკით დაიწყო პაკომ.

– მომიყევი, რა მოხდა, ყურადღებით გისმენ, – უთხრა დედამ და გარეცხილი ჭურჭელი თავის ადგილას დააწყო.

– დედიკო, არაფერი იცოდა, გესმის? შეიძლებოდა, ძალიან დაბალი ქულა მიეღო, – დაიწყო პაკომ.

– ვის უნდა მიეღო დაბალი ქულა? – გაოცებით შეხედა დედამ.

– ჩემს მეგობარს, ჩემ გვერდით ზის... საკონტროლო დავუწერე... მაგალითი... დახმარება მინდოდა...

– სხვანაირად ვერ დაეხმარებოდი? – ჰკითხა დედამ.

– დედიკო, არაფერი იცოდა. მე მეგონა, ასე უნდა დავხმარებოდი, მაგრამ ლიზიკოს მამამ ყველაფერი ამიხსნა! დედიკო, თურმე პრეზიდენტებმაც უნდა იცოდნენ მათემატიკა.

დეიდა ლალის გაეცინა და შვილს თავზე ხელი გადაუსვა. პაკო მოეხვია და უთხრა:

– რა კარგია, რომ დაგელაპარაკე. ახლა ყველაფერს მივხვდი. ნეტავ ყოველთვის ასე ხდებოდეს!

– დღეიდან ჩვენს ოჯახში ყოველთვის ასე იქნება... ერთმანეთს მოვუსმენთ და გავუგებთ. ვენდობით და დავეხმარებით, ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით, – ღიმილით თქვა დეიდა ლალიმ.

ასეა ოდითგანვე – მშობლებსა და შვილებს გემოვნება და ცხოვრებაზე შეხედულებაც განსხვავებული აქვთ, მაგრამ ერთმანეთის გაგებას თუ ისწავლიან, როგორც ეს ჩვენმა გმირებმა მოახერხეს, პრობლემები და დაბალი ქულები გაცილებით ნაკლები იქნება. კარგად ბრძანდებოდეთ!

ახლა, როდესაც მოთხრობას გაეცანით, გადაიხაზეთ რვეულში და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები:

ცხრილი 1

ჩამოწერეთ მოთხრობაში ასახული პრობლემები	რა არის ამ პრობლემების წარმოშობის მიზეზები?

ცხრილი 2

პრობლემის გადაჭრის ხელის შემწყობი ნაბიჯები	მათი შედეგები

ცხრილი 3

პერსონაჟების გამონათქვამები, რომლებიც პრობლემურ დამოკიდებულებებს გამოხატავდა	პერსონაჟების გამონათქვამები, რომლებიც დამოკიდებულების გამოსწორებას გამოხატავდა

საშინაო დავალება:

წაიკითხეთ *მოთხრობა „ეზოს ოპერა“. იყავით ყურადღებით. მოთხრობაში არის ეპიზოდი, უფრო სწორად, გადამწყვეტი წერილი, რომელიც ამოღებულია მოთხრობიდან და თქვენ უნდა შექმნათ ახალი ეპიზოდი, რომელიც პრობლემას გადაჭრის — ურთიერთობებს სასიკეთოდ შეცვლის, გაუგებრობას აღმოფხვრის.*

ეზოს ოპერა

I

ეზოში საოცარი ამბავი ხდებოდა. ქალბატონი ქეთო მაცაცოს ცხვირწინ (უფრო სწორად, ნისკარტის წინ) ცოცხს უქნევდა – ცდილობდა, როგორმე მოერტყა. მაცაცო მოხერხებულად იცილებდა ცოცხს – ხან აქეთ გაფრინდებოდა, ხან – იქით.

– მე შენ გიჩვენებ სეირს! – ყვიროდა მეზობელი, – გაჩვენებ, როგორ უნდა პატიოსანი ადამიანების დაცინვა და მასხარად აგდება.

– უკაცრავად! – თავს იცავდა მაცაცო, – აზრადაც არ მომსვლია თქვენი მასხარად აგდება... არიას ვასრულებდი. ვმღეროდი!

ქალი აღშფოთებისგან ადგილზე შეხტა.

– მღეროდი? – იყვირა მან, – ამას ეძახი სიმღერას? სიმღერა ის იყო, მე რომ ვმღეროდი ახალგაზრდობაში. ახლა მე შენ გაცეკვებ ნოტებზე, შე საზიზღარო!

– უკაცრავად! – შესძახა მაცაცომ და ცოცხი მოხერხებულად აიცდინა, – ცეკვას კი არა, სიმღერას ვაპირებ.

ამ დროს ეზოში ძია ალექსი გამოვიდა.

– რა ხდება, ქალბატონო ქეთო? – გაოცებულმა იკითხა.

– არაფერი, – მიამიტურად მიუგო მაცაცომ.

– არაფერი? როგორ თუ არაფერი? მთელი დილაა ჩემს ფანჯარასთან ღრიალებს! ვითომ მღერის, აი, ახალგაზრდობაში მე რომ ვმღეროდი.....

ახლა მაცაცო გაცეცხლდა. ისედაც საკმარისად ითმინა.

– კი არ ვღრიალებდი, ვმღეროდი. იმდენიც კი არ გესმით, ეს იყო გენიალური არია ოპერიდან „კარმენი“. მე პრიმა-მომღერალი უნდა გავხდე. დაე, ყველამ იცოდეს!

– ღმერთო, – ამოიკვნესა ყოფილმა მომღერალმა – ოღონდ ეგ არა!

– აი, ახლა გიმღერებთ – თავმომწონედ გამოაცხადა მაცაცომ და ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, – ქჰე, ქჰე...

– არ გინდა, მაცაცო! – შესძახა ძია ალექსიმ, – საკმარისია! მოდი, ქა-

ლბატონი ქეთო სახლში წავიდეს, დაიღალა, ხვალ გვიმღერე.

– ხვალ? – მაცაცო დაფიქრდა, – კარგი, ხვალ ნამდვილ კონცერტს მოგიწყობთ.

მაცაცო ხეზე აფრინდა და ბუდეში გემრიელად მოკალათდა. მომავალმა პრიმადონამ კონცერტის წინ კარგად უნდა დაისვენოს..

II

მეორე დილით მაცაცომ სახელდახელოდ ისაუზმა და ბავშვები შემოიკრიბა.

– გილოცავთ! – გამოუცხადა საზეიმოდ, – დღეს განსაკუთრებული დღეა!

ბავშვებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. ვერაფერი გაიხსენეს, რაც იმ დღეს განსაკუთრებულად აქცევდა.

მაგრამ მაცაცო ისეთი ბედნიერი ჩანდა, მის სიტყვებში ეჭვის შეტანა ძნელი იყო.

– ამრიგად, – დაიწყო მაცაცომ, – როცა იტალიაში ვიყავი...ოჰ, იტალია! – მაცაცომ თვალები ნეტარებით მილულა, – ეს ხომ ნამდვილი სასწაულია... რომი, ნეაპოლი, ფლორენცია, მილანი, ვეზუვი, სპაგეტი, პიცა... ჰმ... ჰო, მოკლედ... იტალიაზე როგორმე სხვა დროს მოგიყვებით... ერთი სიტყვით, როცა იტალიაში ვიყავი, ოპერაში შევფრინდი... იცით, რა არის ოპერა?

პაკომ იცოდა, ოპერა რა იყო, ერთი-ორჯერ ნახა ტელევიზორში.

– უჰ, სიმღერა ძალიან რთულია! – შესძახა...

მაცაცოს გაეცინა. – ქალბატონი ქეთოს მოგზავნილი ხომ არ ხარ? ჰგონია, რომ მხოლოდ მას შეუძლია საოპერო არიების შესრულება, სხვას არა. ჰოდა, ვაჩვენოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია სიმღერა. ოპერა უნდა დავდგათ. უფროსებს ჰგონიათ, რომ არაფერი შეგვიძლია. მოდი დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია სიმღერა.

– მართლა? – დაეჭვდა პაკო.

ასე და ამრიგად, 7 აპრილს, 13 სახლის ეზოში 11 საათსა და 15 წუთზე წარმოდგენილი იქნება პრემიერა – „ეზოს ოპერა“.

სამხატვრო ხელმძღვანელისა და რეჟისორის თანამდებობაზე მაცაცომ სასწრაფოდ საკუთარი თავი დაასახელა. კამათი არავის დაუწყია – მაცაცოს ავტორიტეტი ამ სფეროში ეჭვს არ იწვევდა. შემდეგ მაცაცომ იმის ახსნა დაიწყო, რომ ოპერაში უნდა იყოს სოლისტი და ქორო.

– სოლისტია ის, ვინც მარტო მღერის, ქორო კი ის არის, როცა ბევრი

ადამიანი მღერის ერთად. გასაგებია?

– გასაგებია, – ყველას მაგივრად ყოჩაღად მიუგო თუთამ, თუმცა, სინამდვილეში, კარგად არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ.

– მოკლედ, ყველაფერი მარტივადაა, – გააგრძელა მაცაცომ, – მე სოლისტი ვიქნები, თქვენ – ქორო. მე ვიმღერებ, თქვენ ბანს მომცემთ. გასაგებია? ბავშვებმა უკმაყოფილო სახით გადახედეს ერთმანეთს, ჩანდა, რომ ვერაფერი გაიგეს. თანაც, სოლისტობა ყველას მოეწონა, ქოროში მღერა კი არავის მოუნდა. სოლისტების რაოდენობა სინათლის სიჩქარით იზრდებოდა, ქორო კი ვერაფრით ჩამოყალიბდა. „ეზოს ოპერა“ დაშლის პირას იყო.

– ბავშვებო! – შესძახა უეცრად თუთამ, – ქალბატონ ქეთოს ხომ არ დავეკითხოთ? ბოლოს და ბოლოს, ოპერაში მღეროდა. რამეს გვირჩევს.

ბავშვებმა უნდობლად გახედეს. აბა, როგორ უნდა ეთხოვათ რამე ქალბატონი ქეთოსთვის მას შემდეგ, რაც მაცაცოს მასთან შეემთხვა.

– იქნებ, წერილი მივწეროთ? —არ ჩერდებოდა თუთა.

– ყოჩაღ! – შეაქო ბაომ, – ეგრე მოვიქცეთ. დავწეროთ და ძია ალექსის გავატანოთ.

– კარგი აზრია! – შესძახა ნიკუშამ, – ბავშვები შემოიკრიბა და წერილის წერა დაიწყეს.

„ყველაფერი საერთო იყოს... სოლისტობაზე ნუ ოცნებობთ. მხოლოდ ქოროზე იფიქრეთ! ქოროშიც რთულია სიმღერა. გვერდით მდგომს უნდა მოუსმინოთ, ხმა უნდა შეუწყოთ. როგორ გგონიათ, შეძლებთ?“

(ქალბატონი ქეთოს პასუხი, რომელიც ძია ალექსის ხელით გამოუგზავნა ბავშვებს)

– შევძლებთ! – ერთხმად შესძახეს ბავშვებმა და ერთმანეთს მხიარულად გადახედეს.

– ვნახოთ, – გაეღიმა ბაოს.

№13 სახლის ეზო გამოცოცხლდა: ყველა მეზობელი, დიდიან-პატარიანად, პრემიერაზე გახლდათ დაპატიჟებული. მიწვეულთა შორის ქალბატონი ქეთოც ბრძანდებოდა.

– „ეზოს ოპერა“! – საზეიმოდ გამოცხადა კოკიმ, – ასრულებს ქორო.

ქორო შესანიშნავად მღეროდა. ხმაშეწყობილად. ქალბატონი ქეთო აღტაცებით და სიამაყით შესცქეროდა სცენას.

ძილის წინ მაცაცო თვალცრემლიანი იხსენებდა, როგორი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს და როგორ მიულოცა ქალბატონმა ქეთომ წარმატება.

„ამის მერე შევეცდები უფროსებს გავუგო და მათი გამოცდილება გავიზიარო. ეს ძალიან სასარგებლო და მაგარი რამეა! ადამიანები ერთმანეთს თუ მოუსმენენ, აუცილებლად შერიგდებიან კიდეც! ჩვენი წერილი რა კარგად გაიგო ქალბატონმა ქეთომ.“’

***რა ეწერა** ამ წერილში? დაწერეთ წერილი ისე, რომ მოთხრობის დასასრულს შეესაბამებოდეს.*

***მიუძღვენით** თაობებს შორის ურთიერთობებს ჩანახატი — მიაწერეთ რაიმე მიმართვა, შექმენით ნახატი ან პლაკატი და აჩუქეთ თქვენს ახლობელ უფროს ადამიანს — ოჯახის წევრს, მასწავლებელს ან მეზობელს.*

თემა 12 გოგონები და ბიჭები (გენდერი)

ჩვენი საზოგადოება მრავალფეროვანია. ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისგან გარეგნობით, სქესით, აზროვნებით, ჩაცმულობით, ინტერესებით...

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ და მივიღოთ სხვა ადამიანი ისეთად, როგორიც ის არის. ამა თუ იმ განსხვავებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, თუმცა, ზოგჯერ გოგონები და ბიჭები ვერ თანხმდებიან. ასევე განსხვავებულია მათდამი უფროსების დამოკიდებულება. ხშირად ამის მიზეზი ***გენდერული სტერეოტიპებია****, ანუ წინასწარ შექმნილი წარმოდგენა ბიჭებისა და გოგონების ქცევაზე, საქმიანობაზე, როლებზე საზოგადოებაში, რომელიც ხშირად უარყოფითად ახასიათებს კონკრეტულ სქესს.*

სწორედ ამიტომ მიაჩნიათ, რომ ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, ხოლო გოგონები სახლობანას. ხელსაქმე მხოლოდ გოგონებს ეხება, ბიჭებმა კი ღილის დაკერებაც კი არ უნდა იცოდნენ. გოგონები უფრო მოწესრიგებული არიან, ვიდრე ბიჭები.

ამ შეხედულებების გამო ხშირად მათი უფლებები ირღვევა. თუმცა, ბიჭებსაც და გოგონებსაც თანაბარი უფლებები აქვთ. ბიოლოგიური განსხვავების მიუხედავად ისინი თანასწორი არიან.

გენდერული თანასწორობა *ნიშნავს იმას, რომ გოგონებსა და ბიჭებს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი ნიჭის, სურვილების განსახორციელებლად.*

დაიყავით ჯგუფებად. ორმა ჯგუფმა დაწეროს თქვენი თანატოლი გოგონას, პირობითად, ელენეს ცხოვრების ისტორია: რაზე ოცნებობს ეს გოგონა? რა სურვილები აქვს? რას აკეთებს? სად ცხოვრობს? როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანები?

დანარჩენმა ჯგუფებმა – თქვენი თანატოლი ბიჭის, პირობითად, სანდროს ცხოვრების ისტორია.

1. ***ელენესა და სანდროს ცხოვრების მაგალითზე გამოიტანეთ დასკვნა, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან?***
2. ***დაცულია თუ არა მათი გენდერული თანასწორობა?***

შექმენით ცალკე გოგონების და ცალკე ბიჭების ჯგუფები. გოგონებმა ჩამოწერეთ ბიჭებისთვის დამახასიათებელი 4-5 თვისება და საქმიანობა, ბიჭებმა – გოგონების.

თქვენი ნამუშევარი დაიწყეთ სიტყვებით: „ჩვენ ასე გვგონია...“

პრეზენტაციის შემდეგ დააკვირდით:

1. *რომელი მახასიათებელი მეორდება ყველაზე ხშირად?*
2. *რამდენად სამართლიანია ეს შეხედულებები და რამ შეუწყო ხელი ამგვარი შეხედულებების ჩამოყალიბებას?*

1 ივნისი

ბავშვთა დაცვის დღეა

დღესასწაული

I

მათ საყურადღებოდ, ვინც არ იცის, რომ 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა.

„ნეტავ ვისგან უნდა დაგვიცვან?“ – ფიქრობდა სკოლიდან მომავალი პაკო. ერთობ უშიშარი ბიჭი იყო, მამაცი გულის პატრონი. თვითონაც მშვენივრად დაიცავდა თავს.

„იქნებ მშობლებისგან უნდა დაგვიცვან?“ – უცებ პაკოს გონება გაუნათდა. ნამდვილად ასეა! არც ტელევიზორს გაყურებინებენ წესიერად, არც კომპიუტერთან გათამაშებენ შენს ნებაზე... მარტო შენიშვნების მოცემა იციან, – გაკვეთილები ისწავლე! ადრე ადექი! სწორად დაჯექი! მუდმივად ჭკუას გასწავლიან, გასწავლიან და გასწავლიან...

ეტყობა, 1 ივნისი ბავშვების მშობლებისგან დაცვის საერთაშორისო დღეა.

„მაგრამ მშობლებს როცა უნდათ, – ფიქრს აგრძელებდა პაკო, – ძალიანაც კარგები არიან“, – პაკოს დედა გაახსენდა და გულში სითბო ჩაეღვარა... არა, მაინც ძალიან უყვარს, რაც მართალია, მართალია. აი, ახლა მივა სახლში, მოიხსნის ჩანთას, შევა სამზარეულოში, – დედიკო გემრიელ ღვეზელს დაახვედრებს. საღამოს კი, როცა მამიკო სამსახურიდან დაბრუნდება, პაკო სკოლის ამბებს მოყვება და მთელი ოჯახი მეგობრულად ისაუბრებს. თუთა, რა თქმა უნდა, სულელურ კითხვებს დააყრის, ისინი კი იცინებენ და იცინებენ, თითქოსდა უმიზეზოდ... და უცებ... უცებ

პაკოს გონება გაუნათდა – 1 ივნისი სხვა ბავშვებისაგან დაცვის დღეა, ოღონდ მხოლოდ მდედრობითი სქესის, ანუ გოგონებისაგან დაცვის დღე.

ეს აზრი პაკოს ძალიან მოეწონა, – ლიტერატურული ენით რომ ვთქვათ, გულიგაუთბო.

არა, პაკო გოგონების მიმართ ძალიან კარგად არის განწყობილი – ერთ-ერთი მათგანი კი, სულაც, უყვარს (ალბათ, ხვდებით ვინც – ლიზიკო), მაგრამ პაკოს აზრით, ზოგჯერ გოგოები ბიჭების საქმეებში ყოფენ ცხვირს...

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ბავშვებს დღესასწაული აქვთ. დღესასწაული კი უნდა აღინიშნოს.

ამ ფიქრში პაკო სახლამდე ისე მივიდა, ვერც კი შეამჩნია.

II

– აქ რას აკეთებ? – ჰკითხა ლიზიკომ პაკოს.

პაკო ამ დროს ძელსკამს ღებავდა (ასე ვთქვათ, დღესასწაულისთვის ემზადებოდა). ამ კითხვამ ძალიან გააღიზიანა.

„აჰა, დაიწყო! – გაიფიქრა პაკომ, – მშვენივრად ხედავს, რომ სკამს ვღებავ, მაგრამ მაინც მეკითხება... ამას მხოლოდ ქალი თუ იკითხავდა.“

– სკამს ვღებავ, – ჩაიბურტყუნა პაკომ, – ვერ ხედავ?



– რატომ ღებავ? – ვითომც აქ არაფერიაო, ჰკითხა ლიზიკომ. ეტყობა, სულელური კითხვების დასმა მისთვის ჩვეული საქმე გახლდათ.

– იმიტომ, რომ გახუნდა! – გაბრაზებით მიუგო პაკომ, თან გაიფიქრა,– რა შტერები არიან გოგოები!

ლიზიკომ პაკოს შურით გახედა, რადგან ღებვა ძალიან უყვარდა. შარშან, როცა აგარაკზე რემონტი ჰქონდათ, მამამ უფლება

მისცა მთელი ღობე შეეღება. სხვათა შორის, მისი ნახელავით კმაყოფილი დარჩა.

– შეიძლება, ცოტა მეც შევღებო? – ჰკითხა ლიზიკომ მორიდებით და პაკოს თავისი მშვენიერი ცისფერი თვალები შეანათა.

პაკო კინაღამ დადნა. უნდოდა ეთქვა: „აბა რა, აიღე ფუნჯი და ღებე, რამდენიც გინდაო“, მაგრამ დროზე მოეგო გონს.

– არა, არ შეიძლება! – თქვა მან, – ღებვა ქალის საქმე არ არის!

ამ დროს ეზოში დეიდა ლალი ჩამოვიდა. მაცაცოს ეძებდა. მაგრამ მაცაცო ვერსად იპოვა. არც ბუდეში იყო, არც ფუღუროში.

– მე ვიცი, სადაც არის – წამოიძახა პაკომ და ფუნჯი კოკის სახლისკენ გაიქნია, – კოკისთანაა სტუმრად.

ამ დროს დეიდა ლალის საღებავის რამდენიმე წვეთი შეეშხეფა.

– ვაი! – გაოცდა დეიდა ლალი, რადგან ვერ მიხვდა, რისი წვეთები იყო, – ალბათ იწვიმებს.

დეიდა ლალიმ სახეზე მოისვა ხელი. ამის გამო მთელი სახე საღებავით მოეთხვარა, თუმცა, თვითონ ვერაფერს მიხვდა. პაკოს ენა ჩაუვარდა. ხმა ვეღარ ამოიღო. დეიდა ლალი კი სახლში შებრუნდა.

პაკო ლიზიკოს სიცილმა გამოაფხიზლა.

– რა მოუხერხებელი ხარ, – უთხრა ღიმილით, – არ იცი, ფუნჯი როგორ იხმარო, რომ გარშემო ყველა და ყველაფერი არ დასვარო.

– ჭკუას ნუ მასწავლი! – შეუღრინა პაკომ, – ეს ქალის საქმე არ არის!

პაკოს ისე გაუფუჭდა გუნება, რომ ძელსკამზე დაჯდა. ზუსტად იმ ნახევარზე, რომელიც შეღებილი ჰქონდა. ლიზიკომ გადაიკისკისა.

– შარვლის შეღებვა გადაწყვიტე? – ჰკითხა სიცილით.

პაკო ელდანაკრავივით წამოვარდა. „ეს როგორ დამემართა!“ – გაიფიქრა და წამსვე საღებავის ქილას გაჰკრა ფეხი. საღებავი დაიქცა.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ეს ლიზიკოს თვალწინ მოხდა. პაკოს თავმოყვარეობა სასტიკად შეელახა, მაგრამ როცა ლიზიკოს შეფარვით გახედა, დაინახა, რომ გოგონა დაცინვით კი არა, გულწრფელი თანაგრძნობით უყურებდა.

– გუშინ მე მთელი ქილა არაჟანი დამექცა, – უთხრა ლიზიკომ, – გული არ გაიტეხო, პაკო. მამიკოს ზუსტად ასეთი საღებავი აქვს, ვიცი... ახლავე გავიქცევი და მოვიტან.

საღებავის მოსატანად ერთად გასწიეს. როცა დაბრუნდნენ, პაკომ ლიზიკოს შესთავაზა:

– მოდი, ერთად შევღებოთ.

მართლაც, ერთად შეუდგნენ საქმეს. პაკო გააოცა იმან, რომ ლიზიკო ძალიან კარგად ღებავდა– თანაბრად, თანაც ისე, რომ საერთოდ არ იდღაბნებოდა.

– ძალიან კარგად გამოგდის, – მორცხვად შენიშნა პაკომ.

– ადვილია, – მიუგო ლიზიკომ, – ფუნჯი ბოლომდე კი არ უნდა ჩადო საღებავში, მხოლოდ წვერი უნდა ჩაყო... მაშინ არ გაიდღაბნება... მამიკომ მასწავლა.

– მაგარი ხარ! – აღიარა პაკომ.

ლიზიკოს შეეძლო გაეხსენებინა, რომ ღებვა „ქალის საქმე არ არის“, მაგრამ არაფერი უთქვამს. ალბათ პაკო ისედაც მიხვდა ყველაფერს.

გადაიხაზეთ რვეულში სქემა 1 და შეავსეთ:

სქემა 1.

აღწერეთ კონფლიქტის მიზეზები და შედეგები:

კონფლიქტი .....

მიზეზები	შედეგები

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. ჩამოთვალეთ, რამ შეუშალა ხელი პაკოს და ლიზიკოს საერთო საქმიანობაში რომ მიეღოთ მონაწილეობა?
2. როგორი დამოკიდებულება აქვს პაკოს გოგონებთან?
3. რას ფიქრობს იგი გოგონებზე?
4. რის გამო შეიცვალა პაკოს აზრი?
5. რომელი სტერეოტიპები უშლის ხელს პერსონაჟებს გარკვეული საქმიანობის/ პროფესიის არჩევაში?

საშინაო დავალება:

ჩამოწერეთ, რას საქმიანობენ თქვენი ოჯახის ქალი და მამაკაცი წევრები. თუ გოგონა ხართ, აღწერეთ როგორ ეხმარებით მამას, ბაბუას, ძმას. თუ ბიჭი — დედას, ბებიას, დას.

გაეცანით ჩამონათვალს და განსაზღვრეთ, რომელი საქმიანობაა დამახასიათებელი ქალებისათვის და რომელი მამაკაცებისათვის?

საქმიანობათა ჩამონათვალი:

1. ჭურჭლის რეცხვა	2. კერვა
3. ღობის შეღებვა	4. ფეხბურთის თამაში
5. წიგნის კითხვა	6. კომპიუტერთან მუშაობა
7. დაუთოება	8. სახლის დალაგება
9. თევზაობა	10. მშენებლობა
11. სიმღერა	12. შეშის ჩეხა
13. ქსოვა	14. მოდელობა
15. განკარგულებების გაცემა	16. ცეკვა

17. ტელევიზორის ყურება	18. საჭმლის მომზადება
19. ყურძნის დაწურვა	20. მანქანის მართვა
21. მანქანის შეკეთება	22. პედიკიური
23. ქირურგობა	24. ყვავილის დარგვა

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რომელ საქმიანობას მიაწერენ ქალებს, რომელს — მამაკაცებს?
2. როგორ განსაზღვრეთ, საქმე ქალისთვის არის შესაფერი, თუ მამაკაცისთვის?

გაეცანით ქვემოთ ჩამოთვლილ მტკიცებულებებს. რომელს ეთანხმებით, რომელს — არა და რომელზე შეიკავეთ თავი?

- *ქალები არ უნდა მუშაობდნენ და ბავშვებს უნდა ზრდიდნენ;*
- *ქალები, როგორც მამაკაცები, უნდა მუშაობდნენ;*
- *ბიჭები არ ტირიან;*
- *სახლის საქმე მხოლოდ ქალებმა (გოგონებმა) უნდა აკეთონ;*
- *ფიზიკური ვარჯიში და სპორტი ბიჭებისთვის უფრო მნიშვნელოვანია;*
- *ოჯახის ფინანსურ საკითხებს მამაკაცი უნდა აგვარებდეს;*
- *მანქანის მართვა ქალის საქმე არ არის;*
- *ქალი ჩუმად უნდა იყოს, როდესაც კაცი საუბრობს.*

მასწავლებლობანა

ერთ მშვენიერ დილას მაცაცოს ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა. იწვა ბუდეში და საკუთარი თავით მოხიბლული ფიქრობდა: როგორი მომხიბლავი, ჭკვიანი და ნიჭიერი ჩიტი ვარ...

უეცრად მაცაცოს სიმყუდროვე გოგონების ხმამაღალმა საუბარმა დაურღვია.

– რა ვქნათ? —ეკითხებოდა ერთი მეორეს, – იქნებ მასწავლებლობანა ვითამაშოთ?

„რა უსინდისობაა, – გაიფიქრა მაცაცომ, – რაღაცის თამაშს აპირებენ და მე არც კი მეძახიან. რას ჰგავს ეს?“

მაცაცომ ბუდიდან თავი გადმოყო და ტკბილად, ვითომც აქ არაფერიაო, ჩაილაპარაკა:

– აა, გოგონებო, როგორ მიხარია თქვენი დანახვა.... ამ მშვენიერ მზიან დილას რას აპირებთ?

– გვინდა, მასწავლებლობანა ვითამაშოთ, – მიუგო თუთამ და იმავე წამს შესთავაზა, – მაცაცო, ჩვენთან ერთად არ ითამაშებ?

– რასაკვირველია, ვითამაშებ! – გაუხარდა ჩიტს, – კარგი აზრია... მაგრამ... მასწავლებელი ვინ იქნება?

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, ლიზიკომ თუთას თვალი ჩაუკრა და მაცაცოს უთხრა:

– ალბათ მასწავლებელი შენ უნდა იყო, მაცაცო... თანახმა ხარ?

მაცაცო თანახმა იყო ნებისმიერი თამაში ეთამაშა, ოღონდ თვითონ ყოფილიყო მთავარი.

– რასაკვირველია, თანახმა ვარ, – დაფაცურდა მაცაცო, – სადღაც ცარცის მშვენიერი ნატეხიც კი მქონდა გადანახული... შემთხვევით თუ არ შემომეჭამა...

თუთა ახითხითდა. სულ უბრალო რაღაცაზეც კი იცინოდა ხოლმე. მაცაცო გაბრაზდა.

– სასაცილო არაფერია, – უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა, – უმჯობესია, დაფა მომიძებნოთ. ცარცით რაღაც უნდა დავწერო.

ამ სიტყვებზე მაცაცომ მიიხედ-მოიხედა და კოკის სახლი დაინახა.

– აი! – კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, – ესეც შენი დაფა!

– მართალია! – მხიარულად წამოიძახა თუთამ და მაშინვე დაამატა, – ის ორი დიდი ქვა კი ჩვენი მერხები იქნება.

ვაშა! გახარებული მეგობრები კოკის სახლისკენ გაემართნენ. გოგონები მერხ-ქვებზე ჩამოსხდნენ და გაკვეთილიც დაიწყო.

– იცით თუ არა თქვენ, – დაიწყო მაცაცომ დინჯად საუბარი და წვრილი საჩვენებელი ჯოხი ბურთს დაადო, – რომ დედამიწა მრგვალია, აი, ამ ბურთივით და მზის გარშემო ტრიალებს?

– რა ტრიალებს მზის გარშემო? – იკითხა თუთამ, – დედამიწა თუ ეს ბურთი?

მაგრამ მაცაცომ ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია. ერთი სული ჰქონდა თავისი მრავალმხრივი ცოდნა გოგონებისთვის გაეზიარებინა, ტყუილ-მართალს ეჭიკჭიკებოდა ბავშვებს.

გოგონები მაცაცოს გაოცებულები შესცქეროდნენ. ამ დროს კოკის ტკბილად ეძინა. ხმაურზე გამოეღვიძა და დაინტერესდა, რას თამაშობდნენ ბავშვები. მასწავლებლობანას თამაში მასაც მოუნდა.

– ვერ მოგართვით! – დასცინეს კოკის გოგოებმა, – ეს გოგოების თამაშია, მაინც არ გამოგივა. გირჩევნია ბიჭებთან წახვიდე და სხვა რამე ითამაშო. ბიჭების თამაში.

კოკის ეწყინა და გაიბუტა. ამ გოგოებს საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვთ. დანაღვლიანებულმა კუდი ამოიძუა და იქაურობას გაეცალა.

ცოტა ხნის მერე კოკი ისევ გამოჩნდა ეზოში. ამჯერად, „ამალის“ თანხლებით.

– რას თამაშობთ? – ჰკითხა ნიკუშამ გოგონებს. თან კოკის თავზე უსვამდა ხელს.

„ოო, ახლა ეს მოვიდა! – უკმაყოფილოდ გაიფიქრეს გოგონებმა, – მამრობითი სქესის კიდევ ერთ წარმომადგენელს უნდა გოგოების თამაშში მონაწილეობა.“

– მასწავლებლობანას ვთამაშობთ, – ცივად მიუგო ლიზიკომ, – გოგოების თამაშია! ბიჭებმა ეს თამაში არ უნდა ითამაშონ... მაინც არაფერი გამოუვათ.

– ო, ბრძენთა ბრძენო ლიზიკო, – უთხრა პაკომ დაცინვით, – მე მგონი, სისულელეს ამბობ.

ლიზიკო გაბრაზებისგან წამოწითლდა.

„ახლავე გადით კლასიდან!“ – უნდოდა დაეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა.

– ჩვენთან სკოლაში, – აღშფოთებისაგან აკანკალებული ხმით გამოაცხადა ერთი წამის შემდეგ, – თითქმის ყველა მასწავლებელი ქალია.

– მერე რა – შეეპასუხა პაკო, – ჩემი ბიძაშვილი უნივერსიტეტში სწავლობს და იქ თითქმის ყველა ლექტორი კაცია.

ლიზიკომ პირი გააღო, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. სამაგიეროდ თუთამ გასცა პასუხი:.

– პაკო სიმართლეს ამბობს, – თქვა მან ხმამაღლა, – რა მნიშვნელობა აქვს, ქალი იქნება, თუ კაცი? მთავარია, კარგი მასწავლებელი იყოს.

– მართალია, – დაეთანხმა მაცაცო, – ისეთი, როგორიც მე ვარ.

ბავშვებს გაეცინათ. ლიზიკოსაც ... მას შეეძლო თავისი შეცდომების აღიარება. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, გოგო ხარ თუ ბიჭი. ნებისმიერი შეიძლება გახდეს თავისი საქმის კარგი მცოდნე... არ არის საჭირო ქალებისა და მამაკაცების პროფესიების დაყოფა. საზოგადოებაში ბიჭებსაც და გოგონებსაც ერთნაირი უფლებები აქვთ.

და მხოლოდ მაცაცომ... ძალიან ჩუმად... ისე, რომ არავის გაეგო, ჩაილაპარაკა:

– კვერცხებს კი მაინც ჩვენ ვდებთ – ქალები.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რომელ თამაშს მიიჩნევდნენ ეზოს ბინადრები გოგონების, რომელს – ბიჭების თამაშად?
2. რომელი პროფესია მიიჩნევა ქალის და რომელი მამაკაცის პროფესიად?
3. რამ გამოიწვია კონფლიქტი და როგორ გადაიჭრა იგი?

თემა 13 ცრუ შეხედულებები, სტერეოტიპები და სტიგმა

ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეულ ჩვენგანს აქვს ურთიერთობა ადამიანებთან, მომსწრენი ვართ სხვადასხვა სიტუაციისა და მოვლენის, ვიღებთ სხვადასხვა ინფორმაციას. ამის შედეგად გვიყალიბდება ესა თუ ის დამოკიდებულება სხვადასხვა ადამიანისა და მოვლენის მიმართ: ხან დადებითი, ხან კი უარყოფითი.

მაგალითად, როცა ხშირად ვიგებთ, რომ ამა თუ იმ ერის კონკრეტული წარმომადგენელი არასწორად მოიქცა, მივიჩნევთ, რომ ამ ეროვნების ყველა ადამიანი ასეთია და ამ ადამიანების მიმართ უკვე **ცრუ და სტერეოტიპული შეხედულება** გვიყალიბდება. ვფიქრობთ, რომ ისინი რაღაცით ცუდები არიან, ეს კი გაუაზრებლად მათი უფლებების დარღვევას იწვევს. სწორედ ამიტომ ხშირად მათ ვამცირებთ კიდეც.

სტერეოტიპული შეხედულებების შედეგად ჩვენი ქცევა არაჯანსაღი ხდება და გვიბიძგებს იმისკენ, რომ გავრიყოთ ადამიანები, ცუდად მოვექცეთ მათ და დავჩაგროთ. ადამიანების მიმართ ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას, რომელიც გვიბიძგებს გავრიყოთ და დავჩაგროთ განსხვავებული ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფები, **სტიგმა** ეწოდება.

გაეცანით ქვემოთ მოცემულ მაგალითებს:

✓ ბიჭუნა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად დროებით სხვა ქვეყანაში გადადის. მას ამის სურვილი არა აქვს, რადგან მიაჩნია, რომ იმ ქვეყნის მკვიდრნი ძალიან „ცივი“ და „უხეში“ ადამიანები არიან. მათ შესახებ ერთმა მეგობარმა უამბო.
ის იცნობდა ამ ქვეყნის მოქალაქეს და არასასიამოვნო ურთიერთობა ჰქონდა მასთან. მეგობარი თავგამოდებით უმტკიცებდა, რომ ფრთხილად უნდა იყოს იმ ქვეყნის მკვიდრებთან, მათთან კარგი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს, რომ ზიანი არ მიაყენონ. გარკვეული ხნის შემდეგ ბიჭუნა იმ ქვეყნიდან ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი დაბრუნდა. იგი ყველას უყვებოდა, თუ როგორი მეგობრული და სასიამოვნო ხალხი ცხოვრობდა იმ ქვეყანაში. ისინი მას ძალიან კარგად ექცეოდნენ და ეხმარებოდნენ. ბიჭუნამ იქ ბევრი მეგობარი შეიძინა. გულიც კი დას-

წყდა, როცა დაბრუნების დრო მოვიდა. ახლა მას რცხვენია უწინდელი სტერეოტიპული და ცრუ შეხედულებების გამო.

✓ გოგონას უნდა ცეკვის კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. ის გოგონას მეზობლებსა და გვერდითა სახლის მცხოვრებლებს შორის იმართება. გოგონას ერთი მეზობელი ბიჭი წინააღმდეგია, რომ ეს გოგონა მათ გუნდში იყოს. ბიჭს მიაჩნია, რომ გოგონა კარგად ვერ იცეკვებს, რადგანაც იგი მსუქანია. ამ სიტყვების გაგონება გოგონას გულს სტკენს. სხვა მეზობელი შემთხვევით ყურს მოჰკრავს ამ საუბარს, დაუძახებს ბავშვებს და დაიწყებს იმ ბიჭთან კამათს. უმტკიცებს, რომ სიმსუქნე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ცუდად ცეკვავს. მეზობელი გოგონას სთხოვს, ყველას დასანახად იცეკვოს. აღმოჩნდება, რომ გოგონა მართლაც არაჩვეულებრივი მოცეკვავეა. ამის შემდეგ მეზობლები მიხვდნენ: ცრუ შეხედულება იმის შესახებ, რომ მსუქანი გოგონა კარგად ვერ იცეკვებდა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. თანაც, მეზობელი ბიჭის ამგვარი დამოკიდებულება გოგონასათვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო.

იმსჯელეთ *თანატოლებთან ერთად, გაიაზრეთ, რა პრობლემები წარმოშვა ცრუ შეხედულებებმა, განზოგადებულმა, სტერეოტიპულმა ხედვამ და როგორ შეძლეს მათი გადაჭრა.*

კოკი ავადაა!

მზე ახალი ამოსული იყო. ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა. დილის სიმყუდროვეს არაფერი არღვევდა. კოკიმ გაიღვიძა, თავისი სახლიდან ზმორებით გამოძვრა, მიიხედ-მოიხედა და ჩაილაპარაკა:

– არავინაა... ჯერ ისევ სძინავთ, ეტყობა... – ჩაეცინა, – ძილისგუდები. ვაი, ეს რა ხმაა? რა ხდება?

ღობესთან მაყვლის ხშირი ბუჩქებიდან ჩიტის ხმამაღალი, შეწუხებული ჭყიპინი ისმოდა. კოკიმ თავი ბუჩქში შეყო: მიწაზე, ეკლიანი ტოტების ქვეშ, უმწეო ბარტყი დაინახა.

– რა საცოდავად ჭყიპინებს. – ჩაილაპარაკა გულაჩუყებულმა კოკიმ, – ბუდიდან გადმოვარდი, პატარავ? ნუ გეშინია! მე გადაგარჩენ. გული მიგრძნობს, ჩემი წინაპარი მაშველი ძაღლი სენ-ბერნარი იყო.

კოკიმ ტოტები მისწი-მოსწია და ბუჩქებში გაჭირვებით შეძვრა.

– უჰ, როგორ ბნელა ამ ბუჩქებში, ნამდვილი ჯუნგლებია. ვაი! თანაც, რამხელა ეკლებია! ვაი-ვაი! – კოკის ეკლები ესობოდა, მაგრამ არ ჩერდებოდა, წინ მიიწევდა, – ოჰ, თქვე საზიზღარო ეკლებო! ვაი-ვაი!

როგორც იქნა, ბარტყს დასწვდა, ფრთხილად დაიხსნა ტყვეობიდან . მერე ქვის ღობეზე აძვრა, უკანა თათებზე შედგა და ჩიტი ბუდეში ჩასვა. ბუდე იმ ხეზე იყო, რომელიც მეზობელ ეზოში იდგა, მაგრამ ტოტები № 13 სახლის ეზოში ჰქონდა გადმოშვებული.

– ჩქარა, დედიკოსთან გაიქეცი, – უთხრა ბარტყს ღიმილით და ძირს ჩამოხტა, – ვაი, როგორ დავიკაწრე! – დაიმანჭა ტკივილისგან და ფერდი აილოკა, – სამაგიეროდ, ჩიტუნა გადავარჩინე.

ბუდიდან მხიარული ჟივჟივი ისმოდა. საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილი კოკი ეზოდან კუდის ქიცინით გავიდა.

გავიდა თუ არა კოკი ქუჩაში, ეზოში მაცაცო გამოჩნდა. ეზოს ერთი ბოლოდან მეორეში ერთობ მედიდური გამომეტყველებით გაიარ-გამოიარა, თან ხმამაღლა ლაპარაკობდა:

– მსუბუქი საუზმის შემდეგ მცირედი გასეირნება ორგანიზმისთვის სა-

სარგებლოა, სუფთა ჰაერზე სეირნობა კი ჯანმრთელობის საწინდარია. მაცაცო მაყვლის ბუჩქს მიუახლოვდა, – მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყო, გარშემო უამრავი ინფექციაა. ვირუსები! მიკრობები!

უეცრად მაცაცო შედგა. ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო და ბუჩქს დააკვირდა. ტოტზე, უფრო სწორად, ეკალზე, ბეწვი შენიშნა.

– მმმ... აშკარად კოკის ბეწვია, – ჩაილაპარაკა მაცაცომ, – აი, აქაც, მიწაზე. მმ... – დაფიქრდა, – ვგრძნობ, რაღაც ხდება... საშინელი საიდუმლოებაა. ვაიმე! კოკი ავად გახდა! ინფექცია აქვს! საშინელი გადამდები ავადმყოფობა სჭირს. „კოკის ჭირი“ ბეწვის ცვენას იწვევს ... კიდევ, ბუმბულის, თმის, ფოთლის ცვენას. არ მიეკაროთ! კოკი ავადმყოფობას გადაგდებთ, ყველას გადაგდებთ!

– რა დაგემართა, მაცაცო? – მისი ხმის გაგონებაზე ნიკუშა სახლიდან გულგახეთქილი გამოვარდა.

– ავად ხომ არ გახდი, მაცაცო? – იკითხა თუთამაც.

– მე გავხდი ავად? ჰა-ჰა-ჰა! – ნაძალადევად ჩაიცინა მაცაცომ, – მე კი არა, თქვენი საყვარელი კოკი გახდა ავად.

– კოკი? ავად გახდა? რა დაემართა? – იკითხა ლიზიკომ, რომელმაც იმ წუთს მიირბინა ბავშვებთან.

– ოო, ეგ რომ ვიცოდე! რაღაც იდუმალი, უკურნებელი და თანაც, საშინლად გადამდები ავადმყოფობა სჭირს! – ერთობ თეატრალურად გამოაცხადა მაცაცომ.

კოკის ბეწვი სცვივა.. ბღუჯა-ბღუჯა!

– მაცაცო დამშვიდდი, რა იცი, რომ კოკის ბეწვი სცვივა? იქნებ მოგეჩვენა?

– მომეჩვენა? – აღშფოთდა მაცაცო. თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

– მაშ ის რა არის? და ფრთით ბუჩქზე ანიშნა.

– რა არის? – გაუკვირდა პაკოს.

– როგორ თუ რა? სამხილია! ბეწვი! კოკის ბეწვი!

ბავშვებმა ტოტებსა და მიწაზე შერჩენილი ბეწვი გულდასმით დაათვალიერეს.

– დავუშვათ, კოკის მართლა ცვივა ბეწვი, – ჩაილაპარაკა პაკომ, – ეს იმას ნიშნავს რომ ავადაა? იქნებ უბრალოდ ის... ის დროა, როცა ბეწვს იცვლიან ხოლმე?

– იქნებ მაცაცო ცდება? რატომ უნდა დავუჯეროთ? არა, ყველაფერი თავად უნდა გავარკვიო. წავალ, კოკის მოვძებნი, – თქვა ნიკუშამ და ქუჩაში გავიდა.

ეზო ნელ-ნელა დაცარიელდა, ბავშვები სახლში ავიდნენ, მაცაცო – ბუდეში.



ცოტა ხნის შემდეგ ეზოში კოკი შემოვიდა. საშინელ გუნებაზე იყო. ხის ქვეშ, ჩრდილში დადგა და ნაღვლიანი ხმით მაცაცოს შესჩივლა:

– ბავშვები რატომღაც გამირბიან, არ მეთამაშებიან... ვერაფერი გავიგე... ახალი თამაში გამოიგონეს? მაცაცო, შენ მაინც მეთამაშე რა!

– ეგღა მაკლია! – უხეშად მოუჭრა მაცაცომ, – ეგღა მაკლია ავადმყოფს ვეთამაშო. გინდა, შენი საშინელი ავადმყოფობა გადმომდო? ჩემი ულამაზესი ბუმბული რომ დამცვივდეს, რა მეშველება?

– რაო? – კოკიმ გაოცებისგან პირი დააღო.

– რაც გაიგე! – გააგრძელა მაცაცომ, – ავად ხარ! ბეწვი გცვივა! აი, შეხედე, ბუჩქზე რამდენია... მიწაზეც!

– ეს? – როგორც იქნა, მიხვდა კოკი და შვებით ამოისუნთქა, – მაცაცო, რა ფანტაზიორი ხარ! რას არ გამოიგონებ ხოლმე! ბეწვი იმიტომაა იქ, რომ ეკლიან ტოტებში ბარტყი გაება და გადავარჩინე. ამოვიყვანე.!

– ესე იგი, ვიგონებ, არა? – ირონიულად შენიშნა მაცაცომ, – მე კი არა, შენ იგონებ, ავადმყოფო ვაჟბატონო! ახლა ბარტყი გამოიგონე. აბა, მითხარი, როგორი ბარტყი იყო? ჩქარა! ჩქარა!

– ისა... რა ჰქვია.. – დაიბნა კოკი, – პატარა იყო, მმ... იადონი... არა,.. მმ... ბულბული.

– ბულბული არა, ფარშევანგი – ჩაიხითხითა მაცაცომ, – ხომ ვამბობდი, ყველაფერს იგონებ. გიცნობ, გიცნობ, მატყუარა და ცრუპენტელა ხარ!

– ეეჰ.. ეს რა გამოვიდა! არასწორი დამოკიდებულების მსხვერპლი უნდა გავხდე... – კოკი გულდაწყვეტილი დაეშვა ბალახზე, – შენი სტიგმის მსხვერპლი უნდა გავხდე...

– გამოტყდი, არა? ესე იგი, შენს ავადმყოფობას „სტიგმა“ ჰქვია? – მაცაცომ სიმოვნებისგან ფრთებიც კი მოიფშვნიტა, – ანუ ლათინურად „სტიგმუს გადამდებუს.“

– სტიგმა ავადმყოფობა კი არა, ისეთი რამ არის, რის გამოც გაგირბიან, უსამართლოდ გექცევიან, გჩაგრავენ. კოკი შეეცადა მაცაცოსთვის აეხსნა.

– რას იგონებ! – აგდებით მიახალა მაცაცომ.

– მომისმინე! ყველაფერს აგიხსნი – და კოკიმ მოთმინებით დაუწყო ახსნა, – აი, შენ დამაბრალე, გადამდები ავადმყოფობა გაქვსო და ამიტომ აღარ გინდა ჩემთან მეგობრობა. ეტყობა, ბავშვებიც დაარწმუნე, მაგრამ ეს ხომ ტყუილია? არავინ არ მეთამაშება, არც შენ, არც ბავშვები. აი, ეს არის სტიგმა. გაიგე?

– არა, ვერ გავიგე, – მაცაცო კოკის გაოცებით უყურებდა.

– წარმოიდგინე, რომ შენი რომელიღაც მეგობარი მოგეპარა და ზურგზე შეუმჩნევლად მოგაკრა ქაღალდი წარწერით: „შხამიანი ჩიტი“.

– ჰა-ჰა! აბა, ერთი გამიბედოს ვინმემ!

კოკიმ მაცაცოს ამ აგრესიულ შეძახილს ყურადღება არ მიაქცია და მშვიდად განაგრძო მსჯელობა.

– შენ არ იცი, რა გაქვს ზურგზე, მასთან გინდა თამაში. ის კი უცებ გეუბნება: „მე შხამიანებთან არ ვთამაშობ, ყველამ იცის, რომ შხამიანი ხარ, – ზედ გაწერია!“ ახლა გაიგე, რა უსამართლო რამ ყოფილა სტიგმა? და ის სტერეოტიპი, რომ მე მატყუარა და ცრუპენტელა ვარ, შენ ჩამოაყალიბე.

– სტერეოტიპი?! ეგ რა მოიგონე? – მაცაცომ თავი გააქნია. – მე სტერეომუსიკა ვიცი.

– მუსიკაზე არც გელაპარაკები, – ცოტა არ იყოს გაღიზიანდა კოკი, – სტერეოტიპი იმას ნიშნავს, რომ შენ წინასწარ აიკვიატე არასწორი აზრი. გგონია, რომ მატყუარა ვარ... რომ სულ რაღაცას ვიგონებ და რაც არ უნდა გითხრა, მაინც არ დამიჯერებ. მაინც იმას იტყვი, მატყუარა და ცრუპენტელა არისო.

მაცაცომ თავი ისე დაატრიალა, თითქოს თავბრუ დაეხვაო და დაიჩხავლა:

– ნუ გამიჭირე საქმე! არ ვიცი, შენი სტიგმა და სტერეოტიპი! თვალით არ დამენახო, შე ავადმყოფო მატყუარავ! – მაცაცომ ფრთები მძლავრად აიქნია და ბუდეში აფრინდა.

– ეეჰ, რა ვქნა ახლა? – დამწუხრებული კოკი ხის ძირას გაწვა.

– მაცაცო უნდა დაარწმუნო, რომ ცდება, – ფოთლების შრიალით უჩურჩულა ბაომ, – ამას თუ მოახერხებ, ბავშვების გადარწმუნება ადვილი იქნება.

– აბა, როგორ მოვახერხებ? არც კი მისმენს. ჰგონია, რომ მატყუარა ვარ...

– ახლოს მოიწიე, ერთი იდეა გამიჩნდა, – უთხრა ბაომ და მწვანე ტოტები კოკის თავზე გადააფარა.

ახალი დღე გათენდა. № 13 სახლის ბინადრებს ჯერ ისევ ტკბილად ეძინათ, როცა მაცაცოს გულისგანმგმირავი კივილი და მოთქმა გაისმა:

– ოო, მუხთალო წუთისოფელო!. ოჰ, დაუნდობელო ბედისწერავ! ასეთი მწარე ხვედრი რატომ მარგუნე? რად გამწირე, რატომ გამანადგურე? რად მინდა ცხოვრება, თუ ვერ მოვირთე და ვერ მოვიკაზმე? ვინ დამიბრუნებს სამკაულებს, ვინ გადამარჩენს? სად არის გმირი, ჩემი მხსნელი, ჩემი რაინდი!

– მაცაცო, მოდი ვითამაშოთ, – უეცრად საიდანღაც კუდის მხიარული ქიცინით გამოძვრა კოკი. ახალგაღვიძებულს არ ჰგავდა.

– წადი, მომშორდი, ცრუპენტელავ! – მოთქმა-გოდებას აგრძელებდა მაცაცო, – უბედური დღე გამითენდა... სამკაულები! სამკაულები! სამკაულები!

– რა დაგემართა, მაცაცო? – გაოცებით იკითხა კოკიმ, – რა მოხდა, სამკაულები დაკარგე? აა, მივხვდი. ღამით ეზოში ქურდი დავინახე, შავი ტანსაცმელი ეცვა. ძალიან, ძალიან საშიში იყო. ზურგზე ტომარა ჰქონდა მოკიდებული. შენი სამკაულები იქნებოდა... გინდა გიპოვო?

– მინდა თუ არა? – მაცაცოს ხმა აუკანკალდა, – როგორ არ მინდა, ჩემო კოკი, ჩემო ძმაო, ჩემო ძვირფასო! მაგრამ შეძლებ?

– შევძლებ? – ჩაეცინა კოკის, – მაშ, სხვა რა შემიძლია? ჩვენს ქალაქში საუკეთესო მაძებარი ვარ. ნებისმიერ კვალს წამში ვიღებ. კოკი ადგილს მოსწყდა და ყნოსვა-ყნოსვით წინ გავარდა.

ხმაურზე ეზოში ბავშვები ჩამოვიდნენ. თუთა მაცაცოსთან მივიდა და მოეხვია. მაცაცოს მღელვარებისგან სლოკინიც კი აუტყდა. უეცრად კოკის შეძახილი გაისმა:

– ვიპოვეე! ვაშა�ა!

– რა იპოვე? – გაოცებით ჰკითხა პაკომ.

– მაცაცოს სამკაულები მოჰპარეს, მე კი ვიპოვე, – აუხსნა კოკიმ, – შეხედეთ, ბუჩქის ძირასაა!

ამის გაგონებაზე მაცაცო გაგიჟებული შევარდა ბუჩქებში, – ეკლიან ტოტებს მიარღვევდა, – მიწაზე დაგდებულ ტომარას დასწვდა, იქიდან ზარდახშა ამოიღო და გამოიტანა.

მაცაცო კოკისთან მიიჭრა და აქვითინებულმა წაიმღერა:

– მოდი ჩემთან, ჩემო მხსნელო კოკი! ძვირფასო, უნდა გაკოცო!

მაგრამ კოკიმ ცივად შეაჩერა:

– არ მომეკარო! შენ ავად ხარ, მაცაცო! ბუმბული გცვივა! ტოტებს შეხედე! მე ავადმყოფთან ვერ ვიმეგობრებ!

მაცაცო მოულოდნელობისგან გაშრა, ადგილზე გაშეშდა. ჯერ ტანზე დაიხედა გაოცებით, მერე ბუჩქს გახედა – მართლაც, ეკლიან ტოტებზე ბლომად შეეტოვებინა ბუმბული.

– მაცაცო, ავად გახდი? – აღელდა თუთა.

– საიდან მოიტანეთ, რომ ავად ვარ? – გამომწვევად გამოაცხადა მაცაცომ, – ეგღა მაკლია!

– ბუჩქს შეხედე! – სწრაფად უთხრა ლიზიკომ, – ბუმბული გცვივა.

– მმ.. – ყოყმანით ჩაილაპარაკა მაცაცომ, – ეეე.. ეკლიანი ბუჩქია და,... მმმ,... ეტყობა მაგიტომაც... თორემ ავად არა ვარ, უბრალოდ... მმ... ეკლებს გამოვედე.

– მოიცა, მოიცა, რა გამოდის, თუ მაცაცო არ არის ავად, ესე იგი..... არც კოკი ყოფილა, – შესძახა პაკომ.

– შემთხვევით.. მეც ეკლებს გამოვედე და ბეწვი შევატოვე, – აიტაცა კოკიმ.

– მაცაცო, – საყვედურით უთხრა ნიკუშამ, – წინასწარ ნურავის გამოუტან განაჩენს... ხომ ხედავ, როგორ შეცდი, როცა კოკიზე თქვი, გადამდები ავადმყოფი არისო. ასე რომ, სხვა დროს ჯერ ნამდვილი მიზეზი გაარკვიე, დასკვნები მერე გამოიტანე!

– მე ცხოვრებაში არაფერი შემშლია, – მაცაცო ეზოში გადი-გამოდიოდა, თან ხმამაღლა მსჯელობდა, – მაგრამ ახლა, მგონი, მართლა შევცდი. წამით შედგა და დაფიქრდა, – მგონი, ტყუილად დავაბრალე კოკის ავადმყოფობა... ამის გამო არც მე ვეთამაშებოდი, აღარც ბავშვები. აი, რა ყოფილა სტიგმა. არადა, სამკაულები ხომ კოკიმ მიპოვა. გადამარჩინა. მმმ... რა ვქნა? თურმე არ ყოფილა მატყუარა და ცრუპენტელა. ვაი, როგორ შევცდი! როგორ ვაღიარო, რომ შევცდი? არა, უნდა ვაღიარო.. უნდა გავთავისუფლდე სტიგმისგანაც და მმ.... სტერეოტიპისგანაც. მაცაცო კოკის წინ დადგა, თავი ჩაღუნა და უთხრა, – კოკი, მაპატიე, შევცდი, ტყუილად დაგაბრალე ყველაფერი. ასე აღარასდროს მოგექცევი.... აღარ ვიფიქრებ შენზე, რომ....

– მოდი, შევრიგდეთ – კოკიმ სიხარულით ააქიცინა კუდი, – და ყველამ ერთად ვითამაშოთ.

– ვაშაააა! ყველა ერთად ვითამაშებთ! – ერთხმად შესძახეს ბავშვებმა და გაიქცნენ.

თქვენ გაეცანით მოთხრობას. ახლა, დაფიქრდით და გაიაზრეთ მოთხრობაში ასახული პრობლემა შემდეგ კითხვების დახმარებით:

1. რატომ დაასკვნა მაცაცომ, რომ კოკის ჭირი შეეუარა?
2. რა მიზეზით დანაღვლიანდა კოკი?
3. რა ახრი „აიკვიატა“ მაცაცომ კოკის მიმართ, რამაც ხელი შეუშალა მოესმინა მისთვის?
4. რატომ აღარ ეთამაშებოდნენ ეზოს ბინადრები კოკის?
5. რა რჩევა მისცა ბაომ კოკის?
6. როგორ მოახერხა კოკიმ მაცაცო დაეფიქრებინა და გაეთავისუფლებინა სტიგმისგან და სტერეოტიპისგან?

ტექსტში იპოვეთ ყველა ის გამონათქვამი, რომელიც ცრუ შეხედულებებს ემყარება, წარმოშობს უარყოფით დამოკიდებულებას და შეურაცხმყოფელია. დააჯგუფეთ ეს გამონათქვამები, რვეულში გადაიხაზეთ და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

1. ***ცრუ შეხედულებები:***

2. ***სტერეოტიპი:***

3. ***სტიგმა:***

მოიფიქრეთ და მიუწერეთ თითოეულ მიკერძოებულ მტკიცებას ალტერნატიული, გონივრული და სტერეოტიპისგან თავისუფალი გამონათქვამი – გონივრული ფიქრი.

- ✓ *ბიჭებმა არ უნდა იტირონ!*
- ✓ *გოგონები ჭორიკნები არიან!*
- ✓ *მსუქანი ადამიანები მეგობრულები არიან!*
- ✓ *კონფლიქტის დროს შუამავალს ყოველთვის ყველაზე მეტი უსიამოვნება ხვდება!*

თემა 14 გარემოს დაცვა

სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც ვარსებობთ, რაც ზეგავლენას ახდენს ჩვენს ზრდასა და განვითარებაზე და არა მარტო ჩვენზე – ადამიანებზე, არამედ – მცენარეთა, ცხოველთა ზრდასა და განვითარებაზე – ***ეს არის გარემო.*** *ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში.*

„გარემო“ *შეიძლება გავიგოთ ორგვარად. პირველი: გარემო არის მიწა, ჰაერი და წყალი. მეორე: გარემო არის სივრცე, რომელიც უკავია ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს (სამუშაო გარემო, სახლის გარემო, სკოლის გარემო, სათამაშო მოედნის გარემო და სხვა).*

ჩვენი სიჯანსაღის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სწორედ ის არის, თუ როგორ დავიცავთ გარემოს, რა პასუხისმგებლობას ავიღებთ მასზე. აქ ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული – ტყე თუ განადგურდება, წყაროები დაშრება, ნიადაგი გამოიფიტება, ველარ მოვიყვანთ მოსავალს; ტყეში ველარ იცოცხლებენ ცხოველები და ფრინველები. ამას გარემოსთვის საზიანო შედეგი მოჰყვება.

თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა დავიცვათ გარემო და ვიზრუნოთ მასზე; ავუხსნათ გარშემომყოფთ, რომ ჩვენი ეზო, ჩვენი ბაღი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი ქვეყანა და მთელი დედამიწა ადამიანებისთვის საერთო სახლია და უნდა გავუფრთხილდეთ მას!

დაიმახსოვრეთ:

5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა.

საჩუქარი

აპრილი იყო... ქალაქში ყველა ხე ყვაოდა.

ლიზიკოს დაბადების დღე ახლოვდებოდა.

პაკო ოთახში ბოლთას სცემდა და ხმამაღლა ოცნებობდა:

„საჩუქარს მივაწოდებ და ვეტყვი: – ლიზიკო, გილოცავ დაბადების დღეს!

ლიზიკო მკითხავს:

– ეს რა არის? – და კოლოფს ნელა შემოხსნის ლენტს.

– განსაკუთრებული არაფერი, – ვუპასუხებ მე.

და ლიზიკო სიხარულისგან წამოიყვირებს:

– ღმერთო! რა მშვენიერი საჩუქარია!



გამიღიმებს, გაიპრანჭება და მეტყვის:

– გმადლობ. სულითა და გულით გიხდი მადლობას! – და... მაკოცებს...

– ახლა ისღა დამრჩენია, მოვიფიქრო, რა ვაჩუქო ლიზიკოს... ეს კი ძალიან რთულია.“

პაკო სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

უცებ ფანჯარაში აყვავებულ ატმის ტოტს მოჰკრა თვალი. პაკო ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა. უკვე იცოდა, რა უნდა ეჩუქებინა ლიზიკოსთვის.

ეზო თანდათან ივსებოდა ბავშვებით. მაცაცომ ბუდიდან თავი გადმოყო და ფრთხილად ჩაიხედა ქვევით. ხის ძირას პაკო იჯდა.

– ჰეი! – დაუძახა პაკოს, – მანდ რას აშრიალებ?

– ოჰ! – თქვა პაკომ, – ეს ლიზიკოს საჩუქარია! – და მაცაცოს აყვავებული ხეხილის ტოტების მშვენიერი თაიგული დაანახა.

– მოგწონს?

– ძალიან.

– ეს თაიგული მე შევკარი, – კმაყოფილებით გაიღიმა პაკომ, – ხომ

ლამაზი საჩუქარია?

– დიახ! – მიუგო მაცაცომ, და თაიგულს მიაჩერდა, – ძალიან ლამაზია, – მაცაცო წამით გაჩუმდა, მერე კი დაუმატა, – მაგრამ... იცი... მე მგონი, ჯობია, ეგ ლიზიკოს არ აჩუქო.

– ვითომ რატომ?

– იცი რა... შეიძლება გუნება გაუფუჭდეს...

პაკო დაიბნა.

– რატომ უნდა გაუფუჭდეს გუნება?

– მმ... როგორ აგიხსნა, – მაცაცომ მხრები აიჩეჩა.

– აბა, თვითონ დაფიქრდი, – საუბარში ჩაერთო ბაო, – ხილი საიდან ჩნდება?

– ჰოო, – დაფიქრდა პაკო, – ხეებზე ჩნდება ყვავილები, მერე ცვივა და მათ ადგილას ხე ხილს ისხამს.

– დიახ, – უთხრა ბაომ, – მგონი, მიხვდი. იმ ტოტებს, შენ რომ მოიტანე, ყვავილები დასცვივდება, მაგრამ ნაყოფს აღარ მოისხამს... ხეს ადამიანისთვის ბევრი სიკეთე მოაქვს, მაგრამ თუ ავნებ, კვდება...

– ამაზე არ დავფიქრებულვარ, – შესძახა პაკომ, – მართლა!

– ხილის გარდა, ხეს სხვა სარგებლობაც მოაქვს? – იკითხა თუთამ, რომელიც ძალიან ცნობისმოყვარე გოგონა იყო.

—აბა რა, – ჩაერია საუბარში ნიკუშა, – შენ რა, არ იცი? ხეები ჰაერს ასუფთავებენ, ნახშიროჟანგს შთანთქავენ და ჟანგბადს გამოყოფენ. და კიდევ, მე ისიც ვიცი, რომ ჰაერი, მდინარეები, ზღვები და მთელი ბუნება ყველასთვის საერთოა...ამიტომ, თუ ხეებს დავაზიანებთ, ამის შედეგად მხოლოდ ჩვენ კი არა, სხვა ქვეყნებიც დაზარალდებიან. ჟანგბადი კი ყველა ცოცხალ არსებას სჭირდება, რომ ისუნთქოს და იცოცხლოს.

პაკო ჩუმად გაიპარა ეზოდან. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სახლიდან ლიზიკოსთვის ახალი საჩუქარი – თიხის ქოთანი წამოეღო, რომელშიც მან ლიმონის ნერგი გაახარა.

„კარგი საჩუქარი იქნება, – ფიქრობდა პაკო, – ლიზიკო მორწყავს ხოლმე ლიმონს და ჩემზე იფ-

იქრებს. მერე კი, როცა ხე გაიზრდება და ლიმონს გამოისხამს, ლიზიკო ჩაის დასალევად დამპატიჟებს... ვისხდებით ერთად, დავლევთ ჩაის ლიმონით და გემრიელ ნამცხვრებს მივირთმევთ...“

პაკო ეზოში ჩავიდა. ლიზიკო უკვე იქ იყო. ბავშვებთან ერთად დედას სადღესასწაულო სუფრის გაშლაში ეხმარებოდა.

ბაომ დაინახა პაკო და მოწონების ნიშნად ტოტი შეუმჩნევლად დაუქნია. პაკომ გაიღიმა და ლიზიკოსთან მივიდა.

იპოვეთ მოთხრობაში და გამოყავით:

1. ***ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, რომ მაცაცო პაკოს ლიზიკოსთვის თაიგულის ჩუქებას არ ურჩევს.***
2. ***ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, რომ აყვავებული ხეხილის ტოტი არ უნდა მოვტეხოთ.***
3. ***ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, რომ ნიკუშამ ხეების შესახებ ბევრი რამ იცის.***
4. ***ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, თუ რა გამოსავალი მოძებნა პაკომ.***

თქვენ რომელი საჩუქარი უფრო მოგეწონებოდათ, აყვავებული ხეხილის თაიგული თუ ლიმონის ნერგი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

მოუძებნეთ მოთხრობას შესატყვისი დასასრული.

ეზოს დასუფთავების დღე

საღამო იყო, მაცაცო ბუდეში იწვა, შეუძლოდ იყო და ვერ იძინებდა.

„რა სულელი ვარ, – ფიქრობდა მაცაცო, – ყელში სოდიანი წყალი როგორ არ გამოვივლე?“

მაცაცო ადგა და ბუდიდან გადმოეყუდა.

– ბაო, – დაიძახა, – არ გძინავს?

– არა, – მიუგო ბაომ, – არ მძინავს. რატომღაც ყელი მტკივა და ცხვირით ვერ ვსუნთქავ.

– რა უცნაურია! – თქვა მაცაცომ, – მეც ასე ვარ. მეც მტკივა ყელი და ცხვირით ვერ ვსუნთქავ.

უეცრად ბაომ დააცემინა. თუკი ოდესმე გინახავთ მაღალი, მძლავრი, საუკუნოვანი ხე, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი ძალით დააცე-

მინებდა ბაო. მაცაცო კინაღამ ქარმა წაიღო.

– ღმერთო! – შეწუხდა მაცაცო, – ბაო, შენ სერიოზულად ხარ ავად.

მაცაცომ გამალებით დაიწყო ბუდეში რაღაცის ძებნა.

– აჰა.. არა... – ბუტბუტებდა თავისთვის, – ეს არა.. ეს ნამდვილად არ არის... აქ უნდა მქონდეს ცემინების წამალი... არა, ეს ხველებისაა... სად დაიკარგა? ააა-ფჩხი!

– სიცოცხლე! – უსურვა ბაომ.

– ააა-ფჩხი!

მეორე დღეს ეზოს ყველა ბინადარი აცემინებდა. თანაც, ერთი ძალიან უცნაური რამ შენიშნეს – ეზოს გარეთ ეს არავის მოსდიოდა. საკმარისი იყო ქუჩაში გასულიყვნენ, ან სახლში დაბრუნებულიყვნენ, რომ ცემინება უჩერდებოდათ. ეზოში კი ყველა აცემინებდა.

მეგობრები ნიკუშასთან შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს გამოეკვლიათ, რა იყო ამ უცნაური ავადმყოფობის – ცემინების მიზეზი.

– თავიდან ბაომ დაიწყო ცემინება, მერე მე დავაცემინე, – დაიწყო

მოყოლა მაცაცომ და ნისკარტი საგულდაგულოდ მოიწმინდა.

– მერე რა მოხდა? – მოუთმენლად ჰკითხა ნიკუშამ.

– მერე კოკიმ დაიწყო ცემინება...

– გასაგებია, – თქვა ნიკუშამ და მაცაცოს შეწუხებულმა შეხედა.

ამ დროს ოთახში კოკი შემოვარდა.

– იქ... – სულს ძლივს ითქვამდა, – იქ... ვი... ვიპოვეთ!

– რა იპოვეთ?

– ნაგვის გროვა, – ძლივს ამოთქვა კოკიმ, – საშინელი სუნი აქვს.

– სუნი აქვს? რას? – ვერ გაიგო ნიკუშამ.

– ნაგავს! ცუდი სუნი აქვს, საშინელი! სწორედ ამიტომ ვაცემინებთ.

ყველა ეზოში გაიქცა.

– ეს რა უმსგავსობაა! – კიოდა მაცაცო, – ვინ დაყარა ამდენი ნაგავი? ეზოში ნაგავსაყრელი მოუწყვიათ, გარემოს დაცვაზე არავინ ზრუნავს. ეს რა უბედურებაა! ყველანი ცუდად ვართ!

ბავშვები აღშფოთებას ვერ მალავდნენ.

– ნეტავ გაგვაგებინა, ვინ დაყარა? – წამოიძახა პაკომ, – ვასწავლიდი ჭკუას!

– საშინელებაა! – დაეთანხმა თუთა, – როგორ არ ფიქრობს ის ვიღაც, რომ ჩვენი ეზოს დანაგვიანებით მთელ პლანეტას აბინძურებს? არ მეთანხმები? – მიუბრუნდა მაცაცოს.

მაცაცო ყურადღებით ათვალიერებდა ნაგვის გროვას და რაღაცას აკვირდებოდა.

– ეს რა არის? – ჩაიბურტყუნა მაცაცომ, – რატომ გდია აქ ჩემი ძველი, დახეული კაბა? – გაოცებულმა გააგრძელა, – ღმერთო! ჩემი ძველი ბუდეც აქ არის!

ბავშვები ახითხითდნენ.

– აა – უცებ მაცაცომ თავში ფრთა შემოირტყა, – როგორ დამავიწყდა! ეგენი ხომ მე დავყარე აქ!

მაცაცომ უდარდელად გაიცინა და ბავშვებს გადახედა. თავის ნათქვამს რომ დაუკვირდა, შეწუხდა და თავის მართლება დაიწყო:

– მე აქ მხოლოდ დახეული კაბა და ძველი ბუდე დავაგდე, ნაგავი ისედაც ეყარა. დიახაც!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ რატომღაც ყველა გამხიარულდა. პაკოს სიცილი წასკდა.

– მართალი გითხრათ, მე აქ რამდენჯერმე ლიმონათის ბოთლები დავყარე,– გამოტყდა პაკო.

– მე კიდევ, – გაახსენდა ლიზიკოს, – ნაყინის ქაღალდი.

– მე კანფეტების კოლოფი, – თქვა თუთამ.

მაცაცოს გაეცინა. „რა კარგი მეგობრები მყავს, – გაიფიქრა მან, – ყველაფერი საწყალ ჩიტუნას კი არ დააბრალეს.“

– ახლა ყველაფერი გასაგებია, – თქვა თუთამ, – ცოტ-ცოტას ყველა

ვყრიდით, შედეგად კი უზარმაზარი გროვა მივიღეთ. ახლა მთავარია, ნაგავი ყველამ ერთად გავიტანოთ.

ბავშვები მთელი დღე ასუფთავებდნენ ეზოს. ნაგავი გაიტანეს, ბუნკერში ჩაყარეს, იქაურობა დაგავეს, მერე კოკი აბანავეს. ყველაფერი მოგვარდა. მოგვიანებით მაცაცო ამის შესახებ ხალისით ჰყვებოდა:

– ჯერ კოკიმ შეწყვიტა ცემინება, მერე ბაომ, მერე თუთამ, მერე პაკომ, მერე ნიკუშამ, ბოლოს – ლიზიკომ და მხოლოდ მაშინ, როცა ცემინება მეც შევწყვიტე, ყველამ შესძახა „ვაშა!“ და ტაშიც დასცხო. მერე კი შევთან-

ხმდით, რომ ნაგავს ეზოში არასდროს, არასდროს აღარ დავყრით.

ასე დასრულდა ეს დღე.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა მოხდა ერთ დღეს ეზოში?
2. რა დააადგინეს ეზოს ბინადრებმა?
3. ვინ დააგროვა ეზოში ნაგავი?
4. როგორ გადაჭრეს ეზოს ბინადრებმა შექმნილი პრობლემა?
5. რა კავშირი არსებობს გარემოს დაცვასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის?

ჩამოწერეთ, *რა სახის ნაგავი შეგიმჩნევიათ ეზოში, ქუჩაში, სკოლაში, პარკებსა და სკვერებში.*

როგორ დავიცვათ სისუფთავე ჩვენს ქალაქში? როგორ მოვიქცეთ მიზნის მისაღწევად? ***ჩამოწერეთ*** *ღონისძიებების გეგმა. გააცანით ერთმანეთს თქვენი გეგმები.*

გაიხსენეთ *მოთხრობები „საჩუქარი“ და „ეზოს დასუფთავების დღე.“*

გამოიყენეთ მიღებული ცოდნა-გამოცდილება და გარემოს დასაცავად შექმენით თქვენი კლასის დევიზი.

თემა 15 მოქალაქეობრივი შეგნება

მოქალაქე არის პიროვნება, რომელიც სარგებლობს ყველა უფლებით იმ ქვეყანაში, რომელშიც დაიბადა და/ან რომლის მოქალაქეც არის.

კარგი მოქალაქე არის ადამიანი, რომელსაც ესმის, თუ რა უფლებები, რა შესაძლებლობები აქვს მას, როგორც საზოგადოების წევრს, ესმის ისიც, თუ რა პასუხისმგებლობა და მოვალეობა აკისრია თავად მას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. კარგი მოქალაქე აქტიურად იცავს და ემსახურება საზოგადოებას და ზრუნავს მის განვითარებაზე. იგი იცავს კანონებს.

გაეცანით ჯგუფში სიტუაციას და გაეცით პასუხი შეკითხვებს:

I ჯგუფი

მოსწავლემ მერხზე დაწერა თავისი სახელი, მეორემ მიბაძა ამხანაგს და გვერდზე კაცუნა მიუხატა.

როგორ აფასებთ მოსწავლეების ქცევას?

რა შედეგი მოჰყვება ასეთ ქცევას?

როგორ ექცევიან მოსწავლეები სასკოლო ინვენტარს?

რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ სკოლის საკუთრებას?

II ჯგუფი

დედამ ქალიშვილი გაგზავნა პროდუქტების საყიდლად. გოგონამ იყიდა ყველაფერი, ფული გადაიხადა, პროდუქტები წამოიღო და შინ წამოვიდა.

რა დაავიწყდა გოგონას?

თქვენ როგორ მოიქცეოდით გოგონას ადგილას?

რატომ უნდა მოითხოვოთ ჩეკი რაიმეს ყიდვის დროს?

როგორ უკავშირდება ეს სიტუაცია მოქალაქეობრივი შეგნების თემას?

III ჯგუფი

ბიჭი დედასთან ერთად ავტობუსით მგზავრობდა. იგი მზესუმზირას მიირთმევდა და ძირს ყრიდა. შორიახლო გოგონა იჯდა. გოგონამ ბიჭს სისუფთავის დაცვისკენ მოუწოდა და ავტობუსიდან ჩავიდა.

როგორ შეაფასებთ ამ სიტუაციის მონაწილეთა საქციელს?

როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ თავიანთ ქალაქთან?

რას მივიღებთ ასეთი საქციელის შედეგად?

IV ჯგუფი

ნინო ძალიან გახარებული იყო. ის მოხუცს ქუჩაზე გადასვლაში დაეხმარა, თან ტვირთიც აატანინა მესამე სართულზე.

მასწავლებელი ხშირად ესაუბრებოდა ნინოსა და მის თანაკლასელებს ზრდილობასა და მოხუცების პატივისცემაზე. ნინომ სახლში მისვლისთანავე უამბო მშობლებს თავისი საქციელის შესახებ.

სადილის შემდეგ მან თავისი თეფში მაგიდაზე დატოვა, თვითონ კი ტელევიზორის საყურებლად წავიდა.

როგორ შეაფასებთ გოგონას საქციელს?

როგორი დამოკიდებულება აქვს მას უფროსებისადმი?

გოგონას ადგილას რომ ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?

V ჯგუფი

ორი მეგობარი სკოლიდან ბრუნდებოდა. ცხელოდა. მათ ნაყინი იყიდეს. ნაგვის ურნა ვერ დაინახეს. ერთ-ერთმა მათგანმა ნაყინის ქაღალდი იქვე, ქუჩაში დააგდო. მეორემ მოძებნა ურნა და ქაღალდი ნაგვის ყუთში ჩააგდო.

როგორ აფასებთ ბიჭების ქცევას?

რასთან არის დაკავშირებული ბიჭების განსხვავებული ქცევა?

რომელი მათგანი მოიქცა არასწორად? (დაასაბუთეთ).

რა იყო იმის მიზეზი, რომ მეორე ბიჭმა პირველს ხელი არ შეუშალა ნაგვის ძირს დაყრაში?

როგორ მოიქცეოდით მეორე ბიჭის ადგილას?

ყურადღებით წაიკითხეთ მოთხრობა, მიაქციეთ ყურადღება მასში ასახულ პრობლემებსა და მათი წარმოშობის მიზეზებს.

გლობუსი

მაღვიძარა აწკრიალდა... არადა, პაკოს სულაც არ უნდოდა გაღვიძება, მშვენიერ სიზმარს ხედავდა: თითქოს ავტომრბოლელი იყო და ტრასაზე მიქროდა, ყველას უსწრებდა. მოსახვევი, კიდევ ერთი მოსახვევი...

– ბახ! – და პაკო იატაკზე აღმოჩნდა. თვალები ჭყიტა, დაფეთებული წამოჯდა. მაღვიძარა წკრიალს განაგრძობდა, მაგრამ პაკოს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის თავში წკრიალებდა რაღაც.

– პაკო! სკოლაში დაგაგვიანდება! – სამზარეულოდან დედის ხმა მოესმა.

სკოლა სახლთან ახლოს იყო. პირველი გეოგრაფიის გაკვეთილი ჰქონდათ. პაკო ჩქარობდა, რადგან გეოგრაფია უყვარდა. განსაკუთრებით მოსწონდა მისთვის უცნობი ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. პაკომ სკოლამდე მიირბინა, საკლასო ოთახში შევარდა და მერხს მიუჯდა.

– ბავშვებო, დღეს ჩვენ გავიგებთ, როგორ აღმოაჩინეს ამერიკა, – თქვა მასწავლებელმა.

თავიდან პაკო ყურადღებით უსმენდა, მაგრამ მერე გონება გაეფანტა. ჩანთიდან ფლომასტერი ამოიღო და მერხზე იმ მანქანის ხატვა დაიწყო, რომლითაც როცა გაიზრდება, ახალი ქვეყნების აღმოსაჩენად უნდა გაემგზავროს. ხატვამ ისე გაიტაცა, ვერც კი შენიშნა, მასწავლებელი თავზე როგორ წამოადგა.

– რას აკეთებ? – ჰკითხა მასწავლებელმა და სათვალე შეისწორა.

პაკო მოულოდნელობისაგან შეკრთა და ნახატს ორივე ხელი დააფარა.

– აბა, აბა, ეს რა არის... – მკაცრად თქვა მასწავლებელმა, პაკოს ხელები ააწევინა და ნახატს დააკვირდა, – Ferrari 612 Scaglietti.... გაკვეთილს არ უსმენ, თან მერხსაც აფუჭებ!



ბედად, ამ დროს, ზარი დაირეკა. მასწავლებელი კლასიდან გავიდა, პაკო კი სიხარულით სკამზე შეხტა. სკამმა ვერ გაუძლო, საწყლად დაიჭრიალა და ნაწილებად დაიშალა. პაკო იატაკზე აღმოჩნდა.

„დღეს მეორედ გავიშხლართე," – გაუელვა თავში, – „მეტისმეტია... დედიკოს ნამდვილად სკოლაში დაიბარებენ."

ხმაურზე კლასში ნიკუშა შევიდა. იატაკზე გაშხლართული პაკო დაინახა და გაკვირვებისგან ხელები გაშალა, თაროზე გლობუსი იდო. შემთხვევით ხელი წაჰკრა და გადმოაგდო. გლობუსი იატაკზე დაეცა, გაგორდა და რამდენიმე ადგილას შეიჭყლიტა.

„რა ხდება?" – გაიფიქრა პაკომ, – „ეტყობა დღეს უიღბლო დღეა. როგორც მამიკო ამბობს ხოლმე, წარუმატებელი დღე!" თუმცა, პაკოს გუნება მაინცდამაინც არ გაფუჭებია, – უიღბლო დღეს ყოველთვის იღბლიანი მოჰყვება ხოლმე... მან ეს დანამდვილებით იცოდა.

საკლასო ოთახში ფანჯრები ღია იყო. ფანჯრიდან ხე მოჩანდა. ხეზე კი მაცაცო იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც კლასში ხდებოდა. მაცაცომ ფრთები აიქნია და წამსვე კლასში აღმოჩნდა, ფანჯრის რაფაზე.

– რა ხდება თქვენთან? – ინტერესით იკითხა, – დაჯღაბნილი მერხი, გატეხილი სკამი, დაზიანებული გლობუსი... მმ... მეგობრებო, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა?

– გლობუსს აუცილებლად შევაკეთებთ, – თქვა ნიკუშამ.

– სკამსაც, – დაუმატა ლიზიკომ.

– და მერხსაც, – დაასრულა თუთამ.

– მაგრამ გაკვეთილები უკვე დამთავრდა, სახლში უნდა გავიქცე, დედა მელოდება, – ჩაილაპარაკა პაკომ და სასწრაფოდ ჩანთის ჩალაგება დაიწყო.

საღამოს ბავშვები ხის ქვეშ შეიკრიბნენ. მაცაცო ქვედა ტოტზე იჯდა და თავისი მოგზაურობის ამბებს ჰყვებოდა.

– არის ქვეყნები, სადაც ჩიტებმა ფრენა არ იციან, სამაგიეროდ ცურავენ, – ამაყად გამოაცხადა მან, – კიდევ არსებობს ქვეყნები, სადაც არ იციან ცურვა, სამაგიეროდ იციან სირბილი... ზოგ ქვეყანაში კი თევზები არა მარტო ცურავენ, არამედ დაფრინავენ კიდეც.

– ოო, სიამოვნებით გავსინჯავდი მაგ თევზებს, – ჩაილაპარაკა კოკიმ და ტუჩები გაილოკა.

– მართლაც ძალიან საინტერესოა, – უთხრა თუთამ, – მაგრამ შეგიძლია ეს ქვეყნები გლობუსზე გვაჩვენო?

– არ შემიძლია, – ამოიოხრა მაცაცომ, – პაკომ გლობუსი გააფუჭა და

ახლა ის დედამიწის პატარა მოდელს კი არა, ავადმყოფ ზღარბს ჰგავს,

– როგორმე გავასწოროთ... – ზანტად ჩაილაპარაკა პაკომ, – მაგრამ უკვე საღამოა, ცოტა ხომ უნდა ვითამაშოთ? – თამაში ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა, – მოდი, მოვიფიქროთ, რა ვითამაშოთ. ბავშვებმა საჩუქრობანას თამაში გადაწყვიტეს. ისინი ერთმანეთს კეთილ სურვილებს აჩუქებდნენ. კენჭი ყარეს, თამაში ნიკუშას უნდა დაეწყო. მან თუთას საკუთარი თავის რწმენა უსურვა. თუთამ კი კოკის სიხარული აჩუქა.

„რა თქმა უნდა, სიხარული უმშვენიერესი გრძნობაა," – გაიფიქრა კოკიმ, – „მაგრამ კარგი იქნებოდა, ძეხვიანი, ლორიანი ან რაიმე სხვა სიხარულიანი ბუტერბროდიც დაემატებინა." – ოღონდ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ახლა მისი ჯერი იყო, პაკოსთვის სურვილი უნდა ეჩუქებინა.

– ჰამ, ჰამ! – დაიყეფა მან, – პაკო, მეტ მოთმინებასა და სიმშვიდეს გისურვებ!

პაკოს მოთმინება მართლაც არ ჰყოფნიდა. მოუთმენლად ელოდებოდა გაკვეთილის დამთავრებას, მოუთმენლად ელოდებოდა არდადეგების დადგომას და კიდევ ბევრ რაღაცას ელოდებოდა მოუთმენლად...

პაკოს ჯერიც მოვიდა, – ლიზიკოსთვის სურვილი უნდა ეჩუქებინა.

– გისურვებ სიყვარულს, მეგობრობის უნარს და წარმატებას, – თქვა მან.

– მე კი, – თქვა ლიზიკომ, – მინდა ბაოს ვუსურვო... რომ ყველა პატივს სცემდეს, ზრუნავდეს მასზე, სიცხეში წყალს უსხამდეს.

– მე მინდა ყველას საერთო საქმეში მონაწილეობის უნარი გაჩუქოთ, – გამოაცხადა ბაომ, – ერთად უნდა საქმიანობდეთ ეზოშიც, სკოლაშიც და სახლშიც.

– ეს რას ნიშნავს? – გაუკვირდა თუთას.

– იმას, რომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, – აუხსნა ლიზიკომ, – და ვიზრუნოთ ჩვენს ეზოზე, სკოლასა თუ სახლზე.

– განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვეპყროთ სახელმძღვანელოებს, – წამოიძახა უცებ პაკომ და ამაყად გამოაცხადა, – წიგნი ხომ ცოდნის წყაროა!

ყველამ გაოცებით შეხედა. მისგან ასეთ სიტყვებს არავინ ელოდა.

– მართალია, მოდი ყველამ ერთად შევაკეთოთ გლობუსი, სკამი და მერხი, – შესთავაზა ნიკუშამ.

– ძალიან კარგი, – დაეთანხმა ლიზიკო, – გლობუსი ხომ ჩვენს საერთო სახლს გამოსახავს, რომელსაც ყველა უნდა გავუფრთხილდეთ. ჩვენი სახლი თუ არ გვეყვარება და მასში წესრიგი არ იქნება, საშინლად ვიცხოვრებთ.

– და კიდევ, მოდი, ეზო დავასუფთაოთ, – თავის მხრივ შესთავაზა კოკიმ, – ეზოც ხომ გლობუსის ნაწილია. განსაკუთრებით ის მხარე, რომელიც ჩემი სახლისკენაა.

ბავშვები მეგობრულად შეუდგნენ საქმეს. სანამ ლიზიკო და თუთა ეზოს ასუფთავებდნენ, ნიკუშა და პაკო სკამს აკეთებდნენ და მერხს წმენდნენ. მაცაცო და კოკი გლობუსის წინ ჭკვიანური გამომეტყველებით ისხდნენ.

– როგორ შევაკეთოთ გლობუსი? – იკითხა კოკიმ და ყური მოიქექა, – ეს ხომ ჩვენ დაგვევალა... საერთო საქმეში წვლილი ჩვენც უნდა შევიტანოთ.

– მე აფრიკას დავიჭერ, – უთხრა მაცაცომ, – შენ კი კარიბის ზღვას ფრთხილად დააჭირე თათი.

– ვეცდები, – ჩაიბურტყუნა კოკიმ, – რას არ გააკეთებ ეზოს ხათრით...

და საქმეს შეუდგნენ...

მეორე დღეს ეკა მასწავლებელი კლასში შევიდა და მოულოდნელობისაგან გაშეშდა – თვალებს არ დაუჯერა.

– ან საკლასო ოთახი შემეშალა, ან განსაკუთრებული რაღაც მოხდა! – შესძახა განცვიფრებულმა და სკამზე დაეშვა, – რა სისუფთავეა, რო-



გორი წესრიგი! ფანჯრის რაფაზე ყვავილებია, მაგიდაზე კი გლობუსი... რა ხდება?

– ეზოც მოვაწესრიგეთ და კლასიც, – აუხსნა ლიზიკომ, – ხვალ სკოლის ეზოს და ბიბლიოთეკას მივხედავთ. ჩვენ ხომ იმ გარემოზე ვაგებთ პასუხს, რომელშიც ვცხოვრობთ. ერთად კი ყველაფერს შევძლებთ.

– და კიდევ, დაჭყლეტილი გლობუსი გავასწორეთ, – დაუმატა პაკომ, – ოღონდ კოკიმ თათი ზედმეტად დააჭირა, ამიტომ ჩვენს გლობუსზე მარიანის ღრმულმა ადგილი შეიცვალა – გვერდზე მოექცა.

ბავშვებმა გულიანად გაიცინეს.

თქვენ გაეცანით მოთხრობას. ახლა გთხოვთ გადახაზოთ რვეულებში და შეავსოთ ქვემოთ მოცემული ცხრილები:

ცხრილი 1

ჩამოწერეთ მოთხრობაში ასახული პრობლემები	რა არის ამ პრობლემების წარმოშობის მიზეზი?	როგორია მათი შედეგი?	
		რეალური	შესაძლებელი

ცხრილი 2

როგორ გადაწყვიტეს ეზოს ბინადრებმა პრობლემა?	ჩამოთვალეთ პერსონაჟების მოვალეობები	რა დასკვნა გამოიტანეს პერსონაჟებმა მიღებული გამოცდილების შედეგად

გთხოვთ შეარჩიოთ რომელიმე სიტუაცია და სახლში შემდეგი გაკვეთილისთვის მოამზადოთ ზეპირად ან წერილობით:

I სიტუაცია

გყავთ თუ არა შინაური ცხოველი და როგორ უვლით მას? თუ არ გყავთ, რომელი ცხოველი გსურთ რომ გყავდეთ და როგორ მოუვლიდით.

ჩამოწერეთ, რა არის საჭირო ცხოველებისთვის და რა – თქვენთვის.. შეადარეთ ეს ორი რამ ერთმანეთს.

II სიტუაცია

როგორ გეხმარებიან, ზრუნავენ თქვენზე ოჯახის წევრები, თავად როგორ ეხმარებით მათ?

რა არის საზოგადოება?

თქვენ მიეკუთვნებით სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს. ხართ შვილი, შვილიშვილი, და ან ძმა ოჯახში, კლასელი —სკოლაში, მეზობელი – ეზოში, გუნდის წევრი – სპორტულ სექციაში. ჯგუფის შექმნის საფუძველი საქმიანი ურთიერთობებია. ჯგუფებში გაერთიანებას საერთო ინტერესები და სიმპათიები უწყობს ხელს.

საზოგადოება არის ადამიანთა ერთობლიობა. საზოგადოება შექმნილია ადამიანთა საერთო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოების მახასიათებლებია: მდგრადობა, ერთობა, თვითგანვითარება, წესები და ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების ქცევას.

როგორც საზოგადოების წევრი, თქვენ იცავთ გარკვეულ წესებს. თუ კარგად მოიქცევით, წაგახალისებენ, თუ ცუდად მოიქცევით, დაისჯებით. ამის გამო თქვენი თავისუფლება გარკვეულად იზღუდება კიდეც, მაგრამ თქვენთვის იმდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ყოფნა და იმდენად რთულია მარტო დარჩენა, რომ თქვენ ბევრ რამეს თმობთ.

საზოგადოების წევრები ზრუნავენ ერთმანეთისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე.

იმისათვის, რომ გაითავისოთ თქვენი როლი საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებში, დახატეთ სულ მცირე ოთხვაგონიანი მატარებელი. პირველ ვაგონში ჩახატეთ, ან ჩაწერეთ რამდენიმე ოჯახის წევრი, მეორე ვაგონში სკოლასთან დაკავშირებული სასიამოვნო საქმიანობები, მესამეში – მასწავლებლები და მეგობრები, მეოთხეში – წრეები, სადაც თქვენ დადიხართ.

1. *გამოარკვიეთ, რამდენ საზოგადოებრივ ჯგუფთან გაქვთ ურთიერთობა? რა როლები გაქვთ თითოეულ ჯგუფში?*
2. *რამდენად განსხვავდება ეს როლები?*
3. *როგორ წესრიგდება ურთიერთობები ამ ჯგუფებში?*

გახსოვდეთ, მოზაიკა, რომელსაც აკლია ნაწილები, რთულად აღიქმება. მოზაიკა სრულყოფილია, როცა ყველა ნაწილი ადგილზეა.

ასევეა საზოგადოებაც. მაგალითისთვის განვიხილოთ თქვენი სკოლა,

როგორც საზოგადოების მოდელი, სადაც უამრავი საზოგადოების წევრია: მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია, დამლაგებელი, მზარეული, მშობლები, დარაჯი, ბიბლიოთეკარი...

მოზაიკა აეწყობა, თუ ყოველი მათგანი თავის საქმეს შეასრულებს და ითანამშრომლებს დანარჩენებთან, გაითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესს, ანუ იმას, თუ რა არის კარგი საზოგადოებისთვის.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. როგორ უნდა იმოქმედოთ საოცნებო საკლასო ოთახის შესაქმნელად?
2. ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ასეთი საკლასო ოთახის შექმნაში?
3. თქვენ რა წელილს შეიტანთ?
4. როგორ მიიღებთ მონაწილეობას?
5. მუშაობის რომელ ფორმას აირჩევთ — ჯგუფურს, თუ ინდივიდუალურს?
6. რას მიანიჭებთ უპირატესობას, საზოგადოებრივ ინტერესს, თუ პირადს (მხოლოდ თქვენთვის მისაღებ ინტერესს)?
7. რატომ არის ზოგჯერ ჯგუფში მუშაობა უმჯობესი?
8. რა გვიწყობს ერთად მუშაობაში ხელს?

ახლა წავიკითხოთ მოთხრობა, სადაც ეზოს ბინადრები საერთო საქმეს აკეთებენ.

გავანათოთ!

I

ღამე ძალზე ბნელი და უმთვარო იყო... სამწუხაროდ... სამწუხაროდ იმიტომ, რომ კოკის მთვარიანი, ნათელი ღამე ძალიან უყვარდა, ხოლო ბნელი ღამის ეშინოდა. რასაკვირველია, ამის შესახებ, არავინ იცოდა... კოკის ამის აღიარებისა რცხვენოდა.... საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა.

ასე და ამრიგად, კოკი ყოველ ღამე ეზოს დარაჯობდა და ეშინოდა... ეშინოდა და დარაჯობდა.

მაგრამ სიმართლეს ბოლომდე თუ ვიტყვით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ

კოკის ადრე ასე ძალიან არ ეშინოდა, რადგან ეზოში ლამპიონი ენთო... მაგრამ ახლა ლამპიონი აღარ იყო. უფრო სწორად, იყო, როგორ არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ ანათებდა...

– არ მეშინია... სულაც არ მეშინია, – თავს იმშვიდებდა კოკი, – წამითაც არ შემშინებია... – და ცუგრიამ თვალები დახუჭა, ეზოში საშინელი სიბნელე რომ აღარ დაენახა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ როცა თვალებს ხუჭავ, სიბნელე კიდევ უფრო შავი და საშინელი ხდება. თანაც ყველაზე ცუდი ის არის, რომ სიბნელეს ვერაფერს უზამ – ვერც კი დაკბენ!

როგორც იქნა, გათენდა. კოკიმ ბავშვებს დახმარება სთხოვა. უნდოდა, ეზო გაენათებინათ, რადგან სიბნელეში დარაჯობა ძნელი იყო. პაკო მიხვდა, რომ კოკის სიბნელის ეშინოდა და იმიტომ ითხოვდა ეზოს განათებას.

– ვაჟკაცსა გული რკინისა, სიბნელე რას დააკლებსო! – იხუმრა პაკომ.

კოკი გაბრაზდა და გამოაცხადა, ასეთ პირობებში ეზოს დაცვაზე უარს ვამბობო.

– აჰა! – წამოიძახა პაკომ, – ესე იგი, შენ ცუდი მოქალაქე ხარ.

– არაფერიც, – ეწყინა კოკის, – მე კარგი ვარ... ძალიან კარგი ვარ.... მზად ვარ ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადო და ეზო დავიცვა, მაგრამ ძალიან ბნელა. გესმით? ბნელა!

პაკომ მხრები აიჩეჩა... ველოსიპედს მოახტა და კოკის გარშემო წრე დაარტყა.

– ეს მე არ მეხება! – თქვა და მეორეჯერაც შემოუარა გარშემო, – ჩაბნელებული ეზო დარაჯის პრობლემაა. როგორც გინდა, ისე გაანათე!

– გავანათოთ – შესძახა უცებ ლიზიკომ, – ეზო უნდა გავანათოთ! ლამპიონი ადრე ხომ ანათებდა? ალბათ, ნათურა გადაიწვა, ნათურა უნდა გამოვცვალოთ.

თუთამ ძმას იმედიანი, ანთებული თვალებით შეხედა. იგი დარწმუნებული იყო, რომ პაკო მხარს დაუჭერდა.

მაგრამ პაკომ იმედი გაუცრუა. თუთას უთხრა, თუ ძალიან გინდა, შეგიძლია კოკის მაგივრად უდარაჯო ეზოსო... მერე კი გაეხუმრა, ქურდებს შენი მრისხანე კიკინების დანახვაზე შიშით გულები დაუსკდებათო და კოკის გარშემო მესამე წრე დაარტყა.

საუბარში ნიკუშაც ჩაერთო. მისი აზრით, ეზოს დაცვა და მოვლა-პატრონობა ყველას მოვალეობა იყო.

პაკო მაინც არ შეუერთდა ბავშვებს. მან ველოსიპედით სეირნობა განაგრძო.

II

ბავშვებმა გადაწყვიტეს ეზოში საკუთარი ნახატების გამოფენა-გაყიდვა მოეწყოთ, რომ ფული შეეგროვებინათ და ლამპიონის შესაკეთებლად ელექტრიკოსი მოეყვანათ.

მათ ნახატები ეზოში გამოფინეს.

ძია ალექსის ყურადღება შავმა ნახატმა მიიპყრო, რომელიც თუთას შემოქმედება აღმოჩნდა. მას ჩაბნელებული ეზო დაუხატავს.

მაცაცომ ხელოვნებათმცოდნის ფუნქცია იკისრა და ძია ალექსის აუხსნა, რომ თუთამ რეალური ეზოს პეიზაჟი დახატა. მის ერთ კუთხეში გადამწვარი ლამპიონი მოჩანდა.

ძია ალექსი იმწამსვე მიხვდა მინიშნებას, მაგრამ, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერაფერი გაიგო.

– ამიხსენით, – ჩაილაპარაკა მან, – ეზოში ამდენი ნახატი რისთვის გამოიტანეთ?

– იცით რა ხდება? – სერიოზული ხმით დაიწყო ახსნა ნიკუშამ, – გვინდა ნამდვილი გამოფენა – გაყიდვა მოვაწყოთ. მიღებული ფულით კი ელექტრიკოსი მოვიყვანოთ.

– ყოჩაღ! – ჩაიბურტყუნა ძია ალექსიმ, – დაგეხმარებოდით, მაგრამ არ მცალია... ... ვერ მოვიცალე ... უამრავი საქმე მაქვს.

– იქნებ რომელიმე სურათი შეიძინოთ? – შესთავაზა თუთამ.

– მმმ... – დაფიქრდა ძია ალექსი, – სხვა დროს იყოს, ბავშვებო... დღეს თვალში არაფერი მომდის... თანაც... არც საკმარისი თანხა მაქვს.

– აი, ხომ ვამბობდი – გუნება წაუხდა თუთას, – პაკოს გარეშე არაფერი გამოვა, ვერც ერთ ნახატს ვერ გავყიდით. ჩვენ შორის პაკო ყველაზე კარგად ხატავს.

სწორედ იმ წუთს ეზოში პაკო გამოჩნდა. შეწუხებული ჩანდა. შუბლზე დიდი კოპი აჯდა. დარცხვენილმა პაკომ ბავშვებს თავისი ნახატები გაუწოდა და საკუთარი შეცდომა აღიარა, გამოტყდა, საერთო საქმეში მონაწილეობის მიღება რომ არ სურდა. სიბნელემ პაკოც დააზარალა – ბნელ ეზოში ველოსიპედით ბოძს დაეჯახა.

ძია ალექსი დაფიქრდა, მოეწონა ბავშვების ერთსულოვნება და დახმარება აღუთქვა. დაპირდა, რომ ეზოს უფასო ელექტრიკოსი იქნებოდა.

ღამე ისევ უმთვარო და ბნელი იყო, მაგრამ კოკი მშვიდად დარაჯობდა იქაურობას, რადგან მთვარის ნაცვლად ეზოს ლამპიონი ანათებდა.

გადახაზეთ სამუშაო რვეულში სქემები და ინდივიდუალურად შეავსეთ:

რა პრობლემა გაჩნდა ეზოში?	როგორ გადაჭრეს პრობლემა?	რა გამოცდილება მიიღეს პერსონაჟებმა?

ეზოს ბინადართა მაგალითზე ჩამოთვალეთ პასიური და აქტიური მოქალაქის თვისებები:

პასიური მოქალაქე		აქტიური მოქალაქე	
თვისება	მოქმედება მოთხრობიდან	თვისება	მოქმედება მოთხრობიდან

საშინაო დავალება:

დაწერეთ ან დახატეთ თქვენს თემში, საზოგადოებაში არსებული პრობლემების (მაგ., ეზო დაბინძურებულია, სპორტული მოედანი არ არსებობს და სხვა.) და წარმატებების შესახებ (ყოველდღე გააქვთ ნაგავი, მოაწყვეს სკვერი და სხვ.). დაასაბუთეთ, თავად როგორ გადაჭრით არსებულ პრობლემებს, პრაქტიკულად როგორ დაეხმარებით საზოგადოებას.

თემა 16 ჯანსაღი ცხოვრების წესი

რატომ ხდება ადამიანი ავად?

როდესაც ადამიანი ავად ხდება, ზოგჯერ სხვას ადანაშაულებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ავადმყოფობის მიზეზი თავად არის. ალბათ იკითხავთ – რატომ? პასუხი მარტივია. ბუნება გვაჯილდოებს ჯანმრთელი ორგანიზმით, ენერგიით, ძალით, რათა სრულფასოვანი ცხოვრებით ვიცხოვროთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანი ეწინააღმდეგება ბუნებას, არასწორად ცხოვრობს, რადგან არ იცის, რა არის ზიანის მომტანი ან იცის, მაგრამ უნებისყოფოა და შეგნებულად ინადგურებს ჯანმრთელობას (აქვს მავნე ჩვევები: ეწევა სიგარეტს, იყენებს ნარკოტიკს, ეტანება ალკოჰოლს).

ავადმყოფობა შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ ცხოვრების ჯანსაღი წესით ვიცხოვრებთ და გამოვიმუშავებთ საკუთარი სხეულის მართვის უნარს.

საკუთარი სხეულის სწორად მართვის უნარი დამოკიდებულია განწყობილებაზე, გრძნობებზე, ნებისყოფაზე. ძნელია დილით ადრე ადგომა, ვარჯიში, მაგრამ ის, ვინც შეძლებს საკუთარი სხეულისა და ნებისყოფის მართვას, წუთიერ სისუსტესა და სიზარმაცესაც დაძლევს, დაჯილდოვდება ჯანმრთელობითა და კარგი განწყობილებით. ყოველივე ეს კი წარმატების საწინდარია.

როგორ უნდა შევძლოთ საკუთარი სხეულისა და განწყობილების მართვა?

უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფის გამომუშავებით. ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა გავხდეთ „მინდა“-ს მონა, უნდა გავითავისოთ ნებისყოფის მქონე ადამიანისთვის დამახასიათებელი ქმედებები: „საჭიროა“, „ უნდა გავაკეთო“, „აუცილებელია“, „ვინ გააკეთებს, თუ არა მე?“

გახსოვდეთ!

ნებისყოფა არის მოქმედების არჩევისა და მისი განხორციელებისთვის შინაგანი ძალისხმევის გამომუშავების უნარი.

უნებისყოფო ადამიანი ვერ მართავს სიტუაციას. იგი პრობლემების ბადეში ებმება და ცუდი განწყობილება ეუფლება.

ცუდი განწყობილების მიზეზები სხვადასხვაა: *სირთულე სწავლის პროცესში, პრობლემები მეგობრებთან, უფროსებთან ურთიერთობისას, შეუსრულებელი ვალდებულებები...*

რა გავაკეთოთ, რომ დავძლიოთ აღნიშნული პრობლემები?

- *ვიყოთ ტოლერანტები, ვისწავლოთ ადამიანებთან ურთიერთობა;*
- *დავგეგმოთ დღე, თავს ძალა დავატანოთ და შევასრულოთ გეგმის ყველა პუნქტი;*
- *არ ვიზარმაცოთ;*
- *ვიშრომოთ;*
- *მიცემული პირობა შევასრულოთ;*
- *დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრების წესი.*

ჩამოწერეთ საკუთარი დღის განრიგი: *რას აკეთებთ დილიდან დაძინებამდე? მიუთითეთ, ვინ გეხმარებათ, ვინ გიწყობთ ხელს არჩევნის გაკეთებაში შინ და გარეთ.*

წაიკითხეთ მოთხრობის პირველი ნაწილი.

მწვრთნელები

შუადღის სიცხის მიუხედავად, ეზოში ნამდვილი აურზაური იყო. ნიკუშა და პაკო ქვიშაზე სარბენ ბილიკს გულმოდგინედ ხაზავდნენ, ლიზიკო თუთასთან ერთად ღობეზე ფერად ალმებს ამაგრებდა. კოკი ცდილობდა ყველას დახმარებოდა, ამიტომ ბავშვებს წამდაუწუმ ფეხქვეშ ედებოდა. დროდადრო გვერდზე გახტებოდა ხოლმე, ფეხი რომ არ დაებიჯებინათ. მხოლოდ მაცაცო ინარჩუნებდა სიმშვიდეს, ხეზე იჯდა და ამ ალიაქოთს აუღელვებლად დაჰყურებდა. როცა ბავშვებმა საქმიანობა დაასრულეს, მაშინღა ამოიღო ხმა:

– მაშ ასე, შეჯიბრისთვის ვემზადებით – მაცაცომ შავი სათვალე ნისკარტზე გაიკეთა და იქაურობას თვალი მედიდურად მოავლო, – საფუძვლიანად უნდა მოვემზადოთ. როგორც მთავარი მწვრთნელი, ვაცხადებ: ჩვენმა ეზომ მეზობელი ეზო მძლეოსნობის შეჯიბრში უნდა დაამარცხოს.

– მე სირბილში ვიასპარეზებ! – შესძახა კოკიმ, – მე ხომ ბრძოლაში გამოწრთობილი ვარ.

– მე კი სიმაღლეზე ხტომაში მივიღებ მონაწილეობას, – გაუხარდა პაკოს, – მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გავხდები ღობეზე ხტომაში.

– შეიძლება მხარდამჭერთა ჯგუფი ვიყო? – გაუბედავად იკითხა თუთამ.

– შეიძლება, – მაცაცომ დიდსულოვნად დართო ნება, – მერე კი ბრძანება გასცა, შეჯიბრისთვის მზადება სირბილით დაეწყოთ.

სპორტსმენებმა ეზოს გარშემო დაიწყეს სირბილი. მტვრის ბუღი დააყენეს, თანაც ძალიან ხმაურობდნენ.

– სწორად ისუნთქეთ! უკან ნუ იხედებით! – მაცაცო ბრძანებებს იძლეოდა, – მეორე წრეზე მივდივართ!

ფინიშის ხაზი პირველმა კოკიმ გადაკვეთა, ენაგადმოგდებული მიწაზე კმაყოფილი გაიშხლართა. შეჯიბრის დანარჩენი მონაწილეებიც ნელ-ნელა მის გარშემო მოგროვდნენ.

– ეს უსამართლობაა! – ქოშინით თქვა ლიზიკომ, – კოკი ოთხ ფეხზე დარბის, ჩვენ კი ორზე... უნდა გავაძევოთ სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელის გამო.

– არა მგონია, ეს სამართლიანი იყოს, – ხმამაღლა თქვა დეიდა ლალიმ, რომელმაც სწორედ იმ წამს გამოიხედა ფანჯრიდან, – კოკის ხომ ორ ფეხზე სირბილი არ შეუძლია, ისევე, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ოთხზე.

– დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის! – კოკიმ კუდი მადლიერებით ააქიცინა. სპორტსმენებს ძალიან მოშივდათ და პიკნიკის მოწყობა გადაწყვიტეს. თითოეულ მათგანს სახლიდან საჭმელი უნდა მოეტანა და ერთად ესადილათ.

ბავშვები სახლში გაიქცნენ. მაცაცოც აფრინდა ბუდეში – რაიმე სასუსნავს მეც მოვძებნიო.

პაკო სამზარეულოში შევარდა და იყვირა:

– დედა! მაცივრიდან ხილს ავიღებ, პიკნიკს ვაწყობთ!

– აიღე! – გაისმა ოთახიდან, – ოღონდ არ დაგავიწყდეს, კარგად გარეცხე!

– კარგი დედიკო, გავრეცხავ, გავრეცხავ! – პაკომ ქაღალდის პარკი ხილით აავსო და ეზოში ჩაირბინა.

ამ დროს ლიზიკო თავის სამზარეულოში პროდუქტებს არჩევდა. ძია ალექსიმ ხმაურზე ოთახში შეიხედა და მკაცრად უთხრა:

– ხელები დაიბანე! დილიდან ეზოში თამაშობ. მუდამ მე უნდა შეგახსენო, ეზოში თამაშის შემდეგ ხელი რომ უნდა დაიბანო?

– კარგი, – მიუგო ლიზიკომ. ლანგარი ღვეზლებითა და ვაშლებით აავსო და ეზოში გავიდა. უცებ შედგა, გაახსენდა:

– ვაი, ხელების დაბანა დამავიწყდა... და ხილის გარეცხვაც, მაგრამ, არა უშავს, ხომ არავის დაუნახავს, მერე დავიბან – თქვა ლიზიკომ და ბავშვებისკენ გასწია. ბავშვები ხის ქვეშ გრძელ სკამზე მოხერხებულად ისხდნენ და საჭმელს გემრიელად შეექცეოდნენ.

– რა გემრიელია! – თქვა ნიკუშამ და კიდევ ერთი ღვეზელი ჩაკბიჩა, – ამაზე გემრიელი არაფერი მიჭამია – თქვა და თითები გაილოკა.

– ქლიავიც ძალიან გემრიელია, – ჩაიბურტყუნა პაკომ. პირი საჭმლით ჰქონდა გამოტენილი.

ბავშვებმა ჭამა მალე დაამთავრეს.

– მგონი, დროა ვარჯიში გავაგრძელოთ, – გამოაცხადა მაცაცომ რამდენიმე წუთის შემდეგ.

– არა, არა, დავისვენოთ, – შესძახა კოკიმ, – დავიღალე.

– რაო? ამას შენ ამბობ?! – აღშფოთდა მაცაცო, – შენ, რომელსაც ხვალ შეჯიბრი გაქვს, სადაც შენი.... არა, ჩვენი ბედი წყდება? ჩვენი ეზოს ბედი!

– ძალიან დავიღალე, თათები მტკივა! – წკმუტუნით უთხრა კოკიმ.

– ხმა არ ამოიღო! ღამე დაისვენებ, ახლა კი უნდა ივარჯიშო! – ბრძანა მაცაცომ და ბავშვებმა ვარჯიში განაახლეს. როცა მოსაღამოვდა, კმაყოფილები დაიშალნენ. ეზო დაცარიელდა.

ახლა წაიკითხეთ მოთხრობის მეორე ნაწილი:

II

დილით ლიზიკო ეზოში გამოვიდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ნიავი ფოთლებს აშრიალებდა, ხის ქვეშ ძელსკამი მოწყენილი იდგა.

უეცრად ლიზიკოს სუსტი კვნესა მოესმა. ვიღაც ძელსკამის ქვეშ შემძვრალიყო... ლიზიკომ შეიხედა და კოკი აღმოაჩინა. თათები მუცელზე ეწყო, წკმუტუნებდა.

– რა დაგემართა? – აღელდა ლიზიკო, – რა გჭირს? შეჯიბრებამდე თხუთმეტი წუთი დარჩა. დაგაგვიანდება!

– ცუდად ვარ, – მიუგო კოკიმ, – ცუდად... ეტყობა ჩემპიონის ტიტულის დათმობა მომიწევს... ასე სწრაფად არ უნდა მერბინა... წინა თათებიც მტკივა... და უკანაც... კუდიც...

მოულოდნელად მაცაცოს ხმა გაისმა.

– ვაი-ვაი-ვაი! ამქვეყნად არავის ვეცოდები! არავის! რა საცოდავი ვარ!



– რა დაგემართა? – ლიზიკომ გაოცებით ჰკითხა, – შენც ცუდად ხარ?

– ძალიან ცუდად ვარ, მუცელი მტკივა – დაიჩივლა მაცაცომ.

– უცნაურია – გაისმა პაკოს ხმა, – ნიკუშასაც მუცელი სტკივა. რა მოხდა?

– რა დროს ეს იყო? – ჩაილაპარაკა ლიზიკომ, – ყველა ახლა გახდა ცუდად! – და სახლში აბრუნდა.

სახლში შევიდა თუ არა, ლიზიკომ მაშინვე მამასთან მიირბინა. როცა გაუჭირდებოდა, მამას სთხოვდა ხოლმე დახმარებას, ახლა კი ისეთი რთული სიტუაცია იყო, ადამიანს უარესის წარმოდგენა გაუჭირდებოდა.

– მამიკო, კოკი, ნიკუშა და მაცაცო ავად გახდნენ! რაც მთავარია, კოკი შეჯიბრში ვერ მიიღებს მონაწილეობას, არადა, როგორ ვემზადებოდით!

– რა დაემართათ?

– მაცაცოს და ნიკუშას მუცელი სტკივათ, – უპასუხა ლიზიკომ, – კოკის თათები სტკივა... კუნთებიც. ეტყობა ზედმეტად ივარჯიშა. საბრალო! რა საწყენია!

– როგორ ემზადებოდით?

– დავრბოდით, დავხტოდით, დროს ვინიშნავდით... მერე პიკნიკი მოვაწყვეთ ეზოში... მერე ისევ დავრბოდით... მთელი დღე.

– პიკნიკი გქონდათ? – ჰკითხა ძია ალექსიმ, – მახსოვს, მახსოვს თქვენი ხმაურიანი თავყრილობა...

ლიზიკო დაფიქრდა.

– ხელი უნდა დამებანა... – **თავისთვის** ჩურჩულით ჩაილაპარაკა და მამას შეშინებულმა გახედა.

ძია ალექსიმ ქალიშვილს შეხედა და ყველაფერს მიხვდა.

– ლიზიკო, ჭამამდე ხელები დაიბანე? ხილი გარეცხე? – მამამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი, – სხვათა შორის, სამჯერ შეგახსენე.

– მაპატიე, – თავის მართლება დაიწყო ლიზიკომ, – მამიკო, ავად ხომ არ გავხდები? ხომ არაფერი მომივა? ნამდვილად?

– შენ გაგიმართლა, – უთხრა ძია ალექსიმ, – მაგრამ შენი მეგობრები ავად გახდნენ.

– იმიტომ, რომ გაურეცხავი ხილი ჭამეს? – ლიზიკო სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

– აბა, რა გეგონა? რა თქმა უნდა, მაგიტომ! ჭუჭყიანი ხილი და ბოსტნეული მიირთვეს. ალბათ, ხელის დაბანაც დაავიწყდათ. როგორ არ გახდებოდნენ ავად? ჭუჭყი, მიკრობები.

– მართალია, თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი!

– ამჯერად ბედმა გაგიღიმა – საყვედურნარევი ინტონაციით უთხრა

მამამ, – სხვა დროს ყურადღებით იყავი. ნიკუშა და მაცაცო უფრო სუსტები აღმოჩნდნენ... მითხარი, ახლა როგორ გრძნობენ თავს?

– ცუდად არიან, – მიუგო ლიზიკომ ნაღვლიანად, – წამლებს სვამენ. კოკიც ცოდოა. შეჯიბრებაში ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ... ჩვენ გამო.

– მაგარი მწვრთნელები ხართ! კოკი დატანჯეთ. უნდა ისწავლოთ, სწორად როგორ ავარჯიშოთ ან თვითონ როგორ ივარჯიშოთ. ხომ იცი, ცხოვრების დიდი ნაწილი სპორტს მივუძღვენი, ჩემთვის უნდა გეთქვა და ყველაფერს აგიხსნიდით.

– ვერ მოვიფიქრე. თანაც, შენ არასდროს გცალია.

– დიდი სპორტსმენებისთვის როგორმე გამოვნახავდი დროს, – გაეღიმა ძია ალექსის.

ლიზიკო ეზოში ჩავიდა, ბავშვებისთვის სასიხარულო ახალი ამბავი რომ ეთქვა. ხის ქვეშ პაკო, თუთა, ნიკუშა და კოკი იყვნენ. ლიზიკო სხაპასხუპით ალაპარაკდა.

– მამიკო დახმარებას დაგვპირდა. დროს გამოძებნის და გვასწავლის, როგორ ვივარჯიშოთ.

– მაგარია! – შესძახა პაკომ, – რატომ არ გვითხარი, მამაშენი ყოფილი სპორტსმენი თუ იყო?

– დამავიწყდა, – გაწითლდა ლიზიკო, – ეეჰ... ავად რომ არ გამხდარიყო, კოკი შეჯიბრში მიიღებდა მონაწილეობას და პრიზსაც მოიგებდა.

– ნიკუშას და მაცაცოს მუცელი რატომ სტკივათ? მათაც ზედმეტი ვარჯიშისგან? – იკითხა პაკომ ეჭვით.

– არა მგონია, – თქვა ნიკუშამ და თავი დახარა, – მე მგონი, ვხვდები,... გაურეცხავი ხილისა და ბოსტნეულის გამო...

– შენც მიხვდი? – ჰკითხა ლიზიკომ.

– ხელიც კი არ დავიბანეთ ჭამის წინ, – გაახსენდა თუთას.

– ვაი! – შესძახა მაცაცომ, – აღარასოდეს დამავიწყდება ჭამის წინ ხელის დაბანა... ვაი, ვაი, ვაი...

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რატომ ვერ მიიღო კოკიმ შეჯიბრებაში მონაწილეობა?
2. რა შეცდომა დაუშვა მწვრთნელმა მაცაცომ?
3. თქვენი აზრით, როგორ უნდა ევარჯიშათ „სპორტსმენებს“?
4. რა შედეგი გამოიღო პირადი ჰიგიენის უგულებელყოფამ?

დაასრულეთ მოთხრობის კითხვა:

III

გავიდა ორი დღე, ავადმყოფები გამოჯანმრთელდნენ... ყველა ხის ქვეშ შეიკრიბა.

– ძვირფასო სპორტსმენებო, – დაიწყო ძია ალექსიმ, – როგორც თქვენმა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, უნდა გითხრათ, რით დავიწყებთ ვარჯიშს. თავიდან ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის შესახებ ვისაუბრებთ. წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

– არა, არა, – იყო საერთო პასუხი.

– თავიდან უნდა გაიმაგროთ კუნთები, სასუნთქი სისტემა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეთ სერიოზულ ვარჯიშს. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია სწორად კვება და ჭამის წინ ხელების დაბანა – გააგრძელა ძია ალექსიმ.

– მართალია, – ჩაურთო ნიკუშამ, – გუშინ ტელევიზორშიც ამაზე საუბრობდნენ – მიკრობებზე, ჰიგიენაზე; იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანია სისუფთავის დაცვა. თურმე იმ მიკრობებს, საჭმელთან ერთად რომ ხვდებიან ჩვენს ორგანიზმში, დიდი ზიანის მოყენება შეუძლიათ.

– მე არ მყავს მიკრობები – თქვა თუთამ და ხელისგულები ყურადღებით დაითვალიერა.

– მიკრობი ისეთი პატარაა, ვერ ვხედავთ, – შენიშნა ძია ალექსიმ, – მაგრამ სწორედ ამ პატარა მიკრობებმა, თუკი არ შევებრძოლებით, ჩვენი ორგანიზმი შეიძლება დაასუსტონ.

– ახლა გასაგებია, რატომ გავხდი ავად! – შესძახა მაცაცომ, – ეტყობა მხედველობა გამიუარესდა და ამ პატარა მავნებლებს ვეღარა ვხედავ. სათვალე მჭირდება.

– გაურეცხავმა ხილმა შეიძლება გაცილებით მძიმე შედეგი გამოიწვიოს, – გააგრძელა ძია ალექსიმ, – ამიტომ ჭამის წინ ხელები ყოველთვის საპნით უნდა დაიბანოთ.

– რატომ მაინცდამაინც საპნით? – უკმაყოფილოდ იკითხა კოკიმ, – გაილოკავ და მორჩა.

– საპონი სლიპინაა, მიკრობები დასრიალდებიან და წყალში ჩაცვივდებიან – აუხსნა თუთამ.

– ასე, რომ – გაეცინა ძია ალექსის, – სპორტის გარდა, აუცილებელია სისუფთავისა და პირადი ჰიგიენის დაცვა. ახლა კი, ძვირფასებო, მწკრივში ჩადექით. სწორდით! ხელები, თათები, ფრთები ერთ ხაზზე! ვიწყებთ ვარჯიშს!

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. როგორ დაიწყო ეზოს ბინადართა წერთნა ძია ალექსიმ?
2. როგორ უნდა დაეიცვათ პირადი ჰიგიენა?
3. როგორ უნდა მოვიქცეთ, ჯანმრთელები რომ ვიყოთ?

ახლა ბრძენი ბაო გთავაზობთ რამდენიმე რჩევას ცხოვრების ჯანსაღი წესის დასაცავად, რაც ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. ყურადღებით გაეცანით.

ყურადღებით წაიკითხეთ და მონიშნეთ, მათგან რომელს ასრულებთ და რომელს – არა.

სასარგებლო რჩევები:

- **საქმე არ გადადოთ;**
- **შეიმუშავეთ დღის განრიგი;**
- **დილით ადრე ადექით;**
- **დაიცავით პირადი ჰიგიენა;**
- **საჭიროების შემთხვევაში არ გადადოთ ექიმთან ვიზიტი;**
- **იზრუნეთ ცხოველებზე, ფრინველებსა და მცენარეებზე;**
- **გახსოვდეთ, სპორტი და ფიზკულტურა ჯანმრთელობის საწინდარია;**
- **არ დაგავიწყდეთ სუფთა ჰაერზე სეირნობა;**
- **შინ და გარეთ იზრუნეთ გარემოს სისუფთავეზე;**
- **დაიცავით სუფრასთან ქცევის წესები;**
- **გაკაჟდით;**

- გახსოვდეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა — დაიცავით უსაფრთხოების წესები თამაშის დროს, ქუჩაში მოძრაობისას, ელექტროხელსაწყოების მოხმარებისას და სხვა;
- მავნე ჩვევები ძალზე საზიანოა ადამიანისთვის.
- პატივი ეცით თქვენ გარშემო მყოფთ.

ბაოს რჩევებს თუ გაიზიარებთ, ნამდვილად კარგ შედეგს მიიღებთ.

საშინაო დავალება:

მისწერეთ წერილი ბრძენ ბაოს, რომელი რჩევაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ? რა იყო თქვენთვის ახალი ბაოს რჩევებიდან?

თემა 17 განსხვავებული კულტურებთან ურთიერთობა

თქვენ იცით, რომ კინო, მუსიკა, მხატვრობა კულტურის შემადგენელი ელემენტებია. კულტურის შემადგენელი ზოგიერთი ელემენტი თვალსაჩინოა, მაგ., ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, ხალხური ცეკვა, ეროვნული სამზარეულო, ტანსაცმელი, ესა თუ ის თამაში, ქცევა. ზოგიერთი კი თვალისთვის შეუმჩნეველია. მაგ., სირცხვილის გრძნობა, სილამაზის აღქმა, ბავშვის აღზრდის წესი, ცხოველებთან დამოკიდებულება, მეგობრობის, წესრიგისა და სისუფთავის გაგება და ა.შ.

კულტურის დაფარული ნაწილი, რასაკვირველია გავლენას ახდენს ხილულ ნაწილზე. მაგალითად, სრულიად სხვადასხვაა ემოციის გამოხატვის კულტურა ქართულ და იაპონურ ტრადიციებში. იაპონელი არასოდეს გამოხატავს სახალხოდ თავის მწუხარებას. ამის ხილული გამოხატულებაა ღიმილი, რომელიც სახეზე აფენია მას ხალხის დასანახად გლოვის ჟამსაც კი. თუნდაც ცხოველებთან დამოკიდებულება ავიღოთ სხვადასხვა კულტურაში. ინდურ კულტურაში ზოგიერთი შინაური ცხოველი თაყვანისცემის ობიექტია (მაგალითად, ძროხა), განსხვავებით სხვა, თუნდაც ქართული კულტურისაგან. განსხვავებულია მისალმების მანერაც.

ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ცონში

I

ერთ მშვენიერ დღეს (ეს ამბავი უხსოვარ დროს მოხდა, – როდის, ზუსტად არავინ იცის) ქოქოსის პალმის ფოთლებისგან აშენებული ქოხის ზღურბლზე ჭკვიანი მწვანე კაცუნა იჯდა. კალთაში ჭკვიანი მწვანე ბავშვი, – პატარა მწვანე ქალიშვილი ეჯდა.

ერთი სიტყვით, იჯდა თავისთვის ჭკვიანი მწვანე კაცუნა და უხაროდა ცხოვრება. უცებ ხედავს – ნარინჯისფერი ტურისტი მოდის.

უნდა გითხრათ, რომ იმ დროს ტურიზმი განვითარებული ჯერ არ გახლდათ (როგორც გახსოვთ, ეს ამბავი ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. არავის ახსოვს, ზუსტად როდის, ვფიქრობ, რომ ამქვეყნად ეს საერთოდაც პირველი ტურისტი უნდა ყოფილიყო).

დაინახა მწვანე კაცუნამ ტურისტი და განცვიფრდა (არ დაგავიწყდეთ, იგი პირველი იყო, ვინც ნამდვილი ტურისტი საკუთარი თვალით ნახა).

ტურისტმაც დაინახა მწვანე კაცუნა და ძალიან გაუხარდა. წამსვე ჯი-

ბიდან ბლოკნოტი ამოიღო, რომელიც უზარმაზარი პაპირუსის ფურცლებისგან ჰქონდა შეკრული და მწვანე კაცუნას პორტრეტი დახატა.

მწვანე გოგონას ნახატი მოეწონა. ჭკვიან მწვანე კაცუნას კი მოსწონდა ყველაფერი, რაც მოსწონდა მის ქალიშვილს.

ამიტომ იგი დაფიქრდა და.... გადაწყვიტა უცნობისთვის ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები ეჩვენებინა.

ასე და ამგვარად, ჭკვიანი მწვანე კაცუნა, პატარა მწვანე გოგონა და ნარინჯისფერი ტურისტი ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად გაემართნენ. სწორედ მაშინ, როცა ნარინჯისფერი ტურისტი ცდილობდა ბლოკნოტში ყველაზე დიდი სპილო ჩაეხატა, წვიმა დაიწყო.

მწვანე კაცუნა ძალიან ჭკვიანი იყო და მაშინვე მიხვდა, რომ დასველდებოდნენ, რადგან გარშემო თავს ვერაფერს შეაფარებდი, ამიტომ ნარინჯისფერ ტურისტს უხერხულად გახედა. მან კი უეცრად ჯიბიდან ნარინჯისფერი ქოლგა ამოიღო და გაშალა.

მწვანე კაცუნას ძალიან გაუკვირდა – ქოლგა არასდროს ენახა. ჭკვიანი, მწვანე გოგონა კი იმწამსვე მიხვდა, რა უნდა ექნა, ნარინჯისფერ ტურისტთან მიირბინა და გვერდით დაუდგა.

ნარინჯისფერმა ტურისტმა გაიღიმა და კაცუნას ხელის მოძრაობით ანიშნა მწვანე გოგონასათვის მიებაძა.

და სანამ წვიმამ არ გადაიღო, სამივე ქოლგის ქვეშ იდგა: მწვანე კაცუნა, მწვანე გოგონა და ნარინჯისფერი ტურისტი.

შეიძლება გეგონოთ, რომ ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავია ჩვეულებრივი დასასრულით... სინამდვილეში ეს არის ამბავი იმის შესახებ, სხვადასხვა კულტურის ადამიანები ერთმანეთს როგორ უზიარებენ გამოცდილებას ურთიერთობის დროს და ამის შედეგად როგორ ემატებათ სიბრძნე.

იმ დღიდან მოყოლებული მწვანე კაცუნები, როცა დასჭირდებოდათ, ყოველთვის ხმარობდნენ ქოლგას.... ნარინჯისფერმა ტურისტმა კი განაგრძო მოგზაურობა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გვაქვს ჩვენ ქოლგა.

– მაგარია! – შესძახა პაკომ, როცა მაცაცომ მოყოლა დაამთავრა.

– რა ჰქვია ამ ამბავს?

– არ ვიცი, – მიუგო მაცაცომ, – მაგრამ, მე მგონი, შეიძლება დავარქვათ ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“.

– „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“! – შესახა პაკომ, – რა კარგად მოიფიქრე!

მაცაცო გაიბადრა. უყვარდა, როცა აქებდნენ და ქათინაურებს ეუბნებოდნენ.

– არ შეგიძლია რაიმე საინტერესო ჩვეულებაზე მომიყვე? – სთხოვა პაკომ, – ჩვენც გადმოვიღებდით... მეგობრებთან ერთად.

– კი ბატონო, – უთხრა მაცაცომ, – მაგაზე ადვილი რა არის... უამრავი საინტერესო ჩვეულება ვიცი. შემიძლია მოგიყვე. ერთ ქვეყანაში ადამიანები ერთმანეთს წამღერებით ელაპარაკებიან.

– როგორ? – გაუკვირდა პაკოს.

– აი, ასე... – მაცაცომ წაიმღერა, რომ ძალიან უხარია პაკოს დანახვა და იმედი აქვს, რომ ისიც მოხარულია მასთან შეხვედრის.

პაკო აღფრთოვანდა. რა მაგარი შეგრძნებაა, როდესაც სრულიად ჩვეულებრივ რაღაცებს ასე არაჩვეულებრივად გადმოსცემ.

– რა კარგი ჩვეულებაა! – შესძახა მან.

– ცუდი ჩვეულება არ არსებობს! – დიდის ამბით განაცხადა მაცაცომ.

II

პირველი, ვინც პაკომ მაცაცოსთან საუბრის შემდეგ დაინახა, კოკი გახლდათ. ცუგრიას შლანგი ეპოვა და ეზოში დაათრევდა. ალბათ იმის გარკვევა უნდოდა, რა იყო შიგნით ასეთი სველი და ცივი.

პაკო კოკისთან მივიდა და გაბრწყინებული სახით წაიმღერა:

გესალმები კოკუნი,
ეს რა ცელქი რამ ხარო,
შლანგი ბირით გიჭირავს,
მტვერსასრუტსა ჰგავხარო,
ცუგა, კარგი ბიჭობით,
იქნებ ჩვენც გაგვახარო!

კოკის ეწყინა.

– არ მომწონს ეს სიმღერა! – წამოიძახა გულმოსულმა, – სულაც არა ვგავარ მტვერსასრუტს!

– რა თქმა უნდა არ ჰგავხარ, – დაეთანხმა პაკო, – ოღონდ ეს სიმღერა არაა.

– აბა, რა არის?

– ჩვეულება!

და პაკო მოუყვა ყველაფერს, რაც მაცაცოსგან გაიგო. კოკი მაინც უკმაყოფილო იყო. თქვა, რომ ცუდი აზრია, როცა ცუგრიას მტვერსასრუტს ამსგავსებენ. მერე კი დაამატა,– ეს ცუდი ჩვეულებაა და არ მომწონსო.

– ცუდი ჩვეულება არ არსებობს! – დიდის ამბით შენიშნა პაკომ.

ამ დროს ეზოში თუთა გამოვიდა. უნდოდა ბავშვებისთვის ახალი ქუდი ეჩვენებინა, რომელიც დედამ აჩუქა, – თავი მოეწონებინა. ქუდი მართლაც უხდებოდა, ამიტომ პაკომ გადაწყვიტა ამის შესახებ წამღერებით ეთქვა:

მაგარი ქუდი გაქვს,
შენ, ჩემო თუთა,
თუმცა კი ჩამოგვავს
გატენილ ფუთას!

თუთამ გაოცებისგან პირი დააღო. პაკომ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ეცადა და წაიმღერა:

მოგესალმები შენ, ჩემო დაო,
თავზე გაქვს ქუდი, როგორც რომ მთაო!

თუთას ისე ეწყინა, ტირილი მორთო.

– ეს ძველი ჩვეულებაა! – სასწრაფოდ აუხსნა პაკომ, მაგრამ გვიანღა იყო.

III

– ძალიან კარგი ჩვეულებაა! – გამოუცხადა მაცაცომ ბავშვებს, – უბრალოდ პაკომ ცუდად წარმოგიდგინათ.

– წარმომიდგენია, რას აღარ მოიგონებდა, – ჩაიცინა ნიკუშამ.

– არ მიყვარს ჩვეულებები, – ჩაილაპარაკა კოკიმ წყენით, – მიყვარს,

როცა ყველაფერი ჩვეულებრივადაა.

– გეფიცებით, მოგეწონებათ, – ენთუზიაზმით აგრძელებდა მაცაცო, – არ არის აუცილებელი ლექსად იმღერო, თხრობითაც შეიძლება.

– მე მიყვარს, როცა ყველაფერს აზრი აქვს, – გამოაცხადა კოკიმ, – ამ ჩვეულებაში კი აზრს ვერა ვხედავ!

მაცაცომ მხრები აიჩეჩა.

– იმ ქვეყანაში, რომელზეც გიყვებოდით, ადამიანები წამღერებით სწორედ მაშინ ლაპარაკობენ, როცა რაღაცაზე კამათობენ. მეც იგივეს გთავაზობთ. მერწმუნეთ, სიტუაციის განმუხტვის არაჩვეულებრივი საშუალებაა.

მოულოდნელად ყველა დაეთანხმა. ბავშვები წრეში ჩადგნენ და წამღერებით დაიწყეს საუბარი. ეს იმდენად სახალისო აღმოჩნდა, მალე გადაავიწყდათ კიდეც, რის გამო კამათობდნენ და ახალი თამაში წამოიწყეს, თანაც, ისევ წამღერებით ლაპარაკობდნენ.

შეიძლება გეგონოთ, რომ ეს არის ერთი ჩვეულებრივი ამბავი ჩვეულებრივი დასასრულით... სინამდვილეში ესაა ამბავი იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვისი ჩვეულებების პატივისცემა და კიდევ, – იმის შესახებ, რომ ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის ჩვეულებებს იზიარებდნენ, რაც შემდეგ საერთო კულტურის ნაწილი ხდებოდა.. და შესაძლოა, სწორედ ამიტომ გვაქვს ამდენი საერთო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამით განვსხვავდებით კიდეც.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რა ისწავლეს მწვანე კაცუნებმა ნარინჯისფერი ტურისტისაგან?
2. რა საინტერესო ჩვეულება გაცნო მაცაცომ პაკოს?
3. რატომ გაუნაწყენდნენ პაკოს კოკი და თუთა?
4. რამ გახადა ბაეშვებისათვის მისაღები ეს უცნაური ჩვეულება?
5. რის შესახებ გვიამბობს ეს მოთხრობა?

მაცაცო მოგზაურობს

I

შუაგულ ოკეანეში, შორეულ კუნძულზე, უზარმაზარი ბაობაბის ვეება ტოტზე უჩვეულოდ გრძელ სამოსში გამოწყობილი მაცაცო შემომჯდარიყო.

მის გვერდით, ტოტზე პატარა, შოკოლადისფერი ბიჭუნა შემოსკუპულიყო – კუნძულის ბინადარი მუსი-პუსი-ტრიმ-ბა-ბახ-ბუ-ბუ ტომიდან, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს: „ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს ჩვეულებებს, თქვენ კი, თუ შეიძლება, ჩვენსას ეცით პატივი, თორემ გიჩვენებთ...“ (იგულისხმება – ჩვეულებებს).

მაშ ასე, მაცაცო და აბორიგენი ბიჭუნა ბაობაბზე ისხდნენ და უდარდელად მასლაათობდნენ.

ბიჭუნა დროდადრო იცინოდა და ტაშსაც შემოკრავდა ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირად უბრალოდ იღიმებოდა და თავს დიდი კაცივით აქნევდა.

– ჩვენთან კიდევ ერთი ასეთი ჩვეულებაა, – ყვებოდა მაცაცო, – შეხვედრისას ერთმანეთს ხელს ვართმევთ. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის გაუთავებლად ხელის ჩამორთმევა, მით უმეტეს, როცა ამდენი მეგობარი გყავს, მაგრამ მაინც ძალიან სასიამოვნოა.

კუნძულელმა თვალები ჭყიტა, გაიფიქრა, რა უცნაური ჩვეულებაა ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევაო (მაშინ, როცა ხელები სრულიად სხვა რამისთვის გჭირდება), – მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

ამიტომ კუნძულელმა ბიჭუნამ გაგებით დაუქნია თავი მაცაცოს და ისევ ჭყიტა თვალები.

– კიდევ, – განაგრძობდა მაცაცო, – გვაქვს ძალიან კარგი ჩვეულება: ჯიუტ გაუგონარ ბავშვებს კუთხეში ვაყენებთ.

„ეს უკვე მეტისმეტია! – გაიფიქრა პატარა კუნძულელმა, – ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ დედიკომ და მამიკომ ეს სასტიკი ჩვეულება არ გადმოიღონ.“

მაცაცომ ჩაიცინა. გაიფიქრა, დროა, პატარა კუნძულელს დაბადების დღის გადახდის ჩვეულების შესახებ მოვუყვეო.

– როდესაც ვინმეს დაბადების დღე აქვს, – დაიწყო მან, – დიდ ტორტს ვაცხობთ და იუბილარს მივართმევთ ხოლმე.

– ტორტს?

– დიახ... ეს ერთგვარი... მმ... შეჭამანდია... ძალიან გემრიელი... სასურველია, შოკოლადის იყოს... მოკლედ, ტორტს სუფრაზე ვდებთ და ზედ სანთლებს ვარჭობთ. სანთელი იმდენი უნდა იყოს, რამდენი წელიც შეუსრულდა იუბილარს.

– ო-ო – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა აბორიგენმა.

თან გაიფიქრა, ყველაფერი უნდა იღონო, კუნძულელებმა ეს ძალიან კარგი ჩვეულება სასწრაფოდ რომ გადმოიღონო.

უცებ შოკოლადისფერ ბიჭუნას სასაუზმოდ დაუძახეს.

– ჩემთან ერთად ხომ არ ისაუზმებ? – თავაზიანად ჰკითხა თავის ახალ ნაცნობს.

– სიამოვნებით! – შესძახა მაცაცომ. მან უკვე იცოდა, რომ ამ ტომის ჩვეულების თანახმად, უარის თქმა შეურაცხყოფის ტოლფასი იყო. ამიტომ მაშინვე დაეთანხმა, მით უფრო, რომ დილიდან ერთი ნამცეციც კი არ ჰქონდა პირში ჩადებული.

სუფთა ჰაერზე ისაუზმეს... უზარმაზარ სუფრასთან შოკოლადისფერი ბიჭუნას მთელი ოჯახი შეკრებილიყო (დაახლოებით ორასი კაცი იქნებოდა).

მაცაცო, იქაური ჩვეულების მიხედვით ყველაზე საპატიო ადგილას დასვეს – ოჯახის უფროსის ანუ ტომის ბელადის გვერდით. მეორე მხარეს კი მისი ახალი, შოკოლადისფერი მეგობარი მოთავსდა.

საუზმედ კუნძულელებს ყველანაირი ხილი ჰქონდათ: კივი, ავოკადო, ანანასი, ბანანი, პაპაია, მანგო, ქოქოსის კაკალი და შორეული ქვეყნიდან ჩამოტანილი გარგარიც კი.

– ლამპან ცხვარხარ! – დაიღრიალა უცებ ტომის ბელადმა, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს: „ძვირფასო ჩიტუნა, სიხარულით მოგესალმებით ჩვენს სტუმართმოყვარე ტომში!“

– მუსი პუსი ტრიმ ბა ბახ ბუ ბუ! – კიდევ უფრო მრისხანედ დასჭექა ბელადმა, რაც ნიშნავდა: „ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს ჩვეულებებს, თქვენ კი, თუ შეიძლება, პატივი ეცით ჩვენსას.“

– მოკეტან ტარამ ჩერილამ! – მიუგო მაცაცომ, რაც ნიშნავს: „მიუხედავად განსხვავებული ჩვეულებებისა და კულტურისა, სხვადასხვა ქვეყნის ხალხს ბევრი აქვს საერთო.“

მაცაცო განცვიფრდა, როცა აღმოაჩინა, რომ მთელი ტომი ისე, როგორც პატარა შოკოლადისფერი ბიჭუნა, ხმამაღლა, მონდომებით აწკლაპუნებდა პირს.

– ამას რატომ აკეთებთ? – ჰკითხა თავის ახალ მეგობარს.

– როგორ, არ იცი? – გაუკვირდა ბიჭუნას, – ეს ჩვენი ძველთაძველი ჩვეულებაა. სტუმარი პირის წკლაპუნს თუ არ დაიწყებს, მასპინძელს ეგონება, რომ საჭმელი არ მოეწონა და გაბრაზდება.

ასე რომ, მაცაცო ჭამას შეუდგა. თან ისე ხმამაღლა აწკლაპუნებდა პირს, რომ დიასახლისმა კმაყოფილებით გახედა და გაუღიმა.

პატარა შოკოლადისფერი ბიჭუნა მისი შვილი იყო. ბიჭს ნიკ-ნუკი ერქვა, რაც ნიშნავს: „ბიჭი, რომელსაც ყველას მასხარად აგდება უყვარს.“

უცებ მაცაცოს მობილური ტელეფონი აწკრიალდა. დიასახლისი მოულოდნელობისგან ადგილზე შეხტა, ტომის ბელადმა კი თვალები ჭყიტა.

– ეს რა არის? – დასჭექა მან

– მშვიდად - თქვა მაცაცომ, – ეს ჩემი პატარა შინაური ცხოველია. ცოტა არ იყოს, მოიწყინა. თუ ნებას მომცემთ, დაველაპარაკები.

– ილაპარაკე! – ბრძანა ბელადმა, რადგან ძალიან ბრძენი ბელადი ბრძანდებოდა და ყოველთვის ბრძნულ გადაწყვეტილებას იღებდა.

მაცაცომ ღილაკს თითი დააჭირა და თქვა:

– ალო!

საუბრის შემდეგ მაცაცომ მობილური გათიშა და ბელადს გახედა. ბელადმა მობილურს მრავალმნიშვნელოვნად დახედა...

– მომეწონა ეს „შინაური ცხოველი“ – ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოაცხადა მან, – მეც მინდა ასეთი!

მთელი ტომი, პატარა შოკოლადისფერი ბიჭუნას ჩათვლით, მაცაცოს მიაჩერდა. მაცაცო კი ბელადს.

– ო, ბრძენ ბელადთა შორის უბრძენესო – მოწიწებით დაიწყო მან, – ჩემს ქვეყანაში არის ასეთი ჩვეულება: როდესაც სხვა ქვეყანაში ჩადიხარ, ანდა იქიდან ჩამოდიხარ, მეგობრებს საჩუქრები უნდა მიუძღვნა... ამიტომ მე გჩუქნი ამ მშვენიერ მობილურს – ასე ჰქვია ჩემს „ცხოველს.“

– მო-ბი-ლუ-რი – ალერსიანად გაიმეორა ბელადმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

მასთან ერთად გაიღიმა მთელმა ტომმა, პატარა შოკოლადისფერი ბიჭუნას ჩათვლით.

II

სამზარეულოს მაგიდასთან მაცაცო და დეიდა ლალი ისხდნენ.

– ეს რას ჰგავს! როგორ შეიძლება? – ბუზღუნებდა მაცაცო, – უპატივცემლობაა სხვისი კულტურის მიმართ! არადა, როგორ ვცდილობდი. სპეციალურად მათთვის გამოვეწყვე კუნძულელების ტანსაცმელში, თავზე მათი ჭრელი თავსაფარი მოვიხვიე, იქაური მუსიკა ჩავრთე და ნამდვილი აბორიგენების ცეკვა შევასრულე.

დეიდა ლალი ყურადღებით უსმენდა.

– და არ დაგიფასეს? – ჰკითხა მაცაცოს.

– დამიფასეს? ჰა-ჰა! დამიფასეს კი არა და, დამცინეს! გიჟებივით იცინოდნენ! იმ უკულტურო კოკიმ ისიც კი მითხრა, ამ ჭრელ სამოსში თუთიყუშსა ჰგავხარო! – აღმაშფოთებელია!

– ჩემო საწყალო ჩიტუნა, – თანაუგრძნო დეიდა ლალიმ და ნამცხვრის კიდევ ერთი ნაჭერი გადაუღო თეფშზე.

– მე კი არ ვარ საწყალი, – მოუთმენლად მიუგო მაცაცომ, – კუნძულელების გამო დამწყდა გული... სხვათა შორის, ამ ჩვენი შტერი ბავშვებისგან განსხვავებით, ისინი უდიდესი გაგებით შეხვდნენ ჩვენს ტრადიციებს და არ დამცინოდნენ, როდესაც ჩვენს სიმღერებს ვუმღეროდი და ჩვენს ცეკვებს ვცეკვავდი.

მაცაცომ ნაღვლიანად ამოიოხრა.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – გაამხნევა დეიდა ლალიმ, – ნახავ, მალე ყველაფერს მიხვდებიან.

დეიდა ლალი, როგორც ყოველთვის, მართალი აღმოჩნდა. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა...

ბავშვები უგუნებოდ იყვნენ. გრძნობდნენ, რომ მეგობარ მაცაცოს ტყუილად ატკინეს გული. არადა, მაცაცოს უნდოდა კუნძულის შესახებ მოეყოლა.

– თუთა წამით დაფიქრდა და თქვა – მე მგონი, მაცაცოს ტყუილად ვაწყენინეთ...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– მართლაც, კარგად არ მოვიქეცით, – ბოლოს თქვეს ერთად, – როგორმე

უნდა ავუხსნათ, რომ ეს მუსიკაც, ცეკვაც და ჩაცმულობაც უცნაურად იმიტომ მოგვეჩვენა, რომ ადრე არ გვენახა და მის შესახებ არაფერი ვიცოდით, მაგრამ როცა დავფიქრდით, ძალიან მოგვეწონა.

– იცით, – ჩაილაპარაკა თუთამ, – მე მგონი, ეს საინტერესოც კია...

– რა არის საინტერესო?

– უცხო ქვეყნებისა და ხალხების ჩვეულებების გაცნობა... თურმე მათაც ჰქონიათ ლამაზი ცეკვები, სიმღერები და ტანსაცმელი...

ბავშვები ისევ დადუმდნენ.

– იცით რა, – თქვა ნიკუშამ, – როცა გავიზრდები, გამოჩენილი მოგზაური გავხდები. მთელ მსოფლიოს მოვივლი და სხვადასხვა ხალხების ტრადიციებს შევისწავლი.

– მოდი, ყველა ერთად მივიდეთ მაცაცოსთან და შევურიგდეთ.

ბავშვები ხეს მიადგნენ. მაცაცო დეიდა ლალისგან ახალი დაბრუნებული გახლდათ, კარგ გუნებაზე იყო და ბავშვების დანახვა კიდეც გაუხარდა.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ლიზიკომ პაკოს იდაყვი წაჰკრა.

– მიდი!

– ეე... – დაიწყო პაკომ ყოყმანით, – ჩვენ ვიმსჯელეთ და მივხვდით, რომ... მმ... შეგვეშალა... იმ შენი აფრიკული ცეკვისა და ჩაცმულობის ამბავი... იცი, ასეთი რამისთვის უბრალოდ მზად არ ვიყავით...

– მეც ეგრე ვიფიქრე, – მიუგო გახარებულმა მაცაცომ, – ალბათ წინასწარ უნდა შემემზადებინეთ...

ამის მერე კი დაღამებამდე, მაცაცო ბავშვებს უყვებოდა იმ კუნძულის ამბებს, სადაც მუსი-პუსი-ტრიმ-ბა-ბახ-ბუ-ბუს ტომი ბინადრობს, თან იქაურ ცეკვებსა და სიმღერებს ასწავლიდა.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

1. რის შესახებ ესაუბრებოდა მაცაცო შოკოლადისფერ ბიჭუნას?
2. რა მოეწონა და რა არა შოკოლადისფერ ბიჭუნას მაცაცოს ნაამბობიდან და როგორ გამოხატა მან თავისი დამოკიდებულება?
3. როგორ გამოხატა მაცაცომ სუფრასთან ჯდომის დროს შოკოლადისფერი ბიჭუნას ტომის ჩვეულებებისადმი პატივისცემა?
4. რამ აღაშფოთა საამშობლოში დაბრუნებული მაცაცო?
5. რას მიხვდნენ ბავშვები ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ?
6. როგორ დასრულდა ეს ისტორია?

თემა 18 თანასწორობა

თქვენ გაეცანით ტოლერანტობის პროგრამას, განიხილეთ საკითხები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა შორის ჯანსაღი თანაარსებობისთვის, მათი ერთობისთვის და ურთიერთდამოკიდებულებისთვის, მთლიანად საზოგადოებისთვის. თქვენ ამ საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ხართ, რომელსაც აქვს უფლება სხვა ადამიანებთან ერთად იპოვოს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში – ეს თქვენი შესაძლებლობაა, თქვენი გზა!

ყველა ადამიანი ყოველგვარი განსხვავების გარეშე – წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის, ენის, სქესის, სოციალური მდგომარეობის – თანაბარუფლებიანია; ***თანასწორობა*** *ნიშნავს იმას, რომ რაიმე ნიშნით ყოვლად დაუშვებელია უპირატესობის ან შეზღუდვის დაწესება.*

ურთიერთპატივისცემა, კეთილგანწყობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ არის თანასწორობის გარანტი. თანასწორობის აღიარება ტოლერანტული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ტოლერანტ ადამიანს აქვს უნარი, იყოს სამართლიანი სხვა ადამიანების მრწამსისა და მოსაზრებების მიმართ და მიიღოს სხვები ისეთებად, როგორებიც არიან.

დისკრიმინაცია *არატოლერანტული ქმედების ერთ-ერთი გამოვლინებაა – ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფებს შორის უსამართლო მოპყრობა რაიმე განსხვავების საფუძველზე, დევნა, გადასახლება, აკრძალვა, რეპრესიები, ძალადობრივი ქმედებები. იმის განცდა, რომ ჩვენგან განსხვავებული ჩვენზე რაღაცით უარესია, გვაძლევს ნებისმიერი დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი ქცევის გამართლების საშუალებას, რაც არის დისკრიმინაციის საფუძველი.*

დაიმახსოვრეთ:

თქვენი უფლებაა იყოთ დაცული და ბედნიერი. ამავე დროს, თქვენი მოვალეობაა იზრუნოთ იმისთვის, რომ არავინ იყოს დაჩაგრული და შეურაცხყოფილი. ასე შეიქმნება სამართლიანი საზოგადოება.

ვარსკვლავი

– ვაი! – წამოიძახა მაცაცომ და კოკის გაოცებულმა შეხედა, – მეგობარო, მე მგონი, თავზე რაღაც დაგეცა!

– შეუძლებელია! – თავის მხრივ გაოცდა ცუგრიაც, – არაფერიც არ დამცემია. რომ დამცემოდა, გავიგებდი... ყოველთვის ვგრძნობ, როცა რაღაც მეცემა... ხომ იცი, როგორი მგრძნობიარე ვარ?

– მაგრამ მართლა რაღაც დაგეცა, – არწმუნებდა მაცაცო. კოკისთან ახლოს მიფრინდა, თავზე დააჯდა და პარტყუნა ყურები აქეთ-იქით გადაუწია.

– ვაი! – ისევ შესძახა მაცაცომ, – თურმე რა ყოფილა! ვარსკვლავი! ვარსკვლავი დაგცემია თავზე, ჩემო კარგო!

„როგორ არ მიმართლებს, – გაიფიქრა კოკიმ, – ისევ ვერ მოვასწარი სურვილის ჩაფიქრება...“

რამდენიმე წუთში კოკისა და ვარსკვლავის ამბავი მთელ ეზოს მოედო.

– მე,.. მე ვარსკვლავი ვიპოვე! – ყველას უყვებოდა კოკი, – იმავე წამს ვიგრძენი, თავზე რომ დამეცა! ეგრევე წამოვიძახე: „მაცაცო, თავზე ვარსკვლავი დამეცა! ვგრძნობ, როგორ თრთის!“

ნიკუშა კოკისთან მივიდა და ვარსკვლავი ხელში აიღო. ვარსკვლავი თბილი იყო, მაგრამ არ ირხეოდა. სამაგიეროდ, ანათებდა. კოკი ძალიან ბედნიერი იყო, შეიძლება ითქვას, სიხარულს ასხივებდა.

– მაშ ასე,.. ვნახოთ, ვნახოთ... – დინჯად ჩაილაპარაკა ნიკუშამ და კოკის გადახედა, – ეს ვარსკვლავი... მმ... ნამდვილია! შეხედეთ... ანათებს! როგორც კი ხელს შეახებ, იმწამსვე ნათდება.

– რასაკვირველია, ნამდვილია! – გაუხარდა კოკის, – ის ხომ ციდან ჩამოვარდა... მე ვფიქრობ, რომ უცხოპლანეტელმა დაკარგა... საწყალი... ალბათ ახლა კოსმოსის რომელიმე კუნჭულში ზის და განიცდის...

კოკი დანაღვლიანდა, რადგან წარმოიდგინა, რომ მწვანე ფერის პატარა უცხოპლანეტელს ანტენებივით ყურები დაბლა ჩამოეშვა, იჯდა და მწარედ ტიროდა... მან ხომ ვარსკვლავი დაკარგა კოსმოსში....

– ეგრეა! – კოკის აზრი აიტაცა ნიკუშამ, – კოკი მართალია, ვარსკვლავი უცხოპლანეტელს დაეკარგა... და იცით, რა.. მალე თავისი ვარსკვლავის წასაღებად მოფრინდება... აი, ნახავთ!

– რა კარგია! – ტაში შემოჰკრა თუთამ, – დიდი ხანია, ვოცნებობ უცხოპლანეტელის გაცნობაზე...

და თუთამ ვარცხნილობა შეისწორა.

ამ დროს პაკო ნიკუშასთან მივიდა და ჰკითხა:

– შეიძლება ვარსკვლავი ავიღო? მეც მინდა ვნახო, ხელში როგორ გამინათდება...

– არა, არ შეიძლება! – მიუგო ნიკუშამ და უკან დაიხია, – შემთხვევით რომ დაგივარდეს? იცი რა, პაკო, უკეთესი იქნება, თუკი საერთოდ წახვალ აქედან... მე მგონი, ასე აჯობებს...

– ვითომ რატომ? – განცვიფრდა პაკო, – რატომ უნდა წავიდე? უცხოპლანეტელს მეც უნდა დავხვდე.

ნიკუშამ პაკოს ახედ-დახედა. პაკომ მისი მზერა დაიჭირა და საკუთარ თავს დააკვირდა: პერანგი ამოჩაჩული ჰქონდა, შარვლის ცალი ტოტი –

ამობრუნებული. თანაც, თავზე ერთობ უცნაური ფორმის დაწნული ქუდი ეხურა, რომელიც ძალიან ჰგავდა მაცაცოს ბუდეს.

– იცი, ამას რატომ ვამბობ? – ჩაილაპარაკა ნიკუშამ, თანაც პაკოს თვალს არიდებდა, – პაკო, შენ ისე არ გამოიყურები, როგორც ყველა... ქუდიც ძალიან უცნაური გახურავს... გაიგე რა, ამ ყველაფერმა უცხოპლანეტელი შეიძლება დააფრთხოს.

– აბა-აბა-აბა! – უცებ ხმა აიმაღლა მაცაცომ, – გამოთქმები შეარჩიე! სხვათა შორის, ეს ქუდი პაკოს მე ვაჩუქე!

– ახლა ყველაფერი გასაგებია, – ჩაიცინა ლიზიკომ, – მაშინვე ის გავიფიქრე, მამაცოს ძველ ბუდეს როგორ ჰგავს-მეთქი...

– ერთი ამას დამიხედეთ! – გაბრაზდა მაცაცო, – ეს ბუდე არ არის! დაწნული ქუდი გახლავთ... სხვათა შორის, ხელით არის დაწნული. თავად დავწანი!

– მერე რა, რომ შენი დაწნულია? – შეეპასუხა ნიკუშა, – ამ ქუდის გამო პაკო ყველასგან განსხვავდებაა .... რაღაც უცნაურად გამოიყურება... სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ უცხოპლანეტელს ჩვენთან ერთად დახვდეს....

პაკო ბავშვებს დაბნეული უყურებდა. გულში ინატრა, ნეტავ ეს ყველაფერი სიზმარი იყოსო... აბა, წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, ვინმესთან მხოლოდ იმიტომ არ იმეგობრო, რომ განსხვავებულად აცვია და სხვებს არ ჰგავს...

უცებ თუთამ იგრძნო, რომ პაკოს ახლავე თუ არ გამოესარჩლებოდა, საკუთარ თავს ამას არასოდეს აპატიებდა, მოსვენებას დაკარგავდა.

– როგორ ვიქცევით? – თქვა მან, – განა ასე შეიძლება?

– ვაიმე, დედიკო! – შეჰყვირა სასოწარკვეთილმა კოკიმ, – ვარსკვლავი აღარ ანათებს! ჩაქრა!

მართლაც, – ვარსკვლავი აღარ ანათებდა... ნიკუშას ხელისგულზე ესვენა ფერმკრთალი და ცივი... და სრულიად არ ანათებდა...

– ყველაფერს მივხვდი... – აზლუქუნდა კოკი, – ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ისევ არასწორად მოვიქეცით....

– რატომ მოვიქეცით არასწორად? – ჩუმად იკითხა ნიკუშამ.

კოკიმ ცრემლები ყურებით მოიწმინდა და უთხრა:

– ეტყობა, დაგავიწყდა, ნიკუშა... არ შეიძლება ვიღაც არ გიყვარდეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვანაირად გამოიყურება.

ნიკუშა დაფიქრდა. და შერცხვა. შერცხვათ დანარჩენებსაც... პაკოსაც კი... რადგან გაახსენდა, რომ ერთხელ თვითონაც შეცდა ინდიელობანას თამაშის დროს...

– ყველა უნდა მივიღოთ ისეთად, როგორიც ის არის! – ჩუმად თქვა ნიკუშამ და პაკოსთან მივიდა. ვარსკვლავი გაუწოდა და გაუღიმა.

და უცებ, იმავე წამს, ვარსკვლავი ისევ აკიაფდა (მე მგონია, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა). შემდეგ კი... საერთოდაც საოცრება მოხდა: ვარსკვლავი უცებ პაკოს ხელიდან ამოფრინდა... კიდევ უფრო მეტად გაბრწყინდა... აკაშკაშდა.... და მაღლა ცაში აიჭრა.... იქ, სადაც მას პატარა მწვანე უცხოპლანეტელი ელოდებოდა...

ბავშვები იდგნენ და დიდხანს, მონუსხულებივით იყურებოდნენ ცაში.

უეცრად კოკიმ, თავისთვისაც მოულოდნელად, თითქმის ყოვლისმომცველი, თითქმის სამყაროსეული სიხარული იგრძნო... რადგან იქ... ძალიან შორს... სადღაც კოსმოსში... ბედნიერი მწვანე უცხოპლანეტელი ეგულებოდა... რომელსაც სამყაროში გაცილებით მეტი ჰქონდა დაკარგული, ვიდრე ერთი პატარა ვარსკვლავი...

უცებ კოკის მოეჩვენა, რომ ცაში უცხოპლანეტელის ბედნიერ ცისფერ თვალებსაც კი ხედავდა...

იპოვეთ მოთხრობაში ქვემოთ მოცემული ეპიზოდები და გაიაზრეთ მოთხრობაში ასახული პრობლემები შემდეგი კითხვების დახმარებით:

„უკეთესი იქნება, თუკი საერთოდ წახვალ აქედან... მე მგონი, ასე აჯობებს“...

1. რა სურდათ ეზოს ბინადრებს?
2. რატომ მიმართა ნიკუშამ მეგობარს ასე?
3. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა უსამართლოდ მიგიმართავთ ვინმესთვის?
4. რას გრძნობდით მაშინ?

„ამ ქუდის გამო პაკო ყველასგან განსხვავდება.... რაღაც უცნაურად გამოიყურება... სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ უცხოპლანეტელს ჩვენთან ერთად დახვდეს“....

1. როგორ ფიქრობთ, რატომ არ სურდა ნიკუშას, რომ პაკო უცხოპლანეტელს ენახა?
2. რა რეაგირება მოახდინეს დანარჩენებმა?

„აბა, წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, ვინმესთან მხოლოდ იმიტომ არ იმეგობრო, რომ განსხვავებულად აცვია და სხვებს არა ჰგავს“...

1. რა გრძნობები გაუჩნდა პაკოს, როცა ის გარიყეს?
2. როგორი დამოკიდებულება შეიძლება გასჩენოდა პაკოს საკუთარი თავისა და მეგობრების მიმართ?

„ყველა უნდა მივიღოთ ისეთად, როგორიც ის არის! — ჩუმად თქვა ნიკუშამ და პაკოსთან მივიდა. ვარსკვლავი გაუწოდა და გაუღიმა.“

1. რის შემდეგ მოიქცა ნიკუშა ასე?
2. რატომ მიაჩნდა კოკის, რომ არასწორად იქცეოდნენ?
3. რა გაახსენდა კოკის საკუთარი გამოცდილებიდან?

რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

ბავშვის უფლებათა კონვენცია

(გამარტივებული ვარიანტი)
(ჩვენი უფლებები – ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი სწავლების მეთოდები. 2001)

მუხლი 1. 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი ითვლება ბავშვად.

მუხლი 2. ყველა ბავშვი თანასწორია და ერთნაირი უფლებები აქვს.

მუხლი 6. ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება.

მუხლი 7. ყველა ბავშვს დაბადებისთანავე აქვს სახელისა და მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 9. ყველა ბავშვს აქვს ოჯახში აღზრდისა და ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლება.

მუხლი 12-13. ყველა ბავშვს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი შეხედულება ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება. მის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ბავშვებს ისევე, როგორც უფროსებს, უფლება აქვთ გამოთქვან საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით, ნახატის ან სხვა სახით ისე, რომ არ შელახონ სხვათა ღირსება და არ დაარღვიონ სხვა ადამიანის უფლება.

მუხლი 16. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის, საცხოვრებლის ხელყოფისა და მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისგან.

მუხლი 17. ყველა ბავშვს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მიიღოს მისი განვითარებისათვის საჭირო ყოველნაირი ინფორმაცია და მასალები.

მუხლი 20. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და დაეხმაროს იმ ბავშვებს, რომლებიც რაიმე მიზეზით მოწყვეტილი არიან ოჯახს.

მუხლი 22. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და დაეხმაროს ლტოლვილ ბავშვებს. მათ ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ყველა მათ თანატოლს.

მუხლი 23. ყველა უნარშეზღუდულ ბავშვს აქვს უფლება იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მისი ღირსების დაცვას, განუმტკიცებს მას საკუთარი ძალების რწმენას და გაუადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფო

ვალდებულია განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს უნარშეზღუდული ბავშვების მიმართ.

მუხლი 24. ყველა ბავშვს აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო ცხოვრების უფლება. ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანსაღი საკვებითა და სასმელი წყლით.

მუხლი 27. ყველა ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს განვითარებისათვის საჭირო ყველა პირობა. მშობლები და სახელმწიფო ვალდებული არიან უზრუნველყონ ბავშვები საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით.

მუხლი 28. ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება.

მუხლი 30. ყველა ბავშვს უფლება აქვს ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე.

მუხლი 31. ყველა ბავშვს აქვს თამაშისა და დასვენების უფლება.

მუხლი 32. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც მავნებელია მისი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მის სწავლა-განათლებას.

მუხლი 34-37. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისაგან.

მუხლი 38. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ომისაგან. დაუშვებელია ბავშვების გაწვევა შეიარაღებულ ძალებში.

მუხლი 42. ყველა ბავშვსა და უფროსს აქვს უფლება იცოდეს, რა წერია ბავშვის უფლებათა კონვენციაში.

დანართი 2

ბავშვის უფლებათა კონვენცია

(შემოკლებული ვარიანტი)

ნაწილი I

მუხლი 1. 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი ითვლება ბავშვად.

მუხლი 2. ყველა ბავშვს თანაბარი უფლებები აქვს. არც ერთი ბავშვი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად არ უნდა განიცდიდეს არანაირ დისკრიმინაციას.

მუხლი 3. ყველამ, ვისაც აკისრია ბავშვების დაცვა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ნებისმიერი ქმედების დროს უნდა გაითვალისწინოს ბავშვის უპირატესი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვების დაცვასა და მეურვეობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების შესაბამისობა საჭირო სტანდარტებთან, განსაკუთრებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროში.

მუხლი 4. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება კონვენციაში მოცემული უფლებების დასაცავად.

მუხლი 5. სახელმწიფო მოვალეა, პატივს სცემდეს ბავშვის მშობლების, ოჯახის წევრების ან კანონიერი მეურვის უფლებებს.

მუხლი 6. ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება.

მუხლი 7. ყველა ბავშვს დაბადებისთანავე აქვს სახელისა და მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 8. სახელმწიფო მოვალეა, პატივი სცეს და დაიცვას ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა.

მუხლი 9. ყველა ბავშვს აქვს ოჯახში აღზრდისა და ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლება.

ბავშვებს, რომლებიც მშობლებთან არ ცხოვრობენ, მათთან რეგულარული კონტაქტის უფლება აქვთ.

მუხლი 10. ბავშვს, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, მათთან რეგულარული კონტაქტის უფლება აქვს. მონაწილე ყველა სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ოჯახების გაერთიანებას.

მუხლი 11. ბავშვი დაცული უნდა იყოს უკანონო გზით თავისი ქვეყნიდან გაყვანისაგან.

მუხლი 12. ბავშვებს უფლება აქვთ გამოთქვან საკუთარი შეხედულებები ყველა საკითხზე, რომელიც მათ ეხებათ. ბავშვების შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

მუხლი 13. ბავშვებს უფლება აქვთ გამოთქვან აზრი, რაც მოიცავს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას ზეპირად, წერილობით, ნაბეჭდის ან ხელოვნების ნიმუშის და სხვა სახით, ბავშვის არჩევნის შესაბამისად.

მუხლი 14. დაცული უნდა იყოს ყველა ბავშვის აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება.

მუხლი 15. ბავშვებს აქვთ ასოციაციებში გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრებების გამართვის უფლება.

მუხლი 16. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელყოფის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისგან.

მუხლი 17. ყველა ბავშვს უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მიიღოს სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის, ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის საჭირო ინფორმაცია და მასალები.

მუხლი 18. ორივე მშობელი თანაბრადაა პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე.

მუხლი 19. ბავშვი დაცული უნდა იყოს მშობლების ან ოჯახის წევრთა მხრიდან ყველა სახის ძალადობის, შეურაცხყოფის, უხეში მოპყრობისა და ექსპლუატაციისაგან.

მუხლი 20. ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად არის მოწყვეტილი ოჯახურ გარემოს, ან მისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ოჯახში, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მას და დაიცვას იგი.

მუხლი 21. ბავშვის გაშვილების აუცილებლობისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ ბავშვის უპირატესი ინტერესების პრინციპით.

მუხლი 22. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან დაეხმარონ ლტოლვილ ბავშვებს, დაკარგული მშობლების მოძებნაში. თუ ეს შეუძლებელია, გაუწიონ მათ ყველანაირი დახმარება, რაც ამა თუ იმ მიზეზით ოჯახს მოწყვეტილი ნებისმიერი ბავშვისთვის არის გათვალისწინებული.

მუხლი 23. ყველა უნარშეზღუდულ ბავშვს აქვს უფლება იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მისი ღირსების დაცვას, განუმტკიცებს საკუთარი ძალების რწმენას და გაუადვილებს მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ უნარშეზღუდული ბავშვების მიმართ და უზრუნველყონ ისინი ყველა საჭირო პირობით.

მუხლი 24. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ბავშვების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ჯანსაღი საკვებითა და სასმელი წყლით.

მუხლი 25. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვების მკურნალობის პროცესი და ცხოვრების პირობები სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს.

მუხლი 26. ყველა ბავშვი სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

მუხლი 27. ყველა ბავშვს აქვს უფლება გააჩნდეს ფიზიკური, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო პირობები. ბავშვის აღზრდასა და მისი განვითარების უზრუნველყოფაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მშობლებს აკისრიათ. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მშობლებს ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელ სხვა პირებს მათი მოვალეობის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს მატერიალური დახმარება ბავშვების საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფაში.

მუხლი 28. ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, რაც გულისხმობს:

ა) უფასო დაწყებით განათლებას.

ბ) საშუალო (როგორც ზოგადი, ისე პროფესიული) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას.

გ) განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის საჭირო ყოველგვარი ინფორმაციის მიღების უფლებას.

დ) სკოლაში ბავშვების დასწრების ხელშეწყობასა და იმ ბავშვების რაოდენობის შემცირებას, რომელთაც მიატოვეს სკოლა.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის შესანარჩუნებლად ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არ შელახავს ბავშვების პიროვნულ ღირსებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას განათლების სფეროში. კერძოდ, იღწვიან გაუნათ-

ლებლობისა და უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მთელ მსოფლიოში და ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკურ მონაპოვართა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ყველასათვის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 29. 1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ განათლების პრიორიტეტული პრინციპებია:

ა) ბავშვის პიროვნების, ტალანტის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება.

ბ) ბავშვებში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისადმი პატივისცემის სულისკვეთების ჩამოყალიბება.

გ) ბავშვებში მშობლების, საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის, მშობლიური ენის, სამშობლოს, მისი კულტურული ფასეულობებისა და სხვა ცივილიზაციებისადმი პატივისცემის განვითარება.

დ) ბავშვებში გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

მუხლი 30. ბავშვებს, რომლებიც ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს წარმოადგენენ, აქვთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკისა და კულტურული თუ რელიგიური ტრადიციების შესაბამისად ცხოვრების უფლება.

მუხლი 31. ყველა ბავშვს აქვს თამაშისა და დასვენების, აგრეთვე კულტურულ და შემოქმედებით პროცესებში ყოველმხრივი მონაწილეობის უფლება.

მუხლი 32. ბავშვი დაცული უნდა იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც მავნებელია მისი ჯანმრთელობისათვის ან აფერხებს ბავშვის განათლებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

მუხლი 33. ბავშვი დაცული უნდა იყოს ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისა და მათ წარმოებასა თუ გასაღებაში მონაწილეობისაგან.

მუხლი 34. ბავშვი დაცული უნდა იყოს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან.

მუხლი 35. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა არ დაუშვან ბავშვების მოტაცება და ბავშვებით ვაჭრობა.

მუხლი 36. ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა სახის ექსპლუატაციისაგან.

მუხლი 37. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვების დაცვა:

ა) წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფორმებისგან.

ბ) უკანონო გზით თავისუფლების აღკვეთისგან.

მუხლი 38. ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ომისაგან.

15 წლამდე ბავშვი არ უნდა გაიწვიონ შეიარაღებულ ძალებში.

მუხლი 39. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება იმ ბავშვთა რეაბილიტაციისათვის, რომლებიც გახდნენ ექსპლუატაციის, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან საომარი კონფლიქტების მსხვერპლი.

მუხლი 40. ყველა ბავშვს, რომელიც მხილებულ იქნება სისხლის სამართლის დანაშაულში, უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ დაბრუნებას.

მუხლი 41. კონვენცია არ ეწინააღმდეგება იმ დებულებებს, რომლებიც იცავენ ბავშვთა უფლებებს და წარმოდგენილია მონაწილე სახელმწიფოს კანონებსა თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

ნაწილი II

მუხლი 42. ყველა ბავშვსა და ზრდასრულ ადამიანს აქვს უფლება იცოდეს, თუ რა წერია ბავშვის უფლებათა კონვენციაში.

მუხლი 43. მონაწილე სახელმწიფოთა იმ ვალდებულებების შესრულების კონტროლისათვის, რომლებიც ამ კონვენციაშია მოცემული, შეიქმნა ბავშვთა უფლებების კომიტეტი. იგი 10 წევრისგან შედგება, რომელთაც მონაწილე სახელმწიფოები ფარული კენჭისყრით ირჩევენ.

მუხლი 44. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან წარუდგინონ კომიტეტს ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მუხლი 45. კონვენციის პრინციპებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის გასაზრდელად გაეროს ბავშვთა ფონდის და გაეროს სხვა ორგანოებს უფლება აქვთ დაესწრონ კონვენციასთან დაკავშირებულ იმ საკითხთა განხილვას, რომლებიც მათი უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

ნაწილი III

მუხლი 46. მოცემული კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსთვის.

მუხლი 47. მოცემული კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

მუხლი 48. კონვენციასთან სახელმწიფოთა მიერთების დამადასტურებელი დოკუმენტები შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

მუხლი 49. მოცემული კონვენცია ძალაში შედის მე-20 სარატიფიკაციო დოკუმენტის გაეროს გენერალური მდივნისათვის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს წამოაყენოს წინადადება კონვენციაში შესწორების შეტანის შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის თანხმობით და დასამტკიცებლად გადაეცეს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

მუხლი 51. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და ავრცელებს რატიფიკაციის დროს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 52. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის დენონსირება.

მუხლი 53. გაეროს გენერალური მდივანი ინიშნება კონვენციის დეპოზიტარად.

მუხლი 54. მოცემული კონვენციის ორიგინალები ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც თანაბრად ავთენტურად ითვლება, ინახება გაეროს გენერალურ მდივანთან.

© 2009, Save the Children Federation, Inc.
ყველა უფლება დაცულია.